

వైద్యశాలలో ఉన్న వాళ్ళు, వాళ్ళు ఏ
కామం వ్రాసుకుంటారు

ილიკო ფერაძე

მე, ბებია-ბაბუა, დედა, მამა და
გია ფერაძე

თბილისი
2006

**UDC (უაკ) 792(479-22)(092)
ფ-431**

ISBN 99940-58-12-6

საავტორო უფლებები დაცულია ©
გამომცემელი
ილია ფერაძე.
თბილისი 2006

რედაქტორისაგან

ეს თბილი და უბრალო წიგნი, თბილისის, ვერის უბნის ერთი ძირძველი, ფერაძეთა ოჯახის საგაა. წიგნის ავტორი, ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი ბატონი ილია ფერაძე საოჯახო, საგვარეულო მეისტორიის ფუნქციას ასრულებს და პატარ-პატარა დოკუმენტური ნოველებით, მართლაც შთამბეჭდავ პასაჟებს ქმნის-ამ ოჯახის და მოდგმისათვის ასე ნიშანდობლივი ბუნებრივი, კეთილი იუმორის შუქით. მონათხრობი კი მთელ საუკუნეს გადასწვდება, მე-20 საუკუნის დამდეგიდან, XXI –ის დასაწყისამდე.

ბედნიერება იქნებოდა, ბატონ ილია ფერაძის მსგავსად გარჯილიყვნენ გასული დროის ტრადიციული ოჯახის შვილები. რამდენი რამ გვეცოდინებოდა დღეს ჩვენი ქვეყნის წარსულზე, ღირსეულ წინაპრებზე. მაგრამ, ალბათ, არც ეს წიგნი დაიწერებოდა, ავტორის ძმა ასეთი ტრაგიკული ბედის, ნიჭიერებით მომადლებული **გია ფერაძე**, რომ არ ყოფილიყო. სწორედ მისი პიროვნების საყოველთაოდ ახლოს გაცნობის მიზნით, მისი სახელის უკვდავსაყოფად ჩაიფიქრა წინამდებარე წიგნის დაწერა, უმცროსზე მზრუნველმა და მეოხმა უფროსმა ძმამ, ბატონმა ილია ფერაძემ. ავტორი წიგნის მთავარ პერსონაჟად გია ფერაძეს სახავეს და ერთ მშვენიერ ლიტერატურულ ხერხს იყენებს. იგი პასუხს სცემს დაინტერესებულ პირთა შეკითხვას: რატომ იყო ჩვენი არტისტი ასეთი დაუდგრომელი, მოუსვენარი ბუნების. საიდან მოდიოდა იუმორის ასეთი ნაკადი, როგორ თხზავდა ამდენ სასაცილო ეპიზოდებს, თავგადასავლებს. ამ შეკითხვას რადგანაც ადვილად ვერ უპასუხებდა, ავტორი შორიდან, დედ-მამის ბებია-პაპებიდან იწყებს და არც მათ შთამომავლებსაც არ ივიწყებს. სწორედ ამ მშვიდი, პატიოსანი და ალალი ხალხის ნიჭიერება და უცნაური იუმორის ტალღები, ნელ-ნელა მოიწვევს გია ფერაძემდე, ივსება გენეტიკური კოდი. ამით კი, ასე ვთქვათ ზემოთ ნახსენებ შეკითხვებზე პასუხიც მზადაა და პარალელურად წინა თაობის დიდი სოფლის ბინადარ, ფერაძეთა და ჟორჟილიანების მშვენიერ წინაპრებსაც ვეცნობით. ამ ხალხის დიდი ნაწილი ისედაც ცნობილები არიან... თუნდაც ავტორის მოსახელე ილია ფერაძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი; დაუვიწყარი სახალხო არტისტი სანდრო ჟორჟილიანი... ილიას და გიას მამა ბიძინა ფერაძე, რომლის უამრავი ნამოწაფარი ჩვენი ქალაქის ბინადარია. კაცი ცნობილი წიგნიერებით, ქართული ზნეობით, არაერთი პოპულარული სიმღერის ტექსტის ავტორი, მათ შორის “ყვავილების ქვეყანის”... დედა- ქალბატონი თინა ჟორჟილიანი, თავისი უზადო იუმორით, სხვათათვის სიხარულის, სილადის

მინიჭების უჩვეულო უნართ. ამ პიროვნებათა ხასიათის “გახსნა” კი, როგორც ვთქვით, გაა ფერადის ფენომენის შეცნობას ემსახურება. წიგნის მეშვეობით, მკითხველი უნებურად თანამგზავრი ხდება, გაუბედურებული ძმის სანახავად “პაემანებზე” გამგზავრებული უფროსი ძმის, ილია ფერადისა. შენც ბინადარი ხდები ჭუჭყით და განუკითხაობით აღსავსე საბჭოეთის უკიდვანო მიწაზე მიმოფანტული ზონების და “კრიტიკის”, კარცერების და ეტაპებისა. ზღაპრული გმირების თავგადასავლებისა არ იყოს, აქაც, ამ ყრუ და დახშულ, უსამართლობით მოხეივმე სამყაროშიც, სინათლის სხივად იჭრება მეგობრობის და კეთილნაცნობობის მადლი, რომლის შემწეობითაც ბევრ წინააღმდეგობებს ღაბღავს წიგნის ავტორი და პერსონაჟი ბატონი ილია!

თხრობის განმავლობაში ბევრჯერ შეხვდებით სიტყვებს: “ომი”, “რეპრესიები”, “დახვრეტა”... წარსული დროის მოვლენების შესაბამისად, ეპოქის მძლავრი სუნთქვაც შეიგრძნობა. რა ტრაგიკულია ავტორის ბებია-ბაბუათაგან ბევრი მათგანის, ამ მშვიდი და სიკეთის მოსურნე ადამიანების ბედი. ავტორი დრო და დრო დღევანდელ, დაუნდობელ თინეიჯერულ ხელისუფლების წარმომადგენლებისათვისაც არ იშურებს ორიოდ ფრაზას შეგონებისათვის.

და იხატება, ჩვენი თბილისის ანდამატური, ნოსტალგიის გამოძვევევი ხანა, როდესაც ერთმანეთის ოჯახებში სტუმრიანობის, ნათესაური სიყვარულის დღესასწაულები ძალზე მარტივად ეწყობოდა. როდესაც რადიომიმღებებით გამოწვეული სიხარული ტელევიზორმა შეცვალა. ნავთქურაზე საჭმელი კეთდებოდა და მისი ოხშივარი მთელ ეზოს ედებოდა, სადაც ერთი ონკანი და საერთო ტუალეტი იყო. ამავე ეზოებში, ერთმანეთის თვალწინ იზრდებოდნენ უბნის ბავშვები და იყო სწორედ მშობლიური ურთიერთობა, სიყვარული. დრო და დრო საერთო სიჩუმეში გაისმის ერთად-ერთი ტელეფონის პატრონის ხმა, რომელიც ხან ერთ მეზობელს ეძახის ტელეფონთან, ხანაც მეორეს.

ავტორიც რომ იგივე გენეტიკის განშტოებაა, ამას წიგნის წაკითხვისას შეიგრძნობთ. მისი მონათხრობი, რა გინდ ტრაგიკულ სურათს ხატავდეს, სავსეა ჯანსაღი, მოხდენილი იუმორით. ჩემს რედაქტორობაზე და მის მწერლობაზეც იუმორით საუბრობს.

ეს წიგნი, გულწრფელად გეტყვით, მშვენიერ ლიტერატურულ მოვლენად მიმანჩნია.

თამაზ ტყემალაძე

სარჩევის მაგივრად.

წიგნი შედგება, თითქმის ერთმანეთისგან დამოუკიდებელი,
3 ნაწილისაგან:

ნაწილი პირველი: (1 – 60 გვ) მოგვითხრობთ, გია ფერადის ოჯახზე, მშობლებზე, ბებია-ბაბუებზე, ფერადების გვარზე. თავი დააინტერესებს უფროსი თაობის მკითხველს, ვისაც “ვარდების ხელისუფლება” წარსულის გადმონაშთს უწოდებს, ვისაც ახსოვს ძველი თბილისური ურთიერთობები და პატივს სცემს წინაპრების ხსოვნას.

ნაწილი მეორე: (61-90გვ) მოგვითხრობს გიას ოხუნჯობებზე, რაც შეეძელი და მოვაგროვე, გიას ნაცნობ-მეგობრების უახლოეს წრეში. ამასთან, ამავე თავში მოთავსებულია გიას იუმორის პედაგოგის, მწერლის და ჟურნალისტის, დედის-თინა ჟორჯოლიანის ხუმრობები, წყარო, საიდანაც წარმოიშვა გიას იუმორი. ეს თავი ალბათ, ახალგაზრდებს უფრო დააინტერესებს. მათ კი, ვისაც ახსოვს, გიას რაიმე სხვა ანგლობები, გული ნუ დაწყდებათ, როგორმე დამიკავშირდენ და მათ მეორე გამოცემაში აუცილებლად ჩავრთავ, თუ ღმერთი ინებებს.

ნაწილი მესამე: (91-180გვ) ესება, მკითხველთა უმრავლესობისთვის უცნობ, გიას პატიმრობის პერიოდს. აქ მოკლედ არის აღწერილი, თუ რა თავგადასავლები გადახდა თავს გიას, მე და მის მეგობრებს, გიას პატიმრობის პერიოდში, თვალუწვდენელი სსრკ-ს ტერიტორიაზე მიმობნეულ, მრავალ ციხე კოლონიებში მასთან პაემანზე სიარულისას. ამავე თავში მოცემულია სენსაციური ცნობა, გიას ცხოვრების, თითქმის ყველასათვის უცნობი გვერდის შესახებ. ეს ცნობა ქვეყნდება პირველად!

ზოგადად კი, მეორე და მესამე ნაწილს შეიძლება ეწოდოს:

მეორე ნაწილს, გიას ცხოვრება და მოღვაწეობა 1985 წლის 19 მარტამდე, იმ საბუღალტრო-ტრაგიკულ მოვლენამდე, რომელსაც შეეწირა, გიას სიყვარულთან ერთად, მისი ბედნიერი ცხოვრებაც.

მესამე ნაწილს, კი, გიას არსებობა და მოღვაწეობა, 1985 წლის 19 მარტის შემდეგ. ამ ნაწილის სათაურში, სიტყვა “ცხოვრება” შეცდომის გამო არაა შეცვლილი, რადგანაც იმ ავბედითი დღის მერე, გიას ცხოვრება არ ჰქონია! იგი მხოლოდ არსებობდა და ხშირად, სიკვდილსაც კი ნატრობდა, რაც ესე კარგად სჩანს მისივე ლექსების წიგნიდან “სევდის კრებული”, რომელიც გამოიცა 1997 წელს.

“უფალო! გმადლობთ ყველაფრისათვის”
წმინდა იოანე ოქროპირის ლოცვა.

მე , ბებია-ბაბუა, დედა, მამა და გია ფერაძე.



ილიკო



ბიძინა



თინა



გია

გია ფერაძის რაიმე საიუბილეო თარიღი რომ ახლოვდება, კორესპონდენტები ხშირად მაკითხავენ და მეკითხებიან:

როგორ გახდა გია მსახიობი?

რა იყო მისი განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზი?

რაიმე კუროსს ხომ არ გაიხსენებთ მისი ცხოვრებიდან?...

ამ საკითხებზე მეც ბევრჯერ დავეფიქრებულვარ, ამიტომ გადავწყვიტე მომეთხრო გიაზე, ჩვენ მშობლებზე, ოჯახზე, უახლოეს წინაპრებზე, ჭირსა თუ ღვინაზე, ერთი სიტყვით ყველაფერ იმაზე, რაც განმსაზღვრელ როლს თამაშობს პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ბოლო ნაკვეთი

მე, მთელი ცხოვრების მანძილზე არც დღიურები, არც რაიმე მოგონებები დამიწერია, მაგრამ რომ გავიხედ-გამოვიხედე და დავეფიქრე ჩემი ოჯახის წევრებიდან, იმ მართლაც ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანებიდან, აღარავენ დარჩა ცოცხალი. ამიტომ ვაღადა ჩავთვალე, ჩემი შთამომავლებისათვის მაინც, შემომენახა ჩვენი ოჯახის წარსული ადამიანური სიმდიდრე, მათ მიერ ჩემს გულში დატოვებული საოცარი სიბოლო და სიყვარული, აგრეთვე გამომეხატა ის დიდი მადლიერება ჩემი ოჯახის მეგობრებისადმი, რაც მათ გამოიჩინეს მხარში დგომით, ოჯახის ყველაზე დიდი ძნელებულობის ჟამს. სანამ ეს უკანასკნელი ნაკვეთი არ ჩაფერულიდა, ამ სიმდიდრის მცირედი ნაწილი მაინც, მინდა

აისახოს ჩემს მოგონებებში. მით უმეტეს, რომ ჩემი ოჯახის წევრები ქალაქში ცნობილი პიროვნებები იყვნენ და ინტერესი მათ მიმართ ჯერაც არ განვლელულა ძველი თაობის თბილისელებს შორის.

საოცარი სიამაყე გეუფლება, როდესაც ქალაქში წელგამართული დადიხარ და ყოველი ფეხის ნაბიჯზე სვდები შენი ოჯახის წევრების, აქა-იქ მიმოფანტულ, “ქვაზე დადებულ”, სიკეთეს და ღიმილს.

მასწავლებელთა წრეებისათვის მე ვიყავი ბიძინა ფერაძის ვაჟი, ექიმებისათვის - თინა ჟორჯოლიანის შვილი, შემდეგ კი ახალგაზრდებისათვის გავხდი გია ფერაძის ძმა და ვინ როგორ არ მომმართავს: ილია, ილიკო, ილო, ილარიონა, ილუშა, ილუშკა, ილუ, ილი, ილიკონა და სხვა, არასოდეს მწყენია, რომ ჩემ სახელს ასე აუღლებენ და ჩემს ახლობლებთან აკავშირებდენ. უფრო მეტიც, ჩემი ახალგაზრდობის დროს რუსული სახელმწიფო აპარატის გავლენის წყალობით, განსაკუთრებით თანამდებობის პირთა შორის, წესად იყო შემოღებული, მამის სახელით მიმართვა, რომელიც, აქა იქ, დღემდე შემორჩა და დღესაც გიას მეგობრები, როგორც თავის დროზე გია, მე “ბიძინიჩით” მომმართავენ და მე მიხარია, რადგან ჩემს სახელთან ერთად, მამის სახელიც კვლავ ხშირად იხსენიება.

ეს წიგნი არ არის ნაგულისხმები მასობრივი ტირაჟისათვის. იგი ძირითადად განკუთვნილია ახლობლებისთვის, რომლებიც პირადად იცნობდნენ ჩემი ოჯახის წევრებს, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე მცირეა და მათ გარდა, თუკი ვინმე ჩემს მონათხრობს საინტერესოდ ჩათვლის, ან გაელიმება, ან ცრემლი მოადგება აქ მოთხრობილ რეალურ მხიარულ და სევდიან ისტორიებზე, გულში ჩაიხედავს, თავისი ოჯახის ისტორიებსაც გაიხსენებს, მაღლობა მათ და ჩავთვლი, რომ ჩემი მისია შესრულებულია.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ჩემს თაობას გასული საუკუნის გადმონაშთს უწოდებენ, ხელისუფლებაში მოსული შვილიშვილები და არ უწყიან თუ რა ცოდვას ჩადიან. რბილ სავარძლებში ჯდომა ხანმოკლე სიამოვნებაა, მათ უნდა იფიქრონ საკუთარ სვალინდელ დღეზე, მათაც ხომ მოუწევთ ჩვენს ასაკამდე მოსვლა. ამ წიგნში მოყვანილი მოგონებები სწორედ იმის მცდელობაა, რომ ამ ქვეყნად:

“სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა”.

ოჯახი

მამამ – ბიძინა ფერაძემ და **დედამ** – თინა ჟორჯოლიანმა ჩვენი ოჯახი შექმნა 1938 წლის 23 ივლისს.

მე და გიას საერთო ჯამში გვყავდა 11 ბებია-ბაბუა!

დედის მხრიდან გვყავდა 5 ბაბუა-ჟორჯოლიანები და 4 ბებია-ქუთათელაძეები, ხოლო მამის ე.ი. ფერაძეების მხრიდან ბაბუას (მართალია, იმერლები ბაბუას ვხმარობთ მიმართებაში, მაგრამ შემდგომ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მას “პაპათი” მივიხსენიებ), ვერ მოვესწარი, ხოლო დიდედა ნადიკო ეგაძე, ბუნდოვნად მახსოვს. იგი ადრე, გიას დაბადებამდე გარდაიცვა-



1938 წ. მშობლები ქორწინებისას

ლა. მკითხველი რომ არ დავაბნო ამ ბებია-ბაბუების სიმრავლეში, მივყვები ნელ ნელა და მოკლედ შევეცდები მოგიხსნათ ის, რაც ჩემს მშობლებს მოუყოლიათ ან თავად მე ჩამრჩა მესხიერებაში მათ შესახებ, კონკრეტული ფაქტების მოყვანით, რომელიც ქმნიდა ჩვენი ბებია ბაბუების, დედ-მამის ხასიათის შტრიხებს და გენეტიკის წყალობით ამ შტრიხებმა ჩემი და გიას პიროვნების თავისებურება განსაზღვრეს

თხრობას ვიწყებ დედის ნათესავებიდან, ჟორჯოლიანებიდან და ქუთათელაძეებიდან; შემდგომ მამის მხარეს, ფერაძეებს და ეგაძეებს ვიხსენებ. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რა შუაშია ბებია-ბაბუები, მათი ძმები და დები? მაგრამ თანამედროვე გენეტიკას თუ დაუგდებთ ყურს, ვინ რა იცის, ჩვენში რა პროპორციით განაზავა უფალმა ჩვენი წინაპრების გენების კოქტეილი და რომელი მათგანის გენები წარმოადგენენ განმსაზღვრელს, ჩვენი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ჟორჟოლიანები ბაბუები:



სერგო და სანდრო ჟორჟოლიანები
დედასთან და მეუღლეებთან

ხუთი შვილი ჰყავდა დედაჩემის ბაბუას, წვრილ მოხელეს, მაქსიმე ჟორჟოლიანს, რომელიც ოზურგეთში, სერის უბანში, მდინარე ბჟუჟის პირას ცხოვრობდა, ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, რომელიც ადრევე გარდაიცვალა.

ძმები ჟორჟოლიანები აქვე ბჟუჟის პირას გაიზარდნენ, იქ, სადაც ამჟამად სანდრო ჟორჟოლიანის ქუჩაა.



კაპიტანი ვასო
ჟორჟოლიანი

ძმებში უფროსი, **ფილიპე** ჟორჟოლიანი - რუსეთის არმიის გენერალი იყო და მის შესახებ სამწუხაროდ მეტი არაფერი მსმენია.

შემდეგი ძმა იყო **ვასო**, მან დაამთავრა ოდესის საზღვაო აკადემია და გახდა შორეული ნაოსნობის კაპიტანი. მას ანდობდნენ იმ დროისათვის დიდი წყალწვევის გემების კაპიტნობას. მოდი და ამის მერე ეჭვი შეიტანე შთამომავლობაზე, ახლობელი წინაპრების გენების გაგენაზე. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ალბათ ბაბუა ვასოს გენების წყალობით, მეც ხომ გამიტაცა ზღვამ და გავხდი ჯერ სპორტის ნავის კაპიტნის წოდებაც მივიღე და მეგობრებთან ერთად,

არაერთხელ, გამოვიღია იაღქნიანი ნავით “კოლხეთი”, ბაბუა ვასოსთვის საბედისწერო, ბოსფორის და დარდანელის სრუტე.

ერთ-ერთი საზღვარგარეთული რეისის დროს, ბაბუა ვასოს გემი სწორედ ბოსფორის სრუტეში, შეეჯახა შემხვედრ გემს. ეს იყო მძიმე 30-იანი წლები. იგი გაასამართლეს და გააციმბირეს. ომის პერიოდში სსრკ-ს დაჭირდა შორეული ნაოსნობის კაპიტნები, ამიტომ ვადაზე ადრე გამოიძახეს გადასახლებიდან და კვლავ გემის კაპიტნად დანიშნეს. რამოდენიმე წელი ატარებდა იგი ტვირთებს სხვადასხვა ზღვებსა და ოკეანეებში. ფატალური უბედურების წყალობით, მის გემს ამჯერად დარდანელის სრუტეში, ნისლის დროს, კვლავ ავარია მოუხდა. მას თვალწინ წარმოუდგა, უკვე ერთხელ განვლილი, შემდგომი წამების მთელი პროცედურა: ციხე, სასამართლო, გადასახლება და დაუფიქრებლად მიიღო ტრაგიკული გადაწყვეტილება. კისერზე შემოიხვია თოკზე მობმული ტვირთი, კაპიტნის ბოგირიდან გადახტა და როგორც ნამდვილმა მეზღვაურმა, ნაპირზე ტანჯულ სიცოცხლეს, სამუდამოდ ზღვაში დარჩენა ამჯობინა.

მესამე ძმა- **ანტონი** იყო ექიმი. დამოუკიდებელ საქართველოში



ანტონ შორშოლიანი

კონსულად მუშაობდა და 1921 წელს ემიგრაციაში გაჰყვა მთავრობას. ცხოვრობდა საფრანგეთში. მისი ძირითადი პროფესიის გარდა, რომელსაც კეთილსინდისიერად ასრულებდა და ბევრ ქართველ ემიგრანტს უსასყიდლოდ ეხმარებოდა, ბევრმაც მის ხელში დალია სული სამშობლოდან მოშორებით, იგი თანამშრომლობდა საფრანგეთში ქართული სათვისტომოს მიერ გამოცემულ ჟურნალებთან, სადაც ათავსებდა სტატიებს საქართველოს შესახებ. იგი დაკრძალეს რუანში, სადაც ცხოვრობდა, ხოლო შემდგომ, ქართულმა სათვისტომომ გადაასვენა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე პარიზის გარეუბანში.

80-იან წლებში დედამ და მისმა ბიძაშვილმა, სანდრო შორშოლიანის ქალიშვილმა, დინარა შორშოლიანმა მიაკვლიეს ანტონის შვილის მისამართს და მეუღლეთურთ მოიწვიეს საქართველოში. ანტონს შვილისათვის დაურქმევია სერჟ-ტარიელი. სახელის პირველი ნაწილი მისი ძმის-ბაბუაჩემის სერგოს პატივსაცემად, ხოლო მეორე, ალბათ მიხვდით, ვეფხისტყაოსნის გმირის, ტარიელის პატივსაცემად. მისმა ჩამოსვლამ გაგვაოგნა. პირელ რიგში იგი ხომ ძალიან შორს იყო

ტარიელის აღნაგობიდან: დაბალი, ახალგაზრდობაშივე გამელოტებული, მსუქანი ტარიელი, არაფრით ჰგავდა შოთას გმირს. გარეგნობის გარდა ყველაზე გასაკვირი ის იყო, რომ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე საქართველოს სიყვარულზე მლოცველ მამა ანტონ ჟორჟოლიანს, ერთი სიტყვაც კი არ უსწავლებია შვილისთვის ქართულად. უფრო მეტიც, მან არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ: რა ქვეყანაა? რა ისტორია აქვს? ვინ და რანი ვართ ჩვენ, ქართველები? რა ტრადიციები გაგვანია და როდესაც იგი აღმოჩნდა ნათესაურ გარემოში, მომეტებული ქართული ყურადღებით, როგორც გვჩვენებია განსაკუთრებულად, ჩამოსული სტუმრების მიმართ,



სერჟ-ტარიელ
ჟორჟოლიანი

როდესაც დაინახა მისი ბიძაშვილები, უღამაზესი დინარა ჟორჟოლიანი, მომხიბვლელი და ბრწყინვალე გია ფერაძე, ჩვენი ყველა ერთი მეორეზე უკეთესი გარეგნობის მეგობრები, რომლებიც ორივე სტუმართან შედარებით, მიღსეული ვენერები (ოღონდაც ხელებით) და აპოლონ ბელგედერელები იყვნენ, როდესაც გავატარ-გამოვატარეთ ისტორიულ ადგილებში, ვასეირნე ჩემი იახტით თბილისის ზღვაზე, გაგხადეთ ქართული ქეიფის უტყვი მაყურებელი, უტყვი, რადგან, როდესაც სუფრა დუღდა ქეიფით, სერჟ-ტარიელი ამოქნარებდა და


სვედიანი გამომეტყველებით ალბათ მშობლიურ რუანზე ფიქრობდა, რასაც ვერ იტყოდი მის მკვირცხლ ფრანგ მეუღლეზე, რომელიც ყველაფერზე ძალიან ხალისობდა.

მაგრამ თურმე, სხვაგვარად ყოფილა საქმე. გოგებაშვილის იავნანასი არ იყოს, ტიპიური ფრანგის მუსიე სერჟ-ტარიელის გენებშიც იყივლა დაფარულმა ამინომჟავებმა და როდესაც დადგა გამოთხოვების ჟამი, მე მივხვდი ყველაფერს, უფრო სწორედ სერჟ-ტარიელმა ახსნა ის, რაც მისი ჩამოსვლის პირველივე დღიდან გვაწუხებდა მის ნათესავებს:

-ჩემთვის უკვე ნათელია, რატომ არ მასწავლა მამაჩემმა ქართული. და საერთოდ არაფერს მიყვებოდა საქართველოზე, რომელზე ლოცვითაც აღმოხდა სული. მთელი ცხოვრება ელოდა კომუნისტების გადაშენებას და რომ მიხვდა, რომ მათ მაგრად ჩაიგდეს ხელში მისი სამშობლო და უკან დაბრუნება არ ეწერა, უნდოდა რომ მე სრულყოფილი ფრანგი მოქალაქე ვყოფილიყავი, რომ მასავით ნოსტალგიით დაავადებულ ემიგრანტად არ მეცხოვრა. ამას ახლა მივხვდი. თუმცა რა... რომ ჩავალ იქ, უკვე უბედური კაცი ვიქნები, რადგანაც თქვენ გაგიცანით, ღამაზი და კულტურული სამშობლო მქონია და აქამდე თუ მარტო ფრანგი

ვიყავი, ახლა უკვე მამაჩემივით ცრემლმორეული ემიგრანტი გავხდები. თქვა მან და დავინახეთ, რომ ჩვენ თვალწინ გოგებაშვილის “იანანამ რა ქმნას” ახალი ვარიანტი იქმნებოდა და იბადებოდა დამწეები ქართველი, “სერგო-ტარიელ ანტონის” ჟორჟოლიანი, რომელიც გულამოსკვნით ტიროდა და ჩვენც აგვაცრემდა.

სანდრო ჟორჟოლიანი



დედაჩემის ბიძა, საქართველოში ყველასათვის საყვარელი კომიკოსი, სანდრო ჟორჟოლიანი, დაიბადა 1888 წელს. შეიყვანეს ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. 1907 წელს შევიდა ოდესის უნივერსიტეტში. შემდეგ მუშაობდა ბაქოში მასწავლებლად, სადაც მიაკითხა ქართულ თეატრალურ დასს. საქართველოში თეატრალური მოღვაწეობა დაიწყო 1921 წელს, მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. კინოში პირველად გადაიღეს 1926 წელს. ეს იყო ფილმი “ნათელა.”

შინაურებაში და ცხოვრებაში, რბილად რომ ვთქვათ, სანდრო, საკმაოდ უცხოვრიპირო კაცი იყო. ქეიფებზე და დროსტარებაზე ფულის ხარჯვა არ უყვარდა, არც მსმელი გახლდათ. მის მომჭირნეობაზე, ვისაც არ ეზარება, მითებს იგონებს. დედაჩემმა თავის დროზე პატარა წიგნად ნიანგის ბიბლიოთეკაში დაბეჭდა მოგონება “მაქსიმინის ანდერძი”, სადაც ბიძის ბავშვობა გაისხენა, ბებია პელაგია ბერეჟიანის მოყოლილი.

ბავშვობაში თურმე სანდრო ჩაგრავდა უმცროს ძმას, სერგოს. როცა დედა ჭადს გამოაცხობდა, სანდრო გამოართმევდა, გასტეხდა, ხელით აწონ დაწონდა და რომელიც უფრო მხატვ იყო სერგოს აძლედა.

არც სერგო რჩებოდა ვალში. ძმებს წისკვილში ხშირად ატანდნენ საფქვავს. დათქმული ქონდათ: შუა გზაზე მდებარე

ჭამდე ერთს უნდა მიეტანა, ჭის შემდეგ მორეს. ერთხელ როდესაც წისკვილიდან სანდროს მოჰქონდა საფქვავე, სერგომ წამოიწყო საინტერესო ამბავის არტისტულად მოყოლა. როდესაც კარგა მანძილთ გასცდნენ ჭას და სერის აღმართი უკვე ამოიარეს, სანდრომ იყვირა:

- მომატყუა სერგოამ! საფქვავე ისევ უკან ჩამოიტანა, ჭასთან დაგლო და გაიქცა.

მახსოვს, დედას დაბადების დღეზე სანდრო ბაბუა, შემოირბენდა მოსალოცად, ერთი წუთით, წაიხემსებდა სამზარეულოში და არავითარ შემთხვევაში არ დაჯდებოდა სუფრასთან ხალხში:

- სად მცალია მე ახლა მაგათთან სამაიმუნოდ, რეპეტიციაზე მექარება - და გარბოდა.



დინარა

ნათესაობის გარდა, დიდი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებდა უმცროს კოლეგასთან, სესილია თაყაიშვილთან, ისინი ერთად ვიწრო წრეში ერთმანეთის გაკენწვლით, იუმორის არაჩვეულებრივ იმპროვიზირებულ ფეიერვერკებს აწყობდნენ.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სანდრო იყო ღამაზი ქალების ტრფიალი.

ერთხელ ტროლეებუსში, ზემელზე, წინა კარებიდან ამოვიდა, ახალგაზრდა ქერათმიან, ღამაზ ქალთან ერთად.

მე აულე ბილეთი და მივესალამე:

- გამარჯობა ბაბუა! მრისხანედ შემომ-

ხედა:

- ჯერ ეს ერთი, ვინაა შენი ბაბუა, შე ციგანო! გადმომიბრიალა თვალები. მორე, არ იცი, რომ მე არ მჭირდება ტრანსპორტში ბილეთი! - მოკლედ მომიხაზა და ქალს მიუბრუნდა.

კიდევ ერთი კუროსოზული მოგონება მაკავშირებს სანდროსთან. როდესაც სანდრო საბოლოოდ ცუდად შეიქმნა და იწვა მაშინდელი მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში.

- მიდი სანახავად! შეილო, ბაბუაა შენი! შემავლო ნამუსზე დედამ.

მივედი. იქ დამხვდა მისი თავმდგომი, ქალიშვილი დინარა და მისი მეუღლე, ცნობილი წყალბურთელი ზორიკ ჩანავა. რაღა ბევრი გავაგრძელო და სანდრო უკანასკნელ დღეში იყო და ვეღარ იკემა ჩემი მიტანილი ფორთოხალი. თითქმის მე ჩამაკვდა ხელში საცოდავი.

დინარა და ზორიკა დაბნეულები იყვნენ, მთხოვეს არ მიმეტოვებინა ისინი გადასვენებისას, იცოდნენ რომ ამ საქმეში

დიდი გამოცდილება მქონდა. თუ კი ვინმე გარდაეცვალა ჩემს ახლობლებს, ძირითადი ცერემონიებისთვის მე ვიყავი. მაშინ სულაც არ იყო ადვილი ადამიანის გააპტიოსნება და ამ ქალაქში სხვადასხვა ადგილას გაბნეული სარიტუალო სამსახურების თავისმობას საქმის მცოდნე კაცი ჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, ბაბუ სანდრო გადასვენებს საავადმყოფოს პროზექტურაში, დინარა და ზორიკა წავიდნენ ტანსაცმელის მოსატანად. მოველაპარაკე მანქანას და სანიტრებს. უკვე ყველაფერი მზად იყო გადასასვენებლად, როცა სანიტარი ჟორიკა გამოვიდა პროზექტურიდან და მეუბნება:

-ხაზენ! ცალი ნასკი შავია, ცალი მწვანე. რა ვქნა?



სანდრო და დინარა

უკვე გვიან იყო, სანიტრის მანქანა ჩქარობდა გამოძახებაზე წასვლას და მე და ზორიკამ გადმოვასვენეთ სახლში ცალ-ცალი წინდით. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ ეს მკაცრად საიდუმლოდ დარჩებოდა.

დაკრძალვამდე სულ მაწუხებდა ეს ამბავი.

-როგორ? ბაბუა სანდრო ცხოვრებაში ხომ, ისედაც ცირკი იყო და ახლა ესე ჯამბაზივით, ცალ-ცალი წინდით როგორ გამეშვა იმ ქვეყანაზე, რას იტყოდნენ იქ ჩემი წინაპრები. მთელი ცხოვრება დარდად დამრჩებოდა. იმ

დღეებში ბევრი სარბენი იყო, დაკრძალვის დღემდე ვერ მოვიცადე და დაკრძალვის დღეს, დილით, მანქანით წავედი მერკვილაძის ქუჩაზე, სადაც ნაცნობი სანიტარი ქალი ცხოვრობდა და თავისი “ატრიბუტებით” წამოვიყვანე. მანქანაში მეკითხება:

-ქალია თუ კაცი? - კაცი.

-გასაპარსია? - არა.

-დასაბანია? - არა.

-ჩასაცმელია? - არა.

უკვე დაიბნა და გაკვირვებულმა შემომხედა:

-აბა რისთვის მიგყვარ?

-ყველაფერი რიგზეა, ოღონდ კუბოში თბილი ნასკები ჩავაცვით, ამიტომ ცოტა ფეხები გაუოფლიანდა და ნასკები უნდა გამოუცვალო.

გაგიჟდა ქალი.

რომ მივედით და სანდრო დაინახა კუბოში, ერთი ამბავი მორთო:

-ვაიმე, ამას რას ვხედავ! ჩვენი სანდრიკა მომკვდარა....

ძლივს დავაწყენარე, გამოუცვალა წინდები, დავარცხნა, მოუარა და რასაკვირველია ფული არ გამომართვა.

ხალხს ძალიან უყვარდა სანდრო, მის დანახვაზე ყველას ელიმებოდა და საკვირველი ის იყო, რომ ხალხისგან ასე დაფასებული მსახიობი, ამ ქვეყნიდან გულნატკენი წავიდა, მაშინდელი მთავრობიდან. იგი ვერ ეღიროსა იმას, რაც ხალხმა დიდი ხანია მას მიანიჭა - სსრკ სახალხო არტისტის წოდებას!

სანდროს არ უყვარდა პანაშვიდებზე იქ შესვლა სადაც მიცვალებული ესვენა.

ერთხელ ახლობელის ოჯახში მისულა სამძიმარზე. სანდროს შესვლისას თურმე ოთახში სიცილი ამტყდარა. სასწრაფოდ დაუტოვებია იქაურობა.

აღბათ, ამიტომ იყო, რომ სანდრო ბაბუამ დაიბარა: როცა მოვკვდები სახეზე გადამაფარეთ და ისე დამასაფლავეთ, არ მინდა ქალებმა კუბოში დამინახონ და დანარჩენებმა კი გაიცინონ ჩემს დანახვაზე.

ბაბუა

სერგო ჟორჟოლიანი:



ახალგაზრდა
სერგო ჟორჟოლიანი

ბაბუა სერგო ჟორჟოლიანი იყო ცნობილი იურისტი. მშობლებმა შეიყვანეს ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დირექტორი იყო გამოჩენილი პედაგოგი იოსებ ოცხელი. იგი დიდად აფასებდა ახალგაზრდა სერგოს ნიჭსა და გონიერებას. 17 წლის ასაკში ქუთაისის გიმნაზიის სტუდენტი, სერგო ჟორჟოლიანი გააგზავნეს თბილისში, ტრაგიკულად მოკლული ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე და მას ანდეს გიმნაზიის სტუდენტობის სახელით გამოსათხოვარი სიტყვის თქმა, რომელსაც მისი ემოციურობით საზოგადოებაზე დიდი ზემოქმედება მოუხდენია. ეს სიტყვა დაბეჭდილია ილიას დასაფლავებისადმი მიძღვნილ

კრებულში. “დამსწრე ხალხი აატირა მოსწავლე ჟორჟოლიანმაო” წერდა გაზეთი “ისარი” 1907 წელს.

ბაბუა სერგო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ცნობილი ქველმოქმედის, ივანე ნაკაშიძის მეშვეობით შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც აქტიურად ჩაება თავის დროზე ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ ქართველთა სათვისტომოს

საქმიანობაში. მალე ივანე ჯავახიშვილთან ერთად ბაბუა, გახდა სათვისტომოს ერთ-ერთი კომისიის ხელმძღვანელი. იგი იურისტის დიპლომით დაბრუნდა საქართველოში. 1918 წელს იყო დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების ქვესტორი (მდივანი) და ამავდროულად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანათავმჯდომარე, ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

ხელთა მაქვს გაზეთი სადაც მოთავსებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ “ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის წლისთავის დღეს, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე აღ. ლომთათიძე, მისი ამხანაგებით და ქვესტორი სერგო ჟორჟოლიანი, საზეიმო პარაკლისზე მეჩეთში მიემგზავრებოდნენ. ბოტანიკური ბაღის ქუჩაზე ავტომობილს დაეჯახა ურემი... ავტომობილიდან გადმოსტა ქვესტორი ს. ჟორჟოლიანი, რომელსაც ფეხზე

გადაუარა ავტომობილმა, ჟორჟოლიანი საავადმყოფოში წაიყვანეს”. ფეხის ტკივილი მას მთელი ცხოვრება აწუხებდა.

ამ ინფორმაციიდან მე მენიშნა არა მარტო ის, რომ ბაბუაჩემმა ფეხი დაიზიანა, ურემს დაეჯახა და მერე დიდხანს კოჭლობდა, არამედ ის, რომ მაშინაც, როგორც ახლანდელი მთავრობის წევრები, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საკუთარი პარტიის “პიარისათვის” მეჩეთშიც დადიოდნენ, ამომრჩევლების გულის მოსაგებად. დრონი იცვლება, მაგრამ მთავრობების მეთოდები



ოფიცერი ბაბუა

არა!

1921 წელს, როდესაც მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, ბაბუას მანქანა გამოუგზავნეს სახლში, მაგრამ მან ვერ მიატოვა ოჯახი, პატარა ქალიშვილი და არ გაჰყვა მთავრობას ემიგრაციაში. შემდგომ წლებში მუშაობდა იურისტად და წითელი ჯვრის საზოგადოებაში, თავმჯდომარის ამხანაგად ანუ მოადგილედ.

ბაბუა, 1937 წელს რეპრესიების დაწყებისთანავე დააპატიმრეს. როგორც მამას დეიდაშვილი, დავით გორგაძე წერდა თავის პატიმრობის დროინდელ მოგონებებში:

“მეტეხის ციხეში, თავი მოიყარა თბილისის ნარჩევმა ინტელიგენციამ. მათ შორის იყო, დამფუძნებელი კრების ქვესტორი, ცნობილი ვეკილი სერგო ჟორჟოლიანი, რომელიც არაჩვეულებრივად, საინტერესოდ უყვებოდა სხვა პატიმრებს ცნობილი ბეილისის პროცესის შესახებ, რომელსაც თავად

ესწრებოდა კიევში. მის მონაყოლს, მცოდნეც და უპიციც ყველა ყურადღებით უგდებდა ყურს”.

ციხეში იგი სასტიკად აწამეს, დაკითხვისას კასტრეტით ჩაუმტვრიეს კეფა და ნიკაპი, რომლის კვალიც სიცოცხლის ბოლომდე დაღად აჩნდა, იმ შავბნელ დღეთა მოსაგონარად, და როდესაც ხელი ვერ მოაწვრინეს სიას, ვითომდა მისი ახლო მეგობრები ანტისაბჭოთა დაჯგუფების წევრები იყვნენ, გადაასახლეს ციმბირში. როგორც შემდგომში თითონ იგონებდა, მას რომ ხელი მოეწერა ამ სიისათვის, იმავე დღეს დახვრეტდნენ, რადგანაც მოწმეებს უმაღლ იშორებდნენ თავიდან და ხელმოწერილ სიაში მყოფთ აპატიმრებდნენ, არსებული აღიარების საფუძველზე. მან 12 წელი გაატარა კამჩატკის ნახევარკუნძულზე - მაგადანზე, საიდანაც მრავალი გაჭირვების გადატანის შემდეგ დაბრუნდა.

ბაბუა სერგო იყო არაჩვეულებრივად ერუდირებული,



მამა-შვილი კორკოლიანები

მრავალმხრივ განათლებული ადამიანი. კარგად ფლობდა რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. მისი მაღალი იურიდიული კვალიფიკაციის წყალობით გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე მიიღეს სამსახურში ფილარმონიის იურისკონსულტად, რაც იშვიათად ხდებოდა მაშინ, მსგავსი პიროვნებებისათვის. როგორც იხსენებენ ფილარმონიის ყოფი-

ლი თანამშრომლები, იგი ჩვეულებრივ სამეურნეო დავას სასამართლოში უდიდესი პათოსით წარმართავდა და მისი ყოველი პროცესი, ძველი იურიდიული სკოლის მჭერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუში იყო. ფილარმონიის თანამშრომლებს ძალიან უყვარდათ ჯოხით ხელში, შლაპაში გამოწყობილი, სიმპათიური, მუდამ ეშმაკურად მომღიმარი, ბატონი სერგო. იგი ყველას ესალმებოდა და ყველას ქუდს უხდიდა. ფილარმონიის დირექტორი მისი მეგობარი, ბატონი გუგული ყოფიანი ესუბრებოდა:

-ქუდს რაღად იხურავ, ბარემ სახლში დატოვე.

სერგო იყო იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობით უხვად დაჯილდოვებული კაცი. ნაცნობები ამბობდნენ: სანდრო სცენაზე არტისტი, სერგო კი ყოველდღიურ ცხოვრებაში. დიდძალი ახლობლები და მეგობრები ჰყავდა. არ ავიწყდებოდა მეგობრების ოჯახებში საზეიმო თარიღები, ბავშვების დაბადების დღეებიც კი და ყოველთვის ულოცავდა იუბილარებს. მუდამ მომღიმარი, ყველასათვის იგონებდა რაღაც ხუმრობებს და

სხარტულებს. ყველაფერში ხედავდა იუმორის საბაბს და როგორც თითონ გვეტყოდა ხოლმე, გადასახლებაში, იმ შორეულ მაგდანში, სწორედ იუმორმა გააძლგებინა. გადასახლებამ იგი ვერ გატეხა და მიუხედავად იქ გატარებული უძძიმესი წლებისა, მას არ დაუკარგავს არც იუმორის გრძნობა და არც ცხოვრების და თქვენ წარმოიდგინეთ არც ქალების სიყვარული. ქუჩაში გამგელელ ლამაზ ქალს თვალს გააყოლებდა, შლაპას მოიხდიდა და იტყოდა:

-დაილოცა შენი გამხენი!



სერგო კორჟოლიანი

მისი ხასიათის ამ შტრისხე მეტყველებს ერთი მოგონებაც.

ბებია და ბაბუა სერგო გადასახლებაში დაშორდნენ ერთმანეთს. სიცოცხლის ბოლო წლებში, მეორე ცოლის გარდაცვალების შემდეგ, მარტო ცხოვრობდა, მაგრამ ყოველთვის სუფთად ჩაცმული და სიმპატიური, კოპწია კაცი იყო. ბოლო წლებში იგი ჯანმრთელობას უჩიოდა და მისმა გიმნაზიის მეგობარმა პროფესორმა პეტრე ქავთარაძემ დააწვინა გამოკვლევებზე თავის კლინიკაში. ყოველი

მისვლისას მე და დედას გეთხოვდა ყვავილების მიტანას. თავიდან ძალიან გვიკვირდა და დედა ეხუმრებოდა:

-ჯერ კარგად ხარ, ყვავილები ადრე ხომ არ არისო!

მაგრამ გაირკვა, რომ ეს ყვავილები მისი მომგლელი ახალგაზრდა მედლებისთვის უნდოდა. როდესაც ჯერი სავადმყოფოდან გამოწერაზე მიდგა, უცბად არ გამოგვეყვა, სანამ მე არ გამაგზავნა სახლში დავალებით: “კარადაში ღურჯი ჰაღსტუხი კიღია, ზედ ახატია ფერადი ტენისის ჩოგანი, იქვეა ჩალის თეთრი შლიაპა, თეთრი ტილოს ფესსაცმელები, რომლებსაც კბილის ფხენილით გაწმენდავ და აქ მომიტან”. უნდოდა ასევე პეწიანად გამოსთხოვებოდა მის ექიმებს, რომლებსაც მისი ოხუნჯობებით და კომპლიმენტებით ძლიერ მოაწონა თავი.

ყოფილ სოციალ-დემოკრატს არაფერი სჯეროდა რუსული სოციალიზმის და კომუნიზმის გამარჯვების: “სიმინდის ახლადგამოსულ ფოხს, რომ გლეხი წაეკიდება და მადლა აქანავს, მადლე დატაროვდებაო, ამას გავს კომუნიზმის მშენებლობის იდეა და ტემპებიო.”- მაგრამ გადასახლებაში გადატანილი ტანჯვის შემდეგ ეწინოდა და ერიდებოდა პოლიტიკურ ხუმრობებს. შიშით იყვნენ შეპყრობილი არა მარტო რეპრესირებულები და მათი ოჯახები, არამედ ყველა ვისაც 37 წელი ჰქონდა გამოვლილი.

ეს გამოყოფილი შიში ერთხელ გახდა ჩემს და ბაბუას შორის ერთადერთი უსიამოვნების საბაბი.

“ლაპარაკობს ამერიკის ხმა!”

50 იანი წლების შუაში, მამამ შეიძინა რადიომიმღები, რაც მაშინ იშვიათობა და ოჯახში დიდი სიხარული იყო. მამა ხშირად უგდებდა ყურს “ამერიკის ხმას”, რომლის მოსმენაც აკრძალული იყო და სანამ რადიოს მოუჯდებოდა, გააღებდა სადარბაზოს კარს და ამოწმებდა ხომ არავინ გვისმენსო, იმდენად დიდი იყო 37 წლიდან გამოყოფილი დასმენების და რეპრესიების შიში.



მე, დედა გია და ბაბუა 1957 წ.

მე მაშინ დაშვები რადიომოყვარული ვიყავი და მეორე ოთახიდან ჩემს მიერ გამოყვანილი სადენებით, რომელიც მიმღებთან იყო მიერთებული, შემეძლო პრიმიტიული მიკროფონიდან ხმოვანი სიგნალის გადმოცემა. ბაბუა ყოველ კვირადღეს მოდიოდა ჩვენთან და მიუხედავად იმისა, რომ გაყრილები იყვნენ, ბებია პერანგს ურეცხავდა. ერთხელაც სადილის მერე, ჩავრთე რადიო წინასწარმომზადებულ ტალღაზე, გავედი მეორე ოთახში და წავიკითხე ტექსტი:

-ლაპარაკობს ამერიკის ხმა! დამაჯერებლობისათვის იგივე გავიმეორე ინგლისურად. მერე წავიკითხე რაღაც მოკლე ტექსტი გაზეთიდან და მოვაყოლე: “ახლა როცა სსრკ ცდილობს კომუნიზმის აღმშენებლობას, ზოგიერთ ძველ მენშევიკს მაინც არ სჯერა კომუნიზმის გამარჯვების. აი, თუნდაც ყოფილი პატიმარი სერგო ჟორჟოლიანი, რომელიც თავის ნაცნობ მეგობრებში დღესაც ყვება მწარე ანეგდოტებს სოციალიზმის შესახებ...” ამ დროს გამოვარდა დედაჩემი: გაჩერდი შე ოხერო! წამოდი, ბაბუა ცუდად არის. შევარდი მეორე ოთახში. ბაბუას ფერი ჰქონდა წასული და წვეთებს ასმევდნენ. ყველამ მაგრა გამჯორა. რას ვიფიქრებდი თუ პირველივე სიტყვებიდან ვერ მიხვდებოდა ბაბუა, რომ “ამერიკის ხმა,” ეს მე ვიყავი. ბაბუა რომ მოსულიერდა, მომოტრიალდა და მითხრა:

-შე მაიმუნო! შენ არ იცი, მე რა გადავიტანე. ცოტა ხანში დამშვიდდა, გამიღიმა და როგორც ხშირად ისე მომმართა:

-ღურაკ საბაკ! ჭკუა სად გაქ?

მას მერე, ბევრი ვუბოდიშე. იგი ჩემი საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი იყო. ხშირად ვთამაშობდით ნარდს. მასხენდება კამათლის გაგორებისას მიყოლებდა:

-“აბა ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!”

ხშირად მიყვებოდა პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შესახებ, რომლის ხანმოკლე იტორიის ერთ-ერთი თანამონაწილედ თვით იყო, იგი ხომ ახლო იცნობდა და მეგობრობდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან. სიმწრით იგონებდა გადასახლების პერიოდს, იქ მასთან ერთად იმყოფებოდა ყოფილი თბილის-ქალაქის თავის, ბენია ჩხიკვიშვილის ვაჟი, ვიქტორ ჩხიკვიშვილი, რომელიც მამის მენშევიკობისათვის იხდიდა სასჯელს. სერგო ბაბუა იხსენებდა, როგორ დაიძრო თვითონ ჟანგიანი ლურსმით ოქროს კბილები ბადრაგის ბრძანებით. მიყვებოდა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე, რომლის მონაწილედ თვით იყო, ყვებოდა ილიას მკვლელობაზე, მასში კომუნისტების და ზოგიერთი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობაზე, მის მკვლელებაზე და მირჩევდა:

-ფრთხილად იყავი ბაბუა, ამ ოხერი კომუნისტების ხელში, ბევრს ნუ ილაპარაკებ. მე ვერ მოვესწრები და შენ თუ მოესწარი ამით გადაშენებას, მოდი და საფლავში მაინც ჩამძახე.

და როდესაც მართლაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1990 წელს, ბაბუა სერგოს გარდაცვალებიდან 36 წლის მერე, მე და ჩემმა მეგობარმა ალიკა კობალაძემ, რომლის ბაბუაც, სანდრო კობალაძე, მრავალი წელი ბაბუაჩემთან ერთად მუშაობდა წითელი ჯვრის საზოგადოებაში, ავიტანეთ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პატარა სამფერიანი შინდისფერი დროშა მის საფლავზე და ერთად ჩავძახეთ:

-ბაბუ, გაიხარე! მოგვმორდენ ეს ოხრები!

თუმცა ბაბუები ბლომად გყავდა, მაგრამ უშუალოდ, მხოლოდ ერთი დადიოდა სახლში, ისიც სტუმრად და ისიც მხოლოდ 10 წელი გადასახლების მერე!

სამაგიეროდ ბებიების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდით სახლში.

ბებიები



მანია



ნადია



ანა



ნინა

ქუთათელაძეები

დედას ბაბუა, მეფის არმიის პოლკოვნიკი სპირიდონ ქუთათელაძე, 59 წლის ასაკში გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, ვაღმოსხილი დაბრუნდა მშობლიურ ხონში პოლკოვნიკის ეპოლეტებით და ჯინჯილებით, ცოლად მოიყვანა 20 წლის ქალი და მას შემდეგ ეყოლა 5 შვილი.

ბაბუაჩემის მამის საპირისპიროდ, რომელსაც 5 ვაჟი ჰყავდა და ერთი ქალიშვილი, ბებიას მამას 4 ქალიშვილი და მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყავდა. პირველი ოთხი გაჩნდნენ ქალიშვილები. მაშინ სად იყო ექოსკოპია და ნაყოფის პროგნოზირება, მათ როლს სოფლის ბებია-ქალები ასრულებდნენ, რომლებიც ბატონ სპირიდონს ყოველი ბავშვის გაჩენის წინ არწმუნებდნენ, რომ ამჯერად ბიჭია!

ყოველი შვილის დაბადებისთვის მეფის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი განსაკუთრებით ემზადებოდა, იცვამდა სამხედრო ფორმას და გამზადებული, დატენილი თოფებით, ბებია ქალებისგან დასტურმილებული, ბიჭის დაბადებას ელოდა, მაგრამ ამაოდ.

პირველი—მანია; მეორე—ნადია; მესამე—ანიკა და როდესაც მეოთხეც გოგო გაჩნდა ბებიაჩემი-ნინა, მოთმინებადაკარგულმა პოლკოვნიკმა იყვირა:

-უკან შეაბრუნეთ ეგ მაიმუნიო...

მხოლოდ მესუთე ცდაზე გაიხარა პოლკოვნიკმა! ბოლოს-დაბოლოს მაინც შეეძინა ვაჟი - მიშა ქუთათელაძე. იმ დამეს მთელი ხონი გააყრუა თოფების სროლამ ქუთათელაძეების ეზოდან. რასაკვირველია ოთხივე ქალიშვილი ძალიან უყვარდათ ოჯახში და ოთხივეს კარგი განათლება მიაღებინეს

პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა საიმპერატორო პანსიონში, რაც ბებიების სიამაყის საგანს შეადგენდა მთელი ცხოვრების მანძილზე.

-ჩვენ დიპლომი გამოსაშვებ დარბაზობაზე თვით დედოფალმა ელისაბედ მეორემ გადმოგვცაო - იგონებდნენ ამაყად. მთელი ცხოვრება, როდესაც რაიმე საიდუმლო ჰქონდათ სალაპარაკო, ერთმანეთში ფრანგულად და რუსულად ლაპარაკობდნენ. სალამის და მადლობის გარდა პირველი რაც მე და გიამაც ვისწავლეთ მათგან ფრანგულად, იყო “ლა რჟან” – ფული და “მანჟე”-საჭმელი და როცა ბებიები ჩვენზე რაიმე ქლიკს დაიწყებდნენ “რეგარდე, რეგარდე...” (შეხედე! შეხედე!) გია პასუხობდა: “რეგარდე არ ვიცი მე, მოიტა ლა რჟანი...” და მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითს გაუს-გამოუსვამდა ერთმანეთს.

“დისტანციური ბებია მანია”



მანია სიამაშვილი

ოთხი ბებიიდან, სამი ბებია აქ გვზრდიდა მე და გიას, მეოთხე კი, მანია ქუთათელაძე-სიამაშვილისა, ქმარს გაყვა ემიგრაციაში. ქმარი ოფიცერი იყო, იგი რუსებისაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა იმავე 1921 წელს ვარშავაში. ქვრივი ბებია მანია შემდგომ პარიზში გადავიდა და იქ ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. შორს ყოფნა სულაც არ უშლიდა ხელს “დისტანციურად” მიეღო მონაწილეობა ჩვენს აღზრდაში, როდესაც 50-იან წლებში, სტალინის შემდეგ, აღდგა მიწერ-მოწერა საზღვარგარეთთან, იგი წერილებით

გზავნიდა ინსტრუქციებს: ბავშვები გამხდრები არიან და მაკარონიანი სუპი აჭამეთო. იმ დროს მაკარონიანი სუპი თითქმის ყოველდღე ისედაც ყელში გვქონდა ამოსული და მე პასუხად მივწერე:

- ჩემო საყვარელო ბებო მანია! მაკარონიანი სუპი ისედაც არ გვაკლია. ამ ინსტრუქციების გამოგზავნას სჯობს მე და გიას ნეილონის პერანგები გამოგვიგზავნო. მე მაშინ 14-15 წლისა ვიყავი და როდესაც მას მისწერეს, რომ გატაცებული ვიყავი კინოს ისტორიით, წერილებს გზავნიდა ღია ბარათებით ფრანგი და სხვა გამოჩენილი მსახიობების ფოტოებით, რომლებიც ერთ დიდ ალბომში დღესაც მაქვს შენახული.

მანია იყო ნიჭიერი, მშრომელი ქალი, მან პარიზში გახსნა სახელოსნო. ხელით ქსოვდა უღამაზეს თხელ მაქმანებს, რომელსაც დიდი გასავალი ჰქონდა. მას რამოდენიმე წელი

მოდების ჟურნალ “ვოგში” გვერდი ჰქონდა გამოყოფილი, სადაც “მადამ სიაში“-ის ფსევდონიმით, მისი ნახელავი იყო გამოფენილი. დიდი ფული არასოდეს ჰქონია, მაგრამ როგორც იხსენებს მისი ნათლული ქალბატონი ზეინაბ ზურაბიშვილი, (სალომე ზურაბიშვილის დედა): “იგი იყო ქართული ემიგრაციის პატრონი.



მე და თურა ფურსინი
მანია ბეზიას საფლავზე ლევილში

ვეელას ეხმარებოდა, ზოგს ბინაც კი უყიდა, საყვარელი ქალი იყო. ხშირად იგონებდა საბაბს, რათა ქართველები თავისთან შეეკრებოდა. განსაკუთრებით მოსწონდა მსახიობი გრეგორი პეკი და მას ყოველ წელს უხდიდა დაბადების დღეს. აცხობდა ხაჭაპურებს, აკეთებდა საცივს, სხვა ქართულ კერძებს და მთელი მისი სამეგობრო წრე მოუთმენლად ველოდით გრეგორი პეკის დაბადების დღის დადგომას”.

50 იანი წლების ბოლოს მაქმანი უკვე აღარ იყო მოდაში და მასაც გაუჭირდა. იგი იწერებოდა: “ეს ფრანგი ქალები სულ გაგიჟდნენ,

კაბის ქვეშ ნიფხავ-პერანგი არ აცვიათ და ვიღაც უნდა ჩემი მაქმანები...” სიცოცხლის ბოლოს თვალს დააკლდა, მაგრამ მაინც ახერხებდა ხატვას. თითებით ხატავდა ქართულ ეკლესიებს მესსიერებით, ზეპირად. ბევრი წვადლების მერე მიიღო სამშობლოში დაბრუნების ნებართვა, მაგრამ ზედმეტი მღელვარებისგან, მრავალი წლის ოცნების აღსრულებას ვეღარ მოესწრო და გარდაიცვალა, უკან დასაბრუნებელი ნებართვით ხელში. მადლიერმა ემიგრაციამ, მარტოხელა ქალი, მიწას მიაბარა ქართველების სასაფლაოზე ლევილში, სადაც მისი საფლავი დღესაც მოვლილია.

ადგილობრივი ბებიები.

აქაური ბებიებიდან მხოლოდ ბებიაჩემს, ნინას ყავდა ერთი ქალიშვილი, დედაჩემი, დანარჩენები უშვილონი იყვნენ. სამივენი დიდი სითბოთი და სიყვარულით ერთად გვზრდიდნენ მე და გიას. მათ ძალიან უყვარდათ ერთადერთი სიძე-მამაჩემი. ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, გარეშე თვალისათვის მამა გვეგონებოდათ მათი შვილი, ხოლო დედაჩემი კი რძალი. ამ ურთიერთობებზე და მამას მონაყოლით, მისმა მეგობარმა პეტრე გრუზინსკიმ, დაწერა ლიბრეტო, ხოლო კომპოზიტორმა ლევან ჭუბაბრიამ კი მუსიკა, ოპერეტისთვის “საყვარელი დისშვილი”, რომელიც დაიდგა მუსკომედიის თეატრში.

ნადია



არისტოკრატული გარეგნობის, ყოველთვის კარგად მოვლილი კოპწიად ჩაცმული - ასეთი დამამახსოვრდა ბებია ნადია. მისი ქმარი, ვასო ნაცვლიშვილი, უპატიოსნესი, დინჯი, აუღელვებელი ქიზიყელი კაცი, ომის დროს კოლოპვაჭრობაში მუშობდა, და სეზონის მიხედვით სხვადასხვა ფერის კიტელი ეცვა, ზაფხულში ღია ფერის, ჩეჩუმჩის მოყვითალო და ზამთარში ხაკისფერი მაუდის. ნადია და ვასო იყო ცეცხლის და წყლის სტიქიების შეუღლება! ნადია მუდამ ფეთქებადი, აქტიური, დაუოკებელი ენერჯის ქალი, ხოლო ვასო აუღელვებელი, დინჯი პიროვნება. ნადია იყო თბილისის “დინამოს” თავგამოდებული გულშემატკივარი. არ გამოტოვებდა ფეხბურთის მატჩს და სტადიონზე ყოველი მისვლისას პირველ რიგში მხეხუმირას ყიდულობდა და მატჩის ბოლომდე ნერვიულად აწკნაპუნებდა. პირადად იცნობდა და ხშირად სახლშიც პატიუებდა ცნობილ ფეხბურთელებს: ბორის პაიჭაძეს, მიშა ბერძენიშვილს, ბასა ღოღობერიძეს და სხვებს. უნდა გენახათ სტადიონზე რა ცეცხლს ანთებდა გოლის გატანისას, ხოლო მსაჯის შეცდომისას მას “საპონზე” კი არა, უფრო შორსაც აგზავნიდა და ხშირად ორ თითს ჩაიყოფდა პირში და ხმამაღლა უსტვენდა, უშვერ სიტყვებსაც არ ერიდებოდა, რასაც გარშემომყოფთა აღტაცება და დარცხენილი ვასო ბაბუას გულისწყრომა მოყვებოდა.

ომის პერიოდში ნადია ხშირად უტევდა ვასოს: ხომ ხედავ ბავში გამხდარია, მიდექ-მოდექი, მარტო ამ ტალონებს რომ მისჩერებიხარ, ცოტა მეტი მოიტანე სახლში საჭმელი.

-რას ლაპარაკობ ნადია, რაც მე არ მეკუთვნის იმას როგორ მოვიკიდებ ხელსა- ოლიმპიური სიმშვიდით პასუხობდა ვასო ბაბუა. მათი დახმარებით გაიტანა თავი ჩვენმა ოჯახმა ომის ძნელ წლებში.

ნადია ერთ დროს მუშაობდა ღვინის პირველ ქარხანაში, ვერაზე-ბუღალტრად. რომლის დირექტორი იყო ცნობილი ღირიჟორის, ჯანსუღ კახიძის მამა, ვანიჩკა კახიძე. მე და ჩემი მეგობრები 11-12 წლისანი ვიყავით და ხშირად ვაკითხავდით ქარხანაში ნადიას, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც მის უდიდეს ღვინის საცავებში არაჩვეულებრივი სიგრილე იყო. პირველად რომ მივედით და მიღებებში მოჩუხჩუხე ღვინო დავინახეთ მე და მერაბ აფლაძემ, პირები დავაღეთ. ნადიამ



ნადია და ვასო
ნაცვლიშვილები

ჩაგვაბარა თანამშრომელს საამქროების დასათვალიერებლად. ერთ ერთ ვეებერთელა კასრთან, მან აიღო ჭიქა, გამორეცხა შავი ღვინით, გადააქცია, დაგვისხა და მოგვაწოდა-

-ოჯალეში!

გავსინჯეთ, მოგვეწონა! იგივე გამეორდა მეორე კასრთან.... და ისე დავთვევით, რომ ნადიამ ქიხოში ხელმოკიდებულმა ძლივს მიგვიყვანა სახლამდე, ხოლო იმ თანამშრომელს კი, ვისაც ჩვენი თავი ჩააბარა, ღვინის რისხვა დაატეხა თავზე.

ცხოვრების ბოლო წლებში დებმა ერთად მოიყარეს თავი ჩვენს ოჯახში. ისინი ჩემი და გიას ძმაკაცების საყვარელი მეგობრები იყვნენ.

ნადია ბებია ვერ შეეპუა სიბერეს და ცხოვრების დაუნდობელ სისასტიკეს. ერთხელ სარკესთან მჯდომს, მისი ახალგაზრდობის სურათები ედო წინ და ცრემლით მოთქვამდა:

-ნახე რას დავემსგავსე. Старость не радость а большая гадость!

ერთხელ, სუსხიან და ქარიან ამინდში, გია ბრუნდებოდა სახლში საბურთალოზე. სახლთან მან შეამჩნია წელში მოხრილი მოხუცი ქალი, რომელიც ამაოდ ცდილობდა ქარის საწინა-აღმდეგოდ წასვლას, მაგრამ პირიქით ქარს უკან-უკან მიჰქონდა. მივიდა გია მისაშველებლად და ხელში შერჩა ნადია ბებია.

-ნადია! სად მიხვალ ამ ქარაშოტში, ვინ გამოგიშვა გარეთ?

-აქვე მინდოდა საპარიკმახეროში მისვლა, მანიკური უნდა გამეკეთებია! მაგრამ ვერ ვახერხებ! - მიუგო მან.

გიამ ხელში აიყვანა ბუმბულის წონის ბებია და სახლში დააბრუნა.

“ატუტი”



ატუტი და საშა ჩხეიძე

ანიკო – ანუ “ატუტი” როგორც მას შეეარქვე, ომის დროს მედდად მუშაობდა საავადმყოფოში. მის ყოველ მოსვენას სამსახურიდან მოუთმენლად მოველოდი, რადგანაც ყოველთვის მოჰქონდა ჩემთვის მაშინ ძალზე იშვიათი შოკოლადის ფილები და გალეტი. ამ სასუსნავეებს “ატუტის” აძლევდნენ საავადმყოფოში საუზმეზე და მას კი ჩვენთვის მოჰქონდა. განსაკუთრებით მიყვარდა მე და მთელ ოჯახს მისი მოტანილი ე.წ. “რუზველტის კვერცხები”- ამერიკის დახმარება-კვერცხის ფხვნილი, რომელსაც წყალში ვაზავებდით და გემრიელი ომლეტი მზად იყო ხუთ წუთში.

მისი ქმარი საშა ჩხეიძე 37 წელში დაიჭირეს. დარდიმანიდი, მოქეიფე-თავადი, იგი იყო საქართველოს მონაკაშირის თავმჯდომარე. უბადლო მონადირე თავადურ ჩვევებს ვერ ელეოდა. ხშირად ეცვა ჩოხა, მხარზე მიმინო ეჯდა და ფაეტონით დადიოდა სამსახურში - “არტოს ბაღში”.

მონადირეებზე ბევრი ანგლოტი დადის ხალხში, რომელთა ნაწილი მართლაც ხდებოდა და მერე ანგლოტად ვრცელდებოდა. ეს ნამდვილი ამბავი კი, მე ბავშვობაში ატუტიმ მიაძმო, რომელსაც ახლა უკვე მონადირეებზე შეთხზული ანგლოტივით ყვებიან.

“უკან” დატოვებული წერილი

საშა ჩხეიძეს ერთი უიღბლო მონადირე მეგობარი ყავდა, რომელსაც ან სროლა არ ეხერხებოდა ან ღმერთი არ წყალობდა. ერთ ერთი ნადირობისას მონადირეებმა დასცეს ბანაკი და მეგობრები კურდღელზე სანადიროდ მომოიფანტნენ. საშა ჩხეიძეს სწორედ ეს მეგობარი აეკიდა და უკან გაყვა. ერთ ადგილას ბილიკი ორად იყოფოდა. მეგობრები სხვადასხვა მხარეს წავიდნენ და დათქვეს, რომ ისევ გზის ამ გასაყართან შეხვედრილიყვნენ. საშამ მოკლა ორი კურდღელი და შეხვედრის ადგილს მიაშურა, მეგობარი არ ჩანდა.



“ატუტი” და საშა

ცოტა ხნის მერე საშა დაბრუნდა ბანაკში, მხოლოდ ერთი კურდღელით. გავიდა ხანი და მოდის ის უიღბლო მეგობარი, ჩანთაზე გადაკიდებული დიდი კურდღელით. დაქანცული სახით, ამაყად დაავლო კურდღელი მეგობრების თვალწინ და დაიწყო მოყოლა თუ რამდენი სერი გადაიბრინა, რამდენი სდია და როგორი შორი მანძილიდან გააგორა ეს კურდღელი. საშა ზის ჩუმად და უღვაშებში ელიმება. რომ დაამთავრა მოყოლა, საშა ეუბნება იმ ბაქიბუქა მონადირეს:

- კაცო, ერთი შეხედე მაგ უბედურს, უკან რაღაც ქაღალდი აქვს გარტობილი.

ეცნენ სხვა მონადირეები და კურდღლის უკანალიდან, (არა ისე შეუშინებლად, ახლანდელი პოლიცია რომ უღებს ჯიბეში “დამნაშავეს” არარსებულ ნარკოტიკებს), ყველას თვალწინ გამოიღეს ქაღალდი, რომელზედაც ეწერა:

“მე მომკლა საშა ჩხეიძემ.”

ბანაკში ატყდა ერთი ამბავი. ტრაბახა მონადირემ დაავლო თოფს ხელი და საშას გამოეკიდა. მერე საშა ჩხეიძე ამ ამბავს ბებიას, რომ უყვებოდა, სიცილით ამატებდა:

-მე გავიქეცი, შარს მოვერიდე! გიჟის თვალებით მომსდევდა, ორჯერ მესროლა. ამხელა კაცს დამაცილა და ეგ რა კურდღლის მომკვლელი იყო.

საშა ჩხეიძის თავადური ცხოვრების ყაიდას რასაკვირველია ვერ ეპუებოდა კომუნისტური ხელისუფლება. განსაკუთრებით აღიზიანებდა მისი ცხოვრების წესი, პირადად ლავრენტი ბერიას. რეპრესიების დაწყებისთანავე, მისივე განკარგულებით დააპატიმრეს უპარტიო, მშვენიერი ქართველი კაცი საშა ჩხეიძე. ანჩკა ბებია 20 წელი ეძებდა მის კვალს სხვადასხვა ბანაკებში, ბევრჯერ იყო რუსეთშიც, სადაც თავიდან მოშორების მიზნით

აგზავნიდნენ მას და მხოლოდ 20 წლის შემდეგ გაიგო, რომ მისი ქმარი, თურმე 37 წელს, დაპატიმრების მეორე დღესვე, ლავრენტი ბერიას განკარგულებით დახვრიტეს კგბ-ს სარდაფში.

ატუტი იყო ნიჭიერი, ნაკითხი, ენების მცოდნე ქალი. მას ბევრი მეგობარი ყავდა, სულ ცნობილი პიროვნებები, მხატვრები, მსახიობები და სიცოცხლის ბოლომდე სისტემატურად დადიოდა მათ სანახავად და დავრდომილების დასახმარებლად. მას მეუღლე მთელი ცხოვრება უყვარდა და მისგან თავადიშვილური მანერები ჰქონდა შესისხლხორცებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი მეუღლის და, თათული ჩხეიძე, იყო დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ცოლი, ატუტი ხშირად დადიოდა მათ სახლში და ახლო უთითერთობა ჰქონდა ნიკო ლორთქიფანიძის შვილებთან, რომელთაგან ერთ-ერთი გოგი ლორთქიფანიძე, შემდგომ გიას ნათლიაც გახდა.

ატუტის ხელით ნაკეთებ კაკლის ხეზე ამოჭრილ შირმას, კარადას და თაროებს დღესაც აღტაცებაში მოჰყავთ ჩვენს ოჯახში მოსული სტუმრები. 50 იან წლებში იგი არ შეუშინდა ამ მთავრობას და პირველმა დაიწყო მიწერ-მოწერა დასთან საზღვარგარეთ. სხვა ემიგრანტების ოჯახებთანაც მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა. განსაკუთრებული, თითქმის ყოველდღიური მეგობრობა აკავშირებდა ქალბატონ ბაბო დადიან-მასხარაშვილთან, რომლის მთელი ნათესაობაც ემიგრაციაში ცხოვრებდა და რომელიც ბავშვობიდან მეც კარგად დამამახსოვრდა, მისი ყოველთვის დახვეწილი ჩაცმულობით და დიდი ვუაღიანი შლაპით. ბოლოს ატუტიმ მაინც მოახერხა და 60-იანი წლების დასაწყისში ჩავიდა პარიზში დის სანახავად.

სურნელოვანი ნობათი

როდესაც ატუტი პარიზში მიდიოდა, მე და ჩემმა ბავშვობის მეგობარმა გოგი შაქიაშვილმა გავაცილეთ მოსკოვის სადგურიდან. ატუტის, ბებია მანიას თხოვნით, პარიზში მიჰქონდა გუდის ყველი, რომელიც ყველაზე მეტად ენატრებოდა და რომელიც სახლში საგულდაგულოდ, ცელოფანში შევახვიეთ. ატუტი ნერვიულობდა, არა მარტო იმიტომ, რომ ამ საბჭოთა გულაგიდან პირველად გადიოდა “სვანობდაზე”, მას ეშინოდა, ვაი თუ გუდას მძაფრმა სუნმა შეაწუხოს მგზავრები და ყველი გადამიგდონ მატარებლიდანო. მასთან ორკაციან კუპეში მოხვდა ფრანგი სტუდენტი, რომელიც პარიზში ბრუნდებოდა არდადეგებზე. მე ვთხოვე ატუტის როგორც კი ჩახვალ შემატყობინე ყველის ამბავი და მართლაც პირველივე წერილში ატუტიმ მოიწერა:

-ჩემო იღუ! ჩავედი კარგად. სამი დღე პარიზამდე მატარებლის დერეფანში გავატარე. კუპეში ისეთი მყრალი სუნი იდგა შეუძლებელი იყო გაჩერება, ოღონდაც არა შენი შეხვეული

გულის ყველის გამო, არამედ იმ სტუდენტის “ნასკები” ისე ყარდა, გულის ყველის სუნი იმასთან შედარებით “მანელ №5”-ის სურნელი გეგონებოდა.

ჩამოსვლის მერე ატუტი არ გაჩერებულა, გაასმაგებულ იქნერგით დარბოდა ინსტანციებში დის დასაბრუნებლად.

–თქვენ არ იცით რა მძიმე ყოფილა ემიგრანტობა,

რადაც უნდა დამიჯდეს, მანია უნდა ჩამოვიყვანო. ამბობდა ატუტი, როდესაც პარიზის შთაბეჭდილებებს იხსენებდა. მაგრამ როგორც მოგახსენეთ, სამწუხაროდ ბებია მანიას სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერა.

ბებია “ბაბუ ნინა.”



ბაბუ-ნინა

ჩვენი ბებია ნინა, ანუ “ბაბუ ნინა” დებში უმცროსი იყო და როგორც უკვე ვიცით, მხოლოდ მას ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, დედაჩემი-თინა, რომელსაც ბავშვობიდან სამი დეიდა, როგორც კი შეეძლოთ ისე ანებივრებდნენ. მამაჩემი ხუმრობით ამბობდა:

–რა დავაშავე ამისთანა, რომ ერთის მაგივრად სამი სიდედრი შემხვდაო.

ბაბუ ნინა იყო არაჩვეულებრივად თბილი, ოჯახზე გადაყოლილი და ყოველთვის მომდიმარი ქალი. მისი თანამშრომლები მას სიყვარულით

“ხიჩქინია დარაგაიას” ეძახდნენ. გაზეთ “ზარია ვოსტოკას” ბიბლიოთეკარი იყო და ამასთან ერთად მთელი ოჯახის მოვლის ტვირთი ძირითადად მის კისერზე გადადიოდა. ბაზარში დადიოდა, მაღაზია, სარეცხი, ბავშვების სკოლაში წაყვანა-მოყვანა, ამას ყველაფერს წარმატებით ართმევდა თავს, ყოველგვარი წუწუნის გარეშე, რასაკვირველია რაღაც რაღაცეებში დედაც ეხმარებოდა სამსახურის მერე.

მოპარული “განძი”

მის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე პერიოდულად შვილიშვილების ანალიზების ჩაბარებაც. ერთხელ დილით ბაბუ-ნინამ გაზეთის ქალაქში სქლად შეახვია ჩემი და გიას ანალიზებზე წასაღები კოლოფები და ტრამვაით გაეშურა ვერის მე-9 პოლიკლინიკაში. ტრამვაიში ბაბუ-ნინა ატყობს, რომ მგზავრები რაღაცას ანიშნებენ და იგრძნო, რომ ვიღაცა უძვრებოდა ჯიბეში. ბაბუ-ნინა ვითომც ვერაფერს ატყობდა

წყნარად იდგა. როდესაც ბაცაცამ ამოაცალა “ძვირფასეულობა” ბებიას, სასწრაფოდ ჩახტა და ახლანდელი ფილარმონის ადგილას, მაშინ მდგარი, ქონგურებიანი სახლის, ერთ ერთ სადარბაზოში მიიმალა.

ხალხი ახმაურდა, ქალბატონო, ხომ განიშნებდით, რატომ ყურადღება არ მიაქციეთ იმ ჯიბვირს?

-მაგაზე უკეთესი არაფერი შევიდეს მის ოჯახში-დააწყნარა მგზავრები ბაბუ-ნინამ – იმ ქალაქის შეკვრაში ჩემი შვილი-შვილების განავალი იყო. ანალიზებზე მიმქონდაო.



ლობიო მხადღობა

მთელი ვაგონი სიცილით ფეხზე ვეღარ დგებოდა, როცა წარმოიდგინეს იმ ბაცაცას სახე “ძვირფას ნადავლს”, რომ გახსნიდა.

ბაბუ-ნინას, რა თქმა უნდა, არ დაეზარა და მეორე დღით კვლავ გაიმეორა იგივე, ოღონდაც ამჯერად მის ჯიბეს არავინ მიკარებია.

ბაბუ ნინა ახალგაზრდა გაშორდა ქმარს და აღარ გათხოვილა, მთელი ცხოვრება ჯერ ქალიშვილს და შემდგომ მე და გიას აღზრდას მოანდომა. ყველანი, ჩემი და გიას მეგობრებიც, მამაც კი მას ბაბუ-ნინას ეძახდა. განსაკუთრებით გვიყვარდა ბაბუ-ნინას გემრიელი

ნივგზიანი ლობიო და ხშირად ჩემი მეგობრების მთელი არმია, უჩემოდაც იკრიბებოდნენ ჩვენთან სახლში ბაბუ-ნინას ლობიოზე, სუფრაზე მამაჩემი უწევდათ თამადაობას.

ესეთი ხუმრობაც გაგრცვლდა იმ დროს, ერთ ჩემ ახლობელ-მიამიტ მეგობარზე, აწ გარდაცვლილ, ვოვა ჩანკაშვილზე, რომელიც რუსთაველზე შეხვდა ჩემ მეგობრებს ბუბა კიკაბიძეს და ლაუშა ბარდაველიძეს.

-ბიჭებო! სადა ხართ დაკარგული? გამოიარეთ რა ილოსთან! შეეპატიჟა ვოვა მეგობრებს.

ბუბა მოუბრუნდა ვოვას და უპასუხა:

-ბიჭო, შენ თუ გინდა, შენთან დაგვპატიჟე ცხაკაიას ქუჩაზე, თორემ, ილოსთან ისედაც უშენოდ ყოველდღე ვართ და ახლაც იქიდან მოვდივართ.

ისევ ლობიო?

ლობიოსთან დაკავშირებით კიდევ ერთი ისტორია მინდა გავიხსენო. ჩვენ ოჯახში ყველა ლობიოს მოყვარულები ვიყავით და სადილად ძალიან ხშირად კეთდებოდა. მამას ყავდა მეგობარი მეღვინე შალიკო ჩილოჩავა, რომელიც ხშირად სტუმრობდა

ჩვენთან. რამდენჯერაც მოვიდა შალიკო, თითქოს განგებ დაემთხვეოდა და სადილად იმდენჯერ დაუსვდა ლობიო.

ერთ ზაფხულს, თეთრ წყაროში ვისვენებდით. მე და გიას მოგვებურდა ყოველდღე სუფის, სოუზის, წიწილას, კატლეტების ჭამა და ბაბუ-ნინას ვთხოვეთ, ლობიოს მომზადება. იმ დღეს შაბათი ყოფილა, ანუ დღე, როდესაც ოჯახის უფროსები აკითხავდნენ თბილისიდან დამსვენებელ ოჯახის წევრებს. ამოვიდა მამა და ამოყვა სტუმრად შალიკო ჩილოჩავა!

გაიშალა სუფრა და შალიკომ რომ დაინახა სუფრაზე ისევ ლობიო, ხმა არ ამოუღია, წამოდგა.

-ბიძინა! თუ ძმა ხარ წამოდი, მიმასწავლე ბაზრის გზა. ბავშვებს ერთ წიწილას ვუყიდი. თბილიში ყოველდღე ლობიო, აქაც ლობიო, ცოდვები არიან ამდენი ლობიოს ჭამით და ფოსფორის მიღებით, დამის ფანრებად ხომ არ გინდა გამოიყენო ეს ანგელოზივით ბაღნები..

მამაჩემი ბაბუ ნინას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ეძახდა და სულ უკვირდა, როგორ ახერხებდა იგი 30 მანეთად (ძველი ფულით), ხუთსულიანი ოჯახისათვის, ორი დღის სამყოფ, სამთავიანი სადილის გაკეთებას!

როდესაც პატარა ვიყავი, დედ-მამა ხშირად დადიოდა მეგობარ ნათესავებთან სტუმრად ან თეატრში. მე და ბაბუ-ნინა ვხატავდით, ვთამაშობდით კარტს, გემების ჩაძირობანას და გაკვეთილებსაც ვამზადებდით.

იგი ერთგულად ემსახურა ოჯახს მრავალი წელი. ერთ დღეს, 70 წელს გადაცილებული, ჩაჯდა სავარძელში და გამოაცხადა:

-“**ია უსტაღა!**” და იმ დღიდან ფაქტიურად 2 წელი არც ამდგარა სავარძლიდან, ისე ნელ-ნელა ჩაიფერფლა და ასევე წყნარად დაგვეტოვა 74 წლის ასაკში.

მე და გიას ბევრი სიტბო და სიკეთე მიგვიღია ჩვენი ბებიებისგან.

როდესაც გიას დედა უჯავრდებოდა რამეზე, მე შენ გეტყვი მიზეზი გამოვლევოდა, მისი ქომაგები ბებიები იყვნენ.

განსაკუთრებით გვიყვარდა ის დღე, როცა პენსიას მიიღებდნენ, ამ პენსიებიდან, წილი გვხვდებოდა. ჩვენც ყოველთვის ვცდილობდით სიყვარულითვე გვეპასუხა მათი უშურველი გრძნობისათვის.

ზემოთმოყვანილი მრავალგვერდიანი ჩემი პროზაული მოფერება ბებიების მიმართ, გიამ რამოდენიმე სტროფში გამიქარწყლა, მისი ციხის პერიოდის, მხოლოდ ერთი, მონატრება-ლექსით:

“კეთილშობილი ბაბუშკები”



სამი კეთილი მოხუცი, სამი კეთილი ბებია,
როგორ გაგვზარდეს, გაგვათბეს, მე ის არ დამვიწყებია.
იმ ყვეყნად ერთად არიან, ატუტი, ნინა, ნადია
და ესლა მათი აღერსი, სუღით და გუღით მწადია.
სამი კეთილი მოხუცი, ნინა, ნადია, ატუტი,
სამივე “კეთილშობილი”, კეთილი სათნო სათუთი.
“ლევილში” ერთი მოხუცი, იქ წევს რა დასამაღია,
მეოთხე დაა ნამდვილი – სიამაშვილი მანია.
ერთად არიან ოთხივე, იმ ქვეყანაზე ვინცაა.
რამ გაყო თბილის- პარიზი, ყველასთვის ერთი მიწაა.
მათი ხსენება იმ ქვეყნად! ხსენება ჰქონდეთ ნათელი.
ჩვენს სახლში მუდამ ანთია, ყველას სახელზე სანთელი.

1987 ვლადიმირი

ფერაქები



ფერაქების გვარი, საქართველოს ისტორიულ წყაროებში ჩნდება XVIII საუკუნიდან და პირველივე ცნობა დაკავშირებულია სასულიერო მოღვაწეობასთან.

ფერაქების თავდაპირველი სახლობის ძირითადი ადგილები იყო: იმერეთის სოფლები: წიფლაგაკე, ზემო საქარა და სვირი, რომლებიც გადმოცემის თანახმად იმერეთის მეფე სოლომონ II აზნაურობასთან ერთად უბოძა, მისი კარის მოძღვარს ეფრემ ფერაქეს და მის ორ ძმას, მეფის კარზე ერთგული სამსახურისათვის. მათი მამა დაკრძალულია გელათის მონასტერში. ეფრემ ფერაქე გაჰყოლია სოლომონ II ოსმალეთში, სადაც აღესრულა.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და ფერაქებიც, სხვა გვარის შვილების მსგავსად განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამჟამად ამ გვარს შეხვდებით, როგორც იმერეთში, ასევე ქართლში, კახეთში და გურიაში. ა.სილაგაძის და ა.თოთაძის ნაშრომის მიხედვით, ამჟამად საქართველოში ფერაქების გვარის 3400-მდე კაცი ცხოვრობს. ფერაქეებში იმთავითვე ბევრი სასულიერო პირი და ეკლესიის მსახური იყო. იყვნენ აგრეთვე პედაგოგები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, მატერიალური დოვლათის შემქმნელები.

ხარაგაულის რაიონის სოფელ ნებოძირში, ამჟამადაც არის ფერაქების სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის ეზოშიაც განისვენებს, ჩემი და გიას წინაპარი, ზემო იმერეთის მოძღვარი, იოანე ფერაქე.

ფერაძეებში ბევრი იყო დამსახურებული სასულიერო მოღვაწე, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული - უდიდესი მეცნიერი და ღვთისმსახური, რომელმაც განადიდა ფერაძეების გვარი, იყო საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის მიერ, 1995 წელს წმინდანად შერაცხული-მღვდელმოწამე, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. მისი კანონიზება ცნო აგრეთვე პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამაც, სადაც იგი, მისი იძულებითი ემიგრაციის ბოლო წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მამა გრიგოლი, აქვე აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით, ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში.



გრიგოლ ფერაძის ხატი

მისი სახელის უკვდავსაყოფად საქართველოში და პოლონეთში შექმნილია გრიგოლ ფერაძის საზოგადოებები. დიდად აფასებენ გრიგოლ ფერაძეს პოლონეთში, სადაც გროვდება მისი ნაშრომები, ტარდება ყოველწლიური სიმპოზიუმი მისი ხსენების დღეს, 6 დეკემბერს. შენდება მისი სახელობის საკათედრო ტაძარი. საქართველოში, სამწუხაროდ, გრიგოლ ფერაძეს ნაკლებად იცნობენ, რადგანაც საბჭოთა კავშირის დროს, ტაბუ იყო დადებული მისი სახელის ხსენებაზეც კი. საქართველოში ახლად ჩამოყალიბებული გრიგოლ ფერაძის საზოგადოება, ცდილობს ამოავსოს ეს ნაკლი. უკვე გამოსცა წიგნი “წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე”, შექმნა ფერაძეების საგვარეულო გერბი, რომელზედაც განთავსებულია გვარის სიამაყე – წმინდანი. დაამუშავა გრიგოლ ფერაძის გენეალოგიური შტოს სქემა და ყველაფერი ეს განათავსა ინტერნეტში, მისამართზე peradze.gol.ge.

ილია ფერაძე



ილია ფერაძე



ნადიკო ევაძე

პაპა

მამაჩემის მამა, ილია ფერაძე, ვისი სახელის ტარების პატივიც მერგო, გახლდათ ცნობილი პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი, პოეტი და ისტორიკოსი. მან თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია და მოიპოვა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. სხვადასხვა დროს მისი მოსწავლეები იყვნენ: კორნელი კეკელიძე, იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი), მედიცინის ცნობილი მოღვაწენი: გრიგოლ მუხაძე და ალექსანდრე ალადაშვილი. მრავალმხრივი მოღვაწე, მუშაობდა პედაგოგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ბოლოს კი უნივერსიტეტში: რუსულ, ლათინურ ენებს, დიდაქტიკას, ფსიქოლოგიას და ლოგიკას ასწავლიდა. ჰქონდა მრავალი პუბლიკაცია პედაგოგიკის სფეროში, პოლონურიდან თარგმნა იან ამოს კომენსკის ნაშრომები. ივანე ჯავახიშვილის რჩევით, ახალგაზრდობისათვის შეადგინა საქართველოს მოკლე ისტორია, გამოქვეყნებული ჰქონდა ათობით შრომა მიძღვნილი საქართველოს ისტორიის და რელიგიისადმი. მე-20 საუკუნის დასაწყისში მისი ლიტერატურული ფსევდონიმებით (ფარი, ნებოძირელი, ილ.ჩხერიმელისპირელი, იმედიანი...) სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულია მრავალი პროზაული ნაწარმოები, პიესა და ლექსი. მისი დიდი ავტორიტეტისა და მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის, თანამედროვენი მიუხედავად დიდი სიმაღლისა (იგი 2 მეტრზე მეტისა იყო), მას “პატარა ილიას” და “ბატონ ილიას” ეძახდნენ.

ილია ფერაძე, როგორც აღვნიშნეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწეობდა სკოლის დირექტორად და პედაგოგად, კერძოდ: ბათუმში, გორში, საშურში, ოზურგეთში, ბოდბეში, ველისციხეში. მაგრამ ძირითადი მისი საცხოვრებელი იყო თბილისში, ვერაზე, არაგვის ქუჩა №8-ში, რომლის შესახებაც მოგვიანებით განსაკუთრებით შევჩერდებით.

ბატონ ილიას დიდი გავლენა ჰქონდა შვილებზე. მამას სკოლის შემდეგ საბუთები ოჯახის უკითხავად, შეუტანია სამსახიობოზე, როდესაც ილიამ გაიგო ამის შესახებ, თქვა: “ჩემი ვაჟი ტაკიმასხარა არ იქნება!” და თავიდან შეატანია საბუთები სამედიცინოზე. მამაჩემი იძულებული იყო დამორჩილებოდა, მაგრამ სამედიცინოზე ისწავლა მხოლოდ ერთი სემესტრი, როდესაც მისი ჯგუფი პრაქტიკაზე შეიყვანეს პროზექტურაში და გვამი დაინახა, ცუდად გახდა, (იგი ძალზე გულჩვილი ადამიანი იყო) მოტრიალდა და უკან აღარ დაბრუნებულა, თუმცა შემდეგ ორი სხვა ფაკულტეტი დაამთავრა.

მე პაპას ვერ მოვესწარი, იგი ადრე გარდაიცვალა. მისი სახელით მამაჩემი ყოველთვის ამაყობდა და საბოლოოდ მამის გავლენით, ყველა შვილი: სამი ვაჟი: ირაკლი, გიორგი, ბიძინა და ორი ქალიშვილი ნინო და თამარი, ცნობილი პიროვნებები, ძირითადად, პედაგოგები გახდნენ.

არაგვის ქუჩა №8

თბილისის ბევრ ძველ ეზოს თავისი ისტორია აქვს, მაგრამ ერთ მოცუცქნულ ეზოს, მდებარეს არაგვის ქუჩა № 8-ში, ბევრი ვერ შეედრება, რადგანაც ამ პატარა ეზომ უამთა ტრიალში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, რომელიც ბევრმა, დღეს ამ ქუჩაზე მაცხოვრებელმაც კი არ იცის.

ამ ეზოს ადრე “მასწავლებლების ეზოს” უწოდებდენ, რადგანაც აქ ერთდროულად ცხოვრობდა 10 ცნობილი პედაგოგი და თანამედროვე სტატისტიკის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ამ ეზოს ერთ კვადრატულ მეტრთან, სხვა ეზოებთან შედარებით, ჩვენი ერის ისტორიის მეტი მოვლენაა დაკავშირებული. ამ თავში მოყვანილი ფაქტები ნამდვილია, მაგრამ მათი უდიდესი რაოდენობა, სამწუხაროდ, ამ ეზოს ბინადრების, ჩემი ნათესავების ჩანაწერებშია და მათ ფართო საზოგადოება არ იცნობს.

ეზოს ისტორია მინდა ვაუწყო მკითხველს, ბიძაჩემის, (მამას დეიდაშვილის) არაჩვეულებრივად განათლებული კაცის, მრავალი ლექსის ავტორის, ბარათაშვილის ლექსების რუსულ ენაზე



დავით გურგენიძე

შესანიშნავი მთარგმნელის და ცნობილი ეკონომისტის, დავით გორგაძის მოგონებებიდან. დათიკო ბიძია იყო წარმოსადეგი, ახლავანი ადამიანი. მას ზომაზე მეტად დიდი თავი ჰქონდა. სხვანაირად ვერც წარმომედგინა, როგორ ჩაეტეოდა ამდენი ცოდნა და ერუდიცია სხვა ზომის, უფრო მომცრო, თავში. მან ხომ ზედმიწევნით კარგად იცოდა პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება და რაც მთავარია იყო სექსართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრი, წამყვანი ეკონომისტი. ამ ფურცლებზე მოყვანილი ისტორიაც მის ჩანაწერებს ეფუძნება.

ეს სახლი მე-19 საუკუნის ბოლოს აუშენებია წარმოშობით ტირძინსკელ მემამულეს, თბილისის სახაზინო პალატის მოხელეს კონსტანტინე ეგაძეს, რომელსაც მცირე მიწის ნაკვეთები ჰქონდა აგრეთვე მდინარე არაგვის და მტკვრის შესართავთან. მან



კონსტანტინე ეგაძის ქალიშვილები

თბილისში ააშენა იმ უბანში პირველი, ორსართულიანი სახლი, მე-19 საუკუნის ბოლოს და არაგვის ნაპირებიდან გადმოსახლდა თბილისში. მანვე უწოდა ახლადშექმნილ ქუჩას არაგვის ქუჩა, რადგანაც ქუჩა არ არსებობდა ეს სახლი იყო პირველი, რომელიც აგურის პატარა საამქროებთან ახლოს იყო და იმ ქუჩას “კირპინაია” ეწოდებოდა (ამჟამად ბაქრაძის ქუჩა).

კონსტანტინე ეგაძეს შვიდი შვილი ყავდა: ხუთი ქალიშვილი და ორი ვაჟი. მრავალქალიშვილიანი ოჯახის საჭიროებისათვის, მან შემდგომში მიაშენა ფასადის ნაწილს ფუნდამენტური ფლიგელი. ამ ეზოში სახლობდნენ კონსტანტინე ეგაძის ქალიშვილები, შემდგომში თავიანთი ოჯახებით.

უფროსი ქალიშვილი ნადიკო, ცოლად ყავდა პაპაჩემს, ილია ფერაძეს, მათ ხუთი შვილი შეეძინათ. ერთი ქალიშვილი გაყვა პეტერბურგის აკადემიის კურსდამთავრებულ გაბრიელ გამრეკელს, რომელიც კუკიის ტაძრის მღვდელი იყო, მათ ერთი



სერგო გორგაძე მუვლდით

ქალიშვილი ყავდათ. მეოთხე ქალიშვილი გათხოვდა ცნობილ ენათმეცნიერზე და ისტორიკოსზე, მრავალი სამეცნიერო შრომების ავტორზე, 1921-1929 წლებში საქართველოს საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორზე, სერგო გორგაძეზე, მათ ორი შვილი შეეძინათ. მეხუთე ქალიშვილი ეგგენია, მითხოვდა პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ, ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ივანე ჯავახიშვილის მარჯვენა ხელს, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველ მდივანს იოსებ ყიფშიძეს. იოსებს და ეგგენიას ორი შვილი ყავდათ.

წარმოიდგინეთ ეგაძეების ამ პატარა ეზოში ერთდროულად ცხოვრობდა 20 სულზე მეტი. მრავალრიცხოვნების მიუხედავად, ეს იყო ერთი საერთო ცხოვრებით და ნათესაური სითბოთი შეკრული სრულყოფილი ქართული ოჯახი.

ამ ეზოში მე-20 საუკუნის დასაწყისში ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, აკაკი შანიძე, არნოლდ



იოსებ ყიფშიძე



გენო ყიფშიძე

ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, ნიკო მარი და მეცნიერების თუ ხელოვნების მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწე.

“ილია ფერაძე, იოსებ ყიფშიძე და სერგო გორგაძე დიდ ქალაქსაც ეყოფოდა საამაყოდ, არათუ ერთი ბეწო ეზოს, სადაც ერთი პატარა თუთის ხე იდგა და მას ეჭირა ეზოს ძირითადი ფართი”. იგონებდა დავით გორგაძე.

ეს იყო ამ ეზოს მაცხოვრებლების პირველი თაობა,

თითქმის ყველა სიძე გამოჩენილი პიროვნება იყო, ხოლო ევაძეების ქალებიც აქტიურ მონაწილეობას დებულობდა ქმრების მიერ წამოწყებულ საქმიანობაში. ისინი ესმარებოდნენ სერგო გორგაძეს, საქართველოს საისტორიო მუზეუმისათვის საზოგადოებაში ნებაყოფლობითი შემოწირულობების შეგროვებაში და დახარისხებაში. შემდგომ მეორე სიძეს, იოსებ ყიფშიძეს ესმარებოდნენ ახლადგახსნილ უნივერსიტეტში შეზიდული ბარგის დალაგება-მოწესრიგებაში. იოსებ ყიფშიძის მეუღლე, ევგენია(გენო) ევაძე-ყიფშიძისა, ლენინის ორდენოსანი, დამსახურებული პედაგოგი გახლდათ.

პირველ თაობას მოყვა შვილები და შვილიშვილები, რომლებმაც სხვადასხვა ასპარეზზე მოღვაწეობით გამოიჩინეს თავი.



გოგლიკა ფვრამე



ირაკლი ფვრამე

საკმარისია ვახსენოთ მამიჩემის ძმები ირაკლი და გიორგი ფვრამეები. პირველი დამსახურებული პედაგოგი იყო, ხოლო მეორე ცნობილი ეკონომისტი, ომის დროს საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს უფროსი იყო. ამავდროულად, ოჯახური ტრადიციისამებრ ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში.

ასევე პედაგოგები იყვნენ მამიდები თამარი და ნინო ფვრამეები; ბიძაჩემი დათიკო გორგაძე-ამ მოგონებების ავტორი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ; ჩემი ბიძაშვილი, სამხატვრო აკადემიის ყოფილი რექტორი, ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, თენგიზ ფვრამე; იოსებ ყიფშიძის ქალიშვილი - არქიტექტორი თინა ყიფშიძე; დავით გორგაძის ქალიშვილი, პედაგოგი ღია გორგაძე და მისი მეუღლე, წლების მანძილზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი ნოდარ აბესაძე. არ მინდა, მკითხველი გადავღალო ჩემი მრავალრიცხოვანი ნათესაობის დამსახურებების ჩამოთვლით, მაგრამ ეს შესავალი საჭიროდ მივიჩნევ, რათა უფრო გასაგები იყოს ამ ეზოში შექმნილი აურა და იქ

მცხოვრებ პიროვნებების სულიერი სიმდიდრე, პატრიოტიზმი და მაღალი ინტელექტუალური დონე.



ნინო ფერაძე



თამარ ფერაძე



თენგიზ ფერაძე



თინა გვაშვილი

ამ ეზოს სიძე, სერგო გორგაძე იმ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო, რომელსაც თავმჯდომარეობდა, დიდი, აწ უკვე წმინდანად შერაცხული, ექვთიმე თაყაიშვილი და რომელმაც აღწერა 1921 წელს ემიგრაციაში წასვლის წინ, საქართველოდან გასატანი ფასდაუდებელი ისტორიული განძის 40 ყუთი.

როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა, უკვე ომის შემდეგ, სამშობლოს წინაშე მოიხადა მამულიშვილური ვალი და განძი ჩამოიტანა საქართველოში, განძის სიის შეჯერებისას გამოადგათ ბატონ სერგო გორგაძესთან მუზეუმში შენახული ჩამონათვალი და შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ყველაფერი უკლებლივ სახეზე იყო.

ამ ისტორიის შესახებ ყველამ იცის დაწვრილებით, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. მაგრამ ეს ეზო, მისი მაცხოვრებლები

და კერძოდ ფერადების და გორგაძეების ოჯახი დაკავშირებულია, სხვა, გაცილებით ადრე, თითქმის მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში ძალდატანებით განხორციელებული განძის დაბრუნებასთან, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინახებოდა პეტერბურგში.

1915-1917 წლებში პეტერბურგში სწავლობდა მამიდაჩემი ნინო ფერაძე, რომლის ქმარი, პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი **დამიანე ჯგუშია**, შევიდა ქართველ სტუდენტთა რევოლუციურ რაზმში და პეტერბურგს იცავდა თეთრგვარდიელებისგან.

დამიანე ჯგუშია იყო ნიჭიერი სტუდენტი და ინსტიტუტში სწავლას უთავსებდა პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკალური განათლების მიღებას. იმ ხანად ბოლშევიკი მუსიკოსი იშვიათი ხილი იყო და მან მიიქცია რუსეთის სახალხო კომისარის ანატოლი ლუნაჩარსკის ყურადღება, რომელსაც ძალიან მოეწონა ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი და არაერთხელ მიუწვევია ოჯახში სტუმრად.



ახალგაზრდა
დათიკო გორგაძე

ეს ყველაფერი კარგად იცოდა სერგო გორგაძემ, ცოლის დისშვილის, მამიდაჩემის, ნინო ფერაძის წერილებიდან. მან 1921 წლის ზაფხულში წერილი მიწერა ნინოს და დამიანე ჯგუშიას, მოესინჯათ გასული საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სამეფოდან გაზიდული განძეულობის სამშობლოში დაბრუნების საკითხი, ლუნაჩარსკის მეშვეობით. თუმცა იმ არეულობის ხანს ბატონ სერგოს ეჭვი ეპარებოდა, რომ ამ საქმიდან რაიმე გამოვიდოდა.

დამიანე ჯგუშია აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში. ლუნაჩარსკი შეპირდა დახმარებას. დამიანეს მოთხოვნით, საქართველოდან ბატონმა სერგო გორგაძემ, გაგზავნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ოფიციალური წერილი. ამასთან დამიანე ჯგუშიას, საქართველოს სახალხო კომისარიატმა, მისცა ოფიციალური რწმუნება, ყოფილიყო საქართველოს აკადემიური წარმომადგენელი რუსეთში და ჰქონოდა უფლებამოსილება, ჩაებარებია და ჩამოეტანა საქართველოსათვის კუთვნილი განძი სამშობლოში. ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები დაცულია საქართველოს ხელოვნების ისტორიის მუზეუმში.

ლუნაჩარსკიმ მოახსენა ლენინს საქართველოს მთავრობის ოფიციალური თხოვნის შესახებ და მოხდა სასწაული!

ბატონი სერგო გორგაძის და მთელი ქართული საზოგადოების გასაკვირად და გასახარად, 1922 წლის 20 ივლისს გამოიცა ლენინის სპეციალური დეკრეტი, განძის ნაწილის საქართველოსათვის დასაბრუნებლად. ამ განძის რუსეთის მიერ წართმევა-დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხი, ძალზე საინტერესო ისტორიაა. საინტერესოა, როგორ ცდილობდა რუსეთის ზარაფხანა, რომელსაც დაავადეს განძის წარმომავლობის და გადასაცემი ნივთების სიის დადგენა, დაემტკიცებინა განძში შემავალი ნივთების არაქართული წარმოშობა, რათა, რაც შეიძლება ნაკლები, ძალდატანებით წართმეული, ნივთი გადმოეცათ საქართველოსთვის. საქართველოდან გატანილი მრავალი სიმდიდრიდან, მხოლოდ ის ნაწილი დააბრუნეს, “რაც არ აღარიბებდა რუსეთის მუზეუმებში დაცული კოლექციის მსოფლიო მნიშვნელობას”. ამ საკითხის დეტალური განხილვა, მისი მოცულობის გამო, სცილდება ამ მოგონებების ფარგლებს.

მაშ ასე. გადაწყვეტილება გამოტანილია. გასარკვევი დარჩა მხოლოდ, როგორ ჩამოეტანათ ეს ისტორიული განძეულობა საქართველომდე. თუ როგორ ჩამოადწია განძმა საქართველომდე და რა კავშირი აქვს ამასთან, არაგვის ქუჩა №8-ს, ამის შესახებ თითქმის აღარავინ არაფერი იცის და მუზეუმში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტების ერთგვარი გაცოცხლებაა სწორედ, იმ მოვლენების თვითმხილველის, ბიძაჩემის დავით გორგაძის ჩანაწერები. ლუნაჩარსკიმ შესთავაზა დამიანე ჯგუშიას, რკინისგზაზე გაძლიერებული დაცვის გამოყოფა, მაგრამ წინდახედულმა დამიანემ, დაარწმუნა სახალხო კომისარი, რომ განძის ტრანსპორტირება გაძლიერებული დაცვით უფრო საშიშია, რადგანაც მთელ გზაზე და განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში თარეშობდენ შეიარაღებული მრავალრიცხოვანი კონტრრევოლუციური რაზმები, გაძლიერებული დაცვა მათ ყურადღებას მიიპყრობდა და ამ შეიარაღებულ ბანდებთან გამკლავებას პატარა რაზმი ვერ შეძლებდა, ამით განძი დიდი საფრთხის წინაშე დგებოდა, იყო საშიშროება განძი საერთოდ დაკარგულიყო. ამიტომ დამიანე ჯგუშიამ დაამუშავა განძის დაბრუნების შენიღბული. რისკიანი გეგმა, რომელიც მოაწონა ლუნაჩარსკისაც.

დამიანემ შეარჩია ექვსი ქართველი ახალგაზრდა მეომარი, რომლებიც თბილისში ბრუნდებოდნენ. მათთან ერთად რაზმში იბრძოდა და თითოეული მათგანი კარგად ყავდა გამოცდილი.

ერთ დღეს აქტივით ჩაიბარა განძეულობა, ჩააღება უბრალო ხის ყუთებში, რომლებსაც იმ ხანად, ირონიულად “წითელარმიელთა ჩემოდნებს” უწოდებდნენ და ჯარისკაცის ფარაჯებში გამოწყობილმა პატრიოტმა ექვსმა ახალგაზრდამ, დამიანე ჯგუშიას მეთაურობით, დიდი სიფრთხილით და სიფხიზლით წამოიღო ეს განძი საქართველოში. “რისკი დიდი იყო, მათ ხომ ყოველ ნაბიჯზე ელოდათ ფათერაკი და შესაძლოა სიკვდილიც და გასახარი ისაა, რომ არც ერთმა მათგანმა არ შესცოდა საკუთარი სინდისის და ქვეყნის წინაშე, არ წაწყდა და უკლებლივ დააბრუნა სამშობლოში, ოდესღაც ძალმომრეობით



მეფე გიორგი XII
გვირგვინი

გატანილი ნაციონალური კუთვნილება.”

ახალგაზრდები თბილისში ჩამოვიდნენ 1922 წლის მარტის დასაწყისში, ღამის 2 საათზე და მიაღწიეს არაგვის ქუჩა №8, მუხეუმის დირექტორის, დამიანე ჯგუშიას ცოლის ბიძას, სერგო გორგაძეს. უსაზღვრო იყო ბატონი სერგოს და მისი მეუღლის თამარ გორგაძის სიხარული. გაიღვიძა მთელმა სანათესაომ. დამიანემ გახსნა ყუთები და ჩააბარა ბატონ სერგოს.

ამ განძში შედიოდა: საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მე-12, ორ კილოგრამამდე წონის მთლიანი ბაჯადლო ოქროსგან დამზადებული, შიგნიდან წითელი ხავერდით გაყვობილი, უძვირფასესი ქვებით მოოჭვილი სამეფო გვირგვინი. საქართველოს სამეფოს უკანასკნელი კათალიკოს პატრიარქის დიდი მიტრა, ასევე ბაჯადლო ოქროსგან ნაკეთები, ურიცხვი თვალმარგალიტით მოოჭვილი. პატარა რქის კვერთხი, ასევე თვალმარგალიტებით იყო მოჭედილი, მეფე გიორგი მე-12-ს დაშლილი სამეფო ტახტი, ძვირფასი მერქანის, მოვარაყებული ოქროთი და ვერცხლით მოსევადებული. ჩამოტანილი განძის წერილობითი აღწერა დაცულია ხელოვნების ისტორიის მუზეუმში და მათი ჩამონათვალის ზედაპირული გაცნობიდანაც

ცხადია მათი ფასდაუდებელი ისტორიული და მატერიალური ღირებულება.

“შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კათალიკოს პატრიარქის მიტრისა და კვერთხის თითოეული პატიოსანი თვალი მთელ ქონებას შეადგენდა. ეს იყო უჩვეულო სანახაობა”- იგონებს თვითმხილველი დავით გორგაძე, რომელიც მაშინ 10-12 წლისა იყო. იგი აღტაცებას ვერ მალავდა ამგვარი სილამაზის შემხედვარე. მშობლებისგან შეუძმნევლად, ბავშვური მიამიტობით, თავზე მორგო უკანასკნელი მეფის გიორგი მე-12-ს გვირგვინი და ისე წარსდგა მშობლების წინაშე, რისთვისაც დედის მკაცრი დატუქსვა დაიმსახურა. იმ დამეს მთელ ეზოს არ სძინებია. ერთად დარაჯობდენ უძვირფასეს განძს.

ადრე დილით ბატონი სერგო წავიდა და მოიყვანა პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს განათლების კომისარი მამია ორახელაშვილი, ცნობილი მოღვაწეები იროდიონ სონღულაშვილი და დიტო შარაშიძე. მერე მათთან ერთად დილით, ბატონმა სერგომ უკვე, როგორც მუზეუმის დირექტორმა ოფიციალურად ჩაიბარა, ბიძაჩემის, დამიანე ჯგუშმას და მისი მეგობრების მიერ ჩამოტანილი უდიდესი განძი, რომელიც ერთი ღამით იყო დავანებული არაგვის ქუჩის №8-ში, ამ პატარა თბილისურ ეზოში, გორგაძეების ბინაში.

არ გასულა ხუთიოდე თვე და იმავე წლის ზაფხულში საქართველოს დაუბრუნდა მისი ისტორიული რელიქვიების მეორე ნაწილი - ლენინგრადის ერმიტაჟიდან, რომელშიაც ვეფხისტყაოსანის უძველეს ხელნაწერებთან ერთად, ბევრი სხვა ძვირფასი ნივთი იყო. ამ განძის ჩამოტანაც არაგვის ქუჩა №8-სთანაა დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ცნობილ მეცნიერებს ვუკოლ ბერიძეს და შალვა ამირანაშვილს, რომლებიც ხელმძღვანელობდენ ამ ნივთების ჩამოტანას, თან ახლდა სამშობლოსკენ მომავალი მამიდაჩემი, დამიანე ჯგუშმას მეუღლე, ნინო ფერაძე. მატარებელი გვიან ღამით ჩამოვიდა თბილისში და ჩამოტანილი ნივთები, კვლავ მუზეუმის დირექტორის სახლში, არაგვის ქუჩა №8 ში მოხვდა. ბატონმა სერგო გორგაძემ კვლავ ჩაიბარა ყოველივე ეს ხელწერილით და დილით გამეორდა იგივე პროცედურა, სპეციალურად გამოყოფილმა სამთავრობო კომისიამ აქ, ამ პატარა ეზოში, ჩაიბარა ჩამოტანილი ნივთები და ოფიციალურად გადასცა საისტორიო მუზეუმს.


“უნდა გენახათ იმ წელს მამაჩემი, რაოდენ დიდი იყო მასში თითქმის ახალგაზრდული ხალისი და აღტყინება. ჩვეულებრივ დინჯი და აუჩქარებელი ნაბიჯი შეეცვალა ენერგიული, ოდნავ აღვზნებული სიარულით და მისვრა მოხვრით. იგი სიამაყის გრძნობით იყო აღვსილი.”-იგონებდა დავით გორგაძე.

თქვენ წარმოიდგინეთ ამით არ მთავრდება არაგვის ქუჩა №8-ს მონაწილეობა ისტორიულ ამბებში. როგორც თვითმხილველი

ბებიდა ევგენია ყიფშიძე წერს თავის დღიურებში, 1918 წლის აგვისტოს ერთ საღამოს მათთან, ამ ეზოში, სტუმრად მისულა ბატონი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ძალზე აღელვებული ჩანდა. გვიანი საღამო იყო და ბოდინის მოხდით უხმო იოსებს:

- არ შემოიძლია, ვერ მოვისვენებ, მინამ არ გაგიზიარებ ამბავს. და უამბო: მე და პეტრე მელიქიშვილი ვიყავით გენერალ ყაზბეგთან- იმ ხანებში წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო თავმჯდომარესთან - მასთან მეგობრულ საუბარში პროფესორმა მელიქიშვილმა გამოთქვა აზრი: კარგია ვისარგებლოთ საქართველოს პოლიტიკური სიტუაციით და გავსხნათ ჩვენი ქართული უნივერსიტეტი. ყველა დამსწრენი აღტაცებით შევხვდა ამ აზრს.

ჩვენც ავფორიაქდით ამ დიდებული იდეის გამო - იგონებს ბებიდა ევგენია ყიფშიძე- მე გავვარდი გაგადვიძე სიძე, სერგი გორგაძე- დამსახურებული მასწავლებელი, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, მაშინათვე გავაჩინე ქალაქი, ფანქარი და სამივემ ჩამოსწერეს სია ჩვიდმეტი პროფესორისა, რომელნიც მოღვაწეობდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და გადაწყვიტეს მეორე დღესვე გავეზავნათ მათთან მოწვევის ბარათები. უნივერსიტეტის შესახებ გავრცელებულმა ხმამ აღაფრთოვანა ყველა.”



ივანე ჯავახიშვილი

ასე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი წერილობითი მონახაზი, დაიწერა არაგვის ქუჩა №8 ში: ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძის და სერგო გორგაძის მიერ, რომლებსაც მდივნობას უწევდა მამაჩემის დეიდა ევგენია ყიფშიძე.

ამრიგად, როგორც დავრწმუნდით, ამ პატარა ეზომ და მასში მაცხოვრებელმა ჩვენმა სანათესაომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის საქართველოში დაბრუნების საქმეში.

აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ სხვადასხვა დროის ამ ეზოს ბინადართა ნაშრომები რომ შეაგროვოს კაცმა ერთად, ჩვენი ქვეყნის ისტორიის და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე, ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მრავალტომეული გამოვა.

მამა ბიძინა ფერაძე.



ბიძინა 1931წ.

მამა, ბიძინა ფერაძე, მრავალი წლის მანძილზე ჩემი გაცემების საგანი გახლდათ. იგი იყო ინგლისურის მასწავლებელი, შემდგომ განათლების სამინისტროში მუშაობდა სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, მას არასოდეს ეკავა დიდი თანამდებობა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, თითქმის დღევანდელ დღემდე, სულ ახალ-ახალი ადამიანები ჩნდებიან, რომლებიც იჩემებენ, რომ ბატონი ბიძინა, ან მათ, ან მშობლებს, ინგლისურს ასწავლიდა და დიდი სიყვარულით იგონებენ მას. ჩემი მეგობარი მიტოვარძელაშვილი, რომელსაც ჩემგან დამოუკიდებლად ბევრჯერ შეხვედრია სხვადასხვა ოჯახებში მამას ნამოწაფრები ამბობს:

-საკვირველია! რა ამისთანა ინგლისური იცოდა მამაშენმა, რომ მთელ საქართველოს ყოფნიდაო.

როგორც მოგახსენებდით, მამას მსახიობობა უნდოდა, მაგრამ მშობლის სურვილს წინ ვერ აღუდგა და ასე მოხვდა სამედიცინოზე.

მამა გულჩვილი ადამიანი იყო. როდესაც სამედიცინო პრაქტიკაზე მიცვალებულის გვამი დაინახა, ცუდად გახდა. მას შემდეგ იმ ინსტიტუტში არ დაბრუნებულა. ამავე პერიოდში მამა გარდაეცვალა და ახსოვდა რა მშობლის სურვილი, სამსახიობოს აღარ გაკარებია. ორი სხვადასხვა ფაკულტეტი დაამთავრა და საბოლოოდ პედაგოგი გახდა.

არტიტული პერაგოვი

მამამ, მსახიობური ნიჭი, შესანიშნავად გამოიყენა თავის ახალ პროფესიაში, პედაგოგობაში. იგი ძალიან არტიტულად ატარებდა გაკვეთილებს. იგონებდა ახალ ახალ მაგალითებს, შედარებებს, რათა მოსწავლეებს ადვილად აეთვისებინათ უცხო სიტყვები და ყველაფერ ამას ძალზე ხატოვანად წარმოადგენდა. მოსწავლეები მის გაკვეთილზე გასუსულები იჯდნენ.

მახსენდება, მესამე კლასში მამა, ჩემს კლასსაც ასწავლიდა მე-7 ვაჟთა სკოლაში. იგი პირველივე გაკვეთილიდან იპყრობდა მოსწავლეთა ყურადღებას. მამა-მოსწავლეების პირველი სიტყვები მეც და ჩემს მეგობრებსაც კარგად დაგვაიმასოვრდა.

“მე მოვედი რომ ინგლისური ენა შეგასწავლოთ, მაგრამ მე რა უნდა გასწავლოთ, როდესაც თქვენ უკვე კარგად იცით ეს ენა. ყველამ იცით სიტყვა “ფუტბოლ”, ფუტ-არის ფეხი, ბოლ-არის ბურთი; იცით აგრეთვე “კორნერი”- ეს ინგლისურად კუთხეს ნიშნავს; იცით “ოფსაიდი, პენალი, ბასკეთ-ბოლი” და სხვა უამრავი მაგალითი მოიყვანა გავრცელებული ინგლისური სიტყვებისა და გაკვეთილის ბოლოს ყოველივე ჩვენთაგანს დაგვეფულა გრძნობა, თითქოს მართლაც ვიცოდით ინგლისური ენა და მისი დაუფლება არ გაგვიჭირდებოდა. ასევე ხდებოდა სხვა გაკვეთილებზეც.



ფრთხილად! წარბი აწუკლია

მამა ადვილად შედიოდა კონტაქტში და იპყრობდა მოზარდის ყურადღებას, ითხოვდა მათგან რეაქციას და თითოეული მათგანი გაკვეთილის აქტიური მონაწილე ხდებოდა. იყო სკოლაში “ძნელი კლასები”, მაგრამ მამასთვის ეს ცნება არ არსებობდა, იგი საოცარი უნარით პოულობდა საერთო ენას ყველანიორ მოწაფესთან, ყველაზე ძნელი კლასიც კი მის გაკვეთილზე, ადვილად “მოთვინიერებული” ჰყავდა. და თუ გაკვეთილის მსვლელობისას იყო განსაკუთრებით მოუსვენარი ბავშვი, იშვიათად, მაგრამ დამსახურებულად, ისინი ბიძინა მასწავლეების “შალაბანდითაც” საჩუქრდებოდნენ, რომელიც მერე, მთელი ცხოვრება ამასსოვრდებოდათ. როგორც მისი ნამოწაფარი ცნობილი ქირურგი პროფესორი რეზო იაშვილი იგონებდა:

-მე ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი და ბიძინა მასწავლებლის შალაბანდმა სწორ გზაზე დამაყენა და კაცი გამხადო.

განსაკუთრებულ შემთხვევებში იგი მკაცრად გაიხედავდა კლასისკენ, მარჯვენა წარბს მაღლა წევდა და ეს უკვე განგაშის მოახლოვებას მოასწავებდა და კლასი წყნარდებოდა.

მამას კლასსგარეთაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა მოსწავლეებთან. იგი დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა.

როგორც მისი ნამოწაფრები იგონებენ, მრავალი წლის შემდეგაც მათ ბიძინა მასწავლებლის ნასწავლი საყველპურო ინგლისურთან ერთად, მისგან შეთვისებული კაცობის, მეგობრობის და სამშობლოს სიყვარულის გაკვეთილები, მთელი ცხოვრება დაამახსოვრდათ.

მამას ნამოწაფარი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი კაციტაძე იგონებს::

”1940 წელს კლასში შემოვიდა ახალგაზრდა, ევროპული იერის, თეატრალური გარეგნობის, შესანიშნავი ხმის კაცი, რომელმაც მაშინვე მოგვხიბლა თავისი გარეგნობით და იუმორით. ბიძინა მასწავლებელი კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ, ევროპულ მხატვრულ ლიტერატურას. ჩვენ გვიკითხავდა ბაირონის და შელის ლექსებს და მართალია, აზრი არ გვესმოდა, მაგრამ ჩვენ, ინგლისური ენის სილამაზეს გვაჩვენებდა. 1947 წელს დავამთავრე სკოლა, მაგრამ მასთან ურთიერთობა არ გაგვიწყვეტია. მისი ძმის შვილი თენგიზ ფერაძე ჩემს კლასში იყო და შემდეგშიაც მასთან ხშირად შევხვედრივართ. ბიძინა მასწავლებელს უყვარდა ქართული ქეიფი, იყო არაჩვეულებრივი თამადა, კარგად მღეროდა, ზეპირად იცოდა უამრავი ლექსი, ამიტომაც იყო იგი ქართული ოჯახების სასურველი სტუმარი, განსაკუთრებით მეუღლესთან, ქალბატონ თინასთან ერთად, რომელიც ანეგდოტების უბადლო მიხრობელი და ენაკვიმატი ქალბატონი იყო”.

პროფესორი რეზო იაშვილი, მოგონებების წიგნში “უმუსიკოდ და მსმენელთა გარეშე”, სადაც მის პედაგოგებს იგონებს, წერდა: “განსაკუთრებით მიყვარდა ინგლისური ენის მასწავლებელი, ახოვანი, სანდომიანი კაცი ბიძინა ფერაძე... გავიდა წლები, სკოლა დავამთავრე, უმადლესიც, მაგრამ რომ შევხვდებოდი, როგორც შეგირდი თავის აღმზრდელს, ისე შევყურებდი მოწიწებით.”

ეს ნამდვილად შემძლია მეც დავადასტურო, მამას წასვლის შემდეგ როდესაც გაიგებდნენ, რომ მე და გია, ბიძინას შვილები ვიყავით, მის ნამოწაფრებს სახე ებადრებოდათ და სხვისთვის ძნელად გასაღები კარი, ჩვენთვის ადვილად იღებოდა.

განათლების სამინისტრო

განათლების სამინისტროში მუშაობისას, რომელიც ამჟამინდელი პარლამენტის შენობაში მდებარეობდა, ბიძინა გაზეთის კოსკის გამყიდველიდან დაწყებული, მინისტრით დამთავრებული ყველას უყვარდა.

“ჩვენი ბიძინა” ასე ეძახდნენ სამინისტროში თუ სკოლაში, გამომცემლობასა თუ მეგობრებში, რადაც მაგნიტური რამ იყო მასში. მოგოზიდავდა, გულის სითბოს გიწილადებდა, სიამითა და სიხარულით ავივსებდა სულს. უსაზღვროდ უყვარდა ადამიანები და მათში მუდამ კეთილს, მშვენიერს ხედავდა. ხშირად იმეორებდა გორკის სიტყვებს: ”ყველაზე დიდი თანამდებობა – ესაა იყო ადამიანი” - იგონებდა ბატონი აკაკი ჯიქია, მამას გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე 1985 წელს, გაზეთ “სახალხო განათლებაში”.

მამას ბევრი ლექსი ჰქონდა დაწერილი, რომელიც არსად გამოუქვეყნებია. აი, ერთი მათგანი, რომელსაც დაარქვა: “ადამიანი” და ასეთი პრინციპებით ცხოვრობდა მამა.

გრძნობით უმწიკვლო, სულით ფაქიზი
საქმეში მუდამ ხალისიანი,
ნებით ძლიერი, გულისხმიერი,
ასეთი უნდა ადამიანი!

ვერ იმონებდეს მტრობა და შური
აზრები უნდა ჰქონდეს ჭკვიანი,
მუდამ ფხიზელი, დარბაისელი
ასეთი უნდა ადამიანი!

უნდა უყვარდეს დიდი, პატარა,
ყველასთან იყოს თავაზიანი,
ჭირში და ლხინში, დარში, ავდარში
ახსოვდეს, არის ადამიანი!

თვისი აზრები, ფიქრი და გრძნობა
დაუმორჩილოს ხალხისა ნებას,
რომ დაეუფლოს ხალხის სურვილებს,
დაუკავშირდეს ხალხის შეგნებას.

სიკეთე სთესოს, შური განდევნოს,
ძმობის, ერთობის იყოს მგოსანი,
უსამართლობას მახვილით კვეთდეს,
იყოს მართალი, პატიოსანი.

და თუ დაჭირდა სამშობლოს დაცვა,
და თუ სამშობლოს მოადგა მტერი,
ისიც გმირულად, შაშხანით ხელში,
უნდა სამშობლოს იყოს დამცველი.

ნებით ძლიერი, გულისხმიერი,
აზრით და საქმით ხალისიანი,
მუდამ ფხიზელი სამშობლოს მცველი
აი! ნამდვილი ადამიანი!

მამას თანამშრომელი და მეგობარი მიშა ბებურიშვილი იხსენებდა:

განათლების მინისტრი ვიქტორ კუპრადე, ატარებს კოლეგიის სხდომას. გამომსვლელთათვის მანვე დააწესა გარკვეული რეგლამენტი. მამა წინა დამის ნაქიფარი გახლდათ და თავი იდაყვებზე ჰქონდა დაყრდნობილი. მინისტრს სიტყვა გაუგრძელდა, ადარ ათავებდა საუბარს. მამა ჩაფიქრებული იყო, ალბათ მისი აზრები იმ დროს სადღაც სუფრაზე იყო და მისდა უნებლიედ ჩაილაპარაკა:

-რეგლამენტი, უფალო თამადა!

მინისტრი გაჩერდა, შეხედა მამას და ღიმილით უპასუხა:

-მე უკვე დავამთავრე და ალავერდი შენთან ვარ ბიძინა, ახლა შენ გააგრძელე.

მყარი პოზიცია

მასხენდება ერთი შემთხვევაც. 50 იანი წლების ბოლოს ხრუშჩოვის ზეობის პერიოდში, აქაც დაიწყო უმაღლეს ეშელონებში თანამდებობის პირთა ცვლა. და ეს არ ხდებოდა, როგორც დღეს იციან, კარუსელის სახით, როდესაც ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყავთ, ორივე ადგილზე უვარგისი ხელმძღვანელები, არამედ კადრების ცვლა ხდებოდა აიწონა-დაიწონას პრინციპით. დღეს თუ ხარ მადლა, ხვალ შეიძლება საერთოდ არ ყოფილიყავი! განათლების სამინისტროში შეცვალეს მინისტრი, მოადგილეები, სამმართველოს უფროსები. ამ პერიოდში მამას შეხვდა მისი მეგობარი ოთარ აბულაძე და ეკითხება:

-კაცო, ბიძინა, შენი დარდი მქონდა, ეს გადატრიალებები შენც ხომ არ შეგეხო?

-ჩემო ოთარ! მე ვარ მეტრიან სახაზავზე 50 სანტიმეტრიანი ნიშნული. როცა სწორად დგას სახაზავი - შუაში ვარ. გადმოაგრუნებ და მაინც შუაში ვრჩები, მე მყარი პოზიცია მიჭირავს. ასე რომ იმან იკითხოს, ვინც ზევით მოხვდება ცოტა ხნით, რაც უფრო ზევიდან ვარდები, მით უფრო მტკივნეულია დანარცხება.



მამა 1964 წ.

სამსახურის შემდეგ მამა ხშირად ფეხით გამოისეირნებდა რუსთაველის გამზირით სახლამდე და ძალიან ხშირად სახლში მოსვლა აგვიანდებოდა. დაგვიანებით მოსულს დედა დაეტაკებოდა:

-სად იყავი ამდენ ხანს? კიდევ ნახვამი ხარ?

-თინა! რა ვქნა გზაში ნამოწაფარი შემხვდა, უარი ვერ უთხარი და აქვე “გემოში” თითო ბოთლი დავლიეთ. რასაც მოყვებოდა დედას ტირადები მოსწავლეებზე და მასწავლებლობაზე, სკოლაზე და განათლებაზე.

ცნობილი თამადა

მამა, მის თაობაში ქალაქში ცნობილი თამადა იყო. სუფრას უძღვებოდა არტისტულად, სადღეგრძელოს აღამაზებდა საკუთარი და ცნობილი პოეტების ლექსებით, დიდი შემართებით კითხულობდა ლადო ასათიანის ლექსებს. მთელი გულით მღეროდა გიტარაზე, განსაკუთრებით კარგად გამოდიოდა დუეტი დედასთან ერთად. მისი მეგობრები იყვნენ ასევე ცნობილი თამადები: სიმონიკა სხირტლადე, ტუპია იაშვილი, ვანია კახიძე, პეტეო ბოკერია, კოწო ამაშუკელი და სხვები, რომლებიც ჩვენს ოჯახში ხშირად ყოფილან და მიუხედავად იმისა, რომ მე პატარა ვიყავი, მამა გვერდზე მომისვამდა და ქართული სუფრის წესებს მაზიარებდა. იგი მმოდვრავდა: თამადა უნდა იყოს ყურადღებიანი სუფრის ყველა წევრის მიმართ, რომ ყველამ ერთნაირად კარგად იგრძნოს თავი. რაც შეეხება სადღეგრძელოებს, რასაკვირველია არსებობს ძირითადი სადღეგრძელოები, რომელიც უნდა შესვა და დანარჩენს თითონ სუფრა გიკარნახებს. ყური უნდა უგდო საუბარს და რაც იმ მომენტში აინტერესებს თანამეინახეებს და რაზედაცაა საუბარი, იმაზე უნდა ააწყო სადღეგრძელო.

უყურადღებოდ არავინ დაგრჩეს, თუ დიდი სუფრაა ისე უნდა დააჯგუფო ხალხი, რომ ჯგუფი ერთგვაროვანი იყოს. სადღეგრძელოების მიმდევრობა დიდ წვეულებაზე, წინასწარ უნდა დაგეგმო, არაა სწორი რომ ადგები ამდენი კაცის წინაშე და არ იცი რა უნდა თქვა, ეს სუფრის უპატივცემულობაა. ახლო მეგობრებში კი, რასაკვირველია, სრული იმპროვიზაცია შეგიძლია.

განათლების სამინისტროში ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრები სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდანაც. მამა ინგლისურადაც კარგად თამადაობდა. უხსნიდა მათ ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილის, ქართული სუფრის ტრადიციებს. ერთხელ ასეთ სუფრას მეც ვესწრებოდი და მამამ ინგლისურად წარმოსთქვა მშობლების სადღეგრძელო, რომელიც

ღიმილით ასე დაასრულა ინგლისურად (ოღონდ თარგმანს ნუ მომთხოვთ):

-მშობელს, საკუთარი ხელის გულზე, ერბოკვერცხი რომ შეუწვა, მაინც ვერ გადაიხდი მის ამაგს - გაოგნებული უცხოელი სტუმრები, ხელის გულზე იხედებოდენ, თითქოს ვინმე მართლაც თხოვდა ერბოკვერცხის შეწვას.

-რაც მთავარია, თამადა რომ ხარ, უნდა დაიხარჯო, რაც მეტ სიყვარულს და ენერჯიას გაიღებ, მით უფრო მეტად დაიმორჩილებ და დაგაფასებს სუფრა, იტყოდა ბოლოს.

მე კი, სმით არ მასმევდა. ძველ ხალხურ სიბრძნეს მოიშველიებდა: “ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვედესო, ყმაწვილს სუნი მიუვიდეს ღმერთს თაყვანი სცესო”.



უცხოელებთან სუფრაზე

ჩემზე განუმეორებელი შთაბეჭდილება დატოვა მამას მეგობრების ქეიფებმა, სუფრის მიმდინარეობის კულტურით, მჭერმეტყველებით, სიმღერებით და დახვეწილი იუმორით.

ცოცხალი რეპროდუქტორი

მისი მეგობრები, შალიკო მაჭავარიანი და ემელიან გიორგაძე რომ მოდიოდნენ, მეზობლებს ოპერის თეატრიდან ტრანსლაცია ეგონათ, იმდენ არიებს მღეროდნენ. ერთი ასეთი ხუმრობასავით ეპიზოდს გავისხენებ, ამასთან დაკავშირებით. ერთხელ შალიკო მაჭავარიანი მღეროდა მის საყვარელ არიას ოპერიდან “ჯამბაზები”. მაშინ რადიომიმღებები არ იყო და ყველას ქსელის, მრგვალი შავი, მუყაოს რეპროდუქტორები ჰქონდათ სახლებში, რომლებმაც ნამდვილად ომი მოაგებინა საბჭოთა კავშირს, როგორც, საბჭოთა პროპაგანდის უმძლავრესმა საშუალებამ. მთელი ქვეყანა, ფრონტიდან ახალი ამბების მოლოდინში, მიმჯდარი იყო ხუთი წელი ამ რეპროდუქტორებთან. ჩვენმა მეზობელმა, ლილი კობალაძემ გაიგონა არია, შევარდა სახლში და ჩართო რეპროდუქტორი. იქ კოლმეურნეობის მიღწევებზე იყო

საუბარი. გამოვიდა გარეთ და ხმა ჩვენი ბინიდან გამოდიოდა. დედას დაუძახა და კითხა:

-თინა ერთი მითხარი რა რადიო გიდგათ ასეთი, ჩემთან რომ ლაპარაკობს და შენთან რომ მღერის? დედამ შემოიპატიჯა სახლში ლილი და დაანახა “მომღერალი რეპროდუქტორი” შალიკო მაჭავარიანი.

მოქეიფე უშინსკი

ცნობილი ქართველი რეჟისორი, ლელიკო ხოტივარი, მოსკოვში სასტუმრო: “უკრაინაში” შეასახლეს ნომერში მამასთან, რომელსაც მაშინ შორიდან იცნობდა. ერთ დღეს, მამას ესტუმრა ძმისშვილი თენგიზ ფერაძე და მისი მეგობარი, ასევე მამას ნამოწაფარი- დევი კაციტაძე, რომლებიც მოსკოვში იყვნენ მივლინებით. მამამ სახელდახელოდ სუფრა გაუშალა. კარგადაც მოუღხინეს.

ბატონ ლელიკოს უთქვამს :

-როცა სასტუმროში მათავსებდენ, მითხრეს ამ ნომერში პედაგოგი ცხოვრობსო. მე გამეხარდა, ვიფიქრე ცოტას მაინც დავისვენებ, არ დავლევ მეთქი. მას თბილისში ისეთი სახელი ქონდა, რომ... მე, ბატონი ბიძინა კომენსკი თუ არა უშინსკი მაინც მეგონა! რა ვიცოდი თუ ასეთი მოქეიფე კაცი იყო. ყოველ საღამოს ვქეიფობთ, ძალიან საინტერესო და განათლებული თანამესუფრეა”.

ამ მივლინების მერე ბატონი ლელიკო და მამა დიდი მეგობრები გახდნენ.

მამას ხშირად მოჰყავდა სახლში მისი ნამოწაფრები:

-აი, თინა გაიცანი, ეს ჩემი ნამოწაფარია. რესტორანში მეპატიუებოდა, მაგრამ რომ არ დამეგვიანა, სახლში დავპატიუე და აბა შენ იცი ესლა, დატრიალდი.

აქვე მინდა გავიხსენო დედაჩემის უკვე საკმაოდ გავრცელებული ერთი მოგონება, მამას ნამოწაფართან დაკავშირებით.

გადანახულება

ერთ დღეს მამა მოვიდა სამსახურიდან დროზე. დედა გაემზადა სუფრის გასაშლელად, მაგრამ მამამ დაიწყო სუფთა პერანგის ძებნა.

-სად მიბრძანდები? ჰკითხა დედამ.

-თინა! მანქანაში ჩემი ნამოწაფარი მელოდება, გივი სურვილაძე, ცოლი მოყავს და ქალის გადანახულებაზე მიყვარ. დედა ჩადგა კარებში: ჩადი ახლავე ამოიყვანე ის შენი ნამოწაფარი აქ. მე შემხედოს, შენს არჩევანს და თუ მაგან შენ

ქალის ასარჩევად წაგიყვანოს მერე ვნახოთ! როგორც აღვნიშნე დედას კომპლექსი ჰქონდა მის მოღუნულ ცხვირზე და თავის გარეგნობას კრიტიკულად, მაგრამ იუმორით უყურებდა.

საინგილო

მამა იყო თავგადაღებული პატრიოტი.

1943 წელს, გაგანია ომის დროს, სტალინმა გადაწყვიტა საინგილოში გაეხსნა დამატებითი ქართული სკოლები და გაეგზავნა საუკეთესო მასწავლებლები, იქაური მოსახლეობის პროქართულ ორიენტაციაზე გადმოსაყვანად. მამა ერთ ერთი პირველი გამოეხმაურა სტალინის მოწოდებას და სხვა პედაგოგების ოჯახებთან ერთად, მთელი ოჯახი გავემგზავრეთ კახში, სადაც მამა სასწავლო ნაწილის გამგე, ხოლო დედა ქართულ ენას და სიმღერას ასწავლიდა ინგილო ბავშვებს.

საინგილოში მასწავლებლების გაგზავნის ნამდვილი მიზნების შესახებ, მამას ნამოწაფარმა, პროფესორმა დევი კაციტაძემ, მეტად საყურადღებო ცნობები მომაწოდა. მან მოგვიანებით, როგორც ისტორიკოსმა, ერთ ერთი ხელმძღვანელი მუშაკიდან შეიტყო, ქართველი მასწავლებლების საინგილოში გაგზავნის



1944 წ. ქართველები საინგილოში
უსმენენ ქართულ სიმღერას

რეალური მიზნები. სტალინს უნდოდა ნიადაგი შეემზადებია საინგილოს მხარის, საქართველოსთვის დასაბრუნებლად. პირველ რიგში საჭირო იყო იქ მცხოვრები ინგილო-ქართველების, ეროვნული ცნობიერების ამადლება. შემდგომ ეტაპზე, იქაურ მოსახლეობას უნდა დაეწყოთ ხელმოწერების შეგროვება და მოსკოვში გაგზავნა, საინგილოს, კვლავ საქართველოსთან მისაერთებლად.

მართლაც წელიწადნახევრის, თუ ორი წლის შემდეგ, კანდიდ ხარკვიანი, საქართველოს ცეკას მდივანი, ვიქტორ კუპრაძე და ირაკლი კვაჭაძე ჩასულან ბაქოში.

აზერბაიჯანის პირველ მდივანს, მბაგიროვს ისინი კარგად მიუღია, საინგილოს მოსახლეობის მოთხოვნასაც გაცნობია და ხარკვიანისთვის უთქვამს:

-კანდიდ ნესტოროვიჩი! ჩვენ ხომ მეზობლები და მეგობრები ვართ? ამაზე როგორ გაწყენინებთ?! რა არის საინგილოს ტერიტორია, წაიდეთ! მაგრამ ამას რა ვუყო? და უჯრიდან ამოიღო ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობის, მრავალრიცხოვანი თხოვნა ქართული მიწების აზერბაიჯანთან მიერთების შესახებ. ხარკვიანი ვერ დათანხმდა ამ გაცვლაზე, ლ.პბერიას უნდა მოგველაპარაკო და სასწრაფოდ დატოვა ბაქო. ბერიამ სტალინს მოახსენა ამის შესახებ და მისგან ასეთი პასუხი მიუღია:

-ახლა სხვა პრობლემები გვაქვს და ცოტა მოვიცადოთ!

მოვიცადეთ და დღემდე ჩვენი თაობაც ვიცდით!

სხვა რა გქნათ?

საინგილოში წამსვლელ მასწავლებლებს განსაკუთრებული პირობების შექმნას შეპირდნენ, მაგრამ შეპირება შეპირებად დარჩა და ჩვენმა ოჯახმა თითქმის ორი წელი მძიმე პირობებში თხილზე, კაკალზე და ვაშლზე გადავიარეთ. ეტყობა გაჭირვების და ექსტრემული პირობების გამო იქ ყოფნა, სწორედ ამ პერიოდთან კარგად მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ მე მხოლოდ 4 წლისა ვიყავი. აქვე საინგილოში მოგვისწრო ომის დამთავრებამაც.

ჩვენი ოჯახის ისტორია შემონახულია ლექსებში, რომელსაც მამა ყოველივე ღირსშესანიშნავ მოვლენას არაჩვეულებრივი იუმორით ლექსავდა. ასეა აღწერილი დილა ჩვენს ოჯახში (როგორ დაერეოდა დილით დედა ჯერ დედამისს, მერე დეიდებს, მერე ბავშვებს და ბოლოს ბიძინას), ერთი პოემა მიუძღვნა პარმენ ქაჯაიას (ცნობილი მე-7 ვაჟთა სკოლის დირექტორი, რომელზედაც ნიაზ დიასამიძემაც გაავრცელა ანგდოტები) “პარმენის მოგზაურობა სამეგრელოში” - სკოლისათვის ცოცხების ჩამოსატანად, ტრაგიკომედია - ალიოშა ავალიანის და ჟორა მგალობლიშვილის (მისი მეგობარი პედაგოგების) მოსწავლეების ექსკურსიაზე წაყვანას მიეძღვნა, სადაც მატარებელში ჩაჯდომამდე მათი უგონოდ დათრობა და სახლში, მოსწავლეების მიერ, უკანვე მოცილება იყო აღწერილი. და რასაკვირველია საინგილოში, კახში ცხოვრების ძნელ პერიოდსაც, რამოდენიმე იუმორისტული პოემა აქვს მიძღვნილი. ამ პოემების შინაარსის შესახებ, მათი დასათაურებიდანაც ცხადი ხდება: “ქათმისტყაოსანი”, “ტანისფხანოსანი”, კახის

სკოლის კედლის გაზეთში გამოქვეყნებული ლექსი “ოროსანის სიმღერა” და სხვა

ეს ლექსები ოჯახის რელიქვიაა და სათუთად ვინახავთ.

საინგილოში მცხოვრები ქართველები მაშინაც მოწყვეტილი იყვნენ სამშობლოს. ისინი ბავშვებს უცნაურ სახელებს არქმევდნენ. გავრცელებულ სახელებად რატომღაც ქალაქის სახელებს არჩევდნენ. ჩვეულებრივი იყო მოსკოვი ყურაშვილი, ხარკოვი ჯანაშვილი, თბილისი, ქუთაისი, ფილადელფია, ლეიტენანტი, მანუფაქტურა და სხვა.

ერთხელაც საბარგო მანქანით მივიღოდი მეზობელ სოფელში და საბურავი ჩაგვეფუშა. მძღოლმა ამოგეძახა: ბატონო ბიძინა! დომკრავი დევეს მანდ და მომაწოდეთ. მამამ გადასძახა: ჩუმად ბიჭო! დამკრავი აღარ ახსენო, თორემ გარშემო ინგილოებმა რომ გაიგონ ხვალვე რომელიმე ბავშვს დომკრავს დაარქმევენო. მამამ ბევრი ინგილო მონათლა, მოსწავლეებს ქართული სახელები შეურჩია და ქალაქების სახელებიანი ბავშვების მაგივრად გაჩნდნენ: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, თამარი, ნინო, გიორგი, ცოტნე!

მართალია, იმ ხანად სტალინის სურვილი ვერ შესრულდა, მაგრამ ჩვენმა პატრიოტმა პედაგოგებმა, მათი მისია პირნათლად შეასრულეს და მართლაც გაუღვიძეს ინგილოებს, მათ გულებში მბუხტავი სამშობლოს სიყვარული. მე კარგად მახსოვს ჩვენი თბილისში დაბრუნების მერე, რამოდენიმე წელი, დედას და მამას ინგილო ნამოწაფრები, ყოველ შემოდგომას, ერთი დღით შემოირბენდნენ “ბიძინა მასწ-თან” და საინგილოს უნაყოფიერესი მიწის განუმეორებელი გემოს ხილს, კაკალს და თაფლს მოგვიტანდნენ.

ოჯახური “იუმორინა”

ჩვენს ოჯახში მუდმივი პაექრობა მიმდინარეობდა ორ, განსხვავებულ იუმორის სკოლას შორის. ჟორჟოლიანების, ცეცხლოვან, კუთხურ-გურულ სკოლასა და ფერაძეების შედარებით დახვეწილ, ინტელექტუალურ-ინგლისურ იუმორს შორის. თუ კი ხშირად, წუთიერად, ჟორჟოლიანების მწარე, სარკასტული იუმორი იმარჯვებდა, ეს დედას ენერჯის წყალობით ხდებოდა. მამა ყოველთვის დათმობაზე მიდიოდა, მაგრამ მეორე დღესვე ჩნდებოდა მისი ახალი ოპუსი-პოემა, დახვეწილი იუმორით შეზავებული და გალექსილი, გუშინ მომხდარ მოვლენსათან დაკავშირებით, რაც არა მარტო ამ მოვლენის მომსწრეთა დიდ მოწონებას იმსახურებდა, არამედ ოჯახის ლექსად შემონახულ ისტორიაშიც იკავებდა ჯეროვან ადგილს. ამ პოემების “განხილვა” ოჯახურ საბჭოზე მიმდინარეობდა და მათი პირველი დამფასებლები მე, ვია და განსაკუთრებით, ბებიები ივნენ, რადგანაც ამ ლექსებში ისინი

ყოველთვის დანაგრულის როლში გამოდიოდენ და ბიძინა მათ ლექსებში ყოველთვის ექომაგებოდა.

იუმორი გახდა ჩვენ ოჯახში ურთიერთობის ნორმა, თავდასხმის და თავდაცვის საშუალება. დედა - მამა,, მე და გია, ბებიებიც არ აკლებდენ რუსულ-ფრანგულ იუმორის მარგალიტებს და იუმორი, ჭირში თუ ღხინში, ჩვენ ყოფას ალამაზებდა.

ყვაილების ქვეყანა

მე-20 საუკუნის საუკეთესო ქალაქური ეპოსის სიმღერად აღიარებულია მამაჩემის ლექსზე დაწერილი ”ყვაილების ქვეყანა”. საინტერესოა მისი შექმნის ისტორია.

1946 წელს ჩვენი ოჯახი ისვენებდა დაბა წყნეთში. მე გავხდი ავად და დედამ გამოაგზავნა მამაჩემი თბილისში სტრუპტოციდის და კარაქის საყიდლად. მაშინ პენიცილინი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი (იგი ფლემინგმა 1948 წელს დააპატენტა) და სტრუპტოციდის აბებიც პედაგოგის ერთი თვის ხელფასი ღირდა.

მამა მასწავლებელი იყო და როგორც დღეს, მაშინაც მასწავლებლებს საკმაოდ უჭირდათ. თბილისში ჩასვლისას მამას პირველი ამოცანა იყო ფულის სესხება. ჩამოსვლისთანავე ვერაზე შემოხვდა მისი მეგობარი, ჯანო ბაგრატიონი, მაშინ ერთად-ერთი ცნობილი ორკესტრის, “ჯანოს ჯახის” ხელმძღვანელი. ჯანომ იცოდა, რომ ბიძინა წერდა ლექსებს. გაიგო მისი გასაჭირი და შესთავაზა:

-გოგი ვასაძემ კარგი მელოდია მოიტანა და წამოდი მოისმინე, ტექსტი არა გვაქვს. თუ ტექსტს დაწერ, ჰონორარსაც გამოგიწერ ავანსად.

ჩავიდნენ გოფილექტში (ფილარმონიაში, პლენხანოვზე), მამამ მოისმინა მელოდია და დაწერა ლექსი: “ყვაილების მეუფე”, რომელიც ბატონმა ჯანომ პირველად იმღერა ქუთაისში გასტროლებზე და პირველსავე დღეს 15 ჯერ ბისზე გაამეორებინეს.

ასე დაიწყო ამ სიმღერამ სვლა ქართველი კაცის გულებისაკენ და მისი განსაკუთრებული პოეტური მუხტის წყალობით მე-20 საუკუნის ყველაზე პოპულარული სიმღერა გახდა.

მე არ ჩაგრეულვარ და არც მქონდა რაიმე უფლება ჩაგრეულიყავი ორ ოჯახს შორის დავაში მუსიკის ავტორობაზე, მაგრამ მე რაც მახსოვს მამასგან, ზუსტად ისე მოვიყვანე ბატონი ჯანოს სიტყვები.

ტექსტზე არაეინ დაობდა. მხოლოდ ერთხელ, როდესაც 60-იან წლებში გამოვიდა “ორერას” ფირფიტა და ეწერა: “ტექსტი ხალხური”. დედამ საჩივარი შეიტანა და მთავლიტიდან აიღო ოფიციალური ცნობა, რომ:

“ყვაილები ქვეყანის” ტექსტის ავტორი, არის ბიძინა ფერაძე.
აქვე მინდა მოვიყვანო, მამას დაწერილი პირველი ტექსტი, რომელიც თავისთავად მშვენიერი პოეზიის ნიმუშია და რომლის პოეტურმა, სამიჯნურო მუხტმა ადვილად მონახა გზა ქართველების გულებისაკენ:

ყვაილების მეუფე.

Ъвавилебис меуфев, явални дамизiane,
Гицди айар модихар, ратом даигвиане.
Шенявис дакрефили маывс, нарнари ъвавилеби,
Минда гулзе дагакра, вия ламази йилеби.
Аи, рисявис дагеьeb, ратом давиареби
Да ратом меландеба, шени гишрис явалеби.
Маграм шен ар гиъварвар, ром айар мекареби,
Шени явалебис ешхи нетав рад даинане
Нетав ахла вис умзер мияхари геяаъване.
Ме миъуре, мхолод ме, макмаре рац мащвале,
Чемо гулис саунзев шенс явалебс венацвале.
Шенс лодинши щалкоти човивия шемовиаре,
Гицди да ар мохведи, ратом даигвиане.
Ъвавилебис ывеъана, човивия шемовиаре,
Ром мияхар мале мовал...
Ратом даигвиане.

მაშ ასე, მე რომ ავად არ გავმხდარიყავი, ეს სიმღერაც ალბათ სულ სხვა ტექსტით იქნებოდა და დარწმუნებული ვარ ესეთ პოპულარობას ვერ მოიპოვებდა.

ეს ლექსი 1946 წელს დაიწერა, როდესაც გია ჯერ კიდევ დაბადებული არ იყო, მაგრამ ჩვენ ოჯახში დედა და მამა ყოველთვის მღეროდა ამ სიმღერას და ჩვენ ფაქტიურად ამ სიმღერაზე გავიზარდეთ. მოგვიანებით კი, ციხეში მჯდომმა გიამ, სამშობლოდან მოშორებით, რადიოში მოისმინა “ორერას” რუსულად ნამღერი “ყვაილების ქვეყანა” და რასაკვირველია მამა გაახსენდა, ისე როგორც მე, დღემდე სადმე რესტორანში ან რადიოში ამ სიმღერის გაგონებისას, სულ მამა მიდგას თვალწინ. გიამ იმ შორეულ ციმბირში, ლექსით გამოხატა მისი ემოცია.

ჩემს საყვარელ მამას!

*უკრავს შენი მელოდია
იაკუტის მიწა წყალზე.*

დიდი ხნის წინ რომ დაწერე,
ყვავილების ქვეყანაზე.

“ყვავილების მეუფე,
თვალნი დამიზიანე,
რომ მითხარ მალე მოვალ,
რატომ დაიგვიანე”.

თქვენგან ეხლა რა შორსა ვარ,
მავრამ მამა მიღვას თვალწინ,
ეს სიმღერა უკვდავია,
როგორც ახლა, ისეც მაშინ.

მამა, სანამ მე ვსულდგმულობ,
ეს სიმღერა არ მოკვდება,
მე წაგალ და როგორც გვარი
ზუსტად ისე გაგრძელდება.

“შენთვის დაკრეფილი მაქვს,
ნარნარი ყვავილები,
მინდა გულზე დაგაკრა,
ვით ლამაზი ღილები”.

სანამ ყვეყნად იქნება
ველი, მდელო, ეს ყანა,
იქამდე იარსებებს
“ყვავილების ყვეყანა”

“ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე”,
ეხლა ვნანობ მამიკო, კოცნა დაგიგვიანე...
რის თვალები, რის თავი...
გული დამიზიანე.
იაკუტია 1989

მამა იყო უადრესად დიდი პატრიოტი. მას ბევრი ლექსი აქვს დაწერილი საქართველოზე, სიყვარულზე და სტალინზე, რომელსაც პატივს ცემდა, რადგანაც მან მთელ მსოფლიოს გააცნო ერთი ბეწო ქვეყანა, საქართველო, რომელიც ატლასზეც ძლივს ჩანსო.

ცრემლმორეული რაინდი

მამას ხშირად აღგებოდა ცრემლები, განსაკუთრებით, როდესაც რაიმე ძალზე მნიშვნელოვანი სასიხარულო რამ ხდებოდა. მაგალითად, ნონა დაფრინდაშვილი რომ თამაშობდა

ბიკოვასთან მატჩს მსოფლიო პირველობაზე, მამა მიმჯდარი იყო რადიომიმღებთან და ყოველი გამარჯვების მერე გამორბოდა მეორე ოთახში ცრემლმორეული თვალებით და ლამის ქვითინით გვახარებდა:

-ნონამ მოიგო! ნონამ მოიგო!

“ტერორისტის” მორჯულება

გულჩვილი კაცი იყო, მაგრამ მტრისას მისი გაბრაზება. მახსოვს ერთი ისტორია სკოლის პერიოდის. ჩვენ სკოლაში ჩემზე წინ სწავლობდა ერთი “აცვენილი” მოსწავლე, ვინმე ჭელიძე, რომელიც დანას ატარებდა, რაც მაშინდელ ახალგაზრდობაში იშვიათობა იყო. ამ ჭელიძემ ერთხელ მძევლად აიყვანა სკოლის ერთი სიმპატიური ახალგაზრდა ინგლისურის მასწავლებელი, ქეთო ბრეგვაძე, (რომელიც არა მარტო ჭელიძეს, მთელ სკოლას მოსწონდა) და მასთან ერთად ჩაიკეტა ერთ-ერთ საკლასო ოთახში.

ვერავინ ბედავდა საკლასო ოთახში შესვლას, რადგანაც ჭელიძე იმუქრებოდა, რომ დანით დაჭრიდა ქეთო მასწავლებელს, როგორც შემდგომ გაირკვა იგი ასეთი ხერხით სიყვარულს უხსნიდა მასწავლებელს.

მამას გაუგია ამის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჭელიძე მისი მოსწავლე არ იყო, მისულა. შესულა იმ ოთახში და ორიოდ წუთის მერე წყნარად გამოუყვანია დარცხვენილი ჭელიძე. რა ელაპარაკა, როგორ ჩამოართვა დანა, არავინ იცოდა. შემდგომ კი, მამა თავდებად დაუდგა და სკოლიდან არ გაარიცხია, იმ დროის საზომით, დიდი დანაშაულის ჩამდენი მოსწავლე.

მურდალი ხუმრობა

ბევრ საკითხში მამა კონსერვატორი იყო.

მე მაშინ საქართველოს ნაკრებში ვიყავი საიალქნო სპორტში და ხშირად დავდიოდი ბალტიისპირეთში შეჯიბრზე. ერთხელ სახლში არ ვიყავი და მამა, ჩემ მეგობარ რამაზ დათუნაშვილთან ერთად სადილობდა. მამა ეკითხება რამაზს:

-შიელო რამაზ! რაღაც ძალიან ხშირად დებულობს შენი ძმაკაცი ტალინიდან წერილებს, ვიღაც ენე წერს ყოველკვირა, ხომ არ იცი რა ხდება ჩვენს თავს?

რამაზის ორი ჭიქა უკვე დაღეული ჰქონდა, თუმცა ფხიზელმაც საკმაოდ მურტალი ხუმრობები იცოდა.

-როგორ! ბიძინა ბიძია, არ უთქვამს, ილიკოს ცოლი რომ მოყავს ესტონეთიდან? ძალიან ლამაზი გოგოა!. სერიოზული სახით ამბობდა რამაზი, რომელსაც სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მამამ ისე ძლიერად დაარტყა მუშტი მაგიდას, რომ თეფშებთან ერთად, რამაზიც წამოხტა სკამიდან:

-ბიძინა ფერადის შვილი ამ ოჯახში უცხო ტომის ქალს ვერ შემოიყვანს, ასე გადაეცი იმ შენ კაზანოვა ძმაცაც!

რამაზი შეშინდა, რადგან ცუდად იმოქმედა მამაზე მისმა ხუმრობამ და დიდხანს მოუწია იმის ახსნა, რომ ეს ყველაფერი მისი მოგონილი იყო.



ფერადების ოჯახი

პედაგოგობასთან ერთად, მამა იყო ერთ ერთი პირველი ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ავტორი უფროსკლასელთათვის, რომელზედაც მრავალი წლის განმავლობაში იზრდებოდნენ თაობები და თუ მივიღებთ ამას მხედველობაში, (არა პირდაპირ, არამედ ირიბად), მამა მართლაც მთელ საქართველოს ასწავლიდა ინგლისურს. ახლაც კარგად მახსოვს ბაბუ-ნინას კრახმალდიან მოხარშული წეპოს სუნი, რომლითაც მამა აწეპებდა წინასწარ მომზადებულ ტექსტებს და ნახატებს, ახალი წიგნის გვერდებზე, ამ პროცედურაში დიდი ინტერესით მონაწილეობდა მთელი ოჯახი, ზოგი სურათებს და ძველ ტექსტებს ჭრიდა, ზოგიც ახარისხებდა და ნომრავდა.

მამა იყო უკონფლიქტო კაცი, ყოველთვის ერიდებოდა ოჯახში უსიამოვნებას და ამით ცხადია სარგებლობდა ჩვენი გურული დედა, რომელიც ხშირად ელვისებურ უტყველა მას, თუნდაც უმნიშვნელო საკითხებზე.

მამა დაჯილდოვებული იყო ინტელიგენტური ინგლისური იუმორის გრძნობით. მისი იუმორი უფრო სარკასტული, მაგრამ ზუსტი და უწყინარი იყო. მის ქილიკზე არავინ, არასდროს ბრაზდებოდა.

დებდემონა ჟორჟოლიანი

როდესაც დედა გაჰყვა ბიძინას, რომელსაც, თურმე ბევრი ქალიშვილი უბრიალებდა თვალებს, ქმარს ნელნელა შეაპარა, რომ ბავშვობიდან ოცნებობდა მსახიობობაზე. მისი თქმით: მამას და სანდროს ნათესავები ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სესილია თაყაიშვილი მას დიდ სამსახიობო მომავალს უწინასწარ-მეტყველებდნენ. მამამ უპასუხა:



თინა და ბიძინა ზღვაზე

-მერე არ გაშინებს ხშირად როლის გარეშე რომ მოვიწვევს დარჩენა? ამდენი კუდიანი ქალების და როკაპების როლები სადაა პიესებში და მეორეც, ვთქვათ და მიადწიო დეზდემონას როლს, მერე რას შვრები. ოტელო რომ ღამის პერანგში დაგინახავს საწოლში, ხომ მართლა დაგახრჩობს და იქ დამთავრდება ყველაფერიო.

ჯანსუღ კახიძის ძეობა

მამას უბნელი და ახლო მეგობარი იყო, ჯანსუღ კახიძის მამა ვანიჩკა კახიძე.

როდესაც ჯანო დაიბადა, სულ მთლად ქათქათა თეთრი, თითქმის ალბინოსი ყოფილა, არც მერე გამხდარა მაინც და მაინც შავტუხა. მამას ძეობაზე სანუქრად, მუქი ფერის ზეწრები მიუტანია :

-ბავშვი ლოგინში არ დაგეკარგოთ და დაფერთხვისას, ზეწარს არ გააყოლოთო.

უძვირფასესი რელიქვია

როგორც აღვნიშნე, მშობლები ხშირად დადიოდნენ სტუმრად და აქ ფუნქციები ჰქონდათ განაწილებული. მამა, როგორც წესი იყო თამადა და დედა კი კულტმასიური ღონისძიებების სულისჩამდგმელი.

სტუმრად ყოფნისას, განსაკუთრებით ანეგლოტების მოყოლისას დედა მარილიან, კუთხურ გამოთქმებს არ ერიდებოდა, რაც მამას არც თუ ძალიან მოსწონდა, მაგრამ ეტყობა მაინც ეამაყებოდა, რომ დედა არაჩვეულებრივი მომყოლი იყო, კარგად იცოდა

საქართველოს ყველა კუთხის დიალექტი და ნებისმიერი ადამიანის იმიტაციას ნიჭიერად ასრულებდა.

ამ ანეგდოტების უშრეტ წყაროს, როგორც შემდეგ გაირკვა, არა მარტო დედას, არამედ მთელი ოჯახის განსაკუთრებულ უძვირფასეს რელიქვიას წარმოადგენდა ანეგდოტების ბლოკნოტი, რომელსაც არ იშორებდა, ყველგან თან დაჰქონდა და პირველივე შემთხვევისას ახალით ავსებდა. დაახლოებით 800 მდე ანეგდოტი ჰქონდა შეგროვლი, დახარისხებული თემატიკის მიხედვით, პროფესიების, საქართველოს კუთხეების მიხედვით (რაჭველებზე, კახელებზე, ექიმებზე, კინტოებზე და სხვა) და ჩაწერილი მხოლოდ მისთვის ცნობილი საკვანძო ფრაზებით. ამ ბლოკნოტით დადიოდა იგი შეხვედრებზე, სტუმრად, სამსახურში. ერთ მშვენიერ დღეს მოვედი სახლში და ვხედავ: მამა ამძვრალია კარადის თავზე, დედა შემძვრალა ლოგინის ქვეშ ცოცხით, რაღაცას ეძებენ გამწარებულები. ბებიები სამზარეულოში შეყუჟულან და შეშინებული ერთმანეთს შეჰყურებენ. რა ხდება? ვიკითხე. ბლოკნოტი დაიკარგა, ჩურჩულით მითხრა ბებია და მირჩია ჩუმიად ვყოფილიყავი. მერე მთელი ოჯახი ჩაერთო ბლოკნოტის ძებნაში, მაგრამ უშედეგოდ.

ოჯახი გლოვამ მოიცვა. ხუმრობა საქმეა? ამდენი წლის ნაშრომი წყალში ჩაიყარა. სახლში ფეხაკრეფით დავდიოდით და ვცდილობდით დედას თვალსაწიერში არ მოვხვედრილიყავით. გავიდა რამოდენიმე დღე.

გვიანი სადამოა. ვბრუნდები სახლში და კიბეებზე მესმის ჩემი მშობლების ხარხარი. შევშინდი. ვიფიქრე ხომ არ გარეკეს მეთქი. კიბეები ავირბინე. შევედი ოთახში და რას ვხედავ. მაგიდაზე გაშლილია ქალაღლები, დედ-მამა მაგიდასთან სხედან და ერთად იგონებენ დაკარგულ ანეგდოტებს და ერთადაც გემრიელად ხარხარებდნენ.

-აი, კინტო, რომ ზაგესში მიდიოდა და ხარხარი...

-აი, გახსოვს მეგრელი, რომ გოჭს ეძებდა.....და ისევ ხარხარი, ანეგდოტს აღარ აბოლოვებდნენ და სიცილ-სიცილით იწერდნენ ბლოკნოტში საკვანძო ფრაზებს. რამოდენიმე დღე, მამა დაუგვიანებლად ბრუნდებოდა სახლში და კვლავ იწყებოდა დღის განმავლობაში გახსენებული ანეგდოტების ჩაწერა. იგი ამბობდა:

-აღარ შემიძლია, სამსახურში ვეღარ ვმუშაობ წესიერად. ყოველ სიტყვაზე, რაღაც ახალი ანეგდოტი მახსენდება და მარტო, სულელივით ვიცინი. თანამშრომლებს გონიათ, რომ მე ცოტას ვაფრენ. დროზე უნდა მოვრჩეთ ამ რელიქვიის რესტავრაციას.

სამიოდ დღის შემდეგ ხუთასამდე ანეგდოტი ადადგინეს და ოჯახში საგანგებო რეჟიმიც მოიხსნა, მშვიდობა დამყარდა. მამამ მოისვენა, ბებიებს ხმის ამოდების უფლება მიეცათ და ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

დღის გარდაცვალების შემდეგ მის ქალაქებში აღმოვაჩინე მრავალგზის აღდგენილი, გადაწერ-გადმოწერილი ანეგდოტების ახალი ბლოკნოტი, მაგრამ 4-5 ანეგდოტის მეტი ვერ გავშიფრე.

ამ ანეგდოტების შიფრების საიდუმლო, დედანემმა თან გაიყოლია.

მამა გულჩვილი კაცი იყო მეოქი ვახსენე და საბოლოოდ სწორედ გულმა უღალატა. წინა დღით ნათამადარი, მეორე დღეს სამსახურიდან დაბრუნებული, ტელევიზორის ყურებისას გარდაიცვალა.

ტელევიზორში გულის ოპერაციას უჩვენებდნენ და ქირურგს ადამიანის მფეთქავი გული ხელში ეჭირა. ამის შემხედვარე მამა ცუდად გახდა:

-ეს რა საშინელებაა! როგორ შეიძლება ამის ტელევიზორით ჩვენება?

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

გავიდა მეორე ოთახში და 10 წუთში გარდაიცვალა, 53 წლის ასაკში .

ეს იყო 1965 წლის 20 დეკემბერი. ეს სურათი კი მისი გარდაცვალების მეორე დღეს დახატა მისმა ნამოწაფარმა, იაკობ ნიკოლაძის სიძემ ვახტანგ (ბუცო) მანჯავიძემ.

მე ვერ ვიტვირთავ ცოდვას და ვერ დავადანაშაულებ პირდაპირ, იმდროინდელი ტელეგადაცემის ეთერში გამშვებებს, შესაძლოა ეს ყოფილიყო მხოლოდ ემოციური იმპულსი მამას ორგანიზმში განვითარებული პროცესების დასახქარებლად. მაგრამ, როდესაც დღეს უყურებ ტელევიზიით ამდენ ძალადობას, სისხლს, უბილო, გაწამებული ხალხის ისტერიკას და ცრემლებს, საინფორმაციო პროგრამებში, სადაც ან ვინმეს მოჭრილი თავ-ფეხი, ან გამოფატრული, სისხლში მცურავი მუცელი უნდა გვიჩვენონ, შორი პლანიდან დაწყებული, ნელი მიახლოვებით მსხვილ პლანამდე, მონდომებული რეჟისორების კარნახით, თითქოს, ორგანიზმის შიგნით შედწევასაც ცდილობენ, მამანემი მახსენდება. კიდევ კარგი მას არ მოუწია ამ საშინელებების ცქერა, იგი ამას, რომ ვერ გადაიტანდა ფაქტია, მაგრამ მე ის მიკვირს, ამას ჩვენ რა უემოციოდ უყურებთ, ჩაის სმისას. ალბათ ამაში გამოიხატება ჩვენი ტელევიზიის აღმზრდელობითი ფუნქცია, რომ ჩვენ მაგრები და სხვისი სისხლის და ტანჯვისადმი გულგრილები გავგხადონ და ასეთი “უბრალო” კადრები, რამაც მამაზე იმოქმედა, ჩვენი ცხოვრების



ბუცო მანჯავიძის ნახტი

წყნარ რიტმს აღარ არღვევდენ. შესაძლოა ჩვენგან მადლობასაც ელიან ეს ტელეკომპანიები.

გარდაცვალების ცნობა

მამა გარდაიცვალა 1965 წლის 20 დეკემბერს და ზუსტად იმავე დღეს 30 წლის მერე, 1995 წლის 20 დეკემბერს, მას მიყვა 48 წლის შვილი, ვია ფერაძეც.

ეს თავი მთლად ასე სევდიანად რომ არ დავასრულო, მინდა მიუმატო ერთი მოგონებაც, მაგრამ როგორც თავად მიხვდებით, ეს მოგონება მთლად სასაცილო არაა. ესაა ჩვენი სავალალო წარსულის ერთი ფრაგმენტი.

მეორე დილას, როდესაც ჩვენი რაიონის პოლიკლინიკაში მივედი სასწრაფოს გაცემული ცნობით, სამედიცინო დასკვნის მისაღებად, სადაც ყველამ უკვე იცოდა ჩვენს ოჯახში მომხდარი ტრაგედიის შესახებ, მთავარმა ექიმმა გულით მომისამძიმრა. შემოიყვანა კაბინეტში, მოიხურა დერმანტინის კარები და შეწუხებულმა ამისხნა:

-ჩემო ილიკო! სასწრაფოს ცნობაში წერია, რომ მამა გარდაიცვალა მწვავე ინფარქტით. ინფარქტი კი სოციალური დაავადებაა და ჩვენ ვერიდებით ამ დიაგნოზით ცნობის გაცემას. ზემდგომი ორგანოები მკაცრად აკონტროლებენ რაიონის მასშტაბით სოციალური დაავადებების გავრცელებას და ჩვენ რაიონს, რომ სტატისტიკური მონაცემები არ გაგვიფუჭდეს, თუ შეიძლება მოგცემთ ცნობას, ვითომ მამა ტრომბით გარდაიცვალა.

გლოვისგან ისედაც თავზარდაცემული, ვისმენდი ამ სტატისტიკაზე მზრუნველი თეთრხალათიანი ჩინოვნიკის ტირადას. მესმოდა, თანაც არაფერი მესმოდა. სულაც არ მინდოდა რომ მამას, რომელსაც მთელ ცხოვრებაში არაფერი გაუფუჭებია ამ ქვეყანაზე და სიკეთის მეტი არაფერი უკეთებია, მისი სიკვდილი, ჩვენი სახელოვანი ორჯონიკიძის რაიონის, თუნდაც ერთი უმნიშვნელო პარამეტრის გაუფუჭების საბაბი ყოფილიყო.

აი, რა ქვეყანა დაგვიტოვეს ორჯინიკიძეებმა, კიროვებმა, კალინინებმა და სხვა.... “რაიონდარქმეულმა” კომუნისტებმა, რომელთა შორის ყველაზე პატიოსანი თავისი საქციელით და ჭამის რაციონით, იყო კამო! იგი, ყველა მაღალი რანგის კომუნისტის მაგივრად, მიირთმევედა იმას, რაც სხვა ყველა მათგანსაც ეკუთვნოდა.

დედა: თინა ჟორჟოლიანი



დედა თავის ამპლუაში

წინასწარ დაწერილი ნეკროლოგი.

“თინა სერგოს-ას ჟორჟოლიანი- რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი; ჟურნალისტი-სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი; მწერალი იუმორისტი; რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი; ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული მოღვაწე; შრომის ვეტერანი. ორმოცი წლის უწყვეტი სტაჟი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბიბლიოთეკაში.” აი, ეს რეგალიები ჰქონდა ჩამოწერილი დედას, მისი დატოვებული ლექსების და იუმორესკების ხელნაწერი ჟურნალის პირველ გვერდზე, რომელიც არაერთჯერ ჰქონდა გადაწერილი და ეს გვერდი არასოდეს ავიწყდებოდა. მას არ უნდოდა რომ, მისი რაიმე ნაღვაწი გამოკლებოდა შთამომავლებს, თუ კი მის შესახებ ვინმე დაწერდა პრესაში. როგორც თითონ მწარედ ხუმრობდა, ამას თქვენთვის ვაკეთებ ნეკროლოგის მასალების ძებნაზე რომ არ იწვალათო. ამავე ჟურნალში იყო ჩაკერებული ამ ტიტულატურის დამადასტურებელი წიგნაკებიც.

ბოლო წლებში, დედა ძირითადად სახლში იყო და მამას, ვიას და მისი ლექსების მოწესრიგებით, მასალების გადაწერა-ადდენით იყო დაკავებული. მისი წყალობით შემორჩა დღემდე ოჯახური პოეზიის ნიმუშები, რომელიც შინაურული ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდების, ლექსებში შენახული ისტორიაა. ამ ისტორიებს, რასაკვირველია არა აქვს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებისათვის და შთამომავლებისათვის იგი ფასდაუდებელი განძია.

დედას გამოქვეყნებული აქვს 5 იუმორისტული კრებული ნიანგის ბიბლიოთეკაში, ამას გარდა გაზეთები ხშირად ბეჭდავენ პატარა იუმორისტულ მოთხრობებს, რომლებმაც მკითხველთა მოწონება და პრესის ყურადღება დაიმსახურა. დედას ხშირად პატიჟებდნენ სხვადასხვა ოფიციალურ საღამოებზე, შეხვედრებზე, სადაც იგი ბუნებრივად ექცეოდა ყურადღების ცენტრში. ამ საღამოებზე მისი გამოსვლების შესახებ ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან, აკურატულად ჰქონდა ჩაკრული ერთ-ერთ ჟურნალში. ცალკე ჰქონდა ლექსების ჟურნალი მიძღვნილი მისი მეგობრებისადმი.

მის წიგნებში იგი დასცინოდა ადამიანურ სისუსტეებს, მანკიერებებს, მაგრამ არც თავის თავს ინდობდა და საკუთარ ცხოვრებაზე არანაკლები კრიტიკული იუმორით ყვებოდა.

ჩემოდანში მოყოლილი ცხვირი.

“დავიბადე დიდი არეულობის დროს (1919 წელს). ჩემი მშობლები ქალაქიდან ქალაქში გარბოდნენ და მე ერთად ერთ ქალიშვილს ჩემოდნიდან ჩემოდანში მტენიდნენ. ვფიქრობ ერთ ერთი ასეთი გადარბენის დროს ცხვირი ჩემოდნის სახურავში მომყვა და ფორმა საშინლად იცვალა, რაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მტკივნეულ ადგილად იქცა.”



მამა-შვილი ჟორჟოლიანები

ბავშვობა

ბავშვობა თბილისსა და ოზურგეთში გაატარა. როგორც თითონ იგონებდა, ცელქი ბავშვი ყოფილა და ბიძის, სანდრო ჟორჟოლიანის და მისი მეგობრების: სესილია წუწუნავას, სესილია თაყაიშვილის და ელისაბედ ჩერქეზიშვილის გავლენით, რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ ოჯახს, თავიდანვე ოცნებობდა მსახიობობაზე. იუმორი და არტისტიზმი, არც მის მამას, სერგო ჟორჟოლიანს აკლდა. დედა ბავშვობიდანვე სახლში თითონ აწვობდა სპექტაკლებს და რაც რამე რეკვიზიტი დასჭირდებოდა, დედამისის და ბებია პელაგია ბერეჟიანის გარდერობიდან მიჰქონდა. ამიტომ იყო სულ

დაკარგული ნივთების ძებნა და ყვირილი. ამ იმპროვიზირებულ სპექტაკლებზე იგი სწრაფად გარდაისახებოდა და არანვეულებრივად განასახიერებდა ამა თუ იმ მეზობელს ან სტუმარს. ოჯახში სულ სიცილი და ოხუნჯობა იყო.

მაგრამ “ჩემოდანში მოყოლილი ცხვირის” გამო ვერ გაბედა მისი ოცნების ასრულება და თეატრალურში ჩაბარება. როცა წამოიზარდა, ცოტა იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა, და ბედმა დაარწმუნა, რომ არცთუ ისე უიმედოდ იყო საქმე, როდესაც რომაული პროფილის მქონე, ლამაზი მეგობრების გულის გასახეთქად, რომლებიც თვალებს უჟუჟუნებდნენ ინგლისურის მასწავლებელს, ქალაქში გამორჩეულ კაცს, ბიძინა ფერაძეს, დედამ ჯერ მიიპყრო მისი ყურადღება და შემდეგ ცოლადაც გაჰყვა მას:

-ესე იგი, არც ისე მახინჯი ვყოფილვარ, თუ ასეთმა კაცმა, ამდენ ლამაზ გოგოში მე ამირჩია! ამაყად ამბობდა იგი.

სამედიცინო ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის დამთავრების მერე, 40 წელი იმუშავა სამედიცინო ბიბლიოთეკაში. თუკი ვინმე ძველი თაობის ექიმს



დედა თანამშრომლებთან

ერთი წიგნი მაინც წაუკითხავს ბიბლიოთეკაში, ყველას ახსოვს თინა ჟორჟოლიანი. იგი საჭირო წიგნებით ამარაგებდა მკითხველებს და როგორც თითონ ხუმრობდა, ესმარებოდა დისერტაციების გადაწერ-გადმოწერაში, ამასთან ხშირად, როდესაც შესვენებებისას ექიმები მოსაწვევად გამოდიოდნენ ფოიეში სამკითხველო დარბაზიდან, დაიგულებდა რა საჭირო აუდიტორიას, ცხელ-ცხელ ანეგლოტებს ყვებოდა, რისი უბადლო ოსტატიც იყო.

ექიმები ხუმრობდნენ: ჩვენ რომ ესეთი განათლებულები ვართ, დედათქვენის დამსახურებაა. სპეციალურად საჭიროზე მეტად დავდიოდით ბიბლიოთეკაში, რომ ქალბატონი თინა გვენახა,

ახალ ახალი ანგელოტები მოგვესმინა და შემდგომში ქალაქში გაგვევრცელებია, ამიტომ მეტ ლიტერატურასაც ვეცნობოდით. ბევრს სულ სიცილ-სიცილით დაგვაცვევინა დისერტაციები. საპასუხოდ იგი ექიმების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებებში ყველა კარი ღია იყო მისთვის, შესასვლელი კარიდან დაწყებული, მთლად უფროსის-მთავარი ექიმის დერმანტინის კარით დამთავრებული.

ნიაზი ბიბლიოთეკაში.

ნიაზ დიასამიძე, დედას პირველი კლასის მეგობრის, გუგული დიასამიძის ძმა იყო, რომელიც თითქმის მათი ტოლი იყო. ნიაზი ხშირად მოსულა ღამით ჩვენს ოჯახში, “ბიძინა მასწ”-თან, ვითომდა სკოლის წლების გასახსენებლად და ბავშვობის მეგობრის “ჟორჟოლას” მოსაკითხავად, მაგრამ იცოდა, რომ “ბიძინა მასწ” ისე არ გამოუშვებდა... მას განსაკუთრებული რიდი ჰქონდა მამაჩემის, დედასთან კი დასავით შესუმრებული იყო. მის ენამოსწრებულ რაიმე გამოთქმაზე, არც დედა რჩებოდა ვალში.

-კარგი რა იუზგარ! ერთი სიტყვა მაინც შემარჩინე-ამბობდა ნიაზი.

ერთხელ ნასვამი ნიაზი მისულა დედასთან ბიბლიოთეკაში



ნიაზ დიასამიძე

და უთხოვია წინა დღის გაზეთ “თბილისის” მთელი შეკვრა მომიტანეო. დედას გაკვირვებია:

-რად გინდა ბიჭო მთელი შეკვრა?

-წადი მომიტანე რასაც გეუბნები, თორემ ამ ჩემანალა პროფესორებს ოფოფებს დაუფურთხო.

დედას შეეშინდა, მართლა არ აეტეხა ნიაზს ხმაური და გამოუტანა გაზეთების შეკვრა.

ნიაზმა აიღო გაზეთები და ხმამაღალი დედის გინებით, დაიწყო მათი დახვევა წვრილ წვრილ ნაჭრებად.

ხალხი გაგოჟდა, ყველა მოტრიალდა ნიაზისკენ, დედა დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. როცა გუშინდელი გაზეთების მთელი დასტა, ნაკუწებად აქცია, ცოტა დამშვიდდა და დედას მიმართა:

ჟორჟოლ! ბოდიში. პრაფესორებო ბოდიში! რომ მოვწყვიტეო წიგნებს.

რევერანსი გაუკეთა გაოცებულ მკითხველებს და გაემართა გასასვლელისაკენ. გაკვირვებულმა დედამ გამოაცილა და ჰკითხა

-ბიჭო რამ გადაგრია ამ გაზეთზე. რა წერია შიგ ისეთი?

-რა წერია და ჩემი მეუღლესთან განქორწინების განცხადება გამოუქვეყნებიათ. დავდივარ ყველა ბიბლიოთეკაში და ვსპობ. არ მინდა, რომ ეს ინფორმაცია შთამომავლებს დარჩეთ. ბოლმით ჩაილაპარაკა და წავიდა.

მაშინ მართლაც იყო ასეთი წესი, რომ განქორწინების განცხადება გაზეთ “თბილისში” უნდა გამოქვეყნებულიყო. ნიაზმაც ასე გამოხატა მეუღლესთან დაშორების გულისტკივილი.

“ავადმყოფობის მაძიებელი.”

დედა, რომ ექიმების სიყვარულით სარგებლობდა, სწორედ ეს იქცა ჩემი და გიას ნამდვილ უბედურებად. დედა სულ ცდილობდა სადმე ექიმთან მივეყვანეთ, თუნდაც უბრალო მიზეზით. საავადმყოფოში ან პოლიკლინიკაში მისვლისას ექიმები გარეთ გამოვარდებოდნენ და შემოეხვეოდნენ მას და



ექიმი
ნათელა ქიქოძე

ახალი ანეგლოტების მოყოლას თხოვდენ. ისიც რასაკვირველია ბევრს არ ახვეწებდა, ამოიღებდა თავის ცნობილ ანეგლოტების ბლოკნოტს და იყო ერთი ხორხოცი მის გარშემო. როლში შესულს, სამკურნალოდ მიყვანილი შვილებიც კი ავიწყდებოდა. განსაკუთრებით მონდომებული ოყო ჩემში გულის მანკი აღმოეჩინა, რათა ბევრი არ მეთამაშა კალათბურთი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მის მეგობარს, არაჩვეულებრივ კარდეოლოგს, უსიძპათიურეს ქალბატონ ნათელა ქიქოძეს წინასწარ თხოვდა, რომ ჩემს გასაგონად, გულის რაიმე მძიმე დიაგნოზი დაესვა, მაგრამ ქალბატონი ნათელა არ ღალატობდა ჰიპოკრატეს ფიცს. დედას, გასინჯვისას გარეთ აცდევინებდა, გულდასმით მსინჯავდა და მერე მისივე თანდასწრებით მეუბნებოდა: ძალიან უნდა დედაშენს, რომ ავად იყო, მაგრამ რა ვქნა ჯანმრთელი ხარ და რამდენიც გინდა ითამაშე კალათბურთი.

მასხენდება ერთი შემთხვევაც. მე ყოველთვის გამხდარი ვიყავი და ალბათ, ამიტომაც დედა ხშირად ცდილობდა საექიმო შემოწმება ჩაეტარებია ჩემთვის. ამიტომაც მიმიყვანა კარდეოლოგიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორი იყო, ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი, ბატონი ვახტანგ (ლუტუ) ქავთარაძე. არაჩვეულებრივი ექიმი, არაჩვეულებრივი იუმორით დაჯილდოვებული ადამიანი. ბატონმა ლუტუმ მოუსმინა დედას, მერე თხოვა, გარეთ დაეცადა, მომიბრუნდა მე და მეკითხება:

-გაწუხებს რამე შვილო?

მე მხრები ავიჩეხე. იცნობდა რა დედაჩემს, ყველაფერს მიხვდა.

-რახან მოხვედი, მოდი გული მოვისმინოთ-მითხრა მან და პერანგი ამოწია. დამადლო სტეტოსკოპი გულმკერდის არეზე გასინჯვის ტრადიციული: ჩაისუნთქე, ამოისუნთქე, არ ისუნთქო...

მერე იგივე გაიმეორა ზურგის არეში და მითხრა:

-რას გერჩის დედაშენი? არაფერი არ გჭირს. ჯანმრთელი ხარ.



ლუბუ ქავთარაძე

მე გააკვირვებით უყურებდი რადგანაც მთელი გასინჯვის განმავლობაში, მას ფონენდოსკოპის მოსასმენი მილი ყურებზე არ გაუკეთებია და კისერზე ჰქონდა შემოხვეული. ვიფიქრე ახალი მეთოდია და გულის სიგნალები დისტანციურად გადაეცემოდა, მაგრამ მალე მიხვდი რაშიც იყო საქმე.

-მოდი ახლა აღვნიშნოთ, რახან ჯანმრთელი ხარ და მეც საშინელ პასხმელაზე ვარ. მიდი მაცივარში, იქ ერთი კარგი კონიაკი დევს და გამოიღე.

მან კარადიდან ორი პატარა ჭიქა და შოკოლადი ამოიღო და შვილებზე მზრუნველი მშობლების სადღეგრძელო დამალეკინა.

საყვარელი დისშვილი

დედა და მამა ხშირად დადიოდნენ მუსკომედიაში. ტელევიზორი ჯერ არ იყო და მუსკომედიის თეატრი ერთ-ერთი პოპულარული ადგილი გახლდათ თბილისში. აქ დაიდგა ოპერეტა “საყვარელი დისშვილი”, რომლის პრემიერაზე ავტორებმა: პეტრე გრუზინსკიმ და ლევან ჭუბაბრიამ მამა დაპატიჟეს. ოპერეტაში იუმორით იყო მოყოლილი კაცის ისტორია, რომელსაც სამი სიდედრი ყავდა და რომელიც ფაქტიურად მამაჩემმა უამბო ავტორებს.

დედ-მამა და ადრე მივიდა დარბაზში და დაიკავეს კუთვნილი ადგილი. მალე ჩაქრა სინათლე და სპექტაკლის მუსუკალური შესავალი (უვერტიურა) დაიწყო. უცვლად წინა რიგში შემოდის ორი როხროხა ქალბატონი, მაღალი, ქათმის ფრთიანი შლაპით და თავის ადგილებზე დროზე მისული მაყურებელი უნებლიეთ შეესწრო ამ დიალოგს:

-რომელ რიგში ვართ? შესნაში თუ სემნაში?

-არა, მგონი შესნაში ვართ.

-რას ამბობ შესნაში კი არა სემნადნში ვართ.

ქალბატონები არ ცხრებოდნენ და შესნაში და სემნაში ძახვებით აგრძელებდნენ რიგის გარკვევას და ადგილის ძებნას.

ამ დროს მოქმედება უკვე იწყებოდა. ეს ქალები, დედას წინაც მოექცენ და ხელს უშლიდენ სპექტაკლის ყურებაში. მან ვერ მოითმინა და მიმართა:

-თუ შეიძლება დროზე გაარკვიეთ ვინ რომელ ნაწიში ხართ და სპექტაკლი გვაყურებით.

თინა სუფრაზე

ბიბლიოთეკა, ოფიციალური საღამოები, შეხვედრები, იუმორისტული ნაწარმოებები-ეს ერთი მხარე იყო თინას მოღვაწეობის. მეორე და უფრო სერიოზული, თითქმის ყოველდღიური, იყო მისი სტუმრად და განსაკუთრებით სუფრაზე გატარებული წუთები.

როგორც ცნობილი ქირურგი, რეზო იაშვილი წერდა თავისი მოგონებების წიგნში: "თინა საზოგადოების სული და გული იყო. მას სპეციალურად პატიუბდნენ, თუკი ვინმეს სურდა დაესვენა ყოველდღიურობისაგან და გაეცინა. ჩემი ავადმყოფობისას, საავადმყოფოში მესტუმრა. იმდენი ახალი ანგლოტი დამაყარა, იმდენი მაცინა, რომ შევეხვეწე გაჩერებულიყო:

-ავადმყოფობა ვერაფერს დამაკლებს, ამდენი სიცილისგან კი შეიძლება მართლა მოგკვდე მეთქი"

მისი მეგობარი დარეჯან (დაკო) ცხვედიანი ამბობდა: "როცა ბევრი სტუმარი მყავდა დაპატიუებული და პურმარილი ცოტა, აუცილებლად თინას ვპატიუებდი. იმდენს აცინებდა სტუმრებს, რომ ხალხს სიცილისაგან ჭამის თავი არ ჰქონდათ. პურმარილი თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა და მეორე დღისათვისაც მყოფნიდა."

დედასთვის ბევრჯერ მიუძღვნიათ საპასუხო კაფია სუფრაზე. აი, ერთი მათგანი:

თინა თუ არ ლაპარაკობს,
მთელ მაგიდას სძინავს,
ვიღაც ხვრინავს, თამადა კი
ბრაზიანად ღრინავს.

თინა იწყებს ანგლოტებს,
სუფრა ხარობს, ბრწყინავს,
სიცოცხლის და სუფრის მკურნალს
გაუმარჯოს თინას!

მეცნიერები თვლიან, რომ სიცილი უებარი საშუალებაა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და დედა სულ ელოდა როდის



დაკო ცხვედიანი

გამოცხადებოდა ოფიციალურად სიცილის თერაპიით მკურნალობა, იგი იძახდა:

–”როგორ გავკეთდებოდი, სიცილით მკურნალობა რომ შემოიღონ. რამხელა რიგი დადგება ჩემს კარებთან. მთელ ჩემს ვალებს სულ სიცილით გავისტუმრებდი”.

საიუბილეო საღამო 60 წელი



სცენაზეა თინა კორკოლიანი

60 წლის რომ შესრულდა დედა, საზოგადოებამ ხელოვნების მუშაკთა სახლში საიუბილეო საღამო მოუწყო. ამ საღამომ არაჩვეულებრივ მხიარულ ვითარებაში ჩაიარა. ზურაბ რცხილაძე, ეთერ კაკულია, მედეა ძიძიგური, ეთერ ჭელიძე. დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა: გია ფერაძემ და თბილისში გასტროლებზე მყოფმა მისმა მოსკოველმა მეგობრებმა ანდრეი მირონოვმა, ალექსანდრე შირვინდტმა და მიხეილ დერჟავინმა, რომლებმაც საკუთარი მინიატურები მიუძღვნეს მხიარულ იუბილარს. ბოლოს გამოვიდა იუბილარი და ერთი საათი სიცილით დახოცა მთელი დარბაზი. გაკვირვებულ მოსკოველ სტუმრებს მე უთარგმნიდი, ამიტომ ისინიც ცოტა დაყოვნებით გულიანად ხარხარებდნენ.



სცენაზეა თინა კორკოლიანი

დედა-შვილის იუმორი.

ასეთი იყო დედა ცხოვრებაში. იგი ვერ იტანდა მარტოობას, ისე როგორც გია, სულ უნდოდა რომ ხალხში ყოფილიყო. რამოდენიმე კაცი მის გარშემო უკვე აუდიტორია იყო მისთვის და წამში იწყებდა იუმორისტულ მონო სპექტაკლს პაროდებით, ანეგდოტებით, ან სიტუაციიდან გამომდინარე მოვლენას ისე აშარუბდა თითქოს წინასწარდაწერილ სკეტჩს თამაშობდა.

ამ ნიჭით, გავდენ ერთმანეთს დედა და გია. მათი ერთად ყოფნა სუფრაზე რაღაც დაუსრულებელი იუმორისტული ნომრების კორიანტელი იყო. აქ არ ვგების ტერმინი “თუ ფორმაში იყო”, ორივე სულ ჩახმახზე შეყენებული თოფივით, მზად იყვნენ იუმორის ახალი ფეიერვერკების ამოსაფრქვევად, ამიტომაც გიას ოხუნჯობები და მასთან დაკავშირებული დედაჩემის ხუმრობები ერთად არის წარმოდგენილი მომდევნო ნაწილში.

ბავშვობიდანვე გიას იუმორის მასწავლებელი იყო, დედა-თინა ჟორჟოლიანი. მართალია იგი ოფიციალურ გაკვეთილებს საშინაო დავალებით და საკონტროლოთი არ გვიტარებდა, მაგრამ როდესაც სტუმრები იყვნენ სახლში და ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა, თინა მართლაც შეუდარებელ ენაკვიმატ პაროდისტად გარდაიქმნებოდა. მისი სხარტულები და ანეგდოტები გაუცინარ ხელმწიფესაც გააცინებდა. შემდგომში კი, როდესაც გიაც დამოუკიდებლად გამოვიდა ხალხური იუმორის ასპარეზზე, თინას და გიას დუეტი არაჩვეულებრივი იმპროვიზირებული სპექტაკლი იყო.

გიას თავისი ნომრები ჰქონდა, თინას თავისი.

დედას ანეგდოტების ბლოკნოტზე უკვე მოყვები, მაგრამ თინას გიასთან დაკავშირებული ნომრები დღესაც მთელ ქალაქსაა მოდებულები და ესაა პირველი მცდელობა მათი ერთად თავმოყრის.



დედა-შვილი

ნინკა და ბებო



ნინკა და ბებო

ჩემს ნინკას, ბებო ბავშვობიდან ასწავლიდა ანეგდოტების მოყოლას.

ერთხელაც ნინკა ეკითხება ბებიას:

-ბებო ამდენ ანეგდოტებს როგორ იმახსოვრებ?

-აი, შვილო მაგისტვის სპეციალური ბლოკნოტი მაქვს და ყველა ახალ ანეგდოტს იქ ვიწერ.

-მაშინ ბებო, ერთი ბლოკნოტიც უნდა გიყიდო.

-რად მინდა, ბებო გენაცვალოს?

-იმიტომ რომ, შიგ ჩაიწერო ვის რა ანეგდოტი მოუყვები! დღეს ძია მიტოს უკვე მესამედ მოუყვები ერთი და იგივე ანეგდოტი.

არეული შვილიშვილები

მე და გიას ოჯახის შექმნისას პირველად არ გაგვიმართლა და ორივე სხვადასხვა დროს დაეშორდით ცოლებს. მერე მეორედ დაოჯახდით. მე მეორე ცდაზე გავეჩერდი, გიამ კი გააგრძელა მარათონი. ჩვენ თითო ცოლიდან თითო შვილი გვყავს. როცა მომრავლდენ შვილიშვილები დედა ხუმრობდა:

-როგორც რუსის დედა თავის ხუთ შვილს, ხუთივე ვანიას, მამის სახელებით არჩევდა, ისე ვარ მეც. შვილიშვილები რომ შეიკრიბებიან და ოთახში დარბიან, დავიჭერ რომელიმეს და ვეკითხები, რომელი ხარ? შენ დედას რა ქვია და მერე ვცნობ.

ლიფტი


ლიფტთან დაკავშირებით ერთი ისტორიაც მაგონდება.

დედა ლიფტის კაბინას ალაგებდა. უცებ გამოვიდა მეზობელი და რომელსაც არასოდეს უნახავს თინა დამლაგებლის როლში, გააკვირვებული ეკითხება

-დეიდა თინა, რას აკეთებ?

-შვილო! გია ფერაძე რამდენჯერაც ცოლს გაშორდა (გია მაშინ უკვე ორჯერ ცოლგაყრილი იყო) იმდენჯერ თითო ოთახი უფეშქაშა. ახლა მგონი ცოლის მოყვანას აპირებს და მე უბინოდ დავრჩები. ამიტომ ვაღაგებ ლიფტს, ჩემთვის ვამზადებ სამომავლოდ.

“ჭკუამხიარული” მშობელი



თინას დაურეკა ვიღაც ქალმა:

-ქალბატონი თინა ბრძანდებით? გია ფერაძის დედა?

-დიახ! უპასუხა დედამ.

- თქვენთან საქმე მაქვს და თუ სახლიდან არ გადიხართ თუ შეიძლება ცოტა ხანში შემოვივლი.

-მობრძანდით ქალბატონო-უპასუხა თინამ.

მართლაც, ათიოდ წუთში, ორი გაპრანჭული მანდილოსანი შემოვიდა სახლში.

-პირდაპირ საქმეზე გადავალ. ქალბატონო თინა! ჩემი არასრულწლოვანი ქალიშვილი რამოდენიმე დღეა სახლში არ მოსულა, მითხრა მეგობართან მივდივარ აგარაკზე და როგორც გავიგე, თურმე თქვენს ვაჟიშვილთან, გია ფერაძესთან ერთად ყოფილა ეს დღეები და ძალიან გთხოვთ, რომ მიხედოთ თქვენ შვილს!

თინას ჩაეღიმა და უპასუხა:

-მე რა უნდა მივხედო ქალბატონო ჩემ შვილს? ამ მოხუც დედაჩემს ხომ ხედავთ. გია ფერაძეს რომ ქალი მოუნდება, მე და დედაჩემი ლიფტში ვემაღებით, ასე რომ გირჩევნიათ თქვენ თითონ მიხედოთ თქვენს ქალიშვილს.

გაპრანჭული ქალბატონები თურმე სულ ხელების ქნევით და წვეწვლა კრუღვით, სასწრაფოდ გაეცაღენ იქაურობას.

-ამ ჭკუამხიარულს, რა უნდა ელაპარაკო! შვილი ალბათ უარესი იქნება - წამოიძახეს გასვლისას.

ვაკაჭის დაბადება.

გიას ბავშვობის მეგობრის ბესო ხიდაშელის მეუღლეს მაკას, მძიმე მშობიარობა ჰქონდა. მაკას სამშობიაროში თავზე ადგა დედაჩემი, რომელსაც თავისუფლად შესვლა შეეძლო ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. როგორც მაკა იგონებს: დეიდა თინას ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ მე უფრო მეტად ვშიშობოდი. დაიბადა ბავშვი - ვაკაჭი და მოათავსეს ინკუბატორში. იგი ძალიან პატარა და წონანაკლული იყო.

არც ბესო და მაკა იყვნენ გოლიათები. მეორე დღეს ბესომ თხოვა დედაჩემს, როგორმე ბავშვი ენახებია. დედამ ჩააცვა ხალათი და ბესო წაიყვანა ბავშვის სანახავად:

-ვაიმე, დეიდა თინა! ნუთუ ეს ერთი ბეწო მაიმუნი ჩემი შვილია?

-რა ვიცი ჩემო ბესო! ზომა-წონით კოპიო მამამისია და სხვა ვისი უნდა იყოს?

მერე იცოცხლე, გაიზარდა ვაკაჭი, რომელსაც მამის და ნათლია გიას ოხუნჯობის ნიჭი დაჰყვა და დღეს, ცნობილი, პოპულარული იუმორისტია.



პატარა ვაკაჭი

გია “ზოჩკაში”.

გია კავკასიურ ცარცის წრეში ორ როლს თამაშობდა.

ერთი უფრო ცნობილი, იოსების როლი და კასრში ბანაობის სცენა, იზა გიგომვილთან ერთად. ეს სცენა იყო თითქმის ყველა აფიშაზე და სპექტაკლის პროგრამებში საზღვარგარეთ.

სცენა იწყებოდა ასე. გია წევს ტახტზე და ძინავს ზეწარგადაფარებულს. დედამისი, ლეილა ძიგრაშვილი აღვიძებს მას და მერე იწყება დიალოგები და კასრში ბანაობის სცენა. ერთხელაც გია მივიდა ნასვამი სპექტაკლზე, დაწვა სცენაზე, გადააფარეს ზეწარი და მართლაც დაეძინა ისე, რომ ვეღარ აღვიძებენ, დაუწყია გინება და წიხლების ქნევა “დედისათვის” და მიზანსცენა ჩაიშალა. მერე როგორც იქნა აზრზე მოსულა და როგორღაც ჩაათავა როლი.

თეატრის ხელმძღვანელობამ არ აპატია დისციპლინის დარღვევა და გია დაითხოვეს თეატრიდან. ეს იყო ტრაგედია ოჯახში. გია სმას მიეძალა და გულწრფელად განიცდიდა მის

დანაშაულს. მთელი დღეებით იკარგებოდა გაურკვეველი მიმართულებით. ორიოდ კვირის გავლის შემდეგ, თინა ურეკავს რობიკო სტურუას, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ოჯახთან.



გია და რობიკო

-რობიკო! შენი ჭირიმე იქნებ რამე მიშველო, სახლში ვერ ვწერდები, ოფლის სუნად ავყროლდი.

-რაშია საქმე დეიდა თინა, მე რაში დაგეხმართ-გაუკვირდა რობიკოს.

-რობიკო! რაც თეატრიდან დაითხოვეს გია, ტანი არ დაუბანია და მანდ რომ იჯდა ბოჩკაში სულ დაბანილი მოდიოდა. ეგ ოხერი დამნაშავეა და განიცდის კიდევაც, მაგრამ მე რა

დავაშავე, ფაქტიურად მე ვისჯები.

არ ვიცი იმოქმედა თუ არა ამან, მაგრამ გია გასტროლებზე წასვლის წინ, ცოტა ხანში მართლაც აღადგინეს როლზე.

ბორბლებიანი კუბო

ერთხელ რობიკო მოვიდა სტუმრად გიასთან. საუბრისას თინა ეუბნება:

-რობიკო, მეფე ღირს როდის მოხსნით რეპერტუარიდან?

-რაშია საქმე დეიდა თინა? - ვერ მიხვდა რობიკო.

-რაშია და მინდა გთხოვო, როდესაც მაგ სპექტაკლს მორჩებით, რეკვიზიტში რომ გაქვთ ბორბლებიანი კუბო იქნებ მე მანუქო.

-ჩემი შვილები ისეთი ოხრები არიან, რომ დაეზარებათ ჩემი დასაფლავება და მიწის ზევით დამტოვებენ. რომ მოგკვდები ბორბლებიანი კუბოთი ვინმე ქრისტიანს არ შეეზარება და გამაგორებს სასაფლაომდე. უთხრა თინამ გაკვირვებულ რობიკოს.

ჭაში ნახათქუნები ვედრო.

გიას მხოლოდ ერთხელ ჰყავდა მანქანა და ისიც ცოტა ხნით. მოძრაობდა ბევრს. ამასთან მაინც და მაინც თავს არ იწუხებდა მისი მოვლით.

-ტრანსპორტი ფუფუნება კი არა, გადაადგილების საშუალებაა -იმეორებდა ცნობილ ფრაზას. და მალე აქა იქ მიარტყ- მოარტყა კიდევ.

ერთხელ სახლში მოსულმა მეგობარმა უთხრა:

-გია შენ უფრო კარგი მანქანა მოგიხდებოდა!

რაზედაც დედანემმა უპასუხა:

-რას ლაპარაკობ შვილო, ეს მანქანა ორ თვეში, ჭაში ნახათქუნებ ვედროს დაამსგავსა და კარგი მანქანის მომვლელია ეგ?

და გაიხსენა ბავშვობა, სოფელში ჭაში ჯაჭვით ჩაკიდული ვედრო, ამოტანისას ჭის კედლებს რომ ეჯახებოდა აქეთ იქეთ და უფორმო ხდებოდა.

თინას დანაბარები

1994-95 წლები გაჭირვების წლები იყო და არავის არ უღხინდა. ვია სახლიდან გადიოდა და ხან მთელი დღეებით იკარგებოდა.

მე ყოველდღე მიწვედა დედასთან მისვლა. მძიმე წლები იყო. ნავთი, საჭმელი, წამალი ჩემი მისატანი იყო. ერთხელაც დათქმულ დროს ვერ მივედი, ცოტა დამაგვიანდა. ვიაც არ ჩანდა და თინაც ანერვიულდა. დაიწყო რეკვა სამსახურში, მეგობრებთან და ბოლოს ჩემს მეგობარს მიტოვარძელაშვილს მიაკვლია სახლში. შესჩივლა:

- მიტო! დამაგლო უპატრონოდ შენმა ძმაკაცმა, ალბათ სადმე ან აჩიკო გოგელიასთანაა თათბირზე ტელევიზიაში ან გიზო და ეგ სადმე სვამენ.

-რა იყო დეიდა თინა, მოვა აუცილებლად. ხომ არაფერი გინდათ?

-რა ვიცი შვილო, არც პური მაქვს, არც არაფერი –შესჩივლა ძმაკაცს

მიტომ გაახვია ქაღალდში ყველი, სახლში გამომცხვარი ღვეზელი, იყიდა ცხელი პური და მიაკითხა დედას.

როგორც გაირკვა თინას პურიც ჰქონდა, საჭმელიც, მაგრამ მარტო ყოფნა მოწყინდა. და მიტოსაც გამოუნახა დავალებები, რომ დიდი ხნით დაეკავებინა, ჩემს გამოჩენამდე. ჯერ უთო გააკეთებია, მერე რადიომიმღები გაასინჯა, როდესაც ყველა თხოვნა შეასრულა, მიტო ადგა და დედამ გამოაცილა კარებამდე. კარებში მიტო გამოეთხოვა:

-დეიდა თინა თუ რამე დაგჭირდებათ დამირეკეთ და მოვალ.


-არა შვილო რა უნდა დამჭირდეს, სახლში რომ მისვალ დამირეკე, თუ არ გიპასუხე, ესე იგი მოგკვდი, მაშინ მოდი პანაშვიდზე და ჩემს მაგივრად დამაბირე, დეიდა თინა შენი შვილების დედაც!

ამ დროს კიბეებზე სვენებ-სვენებით ორი მოხუცი ამოდიოდა. თინას გინებაზე ისე დაიბნენ, მეშვიდე სართულამდე



ამოსულები, უკან მოტრიალდენ და შემცბარები კიბეებზე უკან დაეშვნენ.

სიტყვიერი ორთაბრძოლები



“კარგი რა, თინა!”

გაჭირვებულ დღეებზე მოგახსენეთ და გიას ციხიდან გამოსვლის მერე, დედა ძირითადად სახლში იყო. მე კი გიაც და დედაც ორივე მოსავლელი გამიხდა. გია დილით ადრე გადიოდა სახლიდან და ან გვიან ბრუნდებოდა, ან დღეებით იკარგებოდა, რაც დედას ნერვიულობას და ხანდახან ისტერიკებსაც იწვევდა. გია რომ სახლში მოადწევდა, დედა მიახლიდა:

-სად დადიხარ შე ოხერო. მოგკვდი ქალი ნერვიულობით. ნეტავ გადებულები იმ ციხეში. ქე მაინც ვიცოდი სად იყავი. გაგისკდება ეგ ფილტვები და მორჩა!

-კარგი რა თინა! შემეშვი!

გიაც ბოლომდე მთლად არ იყო გამოფხიზლებული და ნაბახუსევზე უხეშად პასუხობდა. მათ შორის იმართებოდა სიტყვიერი ორთაბრძოლა. ბოლოს მაინც ყველაფერი მშვიდად მთავრდებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მე, “უმადლეს არბიტრს”, გამომიძახებდა დედა და შემოჩივლებდა. ერთხელ ასეთი ჩხუბის მერე მივედი. გია სახლში არ იყო. დედა იწვა და მთხოვა დავხმარებოდი ტუალეტში გასვლაზე. მან შემომჩივლა:

-კაცო, გია რომ სახლშია ტუალეტში ვერ გავდივარ. მეუბნება, აღარ კვდება ქალო, ხუთი მოფხმა დაგრჩა და იქნებ მერე მომასვენო. და ყოველი ტუალეტში შესვლისას მოშარდვას მითვლის და ერთს აკლებს.

რა უნდა მეთქვა, როგორც გაირკვა გიას მსგავსი არაფერი უთქვამს და ეს მანვე მოიგონა ხელდახელ ჩემდა გასამხიარულებლად.

ნელი მომვლელი, ნელი

გიას გარდაცვალების მერე დედა ლოგინიდან არ ამდგარა. აღარ უნდოდა სიცოცხლე. სულ იწვა და იძულებული ვიყავი მომვლელი ამეყვანა. როგორც იქნა დიდი გაჭირვებით, კითხვა კითხვით მივაკვლიე ერთ, ხანში შესულ ინტელიგენტ ქალს. მაშინ უმუშევრების მეტი რა იყო, მაგრამ გახეთი “სიტყვა და საქმე” არ არსებობდა და მომვლელის მოძებნა ჭირდა. ამ ქალს ერქვა ნელი, რომელიც სულ ლიტერატურაზე ელაპარაკებოდა დედას ამით აგიჟებდა. ერთხელ თინამ დამირეკა და მთხოვა მილიციონერის სასტვენის მეშოვნა და მიმეტანა.

-რად გინდა დედა სასტვენნი? დასტვენა გაკლიათ შენ და ვიას? - ვეკითხები

-მომიტანე და გეტყვი.

ვიშოვე სასტვენნი და მიუტანე.

-კაცო ეს ვინ მომიყვანე? ქალი ესე თავის სახელს ამართლებდეს არ მინახია. ნელი, სამზარეულოდან საძინებლამდე მოსვლას ერთი საათი უნდება. მოვლით კი მივლის მაგრამ, ჯერ გადამრია ამ ლიტერატურაზე და ფილოსოფიაზე ლაპარაკით, ვითომ მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფა და რაც მთავარია თითქმის ყოველ და აქ რომ არის უნდა ვიყვირო, იქნებ რამე გავაგებო, ხოლო სამზარეულოში რომ შედის, სულ რომ გავსკდე ყვირილით ვერაფერს გააგებინებ, ამიტომ ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ სასტვენნი მიშველის.

მივეცი სასტვენნი. თინამ დაუსტვინა. მაგრამ ნელი არსად ჩანს. სამზარეულოშია. მერე იგივე გამეორდა.

გავედი სამზარეულოში და ვეკითხები:

-ქალბატონო ნელი, არაფერი არ გაგიგიათ?

-დედას არ დაუძახია, მაგრამ ეზოში ვიდაც მილიციელის სტვენა გავიგე.

ესე იგი დედას ვარაუდი სწორე გამოდგა, სასტვენნი მოქმედებდა! უბრალოდ ქალბატონი ნელისთვის არც პავლოვს და არც მე არ ამიხსნია, თუ რა უპირობო რეფლექსი უნდა მოყვეს ამ სასტვენის ხმის გაგონებას.

როგორც ამას დედას მეზობელი, ნანა ყვებოდა სიცილით, იმ დღიდან დედას ოთახიდან ხშირად ისმოდა მილიციელის სასტვენის ხმა, რაც თავიდან სხვა მეზობლებსაც აკვირვებდათ.

დარტყმაგამძლე ტელეფონი

წელიწადნახევარი დედა არ ამდგარა ლოგინიდან. სულ იწვა და გარე სამყაროსთან მისი დამაკავშირებელი იყო ტელეფონი და პატარა რადიომიმღები, რომელთა გარეშეც ერთი წუთითაც ვერ ძლებდა.

რადიოს სულ უსმენდა. განსაკუთრებით უყვარდა საქართველოს რადიოს გადაცემა “თანადგომა,” რომელსაც უძღვებოდა არანგუელურივი ჟურნალისტი, გარეგნულად და სულიერად ლამაზი ადამიანი მედეა გეგეშიძე. აი, ვინ იყო ნამდვილი ჟურნალისტის ეტალონი! რადიოს პროგრამების დირექტორი, რამოდენიმე ციკლის წამყვანი, ტელერადიო-კომიტეტის კოლეგიის წევრი, ქალბატონი მედეა ყველაფერს ასწრებდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთად ვმუშაობდით ტელერადიომაუწყებლობაში, დედა მას გადაცემიდან დაუმეგობრდა ჩემს გარეშე, წითელი ტელეფონის მეშვეობით. ხშირად ტელეფონით ჰქონდათ ურთიერთობა და ორ სამჯერ

ქალბატონი მედიკო დედას სახლშიც ესტუმრა ყვავილებით და ნამცხვრებით. ასევე ხშირად სტუმრობდა ნათლიაჩემს ნუნუ ჩიკაშუას, რომელსაც ერთადერთი ქალიშვილი გულიკო, ექიმების უყურადღებობით დაედუპა, დარჩა მარტო და ქალბატონი მედეა მისი მანუგეშებელი იყო. ასევე ბევრი მარტოხელა, დავრდომილი ადამიანი ვიცი, ვისი იმედი და გვერდში მდგომი იყო ეს შესანიშნავი ქალბატონი.



მედეა გავეშვიძე

მეორე, სამყაროსთან კავშირის უფრო მნიშვნელოვანი წყარო, იყო რიგის ქარხნის WEF-ის, ძველი, მასიური, წითელი ტელეფონი, რომელსაც არსებობის მანძილზე იმდენი დარტყმა მოხვდა თავში, რაც რუსის ბარაბანს არ მოხვედრია. საქმე ისაა, რომ დედას ზედ გულზე ედო ეს საცოდავი ტელეფონი და რომ ჩაეძინებოდა, ბრახვანს მოადენდა იატაკზე, მომცრო ნაწილებად იშლებოდა და იყო ერთი ამბავი. ვეღარ რეკავდა და სასწრაფოდ ნანას უხმობდა.

მისი კარის მეზობელი ნანა ჩხეიძე, რომელსაც თითონ მოხუცი მოსავლელი დედა ყავდა სახლში, ხშირად ორ ფრონტზე მუშაობდა, აკითხავდა დედას და პატრონობდა.

ნანა დამირეკავდა სიცილით:

-ილიკო, არიქა გვიშველე, ტელეფონი ისევ დაგვეშალა.

რამდენი ტელეფონიც მიუტანე, ყველა დაიშალა.

გაწამებული ვიყავით მე და მიტოვარძელაშვილი ამ ტელეფონის შეწვეპებით და აწყობით. ბოლოს, იმდენი საიზოლაციო ლენტი დავახვიეთ ზედ, რომ საბოლოოდ ბურთივით გახდა, დარტყმაგამძლე გამოვიდა და ყოველი შემდგომი იატაკზე დანარცხების მერე, ნაკლებად ფუჭდებოდა.

ამდენს ვერც ერთი ცნობილი ფირმის ტელეფონი ვერ აიტანდა.

აჰა ტელეფონის რეკლამაც!

სწორედ ამ ტელეფონით უკავშირდებოდა დედა ნაცნობ და უცნობ მეგობრებს, მაგრამ განსაკუთრებით გაწამებული ყავდა ჩვენი ახლო ნათესავი, იმ რაიონის მთავარი ექიმი ნანა სერგია-ასათიანი. დღეში რამოდენიმეჯერ ურეკავდა და ისიც არ ტოვებდა მამიდამისის თხოვნას უყურადღებოდ. ხან თითონ შემოირბენდა, ხან თერაპევტს გამოგზავნიდა თინას თხოვნით, ხან ოკულისტს, ხან ლარინგოლოგს, ხან ენდოკრინოლოგს და ასე გაიცნო დედამ, ნანას პოლიკლინიკის მთელი პერსონალი. ნანას უკვირდა:

-რა ხდება ვერ გამიგია! ეს ჩემი თანამშრომლები სხვასთან წასვლაზე ფეხს ითრევენ და თინასთან იმ წუთში გარბიან.

გაუგებარი აქ არაფერი იყო. თინა მათ იმდენ ანგელოტს და ხუმრობას დააყრიდა, რომ სიცილით ხოცავდა.

მას ხომ წამალზე უფრო მეტად, ახალ ახალი მსმენელი ჭირდებოდა.

ბოლო ხუმრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იყო, ბოლო ჟამამდე დედას არ ტოვებდა იუმორის გრძნობა. გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე მისი თანამშრომლები იყვნენ მისული სანახავად. თინამ აუდიტორია დაიგულა და...

დედას ბინა წერეთლის პროსპექტზე, მე-7 სართულზე მდებარეობდა. ამ დროს ქუჩიდან გაისმა მანქანის გაბმული სიგნალი, რომელიც შემდგომ ორ-სამჯერ გამეორდა.

დედამ თავი წამოწია სასთუმალიდან და თითქოს აიენიდან “ხაზეინივით” ატყობინებდა მძღოლს, გაბმულად გადასძახა:

-მოოგ...დიი...ვააარ!

და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, სიგნალის ხმა აღარ გამეორებულა.

ეს იყო ალბათ, სცენაზე არშემდგარი და ცხოვრებაში უნიჭიერესი, კომიკური მსახიობის, თინა ჟორჟოლიანის უკანასკნელი გახუმრება.



უდიშურ მაღალაშვილი, თინა ჟორჟოლიანი, იაკობ ტრიბილსკი და გოგი გვილოვანი

გია ფერაძე:



ეზო

ჩვენი სახლი მდებარეობს ვერის ცენტრში, ვერის აბანოს და სამხატვრო ტექნიკუმის გვერდით. მას თავისი ისტორიაც აქვს. ამ სახლში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან განთავსებული იყო წითელი ჯვრის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარის მოადგილედ 1918 წლიდან, წლების განმავლობაში, იყო ბაბუაჩემი, სერგო ჟორჟოლიანი. სახლის მესამე სართული, საზოგადოების ხელმძღვანელობის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, სადაც დღემდე მე ვცხოვრობ.

სახლის ეზო, ესაა ტიპური თბილისური ეზო, ღია აივნებით. სართულზე და ეზოში, ერთი საერთო ტუალეტით, და არა მარტო ტუალეტით, არამედ საერთო წუხილით და საერთო სიხარულით, 3 სართულის მობინადრენი, მთელი ეზო, ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. ყველამ ყველაფერი ვიცოდით, ვინ რას ჭამდა, ვინ რას და როდის..... შევბოდა. მე მიკვირს, რატომ ხმარობენ ხშირად ასეთი ეზოების მიმართ "იტალიური ეზო". იმ დროს, როდესაც იტალიური ნეორეალისტური კინო ჩვენში 50-იანი წლების ბოლოს გავრცელდა, ხოლო ეს ჩვენი თბილისური ეზოები, თავისი გამორჩეული ინტერნაციონალური სურნელით, ორ საუკუნეზე მეტი ხანია უკვე არსებობდნენ.

იმ დროს ეზოში იყო მხოლოდ ერთი ტელეფონი და მთელ ეზოზე გაისმოდა საწყალი დეიდა თამარა დაჭავას ხმა:

-ბაბუ-ნინა. ილიკომ დარეკა დამაგვიანდებაო.

-თინა. გიამ დარეკა არ შეგეშინდეთ ბოლო სენსზე ვარ კინოშიო.

-ხაზალა! არუსაკამ დარეკა დეიდასთან რჩება და არ შეგეშინდეთო.

ეხოში იყო ერთი სომხის ოჯახი, ერთი გერმანელი ებრაელის ოჯახი და ერთიც ქურთის ოჯახი, რომელიც როგორც მაშინ, ყველა ქურთი, ცხოვრობდა სარდაფში და როდესაც ამ საერთო კომუნალური ეზოებიდან დაიწყო 50-იან წლებში ქართველების გადასვლა ახალ პრესტიჟულ ბინებში, ეს ოჯახი ამოვიდა სარდაფიდან მეორე სართულზე ქართველების გამოთავისუფლებულ ბინაში და ქალაქის ტაქსის მძღოლებიც ესე იცნობდნენ ჩვენს ეზოს:

-ეგ რომელი სახლია? ის ხომ არა, ქურთები მეორე სართულზე რომ ცხოვრობენ?

ანტისაბჭოთა “გიმნოთერაპია”

როგორც მოგახსენეთ, სახლი მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენდა. იგი სქელი აგურის კედლებით იყო ნაშენები და ხის იატაკები ჰქონდა. ხის იატაკებს არ გააჩნდათ თანამედროვე სამშენებლო მასალების მსგავსად, ხმისგაუმტარი იზოლაცია და პირველ სართულზე ნალაპარაკებს, ღამით, მესამე სართულზე გაიგებდი. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ბავშვობის ერთი “კომმარული” მოგონება.

ჩვენს ქვევით ცხოვრობდა, არაჩვეულებრივი ინტელიგენტი კაცი, გრიშა ქუთათელაძე, რომელიც ომის დროს ჯანმრთელობის სამინისტროში, პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. მას ცოლი ომის მერე გარდაეცვალა და ორ ოთახში მარტო ცხოვრობდა. ბატონმა გრიშამ, პირველმა ჩვენს სახლში, იყიდა რადიომიმღები. ეს იყო 50-იანი წლების დასაწყისი, როდესაც გაა 3-4 წლის იყო. ძილის წინ ბატონი გრიშა, ყურს უგდებდა რადიოს და მისდა უნებლიეთ, ამ რადიოს ხმა ჩვენამდეც აღწევდა. რადიოს სმენაში, ბატონ გრიშას, როგორც წესი ჩაეძინებოდა და რადიო რჩებოდა ჩართული. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ, ღამის ორ საათზე და დილით 6 საათზე უნდა მოგვესმინა საბჭოთა კავშირის და საბჭოთა საქართველოს ჰიმნი.

რამდენჯერ არ შეაპარა ხუმრობით მამამ, ბატონ გრიშას:

-ბატონო გრიშა, გვეყო ამდენი პატრიოტული აღზრდა. ჩვენ, უფროსებს, ომი გამოგვიცდია და ისედაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა. გაა და ილიკო შეიცოდეთ, მათ ეს ორივე ჰიმნი ჭირის დღესავით ეზარებათ და ნუ შეაძულებთ სამშობლოს.

მაგრამ არაფერი შევლოდა. ერთი-ორი დღის მერე, იგივე ჰიმნით ვიძინებდით და ვიღვიძებდით. ალბათ, აქედანვე ჩაისახა მე და ვიას შემეცნებაში ანტისაბჭოთა განწყობილებები.

სკოლიდან დაბრუნებულებს თუ სახლში არავინ დაგვხვდებოდა, მეზობელი დაგვაპურებდა, ჩანთას

დავტოვებით მასთან და ან ეზოში ანდა სამხატვრო ტექნიკუმის სპორტულ მოედანზე გავიქცეოდით, სადაც მთელი დღე უბნის ბიჭები და ლექციებიდან თავისუფალი სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტები ვთამაშობდით ფეხბურთს, ხან კალათბურთს, ხან ტენისს, ერთი სიტყვით ეს იყო მთელი ვერის უბნის ნამდვილი სპორტული მექა.



ძმები ფურაძეები

აი, ასეთ ეზოში დავიბადეთ მე ომამდე, ხოლო გია, 9 წლის მოგვიანებით, ომის შემდეგ. ჩვენს შორის გარდა წლების განსხვავებისა, იყო თითქმის მთელი თაობა: ომამდელი და ომის შემდგომი, რომელსაც სულ სხვანაირ გარემოში და სხვა ოჯახურ ურთიერთობებში მოგვიწია ცხოვრება. ბავშვობაში 9 წლის განსხვავება ბევრია. მახსოვს, ჩვენზე ორი წლით უფროს თაობას, როგორი მოწიწებით შეგვეყურებდით. მაშინ ასეთი დრო იყო და მე გიას ძმაცაცებზე 9 წლით უფროსი მათთვის მოზრდილ ბიძასავით ვჩანდი.

ოჯახში პირველი შვილი ვიყავი და ომის პერიოდში მთელი ოჯახის პედაგოგიური გამოცდილება, ჩემი სწორი აღზრდისკენ იყო მიმართული. დედამა პედაგოგები იყვნენ. მათ გარდა მყავდა ოთხი ბებია, “ბლაგოროდნიე დევიცი”, რომლებიც შექმნისდაგვარად აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ჩემს ჩამოყალიბებაში, ერთი რუსულს მასწავლიდა, ერთი ფრანგულს. ომის მერე დრო და ცხოვრების ყაიდა მნიშვნელოვნად შეიცვალა. გაქრა სასურსათო ტალონები, ნავთის რიგში მწკრივად დაწყობილი ცარციით დანომრილი ბიდონები, პურის რიგები, სადაც ღამეებს ვათენებდით და სხვა. ამასთან პირველი ბავშვის აღსაზრდელად დახარჯული, მშობლების პედაგოგიური ვნებები შედარებით ჩაცხრა და გიას დაბადება მოუწია თავისუფალად გაზრდისათვის შედარებით უფრო მშვიდ პირობებში, რაც მან შესანიშნავად გამოიყენა და მართლაც, ჩემგან განსხვავებით, თავისუფალ, უკომპლექსო პიროვნებად ჩამოყალიბდა.

გია დაიბადა პერანგში გახვეული და ზურგზე წელის არეში ჰქონდა ვეებერთელს ხალი, რაზედაც ყველა იძახდა, რომ იგი დმერთის რჩეულია და ქვეყანას გადააბრუნებსო.

ჩაქუჩი

გია თავიდანვე ცველი და მოუსვენარი ბავშვი გახლდათ. ძალზე ძნელი იყო მისი ერთ ადგილას გაჩერება. ერთხელ როცა 5-6 წლის იყო, ხის აივანის მუჯჯირს ვამაგრებდი, გია გამოცდილი ზედამხედველივით ყურადღებით აკვირდებოდა საქმის მიმდინარეობას და სულ ცდილობდა რაიმე მონაწილეობა მიეღო. დამჭირდა ჩაქუჩი, რომელიც ვერ ვიპოვნე ხელსაწყოებში და ის იყო, მეზობლისთვის მინდოდა მეთხოვნა.. გია სასწრაფოდ გამოენტო, მე ვიშოვნი ჩაქუჩსო და გაიქცა მოსატანად.

გავიდა ერი საათი, ორი... აივანს ვილა ჩიოდა, შევშინდით და დაუწყვეთ ძებნა. ძლივს ვიპოვეთ ქუჩის ბოლოში ერთ ერთ ეზოში, გახურებულ ფეხბურთს თამაშობდა ბავშვებთან.

-ილი, გეფიცები ყველა ეზო შემოვიარე და ჩაქუჩი ვერსად ვიშოვე- სასწრაფოდ დაიწყო თავის მართლება.

ამ დროს, როცა კარის მეზობელმა იმავე წუთს გამომიტანა ჩაქუჩი.

პირველად სცენაზე.

გრიშაშვილის იუბილე



სოსო გრიშაშვილი

გია იყო 6 წლის. გადასახლებიდან ახალი დაბრუნებული ბაბუა სერგო გიას ხშირად დააყენებდა სკამზე და ლექსებს აკითხავდა. გია მაშინ ყველა სიტყვას გამართულად ვერ წარმოთქვამდა და ენას ბავშვურად უქცევდა.

ერთხელაც ბაბუას მეგობრის, დიდი პოეტის, იოსებ გრიშაშვილის საღამო ტარდებოდა. იმ ლექსებს შორის, რომელიც ვიამ იცოდა, იყო გრიშაშვილის “დიდება ბელადს”, რომელსაც განსაკუთრებული აპლომბით კითხულობდა. ბაბუამ მოკიდა ხელი გიას და წაიყვანა საღამოზე, სადაც პოეტს გააცნო შვილიშვილი და უთხრა, რომ ვიამ მისი ლექსი იცოდა, თანაც გამოთქმით კითხულობდა. მეორე განყოფილებაში წამყვანმა წარადგინა და გია პირველად გამოვიდა დიდ სცენაზე, ხალხით სავსე დარბაზის წინაშე. როგორც ბაბუა ყვებოდა, არავითარი დაბნეულობა, მორცხვობა. გია პირდაპირ რიხიანად გავიდა, დადგა სცენის შუაში და გამოთქმით დაიწყო:

-დიდება ბელადს! – ლექსი “აქ დამეკიდოს” გრიშაშვილისა! ... და ატყდა დარბაზში ხარხარი. ვია დაიბნა. იგი სიტყვა “აკადემიკოსის” მაგივრად “აქდამეკიდოსს” გამოთქვამდა, რაც ბაბუაჩემმა კარგად იცოდა.

სცენაზე სავარძელში მჯდომი სოსო წამოდგა, მივიდა ვიასთან, თავზე მოუთათუნა ხელი და ღიმილით უთხრა:

-შვილო ამ მთავრობას რომ ვკვიდვარ ეგ ვიცოდი, მაგრამ შენ რაღა დაგიშავე.

ეს იყო მომავალი მსახიობის სცენიური დებიუტი.

პირველი ფილმი

“პაპა გიგია”

ვიას პირველი ფილმი იყო “პაპა გიგია”, სადაც მასობრივ სცენაში ვია ფეხბურთს თამაშობდა. გადაღებები კახეთში მიმდინარეობდა. ვია იყო მეექვსე კლასში და ბებია ახლდა. თანაც ორი თვის განმავლობაში. ფილმის პრემიერაზე მთელი ოჯახი: მშობლები, ბებიები, მე და ჩვენი კარის მეზობლები წავედით. ფილმში ბავშვები განუწყვეტლივ თამაშობდნენ ფეხბურთს, წინ და უკან დარბოდნენ, მაგრამ ვიას ვერსად ვერ მივაგენით. მოგვიწია ფილმის მეორედ ნახვა, რათა ერთ-ერთ “მასოვკაში” წამით მოგვეკრა თვალი ვიას სილუეტისათვის.

იგივე გამეორდა მეორე ფილშიც “მანანა”, სადაც მთავარ როლს ვიას კლასის მეგობარი, ნაწული სარაჯიშვილი ასრულებდა. ვიას აქაც მასობრივ სცენებში ჩაკარგული როლი ჰქონდა. შემდგომში, როცა ვია უკვე სერიოზულ როლებზე მიიწვიეს, და ნაწული სარაჯიშვილს- ამ მართლაც უნიჭიერეს სახასიათო მსახიობს, ერთი პერიოდი რეჟისორები არ წყალობდნენ, ხუმრობით ეუბნებოდა:

“-პეტროვნა! მე რომ მასოვკაში ვთამაშობდი, ხომ გახსოვს, შენ მთავარ როლში იყავი. ახლა ხომ აგიღე “აბაროტი”!”

სამხატვრო

როგორც აღვნიშნე, ჩვენი სახლის წინ არის სამხატვრო ტექნიკუმი, რომლის დირექტორის, ნიჭიერი მხატვრის და პედაგოგის, ძალზე სპორტული ადამიანის კოტე კიკნაძის უშუალო ხელმძღვანელობით, აშენდა სპორტული მოედანი. ტექნიკუმის პედაგოგების და სტუდენტების მონაწილეობით სისტემატურად ტარდებოდა შეჯიბრები კალათბურთში, ფეხბურთში, ჩოგბურთში.

ვია ბავშვობიდანვე დიდ დროს ატარებდა სასწავლებლის სახელოსნოებში და საღებავებით მოთხუანული ამოდიოდა სახლში. განსაკუთრებით გვიყვარდა უბნის ბავშვებს 1 მაისი და 7 ნოემბერი, როდესაც სწორედ აქ სამხატვროს ეზოში

ხდებოდა ჩვენი ორჯონიკიძის რაიონის მანქანების მორთვა პარადისათვის. ამისთვის კი მუშაობა ხშირად მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ხან ლენინ-სტალინის ვეება ფიგურები იჯდნენ ერთად მანქანაზე, ხან სტალინი და შაო ძელუნი. უბნის ბიჭებიც ხან ერთ ბელადს მოვაჯდებოდით კისერზე, ხან მეორეს ჩაუხტებოდით კალთაში.



შაო, სტალინი, ვია ფურაძე, აფისა და ილიკო

მე-6 კლასში იყო ვია როცა შევიყვანეთ სამხტვრო ტექნიკუმის სასწავლებელში, რადგანაც ხატვა უყვარდა და პატარაობიდან ამ ერთ რამეს თუ შექმლო შედარებით დიდი ხნით გაეჩერებინა ერთ ადგილას... იგი საკმაოდ კარგად ხატავდა და მთელი ცხოვრება ქაღალდის ნაგლეჯებს და ხელსახოცებს მეგობრების კარიკატურებით ამშვენებდა. შემდგომში, როცა ციხეში მოხვდა და სერიოზულად დაიწყო ლექსების წერა, რვეულის გვერდებს ნახატებით აფორმებდა, ლექსის შინაარსიდან გამომდინარე.

ამ ნახატებით გააჯერა ვიას მეგობარმა, მხატვარმა მალხაზ კუხაშვილმა მისი ლექსები “სევდის კრებული”, რომელიც 1997 წელს გამოვეცი თამაზ ტყემალაძის რედაქტორობით.

სკოლის შემდეგ დღის უდიდეს ნაწილს მეც და შემდგომში ვიაც სამხატვროს მოედანზე ვატარებდით. აქ დაოსტატდა იგი ფეხბურთის თამაშში და თბილისის პატარა მოედნების საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. დათო ყიფიანი ეუბნებოდა:

-შენ რომ თავს დაანებებდე მაიმუნობას და ფეხბურთს მოკიდებდე ხელს სერიოზულად, დიდი ფეხბურთელი გამოხვალ.

მაგრამ სად ვია და სად სერიოზულობა, იგი ბოლომდე “არასერიოზული კაცი” დარჩა. კიროვის ბაღის, კინოსტუდიის, სამედიცინო ინსტიტუტის მოედნების რისხვა იყო. იგი აქ ტოლს არ უდებდა თვით თბილისის დინამოელებსაც კი. როგორც წესი თამაშობდნენ ხინკალზე და ლუღზე და ის გუნდი სადაც ვია თამაშობდა, ყოველთვის მუქთად ქეიფობდა დამსახურებული გამარჯვების შემდეგ. შემდგომში თეატრების სპარტაკიადაზეც არაერთჯერ ვია თეატრების საუკეთესო ბომბარდირი იყო.

“ავარა-მუ”

გია უკვე სკოლის ასაკიდან დაწყებული, დღეში რამოდენიმე ოჯახს მოივლიდა და როგორც მოგახსენებდით, ერთ ადგილას დიდი ხნით არსად ჩერდებოდა.

დედა ხუმრობით მაწანწალას ეძახდა, ნეტავ ვიცოდე სად დაწანწალობ მთელი დღე, ნამდვილი ავარა-მუ ხარ. დედა გულისხმობდა იმ დროს რაჯ კაპურის პოპულარული ფილმის “ავარას” გმირის სიმღერას.

უკვე მოგვიანებით ვიას მსგავსი პერსონაჟი ოთარ იოსელიანმა აღწერა ფილმში “იყო შაში მგალობელი”, ერდომ ახვლედიანმა ფაქტიურად ალბათ ვია იგულისხმა ამ ფილმის გმირის პროტოტიპად. ფილმში დასარტყმელი ინსტრუმენტების მუსიკოსის მსგავსად, (რომელსაც თამაშობდა ჩემი პირველი კლასის მეგობარი გელა კანდელაკი) ვიაც ბოლო წუთში ბევრჯერ შევარდნილა სცენაზე როლის სათამაშოდ და შემდეგ ასევე უცებ გამქრალა, როდესაც თავდებოდა სცენა მისი მონაწილეობით. დრომ ვერ მოაშლევიანა ხასიათში ჩამჯდარი ეს თვისება. ამის დასტურია აწ გარდაცვლილი შესანიშნავი მსახიობის ტრისტან ყველაიძის ერთი მოგონება ვიაზე, რომელიც მან გაიხსენა ვიას ხსოვნის საღამოზე 1996 წელს.

თავისუფალი თემა

“მე არ ვითვლებოდი ვიას ახლო ძმაცად, მაგრამ ვია იყო ერთად ერთი კაცი თეატრში, რომლისაც მე მშურდა. მშურდა ის, რომ ვია იყო აბსოლუტურად კომპლექსებიდან თავისუფალი კაცი და ახერხებდა ეცხოვრა ისე, როგორც, მას უნდოდა. ჩემთან ერთად ვია დაკავებული იყო სპექტაკლში “თავისუფალი თემა”. მე ვთამაშობდი მამის როლს, ვია კი ჩემი ქალიშვილის მეგობარ ჟურნალისტს”.

ქალიშვილის სახლში არ ყოფნისას ვიას და ტრისტანს 15 წუთიანი დიალოგის სცენა ჰქონდათ.

ერთხელ ვია მეგობრებმა პირდაპირ სუფრიდან მიიყვანეს თეატრში, ზუსტად სცენაზე გამოსვლის წინ და უთხრეს რომ მანქანაში დაელოდებოდნენ, მათ იცოდნენ, რომ ვიას 10-15 წუთიანი სცენა ჰქონდა. ვია გავიდა სცენაზე:

-გამარჯობათ. უკაცრავად ირინა სახლშია?



ტრისტან ყველაიძე

-არა შეიღო, მობრძანდით, არაა სახლში, მალე უნდა მოვიდეს - შემოიპატიუა ტრისტანმა და მოემზადა ჟურნალი-სტოან სასაუბროდ.

-არა უშავს, მაშინ მე წავალ და სხვა დროს გამოვივლი - მიამახა გიამ და სწრაფად გავიდა სცენიდან და დატოვა გაოგნებული ტრისტანი, რომელსაც მთელი ფანტაზიის და ოსტატობის მოკრეფა დასჭირდა, რომ დიალოგი მონოლოგად გადაეკეთებინა და სპექტაკლი არ ჩაშლილიყო.

ბებიები სკოლაში

გია სკოლაში გაუთავებლად ოხუნჯობდა, დადიოდა შატალოებზე და ხშირად ცუდი ნიშნები ჰქონდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში ყველა მასწავლებელი ნორმალურ ნიშნებს უწერდა, რომ შემთხვევით კლასში არ ჩარჩენილიყო და ერთი წლით არ გაეხანგრძლივებინა მათი წვალება. როდესაც დამრიგებელი მშობლებს იბარებდა, გიას ბებიები მიჰყავდა რიგრიგობით. არ ყავდა თუ რა! ხან ერთს გაუძღვებოდა, ხან მეორეს და ხან მესამეს. მათ მოფერებით: “ბლაგოროდნი დევიცებს” ეძახდა, მრავალჯერ ენახა მათი ერთგულება. დარწმუნებული იყო, რომ დედასთან არ დაასმენდნენ, მხოლოდ მეგობრულად მოუწყობდნენ “საქმის გარჩევას”. და როდესაც გია მეასეჯერ დებდა პირობას, რომ აუცილებლად გამოსწორდებოდა, ნაყინის ფულსაც დასცინცლადა გახარებულ ბებიებს. ყველაზე ხშირად ბაბუ ნინას უწევდა მასწავლებლების საყვედურების მოსმენა, გია მას სიყვარულით “მაკარენკოს” ეძახდა. როდესაც დედა ან მე რამეზე ვტუქსაცვდით გიას, იმ წუთასვე გაისმოდა: -Оставь ребенка, не будь садистом -და სამივე ბებია მატროსოვივით გადაეფარებოდა მას.

გიას რომ კინოს ფული მოუნდებოდა, დასვამდა სამივე ბებიას და სხვადასხვა ფოკუსებს უტარებდა. ფულს რასაკვირველია წინასწარ ართმევდა. ერთხელ, როდესაც ერთ ერთი ფოკუსი ჩაუვარდა და არ გამოუვიდა, ნადია ბებიამ ჩაიყო ორი თითი პირში, როგორც ამას ხშირად ჩადიოდა სტადიონზე, დაუსტვინა და

-Ишкиль, деньги обратно - ფული უკან მოითხოვა.

მაგრამ გია უკვე ეზოში იყო.

სკოლის აღსაზრდელი

კლასის დამრიგებელი მოთქვამდა: ნეტავ როდის დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც გია სკოლას დაამთავრებს. მასწავლებლები ფულს ვაგროვებთ, გადაწყვეტილი გვაქვს მაყარიხი უნდა გადავიხადოთ...

როდესაც გიამ დაამთავრა სკოლა და შემდგომ სახელი მოიხვეჭა, მერე გენახათ მასწავლებლები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გიას სიყვარულში. რამოდენიმეჯერ გაზეთშიც კი დაიბეჭდა მათი ინტერვიუ გიაზე საქებარი სიტყვებით: ცელქი, მაგრამ საყვარელი მოსწავლე იყო. სკოლაშიაც მიიწვიეს, როგორც სკოლის სახელოვანი აღზრდილი.

ასეა! ალბათ, სწორია ანდაზა: თავის ყველაზე მეტად, მისი მწვალებელი კატა უყვარსო!

გაზეთებში ახლაც ხშირად იბეჭდება მასწავლებლების მოგონებები, განსაკუთრებით პარლამენტარებზე, როგორ ყველანი ერთნაირად ნიჭიერი, ერთნაირად საყვარელი, ერთნაირად კარგი მოსწავლეები იყვნენ. მე მგონი ეს ინტერვიუები ერთხელ არის დაწერილი და ჟურნალისტები მხოლოდ სახელებს ცვლიან შიგ, თორემ ეს მოგონებები, რომ მართალი იყოს ჩვენი პარლამენტი სულ სხვა რამ იქნებოდა და ჩვენც საშველი დაგვადებოდა.

პოპულარობა

გია იმდენად პოპულარული იყო, რომ შეუძლებელი გახლდათ, მასთან ერთად ქუჩაში გაველა. ზემელიდან



“ჭიკ-ხახუნა”

რუსთაველის თეატრამდე ერთხელ საათზე მეტი მივიღოდი. დიდი და პატარა ყველა აჩერებდა, ეხვეოდა, ყველას რაღაცას ეხუმრებოდა, გააცინებდა, აღარ უშვებდნენ, სანამ რამოდენიმე ანგდოტს არ მოაყოლებდნენ და ასე მეორდებოდა ყოველი ხუთი ნაბიჯის მერე. მისი მოყვარულები ასაკით არ იყვნენ შემოსაზღვრულნი, სულ პატარა ბავშვიდან დაწყებული, ხანშიშესული ადამიანებიც მას საყვარელ, ახლო მეგობრად მიიჩნევდნენ. მიკვირდა კიდევაც, მე გიაზე 9 წლით დიდი ვიყავი და ჩემზე გაცილებით უფროსი ადამიანები

მეუბნებოდნენ:

-რას ამბობ გია? ჩემი ძალიან ახლო მეგობარია!

გია, ხომ ყველას თავის წილ სიყვარულს, სითბოს და მხიარულებას მიაგებდა, ამიტომ უყვარდათ იგი ქალაქში განსაკუთრებით.

რიგი იდგა მის დაპატიუებაზე განსაკუთრებით “წიწკვი” გოგონების აქტიურობდენ, რომელთა ნამდვილი კერპიც იყო და იგი ცდილობდა არც ერთი მათგანისათვის არ ეწყენინებია, ამიტომ დიდი ხნით მაინც ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას და

დღეში რამოდენიმე ოჯახში უწევდა სტუმრობა. სტუმრად მისულს თან დაჰყავდა მისი ამფონები. ყველაზე ხშირად კი ბესო ხიდაშელი, (გიას ნათელულის, ახლა უკვე ცნობილი ტელეწამყვანის ვაკაჭის მამა). მათ დამუშავებული ჰქონდათ იუმორისტული ნომრები, რომლებიც დამსწრე საზოგადოების, განსაკუთრებით “წიწკების” აღფრთოვანებას იწვევდა.

სუფრაზე დიდი ხნით არ ჩერდებოდა. სულ ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო, სიტუაციის მიხედვით წამში მოიფიქრებდა რაღაც ხუმრობას და ამას არაჩვეულებრივი არტი-სტიზმით ასრულებდა კიდევ. მისი ერთ ერთი საყვარელი ხუმრობა იყო კბილით ლიმონათის ბოთლის გახსნა, მას მართლაც არაჩვეულებრად მაგარი კბილები ჰქონდა, რითაც ხალხს ანცვიფრებდა.



ამასთან იგი ხშირად ჩუმად გახსნიდა ლიმონათს, საცობს კვლავ დაახურავდა ბოთლს, მიიდებდა თვალზე და ვითომ თვალთ ხსნიდა, თან შეუმჩნეველად ბოთლის გახსნის დამახასიათებელი შიშინით, ხმოვან გაფორმებას უკეთებდა პირით.

განსაკუთრებით მოიმატა მისმა პოპულარობამ თბილისში ტელევიზიიდან ახლადგამოდებული “კენ“-ის დროს, როცა გიას ხან სხვადასხვა სკოლაში, ხან უნივერსიტეტში პატიუ-ბდნენ, სადაც გაი იყო რეჟისორი, სცენარის ავტორი, შემსრუ-ლებელი, მხატვარი ერთი სიტყვით შეუცვლელი პიროვნება.

ადამიანები მას სიყვარულით უხდიდნენ მადლობას სიცილისა და იმ დადებითი ემოციებისათვის, რაც მას შეჰქონდა ყველა ოჯახში.

უმისამართო ქალაქელი.

გია იყო მართლა ის კაცი, რომელსაც თბილისში მისამართი არ ჰქონდა. მოგვიანებით, როდესაც მის თავზე ტრაგედია დატრიალდა და იგი იძულებით საქართველოდან ძალზე შორს, მრავალწლიან “გასტროლებზე” იმყოფებოდა, თბილისში ჩამოვიდა მასთან ერთად ციხეში ნაჯდომი რუსი, ყოფილი პატიმარი. მან არ იცოდა გიას მისამართი და ასე მარტო გვარის და სახელის კითხვა-კითხვით, მომაცენეს სახლში ვერაზე.

დედაჩემი გადაირია იმის შემხედვარე. კითხვა არ უნდოდა, ჰაბიტუსით და ჩაცმულობით კოლონიიდან ახლადგამოქცეული რეციდივისტის შესახედაობა ჰქონდა. მან ისე თბილად

გაიხსენა გიას, ციხის ამბები, მივხვდი, რომ მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და რასაკვირველია გიას მაგივრად მისი მასპინძლობა მე ვიკისრე. ერთი დღეც არ დარჩენილა, რაღაც ძველი საქმის მოსაგვარებლად მიდიოდა ერევანში და შემპირდა უკანა გზაზე ისევ გამომივლიდა, თანაც ხელდამშვენებული, მაგრამ აღარ გამოჩენილა, ეტყობა ერევნიდან კვლავ სხვა “მივლინებაში” გაუშვეს.

ეს მოხდა გიას ციხეში ყოფნის პერიოდში, ხოლო მისი გარდაცვალებიდან თითქმის 5 წლის მერე, გიას უკანასკნელი ქალიშვილის, მარიკუნას ქმარი – ოთარი, ეძებდა მისი



მეგობრის ბინას, რომელიც ცხოვრობდა იმ კორპუსში, სადაც ადრე გიას უცხოვრია.

წერეთლის პროსპექტზე მაღაზიის წინ, ცარიელ ყუთებზე იჯდა 5 ახალგაზრდა და ლუდს სვამდა. ოთო მივიდა მათთან და იკითხა:

-ბოდიში ხომ არ იცით აქ ვია ფერაძე სად ცხოვრობდა? ბიჭებმა შეურაცყოფად მიიღეს ეს შეკითხვა.

-ძმაო, აბა რა უბნელები ვართ თუ ის არ ვიცით ვია ფერაძე სად ცხოვრობდა. როცა გაიგეს, რომ გიას სიძე იყო, ერთი ორი ჭიქა მისი მოსაგონარი დააღვებეს და მიიყვანეს გიას სახლთან.

ბავშვების კერპი



მამა გია და ბიძინა

გია ყველას უყვარდა: სკოლაში, ინსტიტუტში, თეატრში, ქალაქში. უბრალო დამლაგებლებიდან დაწყებული, მეზობლები, მასწავლებლები, ლექტორები, მეგობრები და განსაკუთრებით კი ბავშვები გიჟდებოდნენ მასზე. იგი იყო ნაცნობ-მეგობრების ბავშვების კერპი. სტუმრად მისვლისას შემოახტებოდნენ კისერზე და მათთან ერთად იატაკზეც გორაობდა, ტოლივით ეთამაშებოდა...

რუსთაველის თეატრის მსახიობი მამანა გამცემლიძე იგონებდა: “გასტროლებზე მსახიობებს ბავშვები თან დაგეყავდა ხოლმე და გია ყველას პატრონობდა, ფეხბურთის თამაშს ასწავლიდა, ავარჯიშებდა, ართობდა. გია ჩვენი შვილებისათვის ყველაზე საყვარელი, განუმეორებელი და ერთადერთი იყო”. ამასვე ადასტურებს მსახიობი ლილი ბურბუთაშვილი: “მე არ მეგულება რუსთაველის თეატრში მეხანძრიდან დაწყებული, ჩვენი შვილებით დამთავრებული ვინმე, რომელსაც გია ფერაძე არ უყვარდა.”

ლექსად ამღერებული ხელსახოცები

ხელსახოცებისაგან გიამ შექმნა პოეზიის განსაკუთრებული სახეობა: “ლექსად ამღერებული ხელსახოცები”. იგი მეგობრებთან სტუმრად ყოფნისას ხელსახოცებზე ხატავდა შარუებს და წერდა ლექსებს მასპინძლებზე, მათ ბავშვებზე, სხვა სტუმრებზე და ეს ხელსახოცები დღესაც სათუთად ინახება მისი მეგობარი თბილისელების ოჯახებში. ბევრი მათგანი, საკმაოდ კარგი ლირიკული ნაწარმოებია. მათი რაოდენობა არცთუ ისე მცირეა და ერთად რომ შეაგროვო, ალბათ ერთი დიდი ქორწილის სუფრას ეყოფა გასაწყობად.

უფრო მეტიც, ხელსახოცზე დაწერილი 5 ლექსი მისმა მეგობრებმა, კომპოზიტორებმა: მაცაცო სეფისკვერაძემ, გოგი ჩლაიძემ და სხვებმა, შესანიშნავ სიმღერებად აქციეს, რომელსაც მთელი ქალაქი მღეროდა და დღესაც მღერის. ბევრმა არც კი იცის, რომ ამ სიმღერის ტექსტის ავტორი გია ფერაძეა.

ასე შეიქმნა სიმღერები: “ვერა” – რომელსაც გოგი დოლიძე ასრულებდა, “გადახედე თბილისს, რა ლამაზად ცრის” – რომელსაც ასრულებდა ქეთი ჯაფარიძის ტრიო “ჰარმონია”,

“ეს სულ ერთია, ეს სულ ერთია”-რომელსაც ასრულებდნენ მედია ძიძიგური, “მასსოვს შენი გაღიმება”- ასრულებდნენ მარია და ცისანა საყვარელიძეები, “ქუნა ქუნა გეძებ, ვერსად ვერ გხვდები” მღეროდა ტრიო ჰარმონია, “თუ კი ვინმე შენს სიყვარულს, შენთან ყოფნას აპირებს” – მღეროდა მედია ძიძიგური.

აქ იმიტომ მომყავს ყველა ლექსი, რომ აქამდე მათი ჩამონათვალი გიას ავტორობით სრულად ერთად, ჯერ არსად დაფიქსირებულა.



მღერის გოგი დოლიძე

ეტეობა ჩვენს ოჯახში მთავარი იყო, სიმღერის ლექსის დაწერა, მერე მისი შემდგომი ბედი უკვე თვითდინებაზე იყო მიშვებული. ასე იყო მამანემიძე. მეოცე საუკუნის საუკეთესო ქალაქურ სიმღერად აღიარებული “ყვაილების ქვეყანას” სიტყვების ავტორი. თუ კი ამ სიმღერის მუსიკის ავტორობაზე ორი დიდი ოჯახი სასამართლოშიც კი ედავებოდა ერთმანეთს, ტექსტზე არავინ დაობდა, იგი ბიძინა ფერაძისა იყო.

გარდა “ყვაილების ქვეყანისა” მამას სიმღერებია: “მთაში დაკრეფილ, ზამბახთა კონას...”, “წინათ ჩემი ვარდი იყავ, ახლა დარდი ხარ...” და სხვა, რომლებიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ 50-იან წლებში, მათ ჯერ ჯანო ბაგრატიონის, ხოლო შემდგომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრები ასრულებდნენ და ქალაქშიც მღეროდნენ სუფურებსა და რესტორნებში. ისე, რომ არავინ იცოდა მისი ავტორის შესახებ. როდესაც მამას ეუბნებოდნენ თუ რატომ არ აფიქსირებს “მთავლითში” მის ავტორობას, პასუხობდა: მთავარია, რომ ამ სიმღერებს ხალხი მღერის და რა მნიშვნელობა აქვს თუ ვინ დაწერა!

მაგრამ როგორც ირკვევა, თურმე აქვს მნიშვნელობა, განსაკუთრებით შთამომავლობისათვის. ამის დადასტურება კი, ჩემს თავზე ორჯერ გამოვცადე. მამას გარდაცვალების შემდეგ “მთავლითიდან” შეგვატყობიეს მამაზე დარიცხული ჰონორარის შესახებ, ხოლო სულ ახლახან 40 წლის შემდეგ სავსებით მოულოდნელად საავტორო უფლებების დაცვის სამსახურიდან კვლავ დამირეკეს და მაცნობეს, რომ “ყვაილების ქვეყანას” ავტორს, ამჟამადაც დაერიცხა გარკვეული თანხა.

რასაკვირველია აქ თანხის ოდენობას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მთავარია ფაქტი, რომ ადამიანის გარდაცვალებიდან 40 წლის შემდეგ, კვლავ ღებულობ მისგან დანატოვარ სიკეთეს.

თეატრალური ინსტიტუტი



საშა მიქელაძის სტუდენტები

მართალია, გიამ სკოლაშივე მიიღო მონაწილეობა თვითშემოქმედებით სპექტაკლში, მაგრამ სერიოზულ სცენაზე, პირველად ითამაშა პიონერთა სასახლეში. აქ მისი საყვარელი პედაგოგი იყო ვახტანგ სულაქველიძე, რომლის ხელმძღვანელობით რამოდენიმე როლი შეასრულა. აქ საბოლოოდ “მოიწამლა” სცენის მტვერით, ტაშით, პირველი პოპულარობით. ამიტომ, სკოლის შემდეგ გიას დიდხანს არ უფიქრია და პირდაპირ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა.

გია ცნობილი პედაგოგის, საშა მიქელაძის ჯგუფში სწავლობდა.

ჯგუფში იყვნენ მასწავით მხიარული, იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული მეგობრები, როგორიცაა: ამირან ბუაძე, ნანული სარაჯიშვილი, ელისო გუდიაშვილი, ასმათ ტყაბლაძე, დათო დვალიშვილი და სხვები.

სტუდენტობაც სულ მაიმუნობაში გაატარა, მაგრამ ყველაფერი ადვილად ეძლეოდა, ამიტომ სწავლა არ გასჭირვებია. კარგი მეხსიერება ჰქონდა, როლის წაკითხვა მხოლოდ ერთხელ კმაროდა. იყო საოცრად კლასტიური, ცეკვავდა არაჩვეულებრივად და ქორეოგრაფიის პედაგოგის იური ზარეცკის საყვარელ მოწაფედ ითვლებოდა.

გიას ოინებით შეწუხებულმა მისმა პედაგოგმა ბატონმა საშა მიქელაძემ, დაიბარა გიას მშობელი. მამა უკვე გარდაცვლილი იყო და მე მომიწია ინსტიტუტში მისვლა.

ბატონი საშა, ძველი თაობის რეპრესირებული, შემდგომ რეაბილიტირებული რეჟისორი იყო. მასაც არ აკლდა იუმორის გრძნობა და ამიტომ ბევრს უთმენდა სტუდენტებს. გადასახლებიდან დაბრუნების მერე, იგი თურმე გააგზავნეს სამუშაოდ ახალციხეში. მეგობრები ეკითხებოდნენ:



გია და ელისო
საკურსო სპექტაკლში

-ძნელი არ იქნება შენთვის? როგორ გაძღებ ახალციხეში? ბატონმა საშამ უპასუხა:

-რა იყო თქვე კაი ხალხო. 12 წელი ძველ ციხეში გავძელი და ახალ ციხეში რაღა მიშავს, როგორმე გავძლებ.

ჩემი მისვლისას, ასე შემომჩივლა:

“ოცდაჩვიდმეტ წელში კომუნისტებმა გადამსახლეს ციმბირში. ბევრი უბედურება გადავიტანე, მაგრამ ეს ყველაფერი მონაგონია იმ წამებასთან შედარებით, რასაც შენი ძმა მიკეთებს ლექციებზე. მეცოდება, ნიჭიერი კაცია და არ მინდა ჩემი გულისთვის ინსტიტუტიდან გარი-

ცხონ, მაგრამ თუ ღმერთი გწამს, იქნებ რამე მიშველო და დაარიგო ჭკუა. მაცალოს ლექციის ჩატარება, ვიცი, შენი დიდი ხათრი აქვს. კომუნისტებს არ გაუმწარებივარ ისე, როგორც გიამ გამაწვალა”. მე თავდახრილი უსმენდი მსცოვანი პედაგოგის საჩივარს. საქმე ისაა, რომ არც მე და ალბათ არც მას არ სჯეროდა, ამ საქმიდან რამე გამოვიდოდა. გიას დაოკება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ორჯერ იდგა გარიცხვის ზღვარზე. აქ მას ჩვენი ნათესავი კოკი სერგია გადაეფარა “მატროსოვივით” და ბოლოს ბევრი ჩინინის, ნამუსზე შეგდების შემდეგ, რაღაცა შეიგნო და რამოდენიმე საინტერესო როლი ითამაშა საკურსო სპექტაკლებზე.

კაფე “თბილისი”

გიას შტაბ ბინა იყო კაფე “თბილისი”, რომელიც თეატრის გვერდით მდებარეობდა და თავისუფალ დროს, როგორც “მშრომელთა მისაღებს” ისე სმარობდა. მას ფანჯარასთან ჰქონდა დაბეჭეული მაგიდა, რათა კარგად ედევნებინა თვალყური პროსპექტზე გამვლელ გამომგლელთათვის. თუ გია არ იყო აქ მისი მეგობრები ელოდებოდნენ. ამ კაფეში მუშაობდა

გიას დიდი მეგობარი ქალბატონი, გვარად ფერაძე და გია მას მოფერებით “მამიდას” ეძახდა. იგი იყო გიას და მისი მეგობრების მეკავშირე, საინფორმაციო ბანკი, დამხმარე, ნისიად დამპყრებელი. მათი მეგობრობა ბოლომდე გაგრძელდა და გიამ იგი ფილმშიაც კი ათამაშა, “არასერიოზულ კაცში”, სადაც მთავარი გმირი ნიკო მას ხორცის საკეპ მანქანას თხოვს. ამ კაფეში აკითხავდნენ გიას მეგობრები. თუ იგი იქ არ იყო, მამიდას ამბავს დაუბარებდნენ. ყველამ იცოდა, რომ



“მამიდა”

რადაც მონაკვეთში გია აქ მაინც გამოჩნდებოდა.

ინსტიტუტში სწავლისას გატანჯული ყავდა უახლოესი მეგობრები: ნანული სარაჯიშვილი, ელისო გუდიაშვილი, ასმათ ტყაბლაძე, ამირან ბუაძე დაუსრულებელი ხუმრობა გათამაშებით..

ელისოს 5 მანეთი.

ერთხელ გია კაფე “თბილისის” წინ იდგა მეგობრებში და დასალევი ფულის საშოვნელად ნაცნობებს ელოდებოდა. შუადღე იყო და რუსთაველზე ბევრი ხალხი მიდი მოდიოდა. ამ დროს ინსტიტუტიდან გამოვიდნენ ელისო გუდიაშვილი და ნანული სარაჯიშვილი. გიამ იცოდა რომ ელისოს 5 მანეთი ჰქონდა ჩანთაში და თხოვა 3 მანეთი მასესხეთ.

ელისომ უპასუხა, რომ ოჯახის დავალებით რადაც უნდა ეყიდა და ფულს ვერ მისცემდა. გიამ გაიხედ გამოიხედა, ელისოს ჩაავლო ხელი და ხმამაღალი ხმით ხალხს მიმართა:

-შეხედეთ ბატონებო, შეხედეთ, ეს ბოზი რუსთაველზე დასეირნობს და ბავშვები სახლში ყავს დაყრილი. წადი გოგო წაეთრიე სახლში და ბავშვებს მიხედ, რა გინდა მე რომ დამდეგ... ხალხი შეგროვდა მათ გარშემო და ელისოს აღმაცერად დაუწყეს ყურება. გია შევიდა როლში და აგრძელებდა ტირილებს ელისოს შესარცხვენად. ელისო მიხვდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

-აჰა შე ოხერო! - სწრაფად ამოიღო ჩანთიდან ხუთი მანეთი, მიუგდო გიას და ლოყებაწითლებული, სირბილით სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

გიაზე დიდი ხნით არავინ ბრაზდებოდა. იგი მწარე ხუმრობის მერე ისე მოუქონავდა კაცს თავს, ისე მიეფერებოდა,

რომ შეუძლებელი იყო მასზე გულში რაიმე ხინჯი დაგრჩენოდა.

ელისო ცირკში.

ინსტიტუტის მერე გია და ელისო გაანაწილეს რუსთავის თეატრში, სადაც ხშირად აკითხავდნენ მეგობრები მანქანით. ერთხელაც ქალაქში დაბრუნებისას, გიამ შეიპატიჟა მანქანაში



გია და ელისო

ქუჩაში მდგარი ელისო. თბილისის მაგივრად, მანქანის მხიარული ეკიპაჟი საავადმყოფოში მოხვდა. გია, ელისოს შესაშინებლად მძღოლს ხან თვალზე აფარებდა ხელს, ხან საჭეს ებღაუჭებოდა და ამ ხუმრობა ხუმრობაში მანქანა მართლაც დაეჯახა ხიდის მოაჯირს. ელისომ მოიტეხა ფეხი. სხვა მეგობრებიც დაშავდნენ, ისინი ღმერთმა გადაარჩინა.

გია ტვინის შერყევით შედარებით იოლად გადარჩა და საავადმყოფოში მისულ, გულგახეთქილ დედას ღიმილით ეუბნებოდა:

-აი, შენ რომ იბახი შე უტვინო, ხომ დაგიმტკიცე რომ ტვინი მქონია.

ამავე დროს იგი ძალიან განიცდიდა ელისოს ავადმყოფობას და შემდგომში ხშირად აკითხავდა სახლში. ელისოს დიდხანს მოუწია თაბაშირის არტახებში წოლა და მწარედ მოთქვამდა: ვაი თუ დავკოჭლდე და ცალი ფეხი დამიმოკლდესო. გია ამშვიდებდა, ნუ გეშინია თუ ხეიბარი გახდი, მე მოგიყვან ცოლად, ჩემი ბრალია, რადგან იმ მანქანაში მე მოგიპატიუე.

ელისო დიდხანს წოლის მერე ვერ ბედავდა ფეხის დადგმას მიწაზე. ერთხელ გიამ ჩვეულებრივი სამარშრუტო სამგზავრო ავტობუსი №3, ვაკის პარკი-რკინიგზის სადგური, მოაყენა ელისოს სახლში, ბევრი ხვეწნით და დაძალებით, თითქმის ძალით ჩამოიყვანა, ჩასვა ავტობუსში და მიუხედავად იმისა რომ ავტობუსში მგზავრები ისხდნენ, მძღოლს ისე შეაცოდა თავი, რომ აახვევინა და ცირკის ზედა შესასვლელთან ჩამოსვა ელისო დიდი წუწუნით, თან დაამშვიდა, რომ ავტობუსი მათ ერთ საათში აქვე მიაკითხავდა.

რა ეცირკებოდა, მაგრამ ელისო დიდი წვალეებით შეიყვანა ცირკის შენობაში და როდესაც სპექტაკლი დამთავრდა, სადაა ავტობუსი?.

ცირკის მრავალსაფეხურიან კიბეებზე ელისოს ჩამოყვანა, მეორე ცირკი გახდა. სპექტაკლიდან გამოსული მაყურებლები სიცილით იხოცებოდნენ გიას მაიმუნობებით, კიბეებზე ელისოს ჩამოყვანის პროცესით. ხან ხელს მიაშველებდა დასაყრდნობად, ხან გაეცლებოდა, რასაც ელისოს განმგმირავი კვილი მოჰყვებოდა. ფაქტი ერთია, ამ ამბის გადამტანი ელისო, როგორც თვით იხსენებს, მეორე დღესვე ფეხზე დადგა და რომ არა გია, დიდხანს იწვებოდა ლოგინში.

გადასწორებული ნოტები

ელისოს მამა, ცნობილი კომპოზიტორი იყო და მის კაბინეტში დიდ საკონცერტო როიალზე, გაშლილი ნოტები ეწყო, ახალი დაუმთავრებელი ნაწარმოებით. იქვე იყო ფანქარიც, რომლითაც იგი წერდა ნოტებს. ერთ-ერთი მისვლისას ყველასგან შეუმჩნევლად გიას მთელ ფურცელზე გადაუკეთებია ნოტები, ჩამოუსვა ხაზები და ერთი ნოტა შეცვალა მეორეთი. როდესაც ელისოს მამა მოვიდა და დააპირა მუშაობის გაგრძელება, კაცი კინაღამ გაგიჟდა, მელოდიის მაგივრად კაკაფონია გამოვიდა.

-ესეთი რამ მე არ დამიწერია და რა მოხდაო? – დაუცოფია ოჯახი და როდესაც გაიგო რომ გია იყო სტუმრად, ყველაფერს მიხვდა.

მას მერე გია დიდხანს აღარ გამოჩენილა გუდიაშვილებთან.

პრაქტიკა მოსკოვში

თეატრალური ინსტიტუტის მე-4 კურსზე, გიას ჯგუფი, იანვარში, პრაქტიკაზე გაგზავნეს მოსკოვში. ნაწილი სარაჯიშვილი, ელისო გუდიაშვილი და ასმათ ტყაბლაძე მოეწყვნენ ერთად, სასტუმრო “მოსკვას”, ორკაციან ნომერში.

გია მოსკოვში კი ჩავიდა, მაგრამ უცებ გაუჩინარდა და პირდაპირ ლენინგრადში წასულა. რუსეთის სასტუმროებში საერთოდ დიდი სიმკაცრე იყო სტუმრების შემოსვლასთან დაკავშირებით, ჩამოსული სტუმრების მორალურ მხარეს უფროხილდებოდნენ.

თუ კი ვინმეს შეაგვიანდებოდა ნომერში სტუმრობა, რაც არ უნდა გეთხოვა მორიგესათვის, ამას მოყვებოდა, რუსეთში მომსახურების სფეროს მუშაკების უნივერსალური, შეუვალი და მაგიური სიტყვა: **“ნე პოლოჟენო!”**: ამ სიტყვებს გაიგებდი ყველგან: რესტორნებში, თეატრებში, სასტუმროებში, ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა რუსულ ქალაქსა თუ დასახლებაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმე დამთავრებული იყო და ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა

ნანულის და ელისოს დაემართათ გრიპი. მაშინ ეს გრიპი უბრალოდ ჯანმრთელი საბჭოთა გრიპი იყო და ქათმის მომაკვდინებელ გრიპებთან საერთო არაფერი ქონდა. გოგოებს ჰქონდათ მაღალი სიცხე და ერთად-ერთ ფეხზემდგომ მომვლელად, ყავდათ ასმათი.



ასმათი. ნანული და ელისო

რებლის როლს და იმ საწყალ ლილიპუტს ერგო, მოთვინიერებული მაიმუნის როლი. გიამ აიღო რაღაც ფანქარი, კისერზე ლილიპუტს შემოახვია თოკი და შეძახილზე: “აღეეე”, ხან მაღლა აახტუნებდა, ხან იატაკზე აგორავებსა და ხან ტარხანის მაიმუნ ჩიტასავით “ონგავა, ონგავას” ძახილით ავადმყოფების ლოგინებზე დახტოდა. სიცხისაგან ისედაც დასუსტებული ნანული, ელისო და აგრეთვე ჯანმრთელი ასმათიც, იატაკზე გორავდნენ და მათი კისკისი მთელ სასტუმროს ესმოდა. ასმათს სუფრა გააშლევინა. საღამოს გიამ ლილიპუტი გააცილა, თურმე იგი იქვე გაუცნია სასტუმროში მოსვლისას, შეცოდებია ეს პატარა კაცუნა, უცბათ გაუნათდა თავში, დაიმეგობრა და მისი მეგობრების გასამხიარულებლად წამოუყვანია.

გოგოების გასაკვირად, გია დაბრუნდა ნომერში და მოემზადა დასაძინებლად.

გოგოები გაგიჟდნენ. ისედაც პატარა ორკაციან ნომერში, “რასკლადუშკა” ქონდათ ჩადგმული, სამინი ძლივს უქცევდნენ გვერდს ერთმანეთს და გიას ადგილი იქ ნამდვილად აღარ იყო. გარდა ამისა, მორიგეს, რომ გია ნომერში დაენახა, მათ ყველას, როგორც ამორალურ სტუდენტებს, სასტუმროდან გაგდება და ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის სახელზე გაგზავნილი წერილი არ აცდებოდათ.

მაგრამ, გიამ არ დაიშალა. იმდენი იმაიმუნა, იმდენი აცინა გოგოები, რომ მორიგის ყურამდეც მიადწია ხმაურმა და მანაც ნომრის კარს მიუკაკუნა.

დაკაკუნებისთანავე ყველა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. გია სწრაფად ჩაწოლილა ასმათის “რასკლადუშკაზე”, თავზე მისი თავსაბური მოუხვევია და საბანი გადაუხურავს, ვითომ



“დალევ თუ არ დალევ”

ავადმყოფს ძინავს. ზედმეტი ადამიანის როლში დარჩენილი ასმათი, უსიამოვნების ასარიდებლად, იძულებული გახდა ამ ზამთრის ყინვაში, სასტუმროს პატარა, ღია აივანზე გადამალულიყო.

გია დარჩა კიდევ სამი დღე. დღისით სადღაც ქრებოდა, სადამოს სულ ახალ მაიმუნობებს იგონებდა. ბოლოს უთქვამს:

-ეხ! ვიცი გაგიწყალეთ საქმე. ახლა მე, რომ ფული არ დამეხარჯა, დღესვე წავიღოდი თბილისში, მაგრამ გზის ფული აღარ დამრჩა. თუ გაქვთ, გოგოებო მასეხსეთ და ხვალვე 6-9-ზე გამოგიგზავნით მოკითხვამდე, ერთადერთი ჯანმრთელი ქალის, ასმათის

სახელზე.

რა ექნათ გოგოებს, ოღონდაც გია მოეშორებიათ თავიდან, ფული შეაგროვეს.

დაიგულა, რა ფული, გია მართლაც, გამოეთხოვა მეგობრებს. პირობა მისცა ხვალვე ფოსტამტში მიიღებდენ კუთვნილ თანხას და წავიდა.

მეორე დღიდან, ასმათი ყოველ დილას იცვამდა ელისოს ბეწვის ქურქს და მიდიოდა გორკის ქუჩაზე K-9-ში, მოსკოვში უფულოდ დარჩენილი ქართველების ტრადიციულ იმედის-ბირუაზე.

ასე მეორდებოდა ყოველ დღე, კვირის ბოლომდე, პრაქტიკის დამთავრებამდე. მათდა საბედნიეროდ, უკან გასამგზავრებელი ბილეთები წინასწარ ჰქონდათ აღებული. გოგოები მიხვდნენ, რომ მათი ფულის საქმე ცუდად იყო და ოჯახებში აფრინეს ტელეგრამები საშველად.

გაბრაზებული მეგობრები, ჩამოვიდნენ თბილისში და დაუწყეს გიას ძებნა, მაგრამ სადაა “ფერაძე”? იგი თბილისში ჯერ არ იყო ჩამოსული და როდესაც ერთი კვირის მერე, იკადრა გიამ ჩამოსვლა მშობლიურ ქალაქში, გაირკვა, რომ მოსკოვიდან, მათი ფულით, პირდაპირ ლენინგრადში დაბრუნებულა, “მოუთავებელი საქმეების დასამთავრებლად.”

-თქვენ გაიხარეთ გოგოებო! იცით რა დრო გავატარე ლენინგრადში. და ვითომც არაფერი, დაუწყო იქაური თავგადასავლების მოყოლა.

რა უნდა ეთქვათ გოგოებს. გია - გია იყო და მასზე წყენა ხომ შეუძლებელი იყო.

სტუდენტი-მსახიობის რვეული

ასმათ ტყაბლაძე გიას ჯგუფში ყველაზე სერიოზული იყო. იგი დუშეთიდან იყო წარმოშობით, მაგრამ ბევრ ვიქტორიანელ-კონსერვატორს შემურდებოდა მისი სიმკაცრე და სიჯიუტე. მას არა თუ ცუდ სიტყვას წამოაცდენიებდი, არამედ თავადაც სასტიკი რეაქცია ქონდა, როდესაც ჯგუფში ვინმე ბილწსიტყვაობდა.



ასმათ ტყაბლაძე

ინსტიტუტში სამსახიობოზე სტუდენტებს ჰქონდათ როლების რვეულები, სადაც მარჯვენა გვერდზე იწერდნენ როლს, ხოლო უკანა მხარე ე.ი. გაშლილი რვეულის გვერდების მარცხენა მხარე, შეუვსებელი იყო, სადაც იწერდნენ პედაგოგის შენიშვნებს.

ერთხელაც გია და ასმათი ერთად გადიან სცენის რეპეტიციას, მათი პედაგოგის საშა მიქელაძის თანდასწრებით. ბატონ საშაზე უკვე მოგახსენეთ, რომ იგი იყო რეპრესირებული, ძველი თაობის რეჟისორი, აქედან გამომდინარე შედეგებით: სერიოზულობით და მომთხონელობით.

გია ჩააცივდა ასმათს, რომ იგი როლს სწორედ არ ამბობდა. ასმათი, დუშელების დამახასიათებელი სიჯიუტით, თავის აზრს იცავდა. გიამ მიმართა პედაგოგს დავის გადასაჭრელად:

-ბატონო საშა, ნახეთ. ვგონებ ასმათს სწორედ არა აქვს როლი ჩაწერილი რვეულში.

გაბრაზებული ასმათი მივიდა, აიღო მისი რვეული და გაემართა პედაგოგისკენ.

-აი, ნახეთ, ბატონო..... და სიტყვა შეახმა ტუნებზე.

პედაგოგისკენ მიმავალმა ასმათმა, გაშალა რვეული იმ ადგილის მოსაძებნად და ადგილზე გაქვავდა.

მის რვეულში ყოველ მარცხენა, ჩვეულებრივ ცარიელ გვერდზე, ესაბა მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული, მამაკაცის ვეებერთელა სასქესო ორგანო.

ასმათს უცბათ დაჰკრა სიწითლემ.

ბატონი საშა დაინტერესდა. ითხოვდა რვეულს და ბოლოს გადასწვდა ადგილზე გაქცევებულ ასმათს, ჩამოართვა რვეული და თვალები გაუფართოვდა. მოიხსნა სათვალეები და მიაჩერდა მას:

-გოგო, ამეების ხატვას, თანაც ყველა გვერდზე, როლი გესწავლა არ ჯობდა. აი, თურმე რა აქვს თავში!

სხვა სტუდენტებმაც ჩაიხედეს რვეულში და ატყდა ჰომერული ხარხარი.

ასმათს მიწა გახეთქოდა ის ერჩივნა და უცვებ იყვირა:

-ფერადე! ეს საზიზღარი ფერადის გაკეთებულია! ბატონო საშა, მე არაფერ შუაში ვარ.... და მოტრიალდა ფერადის დასახრჩობად.

მაგრამ ფერადე ოთახიდან უკვე შეუმჩნევლად გაპარულიყო.

ასმათის საჩუქრები

ადრე, რუსთაველის თეატრი გასტროლებზე მატარებლით მიდიოდა და სადგურში ზღვა ხალხი აცილებდა, ხოლო ყოველი წარმატების მერე, მათ უკვე - ოკეანე ხალხი ხვდებოდა. გამცილებელ-დამხვედრების რიცხვში იყვნენ, გიას “მარჯანიშვილელი” მეგობრები: ამირან ბუაძე და ასმათ ტყაბლაძე, რომლებსაც თეთრი შურით “შურდათ” გიას ხშირი წასვლა-მოსვლა.



ამირანი და ასმათი

ერთი გაცილებისას, ასმათმა მეგობრულად უსაყვედურა გიას:

-რა არის ბიჭო, რომ ჩამოდიხარ გასტროლებიდან, ყველასთვის რაღაც ჩამოგაქვს და მე რატომ მივიწყებო.

თეატრის გასტროლებმა ამჯერადაც ტრიუმფით ჩაიარა და თბილისის ვაგზლის ბაქანზე დამხვედურების ტყვა არ იყო.

და აი, მატარებლის ვაგონები “სიმღის” მოცეკვავე ქალებივით, ნარ-ნარად შემოცურდა ბაქანზე. ხალხი ეძებს თავის ნაცნობებს და ახლობლებს. მსახიობები ფანჯრებში არიან გადმოყუდებული და ისინიც, მოუთმენლად ელიან ახლობლებთან ჩახუტებას.

ერთ-ერთი ვაგონის კარებში გადმოკიდებული, დგას გია ფერადე და დამხვედურებში ეძებს ვიღაცას. როდესაც ხალხის ჯგუფში, შორიდან თვალი მოკრა ასმათს, ყველას გასაგონად, ხმადაღლა გაჰყვირა:

-ასმათ! ტყაბლაძე! ნახე რა ჩამოვიტანე!

ხელში ეჭირა ქალის წითელი ბიკინი, ფერადი ლიფები, ფოხანო ნიფხავი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხალხის დასანახად დროშასავით აქნევდა.

გვიანი ზარი

ერთხელ ასმათი, ნანული და გია, ზეიკოსთან შერჩენ და გვიანამდე ქეიფობენ. ისედაც სერიოზული ასმათი, ამჯერად მანქანით იყო. წვეთს ვერ სვამდა და ვერც იღებდა.

გახდა ღამის 2 საათი.

მოქეიფები გახურდნენ. ზეიკო არცერთ ინსტრუმენტზე არ უკრავდა, მაგრამ სახლში პიანინოც ჰქონდა და გიტარაც, რადგანაც მის ოჯახში ნამდვილი ქეიფის ფეიერვერკები იმართებოდა, ხოლო ქეიფი სიმღერის გარეშე, იგივეა, რაც სადილი მარილის გარეშე! ზეიკო როდესაც კარგად შექეიფიანდებოდა, აიღებდა გიტარას, თითოთ იღებდა ერთად ერთ



საექვაკლი ზეიკოსთან

აკორდს, მონოტონურად ჩამოკრავდა სიმებს, ყოველგვარი რითმის გარეშე და რომანსებს მღეროდა, გულდამწვარი ხმით. გია ფორმაში იყო და სუფრის წვერები სიცილისაგან იხოცებოდნენ. გიას, მარტო თითი რომ ეჩვენებია, იმაზედაც კი ცრემლები სდიოდათ. ასმათი დაიდალა, მაგრამ მეგობრებს გვიან ღამით უმანქანოდ ვერ ტოვებდა. გიასი ეშინოდა.

შიგადაშიგ გია, საექვოდ გადიოდა ოთახიდან და მალე, ისევ უკან ბრუნდებოდა.

როგორც მერე გაირკვა, გია თურმე ურეკავდა ასმათის დედას და შეცვლილი ხმით ეუბნებოდა:

-ქალბატონო! ასმათს გადაეცით, რომ დარეკა კოტე თოლორაიამ და როდესაც მოვა, აუცილებლად დამირეკოს, გადაუდებელი საქმე მაქვს.

გია სუფრაზე ბრუნდებოდა და დროს წელავდა. ცდილობდა ასმათი რაც შეიძლება გვიან დაბრუნებულიყო სახლში.

ბატონი კოტე თოლორაია, თამაზ თოლორაიას მამა, უფროსი თაობის მსახიობი, ახლად გადმოსული იყო რუსთავის თეატრიდან მარჯანიშვილის თეატრში, სადაც მას დიდ პატივს ცემდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდები.

გიას კიდევ ორჯერ დაურეკავს ასმათის დედისათვის, გადაუმოწმებია, ხომ არ მოსულა ასმათი და დიდი ბოდიშის მოხდით კვლავ გაუმეორებია “ბატონი კოტეს თხოვნა”.

როგორც იქნა დაამთავრეს ქეიფი, რისი მომასწავებელი იყო ზეიკოს ჩვეული დასკვნითი ფრაზა:

-“კონცერტ აკონჩენ! აბა, მედღენა ი გრუსტნა, დაეშვით თქვენ თქვენ სახლებში”, რაც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

მეგობრების სახლებში ჩამორიგების მერე, ასმათი უკვე გამთენიისას მისულა სახლში.

დედას არ ეძინა, მის მოსვლას ელოდა და მოსვლისთანავე შეწუხებულმა გადასცა “ბატონი კოტე თოლორაიას თხოვნა”.

უკვე 5 საათი იყო დაწვებული. ასმათმა იფიქრა, რამე ხომ არ უჭირს ბატონ კოტეს? ვერ მიხვდა დარეკვის მიზეზს, იფიქრა გული აქვს ცუდად და მანქანა ხომ არ სჭირდებოდა?

მცირე ჭოჭმანის შემდეგ, მაინც დაურეკა:

-ბატონი კოტე ბრძანდებით? – ჰკითხა, როდესაც გაიგო ყურმილში, ნახევრადმძინარე მამაკაცის ხმა.

-დიახ! ვინ ბრძანდებით?

-მე ასმათი ვარ ტყაბლაძე...

-ვინ? ვინ? იკითხა ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა კაცმა.

-ასმათი ვარ! ასმათი! ტყაბლაძე! თქვენი თანამშრომელი! ბატონო კოტე, თქვენ დაგირეკიათ ჩემთან და დედასთვის გითხოვიათ, აუცილებლად, მოსვლისთანავე დამირეკოსო.

-მევე? დამირეკიაააა? შენი დედა...სთან?? ვის დედასთან? შვილო ასმათ მე არსად დამირეკია, შენ თავად ხომ არ გაგირეკია ამ უთენიას...

ასმათი უცებ მიხვდა საქმის ვითარებას და ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ რა დურაკის როლში ჩააგდო იგი გია ფერაძემ.

დიდი ბოდიშები უხადა ბატონ კოტეს და უხერხული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ამჯერადაც მოუხდა გია ფერაძის ჩაშვება.

ანგარიშსწორება სიცილით

გია, ამირან ბუაძე, ნანული სარაჯიშვილი, ასმათ ტყაბლაძე, სხვა მეგობრებთან ერთად, წაეიდნენ ასმათის მშობლიურ დუშეთში. იქ მაგრა მოუღხინეს და დადგა უკან დაბრუნების უამი. მეგობრები მხოლოდ ერთი მანქანით იყვნენ ჩასულები. იქ უკან წამოსასვლელად დაემატათ ასმათის დედა, მეზობელი და ტაქსის ძებნა მოუწიათ.

უფროსები ჩასული მანქანით გაისტუმრეს. გია, ნანული, ამირანი და ასმათი ტაქსით წამოვიდნენ. ჯერ კიდევ დუშეთში გახურდა გია, მან დუშეთის კილოზე ააწყო მისი ოხუნჯობანი და დაწვევით ხალხი სიცილით,



გია, ნანული და ამირანი

გია, ხომ დაუშრეტელი ენერგიით იყო სავსე და მან ტაქსშიც გააგრძელა მაიმუნობები, მითუმეტეს, რომ კარგად შეზარხოშებულ იყო. მას არც ნანული და ამირანი ჩამორჩნენ და მანქანა სიცილ ხარხართ უახლოვდებოდა თბილისს.

ბედად იუმორის დამფასებელი მძღოლი შეხვდათ. მანაც იმდენი იცინა, რომ ორჯერ მოუწია მანქანის გაჩერება. თვალები ცრემლით ქონდა სავსე სიცილისაგან და შეეშინდა ავარია არ გაეკეთებია. მადლიერი უცხო მსმენელის დანახვაზე, გია გააგიჟდა. მიაყარა და მიაყარა ოხუნჯობების სერია.

როგორც იქნა ჩამოაღწიეს ქალაქამდე. მოლაპარაკებისამებრ, კამპანია დიდუბის მეტროსთან აპირებდა ჩამოსვლას.. დიდუბის მეტროს სიახლოვეს, სიცილისაგან დაუძღვრებულმა მძღოლმა განაცხადა:

-არსადაც არ ჩამოგვამთ! იმდენი ვიცინე დღეს, რომ ჩემ სიცოცხლეში ამდენი არ მიცინია. არც თქვენი ფული მინდა, ისე დაგარიგებთ.

გამხიარულებულმა მძღოლმა ყველანი ჩამოარიგა სახლებში უფასოდ.

მეზავრობის საფასური, მეგობრებმა, გიას ოხუნჯობებით გადაიხადეს.

კასრი

ტელეფონით გათამაშებას ვერც ელისო გუდიაშვილი გადაურჩა. ანალოგიურ მდგომარეობაში, ერთ ერთი ქეიფისას, სადაც გიას მეგობრებთან ერთად, ელისოც იყო, გიას შეუმჩნევლად დაურეკავს ელისოს ბებისათვის და რეჟისორის ასისტენტის სახელით დაუბარებია, რომ ელისო ხვალ დილით 9 საათზე მოსულიყო კინოსტუდიაში, კინოფილმ “კასრის” მთავარ როლში, საცდელი კადრების გადაღებაზე №234 ოთახში.

სახლში დაბრუნებულ ელისოს მთელი ოჯახი გახარებული დახვდა.

-ბებო შემოგველოს, კინოსტუდიიდან დარეკეს, მთავარ როლში გიღებენ- სიხარულს ვერ მაღავდა ბებიი.



ელისო გუდიაშვილი

-როგორც იქნა დაგვადგა საშველი, დაფასდება შენი ნიჭი შვილო- ხარობდენ მშობლები და როდესაც გააკვირვებულ ელისოს, ბოლოს და ბოლოს გააგებებს, თუ რაშია საქმე, მასაც გაეხარდა, მაგრამ ერთი რამ ჩრდილავდა ამ სიხარულს, კერძოდ ის, რომ დილით 9 საათზე უნდა ყოფილიყო კინოსტუდიაში.

ელისო საშინელი ძილისგუდა იყო და გვარს ამართლებდა. ოღონდ ადრე არ ამდგარიყო, ერჩინა მერე მთელი დღე ეწვალეებით.

მაგრამ ამჯერად, ხელოვნება მოითხოვდა მსხვერპლს და ელისოც მზად იყო, მონატრებული მსხვერპლის გასადებად.

დილით მთელმა ოჯახმა ერთად გაადვიბა, დააპურა, მოკაზმა და საზეიმოდ გააცილა კინოსტუდიაში. ბებიამ სანთელი დაანთო, პირჯვარი გადაწერა და ღმერთს შესთხოვა მისი საყვარელი შვილიშვილის დახმარება.

ელისო დროზე გამოცხადდა კინოსტუდიაში. პირველი უცნაურობა, რაც მას თვალში მოხვდა იყო ის, რომ ჩვეულებრივად ჭიანჭველების ბუდესავით ხალხსავსე კინოსტუდიაში თითქმის არავინ იყო.

დაუწყო ძებნა მეორე კორპუსის 234-ე ოთახს. შემოიარა ძველი კინოსტუდიის ბევრი ოთახი და 234-ე ოთახი ვერსად ნახა. მერე გაახსენდა და ეძია კინოფილმ “კასრის” გადამღები ჯგუფი. მაგრამ ამაოდ.

-რა კასრი? რის კასრი? შეუდრინა ერთმა თანამშრომელმა, რომელიც ერთ-ერთ ოთახში, მარტო სვამდა ჩაის.

მესამე აღმოჩენა რაზედაც ელისოს მიუთითა კინოსტუდიის დარაჯმა, იყო ის, რომ იმ დღეს, კვირადღე ყოფილა და კვირა, მთელ ჩვენ დიად საბჭოთა ყვეყანაში, ყველა ქვეყნიდან შეერთებული პროლეტარების, დასვენების დღე იყო. მანვე ანახლად დააყოლა, რომ დღეს ფეხბურთის მოთამაშე ვია ფერადის და მისი მეგობრების გარდა სტუდიის ტერიტორიაზე არავინ იყო.

ფერადის გვარის ხსენებაზე ელისოს ელდა ეცა. მიხვდა, რომ ეს ყველაფერი მისი მორიგი ბოროტი ხუმრობა იყო და გაცეცხლებული გაემართა ფეხბურთის მოედნისაკენ.

გია, როდესაც დაინახა ჩქარი ნაბიჯით მისკენ მომავალი განრისხებული ელისო, რომელიც მზად იყო მისთვის თვალები გამოეკორტა, დაასწრო, ფართოდ გაშალა ხელები, ღიმილით და ლაქუნით შეეგება ელისოს:



ფეხბურთელი ფერაძე

-აი, ენოც მოსულაააა! ბიჭებო, ახლა წავედით ლუდის დასალევად. აქვე ლუდის ბარში, კარგი “კასრის” ლუდია. ელისოს კი ძალიან უყვარს “კასრის” ლუდი.

რა უნდა ექნა ელისოს. რომ შეძლებოდა კასრში ჩაახრწობდა გიას, მაგრამ ფერაძე, ხომ ფერაძე იყო და ეს მისი ბოროტი ხუმრობა არც

პირველი იყო, და ალბათ არც უკანასკნელი..

მორზე

მეგობრები სულ თან ახლდნენ. არ უყვარდა სახლში მარტო დარჩენა

ერთ ერთი ასეთი ხშირი სტუმრი, რომელიც მოჰყავდა სახლში, იყო ამირან ბუაძე. ისინი გვიან ღამით ნაქეიფრები მოვიდნენ და დაიძინეს.

ღილით გიას ლოგინში ვერ გააჩერებდი, რაც უნდა ნაქეიფარი მოსულიყო ღილით ადრე დგებოდა, იცვამდა კედებს და მიდიოდა ფეხბურთის სათამაშოდ. ამჯერად იგი ჩვეულებისამებრ ადრე ადგა, ოღონდ ფეხბურთის მაგივრად ნაბახუსევზე ლუდის ამოსატანად ჩავიდა გასტრონომში, მაშინ ასე ერქვა დღევანდელ “მარკეტს”.

გიას ოთახი და დედის ოთახი ერთმანეთს ემიჯნებოდა. ღილით, როდესაც დედას წამალი ან წყალი მოუნდებოდა, გიას მოუკაკუნებდა კედელზე. ამ დათქმულ სიგნალზე, გია გააკითხავდა და იგებდა თუ რა სჭირდებოდა.

დედამ ვერ გაიგო იმ ღამეს ვერც გიას გვიან მოსვლა და ვერც სახლიდან ადრე გასვლა. ღილით მას წამალი მოუნდა და გიას მიუკაკუნა.

ამირანს უკვე გაღვიძებოდა და კაკუნის ხმაზე მანაც კაკუნით უპასუხა. ცხადია არაფერი იცოდა ამ ოჯახური სიგნალიზაციის შესახებ. დედამ ამჯერად ორჯერ დააკაკუნა. ამირანმაც ორჯერ უპასუხა. დააკაკუნეს სამჯერ უფრო ენერგიულად, ამირანმა სამი დააკაკუნებით, ასევე ენერგიულად უპასუხა. თინა ადგა, მოიცვა ხალათი და საძინებელში

გამოვიდა. დაინახა მწოლიარე ამირანი. როდესაც რაიმე არ სრულდებოდა ისე როგორც მას უნდოდა, მასში იღვიძებდა შორეული სვანი წინაპრების სისხლი, (ქორჟოლიანები, ხომ წარმოშობით სვანეთიდან არიან) და მტრისას მისი გაბრაზება.

-შე ოხერო! რა მორზეს ანბანს მეთამაშები, რომ გიკაკუნებ იქნებ ვკვდები, არ უნდა გაიგო რა ხდება?

დაბნეულმა ამირანმა თავი ჩაყო საბანში, ამ დროს გიაც მოვიდა და იხსნა მეგობარი.

მოცურავე ბუაძე



ამირან ბუაძე

გია, ამირან ბუაძე, ბესო ხიდაშელი და “გოჭო” მიქაუტაძე, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ავიდნენ თბილისის ზღვაზე საბანაოდ. მეგობრები მოეწვევენ ქვიან ნაპირზე და სასწრაფოდ დაიწყეს ტანზე გახდა. მარტო გია იჯდა ჩაცმული.

-რას შვები ბიჭო? რატომ არ იხდი? – ჰკითხა ამირანმა.

-გიჟი ხომ არა ხარ! მანდ რა ჩამიყვანს. ცურვა არ ვიცი.

ამირან ბუაძე გაწვადლებული იყო გიას ხუმრობებით და ბოროტი გათამაშებებით. ახლა კი ბედმა მისცა შესაძლებლობა

გიასთვის სამაგიერო მიეზღო.

-მოდი ბიჭო, ნუ გეშინია, აქ არა ვარ? მე გასწავლი. არ დაგახრჩობ.

-არა! არა! მეშინია. თან აქ უცებ ღრმადდება და მანდ რა ჩამომიყვანს. ამასთან, ამბობენ თბილისის ზღვაში “ვადალაზები” არიან, მოცურავეები ფსკერზე ჩაყავთ, მერე ჭირისუფლიდან ფუღს იღებენ და ვითომ “პოულობენო”.

-“ვადალაზები” არა ტოროლა-აგულავდა ამირანი-წამო შე არიფო, ნუ გეშინია.

გიამ მაინც გაიხადა ტანზე. ამირანის და მეგობრების თვალწინ მივიდა წყალთან, ჩაყო ფეხის თითი, მოიბუზა და უკან დაბრუნდა.

-არა ძმაო! ცივია. მე აქ დავრჩები, ბავშვობიდან წყლის შიში მაქვს..

-ეი, შე გოიმო, მე ჩავალ ახლა და წყალს მოგიტან შუბლის დასასველებლად-წარმოსთქვა სიცილით ამირანმა და ქვებიდან წყალში ისკუპა.

“გოჭო” და ბესო ეშმაკური ღიმილით მიყვნენ მეგობარს. მათ კარგად იცოდნენ, რომ გია თევზივით ცურავდა ყველა სტილით

და მიხედენ რაც მოხდებოდა. როდესაც მოცურავეები მოშორდენ ნაპირს, ამირანი წყლიდან აგრძელებდა გიას დაცინვას, სხვა დამსვენებლების გასაგონად:

-ეი, ბიჭო, ამხელა კაცმა ცურვა როგორ არ ისწავლე. ჩამოდი, იცი რა კარგია- ნებივრობდა ამირანი.

გიამ მოიცადა გარკვეული დრო. წყნარად ადგა. ავიდა ერთ ერთ ქვაზე, აღმართა ხელები მაღლა და არტისტულად, ხმამაღლა გასძახა:

-ამირან ბუაძე! ახლა დადგა შენი აღსასრულის ქამი! ლამპრედუხო, მედუხო! და ლამაზი კამარა ნახტომით ჩაემვა წყალში. ჯერ ბრასით, მერე ბატერფლაით, მერე კი კროლით მიუახლოვდა უკვე გაფითრებულ ამირანს. იგი მიხვდა, რომ ფერაძემ ახლა ნამდვილად გააცურა და ცუდი დღე ელოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გიამ მისცურა ამირანთან, დააწვა თავზე ხელით, ჩააყვინთია ერთჯერ, მეორედ, მესამედ, რასაც ახლდა, ამოყვინთვის მომენტებში, ამირანის განწირული ყვირილი:

-ფერაძე, მაპატიე ტო. არ დამახრჩო, ბოდიშს გიხდი ტო.

ახლა გიას დრო მოვიდა და თამაშ-თამაშით, წყლის ყლაპვა-ყლაპვით გამოიყვანა გაღურჯებული ამირანი ნაპირზე.

საიდუმლო პარკი.

გიამ გასტროლებით მოიარა მსოფლიოს 11 ქვეყანა.

გასტროლებიდან ყოველთვის სანუქრები ჩამოჰქონდა ყველა ახლო მეგობრისთვის. ვისთვის პერანგი, ვის ფეხსაცმელი, ვის ჯინსები. მეგობრებისთვის არაფერი ენანებოდა, მართლაც ბევრჯერ თითონ ტანზე გაუხდია და მეგობრისთვის მიუცია, დედა ხანდახან გაკენწლავდა: შე უბედურო “ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო” შენზეა ნათქვამი. გია დინჯად ბრძნული გამომეტყველებით აფორიზმითვე პასუხობდა: თინაჯან! ესეცაა ნათქვამი, “რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია”ო. თინა ბოლო სიტყვას არ შეარჩენდა არავის და ამბობდა:

-ეს ასეც ითქმის, “რასაცა გასცემ შენია, რაც არა, ხომ შენია და შენია!”

მის მიერ ჩამოტანილ ნივთებს შორის იყო განსაკუთრებულად გასაიდუმლოებული ერთი დიდი პარკი, რომელსაც იგი ჩამოტანისთანავე საგულდაგულოდ მაღაგდა. როგორც შემდგომ ირკვეოდა ამ პარკში ჰქონდა მისი საყვარელი სამაიმუნო სუვენირები: გასაბერი ხმოვანი ბუშტები, ნიღბები: დაწყებული ფიდელ კასტროს, ლუის კორგოლანის და ამერიკის პრეზიდენტებიდან, დამთავრებული მიცვალებულის საშინელი გამოსახულებით, რომლებიც ისე ნატურალისტურად

იყო დამზადებული, თხელი რეზინისაგან და სახის ზედაპირს ისე მჭიდროდ ეკვროდა, რომ ნამდვილისაგან გარჩევა ძნელი იყო. აქვე იყო პლასტმასის ხოჭოები, ბუზები, მორიელები, რომლებსაც, ნელ ნელა აჩენდა, სულ თან ატარებდა ჯიბით და ხშირად იყენებდა სხვის გასამხიარულებლად ან შესაშინებლად სხვადასხვა სიტუაციაში. გასაბერ ბუმბტს სუფრაზე შეუმჩნევლად დაუდებდა ვიღაც განსაკუთრებით გაპრანჭულ ქალიშვილს და მისი სკამზე დაჯდომისას ქვევიდან ისეთი გაბმული პრაწა-პრუწი ისმოდა, რომ მთელი სუფრა მისკენ ტრიალდებოდა და გაწითლებული ქალიშვილი სუფრიდან თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ხან ტარაკანს ან ბუზს ჩაუგდებდა ვინმეს შეუმჩნევლად ჭიქაში, ან საჭმელში და გულგახეთქილი “მსხვერპლის” თვალწინ წყნარად ამოიღებდა ჭიქიდან და პირში ჩაიღებდა.

“მიცვალებულის” გამოცხადება

გია როგორც კი ბრუნდებოდა გასტროლებიდან, იწყებოდა მონატრებული მეგობრების განუწყვეტელი სვლა მისი სახლისკენ. ერთხელაც კარზე ზარია. გიამ გაიხედა



მოსუცი ქალის ნიღაბი

სათვალთვალო ჭუჭრუტანაში და დაინახა მეგობარი, ამირან ბუაძე. ჩუმად შევიდა ოთახში, გაიკეთა მიცვალებული ქალის რეზინის ნიღაბი, ჩაიცვა ბებიას ხალათი და წელში მოკუნტულმა, ჯოხით ხელში გაულო კარები და იმქვეყნიური ხმით შეიპატოჟა სახლში. ამირანს გული კინალამ გაუსკდა, მართლაც საშინელი შესახედავი ნიღაბი იყო.

-ვაიმე! -იყვირა ამირანმა და მეექვსე სართულიდან პირველ სართულამდე სირბილით ჩაირბინა და თან იძახდა:

-ვაიმე, ფერაძე ხარ, ფერაძე ხარ, ხომ ვიცი რომ ფერაძე ხარ....

ნაჩუქარი ნიღაბი

ეს საშინელი ნიღაბი ძალიან მოსწონდა ჩვენი ბიძაშვილის, გიზო ნიკოლაიშვილის ქალიშვილს, პატარა ნათიას და გიამაც არ აწყენია და ნიღაბი აჩუქა. გაიხარა ბავშვმა და ხან სად ატყდებოდა მისი მეგობრების წვივთ კივილი და ხან სად. იმ პერიოდს დაემთხვა გიზოს დედის გარდაცვალება. გია რასაკვირველია, ყოველდღე დადიოდა პანაშვილებზე.

ერთხელაც გია და ნათია პანაშვიდზე სადარბაზოში იდგნენ. ამ დროს სამხიმარზე მოდიოდა გიზოს მეზობელი, წელში მოკაკუული მოხუცი ქალი, გაშლილი ჭადარა თმებით, რომელსაც სახე მთლიანად დანაოჭებული ჰქონდა. მოხუცი რომ გასცდა ნათიას, გია ეუბნება:

-ნათია! შენ მიეცი ჩემი ნაჩუქარი ნიღაბი ამ შენ მეზობელს?

ნათიამ ჯერ ვერ გაიგო რაზე იყო საუბარი, ხოლო როცა ამ მეზობელს შეხედა ყველაფერს მიხვდა და პირზე ხელაფარებული, სიცილ-სიცილით ჩაირბინა კიბეები და გაეცალა იქაურობას.

გაბრაზებული რეიგანი

ცნობილმა ტელედიქტორმა აბონ ციციაშვილმა, ეთერში წარმოთქვა ცნობილი ტექსტი:

-“ამერიკის პრეზიდენტს, რეიგანს ნუ დაავიწყდება ცნობილი ქართული ანდაზა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო”... და ამაზე მთელი ქალაქი დადაობდა.

მეორე დღეს, დიქტორს გია დახვდა ტელევიზიის დერეფანში, შავ კოსტუმში, რეიგანის ნიღბით და შორიდან დაუძახა:

-ბატონო! აბონ! რა გინდა ჩემგან? რატომ არ დამანებებ თავს! და ცნობილი კომენტატორი სანამ გია მიუახლოვდებოდა, რბილად რომ ვთქვათ, გაოგნებული ნელი ტაატით ცდილობდა უკან სტუდიაში შესვლას.

ბესო და გია სახინკლეში



ბესო ხიდაშელი

გიამ მიაკითხა ბესოს სამხატვრო აკადემიაში. ბესოს ფერწერის ლექციას უკითხავდა ფარნაოზ ლაპიაშვილი და მისი ლექციის გაცდენას სტუდენტები ვერ ბედავდენ. გია დაელოდა ლექციის ბოლომდე და ბესოს უთხრა

-ბაბუშკებმა პენსია მიიღეს და ჩემი წილი შევაწერე. პივას დალევე?

-მაშ, მაშ! გაეხარდა ბესოს.

-ხინკალი გინდა?

-აბა რა ტო!

-აბა არაყსაც დალევე, არა?

-ვახ, ტო!!

ჩავიდენ და იქვე კინო “თბილისის” ახლადგახსნილ სახინკლეში აიღეს ხინკალი, ქაბაბი, ლუდი, ას ასი გრამიც გადაკრეს და კარგადაც მოუღხინეს. ბესო მისი

გაბარიტების პროპორციული მსმელი იყო და კარგად შეზარხოშებული, კვლავ აკადემიისკენ გაემშურა.

ლექციების მერე ბესო მხიარულად დაბრუნდა სახლში.

სახლში მისვლისას, დედამისი კარებშივე დაეტაკა და დაუწყო ლანძღვა:

-შე კაცის ჩირო! შე ლილიპუტო! დეგენერატო! რატომ ურტყამდი პანწურს მილიციელს და რატომ ფსამდი ქუნაში?

ბესო გაშტერებული თვალებით შესცქეროდა დედას და ვერ გაეგო რა ხდებოდა.

-გია ფერაძე რომ არ ყოფილიყო, ციხეში ამოგალაობდენ, შე უბედურო!

ბოლოს, როგორც იქნა გაირკვა, რომ გია ყოფილა მათთან და ბესო უკითხავს. სახლში რომ არ დახვდა, უთქვამს:

-იმიტომაც არ არის რომ, იგი მილიციაში, კპზ-ში ზის და ისეთი რამე ჩაიდინა, არ გამოუშვებდენ თუ კი მშობლები არ გადაიხდიდენ ჯარიმას. წინააღმდეგ შემთხვევაში მიარჭობდენ სამ წელიწადს ხულიგნობისათვის. მის ბედად, ნაცნობი შემხვდა მილიციაში და დავითანხმე ჯარიმის გადახდაზე.

მშობლებმა, მოიფხიკეს ჯიბეები და რაც ფული ჰქონდათ გიას გაატანეს შვილის დასახსნელად.

ასე დაპატიჟა გიამ, ბესო სახინკლეში “ბაბუშკების” ფულით და მისი მშობლების ფულით კი, მეორე დღესაც ერთად კარგად მოუღბინეს

ბესო და გია ტელეფონის ჯიხურთან



გია და ბესო ხიდაშელი

გია და ბესო ხიდაშელი რუსთაველზე ტელეფონის ჯიხურთან იდგენ და დიდხანს მაიმუნობდენ და სიცილით იხოცებოდენ. იქვე მდგომმა მილიციელმა უყურა, უყურა და ბოლოს მივიდა და მოითხოვა გაცლოდნენ იქაურობას. გია იმ წამს მოუტრიალდა და სერიოზულად მიმართა მილიციელს:

-ბოდიში, ამხანაგო მილიციე-

ლო, აქ იმიტომ ვდგევართ, რომ ამ ჯიხურში ეს ესაა უნდა დაგვირეკონ.

-მაშ კარგი! იყავით, ოღონდაც გამგლელებს ნუ შეაწუხებთ! თქვა მან და იქაურობას თვითონ გაეცალა.

ნანუღას “ბუღკა”



შემოსულია!
ცხელი ჭორები

გიას შეხვდა მეგობარი და ეკითხება:
-გია, ნანუღი სარაჯიშვილი როგორ არის?
-ახლა არა უშავს! ადრე სულ ვალებში იყო და ძლივს გაისტუმრა ახალი ბიზნესის წყალობით.
-რა ბიზნესი აქვს ამისთანა?
-რა და, რუსთაველზე დაიქირავა ერთი კიოსკი, და დააწერა “**ცხელ ცხელი თბილისური ჭორები**”. ზის შიგ მთელი დღე და გამკვლელ გამომკვლელზე, თითო ჭორს მანეთად ყიდის. იმდენი აქვს შემოსავალი, რომ მალე მანქანის ყიდვასაც აპირებს.

ბასეინზე

გიას ხშირად ძალზე საჩოთირო ნომრებიც ჰქონდა. იმ სუვენირებს შორის, რომლებიც გიას ჩამოჰქონდა, იყო ნატურალური ზომის და ფერის, რეზინის “განავალი”.

გია შესანიშნავად ცურავდა და ხშირად სტუმრობდა საცურაო აუზსაც, სადაც მრავალი თბილისელი ლამაზმანი დადიოდა გასარუჯად და გასაპრანჭად. ერთხელ დილით, ფეხბურთის თამაშის შემდეგ, გია მეგობრებთან ერთად მივიდა აუზზე. იქ უკვე ემზადებოდნენ სანებივროდ “ფოე-ფოე” ქალბატონები. სანამ ისინი აუზში ჩავიდოდნენ, გიამ შეუმჩნევლად შეაცურა წყალში “განავლის” ფიტული. როდესაც ქალებმა დაინახეს წყალზე მოტივტივე “განავალი”, ატეხეს წივილ-კივილი, მოუხმეს დირექტორს. განსაკუთრებით დედავდა ერთ-ერთი რაიკომის მდივნის მეუღლე.

-ეს აღმაშფოთებელია! როგორ შეიძლება ამის ატანა! ჩვენი ფეხი არ იქნება ამ აუზზე. მე ამას ასე არ დავტოვებ და სხვა...

გია მივიდა მასთან და მიმართა:

-ნუ ნერვიულობთ ქალბატონო, ახლავე მოვაშორებ ამ საძაგლობას! უმაღვე წყალში გადახტა, ჩაყვინთა და პირდაპირ “განავალთან” ამოყო თავი. პირი დაავლო და წყნარადვე ცურვით გამოიტანა. გაოგნებულ ქალბატონს მიმართა:

-ამაზე ნერვიულობდით ქალბატონო? და მიაწოდა დაჭმუჭნული რეზინის ნაჭკერი.

ზეიკოს “საეჭვო” პურმარილი.

ერთხელ გია, ნანული სარაჯიშვილი და ამირან ბუაძე “პასმელიაზე” დილით მიადგნენ ზეიკო ბოცვაძეს.

ფული არც ერთს არ ჰქონდა, ზეიკო კი მათი ხშირი მასპინძელი იყო. არც ზეიკოს ჰქონდა იმ დროს ფული. იგი თეატრში როლებიდან, რატომღაც დროებითი შეუთავსებლობის გამო, თავისუფალი იყო და ჭრა-კერვით ირჩენდა თავს. ამავდროულად ზეიკოს ხშირად პატიუბდენ ტიტულოვანი თავყანისმცემლები რესტორანში და იქიდან, ვითომდა ძაღლისთვის, უამრავი ხორავი მოჰქონდა, სინამდვილეში მეგობრებისთვის, რომელიც ყოველთვის ჰქონდა მაცივარში “მოყოშკილი”.

ამჯერადაც დატრიალდა ზეიკო თავის კოხტა სამზარეულოში და გაუშალა სუფრა სულმიხდილ მეგობრებს. წინა დღით მეზობლის დასაფლავება ყოფილა და ჭირისუფალმა ოჯახმა, მოსახსენებელი დაუგზავნა მეზობლებს. მაგიდაზე გაჩნდა: მოხარშული ზუთხი, სათალი, ხაშლამა და როდესაც ამას შილაფლავი მოაყოლა და ზეიკო გავიდა ტკბილი ფლავის შემოსატანად, გიამ თქვა:

-ამან ისეთი ქელეხის პურმარილი გავვიშალა, რომ მკონი მიცვალებულიც ეყოლება სადმე დამალული.

ადგა და იქვე ზეიკოს საძინებელში შევიდა. სწრაფად დააღაგა მუთაქები ზეიკოს საწოლში, გადააფარა ზეწარი, გაასწორა ისე, თითქოს ვინმე იწვა და გაფართოვებული თვალებით გამოვარდა იქიდან.

-ხომ გითხარით, მართლაც მკვდარი ყავს, თუ არ გჯერათ მიდით, ნახეთ. ნანული და ამირანი ძალით შეაგზავნა საძინებელში.

ლოგინში ზეწარგადაფარებული “მიცვალებულის” დამნახავი შეშინებული ნანული და ამირანი ყვირილით გამოვარდნენ საძინებლიდან და კიბეზე დაეშვნენ.

ზეიკომ ბევრი იცინა, მერე არყით ძლივს დაამშვიდა შეშინებული მეგობრები.

ზეიკოს დაბადების დღე

ზეიკოს დაბადების დღე 13 აგვისტოსაა, როცა თბილისში გაგანია სიცხეა და ყველა ცდილობს სადმე გრილ ადგილას ან მთაში ან ზღვაზე გასვლას. ზეიკოსთან ყოველ წელს იმდენი მეგობარი იყრიდა თავს, სადამოზე მის ეზოში, რომ იუბილარი ხუმრობით ამბობდა:

-ქალაქში რომ გახვალ ქუჩაში თითქოს არავინ არაა, ყველა დასასვენებლად არის წასული, ეს ოხრები, მაინცდამაინც ჩემ დაბადების დღეზე ჩამოდიან თბილისში, თუ რაშია საქმე?



ნანული, მე, ლეილა, ოლეგ იანკოვსკი,
ზეიკო, საშა აბდულოვი, ირა ალფეროვა

ერთ წელსაც 12 აგვისტოს ზეიკო მირეკავს:

-ბიძინი! რამე უნდა მიშველო, რამ მოაშია ამ ხალხს გაგანია სიცხეში, იმდენი რეკავს და ხვალ მოსვლას აპირებს, რომ ჩემ სახლში ფეხზე დასადგომი ადგილიც არ იქნება.

მე დავამშვიდე. ვუთხარი ხვალ დილას 10 საათისთვის მზად ყოფილიყ. დაერეკა თემურ კლდიაშვილთან და ნანა კეთილაძესთან, რომლებიც შესანიშნავი მომლხენი თანამესუფრეები იყვნენ და ისინიც გამზადებულიყვენ. ზეიკო მენდობოდა, იგი ამბობდა “ბიძინი, ჩემი ბურჯია, დაეყრდნობი და დაგიჭერსო” და ხომ უნდოდა ამ “ბურჯობას” გამართლება.

დილით გამოუარე მანქანით, უთხარი ამ სიცხეში ერთადერთი ადგილი, სადაც გრილა და ჩვენს მეტი არავინ იქნება, თანაც ვერავინ მოგვნახავს, არის თბილისის ზღვა და ჩემი იახტა “ეროსი”. ზეიკო პირველად არ მოდიოდა იახტაზე, ძალიან გაეხარდა, რადგანაც ყოველთვის მეხვეწებოდა ზღვაზე აყვანას. წამოიღო საბანაო კოსტუმები, განიერი ჩალის ქუდი, გაუარეთ თემურის და ნანას, მაგრამ თემური ქალაქში არ აღმოჩნდა. მე, ზეიკო და ნანა, წავედით ზღვაზე. ზეიკოსთან მისვლამდე გავიარე ბაზარში, ვიყიდე ყველაფერი, რაც საჭირო იყო საზღვაო პურმარილისათვის.

აი, ავედით იახტაზე, აუშვით აფრები და გავედით ზღვაში. ზღვაზე იახტ კლუბის ზევით არის ერთი თვალიდან მოფარებული პატარა ყურე და იქ ჩავაგდე ღუზა. ქალები მწვანედის გარჩევას, სალათის კეთებას და სუფრის გაშლას შეუდგენ. მე, ბოთლები ჩავაწყვე ბადეში და ჩაუშვი წყალში ჩასაცივებლად. გავშაღეთ სუფრა კაიუტაში, სადაც მაგიდასთან 7 კაცი ეტევა თავისუფლად. ჩვენ კი მხოლოდ სამნი ვიყავით. დაიწყო ზეიკოს უჩვეულო დაბადების დღე. ნელ-ნელა, აუჩქარებლად ვწრუპავთ: ვინ შამპანიურს, ვინ არაყს. დაგვცხება, ჩავდივართ წყალში, ვბანაობთ, ამოვალთ ისევ ვწრუპავთ. ნანა გახურდა სიმღერით, მე კი გავიბერე ბანის თქმით. ვართ ამ ნეტარებაში და განცხრომაში.

არ კი ვიცოდით, თუ რა მზადდებოდა ჩვენს თავს...



ჩემი იახტა “ეროსი”

შუადღეს, როცა არავინ პასუხობდა ზეიკოსთან ტელეფონზე, გია ფერაძემ იფიქრა ტელეფონია გაფუჭებული და მიადგა ზეიკოს სახლს. რასაკვირველია იქ არავინ დახვდა, გარდა ზეიკოს მდგმურისა, ლატვიელი ვებგურთელა ძუძუებიანი სკაიასი, რომლის ამ სიმდიდრეებზე თვალი ეჭირათ ზეიკოს “ბუნკერის” ყველა მამრ წევრს, მურმან გიორგაძიდან დაწყებული, “შაქარა” გიზო ნიკოლაიშვილით დამთავრებული. გიამ სკაიასგან გამოარკვია, რომ ზეიკოს, დილით მოაკითხა ილიკომ მანქანით და სადღაც წავიდენ, ისე, რომ არაფერი დაუბარებიათ.

არ დაჭირდა გიას ბევრი ფიქრი, უცბად მიხვდა სად ვიქნებოდით და სწრაფად მოიფიქრა “შურისძიების” მეთოდიც. გამოუარა ნანული სარაჯიშვილს, ატეხეს რეკვა ახლობლებში: არიქა, ზეიკო ზღვის მეკობრეებს მოუტაციათ, გაუპატიურებას უპირებენ და უნდა გავათავისუფლოთო. შეკრიბა საჭირო რაოდენობა ხალხი, რომ ჩვენთვის მწარედ ენანებია გიას გარეშე ქეიფი და მეგობრებით საუსე ორი მანქანით ამოგვაკითხეს იახტ-კლუბში.

იახტ კლუბი ერთად ერთი ადგილი იყო მსოფლიოში, სადაც გია ფერაძეს იცნობდენ, როგორც ჩემს ძმას, დაარჩენ ადგილებში კი, ყველგან მე ვიყავი გია ფერაძის ძმა.

ამასთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება. ადრე, გია მიდიოდა მოსკოვში. მან იცოდა, რომ მე მოსკოვში,

სასტუმრო “როსიაში,” კარგი ნაცნობი ადმინისტრატორი მყავდა და უთხარო:

-მიხვალ სასტუმროში. იკითხავ ელიზავეტა პეტროვნას. ეტყვი, მე ილიკო ფერადის ძმა ვარ და ნომერი გარანტირებული გექნება.

გია ორი კვირის მერე დაბრუნდა მოსკოვიდან. მე ვკითხე:

-რა ქენი? დაგეხმარა ჩემი ნაცნობი?

-კი როგორ არა დამეხმარა, მაგრამ, რომ ვუთხარი: ილიკო ფერადის ძმა ვარ მეთქი, მან მკითხა: რომელი ილიკო ფერადის? არტისტი გია ფერადის ძმა რომ არის?

აი ასე, ერთხელაც არ მოითმინა გიამ, ილიკო ფერადის ძმობა, რომელიც მერე უხვად გამოადგა.

დაუბრუნდეთ იახტ-კლუბს. რას ვიფიქრებდი, რომ კონსპირაცია დამჭირდებოდა, ამიტომ არ დაუბარე კლუბში,



უჯია ავალიანი

როგორც ამას ხანდახან ვაკეთებდი, ვინც უნდა მოსულიყო, ჩემთან არ გადმოეყვანათ, მაგრამ რომ დავფიქრდი, ესეც სისულელე იყო, გია ფერადეს ვერც ზღვაში და ვერც ცაში ვერსად დაემალებოდი.

ჩვენი ქეიფი იახტაზე შესულია იმ სტადიაში რომ ქალიც და კაციც ფეხზე ადგომით ვსვამდით სადღეგრძელოებს. თამადას კითხვა არ უნდოდა, უკვე ზეიკო

თამადად. ვინც უნდა დაგენიშნა თამადად, მესამე, მეოთხე სადღეგრძელოზე ზეიკო ჩამოართმევდა თამადაობას, ამას ვერ უბედავდა მხოლოდ თემიკო ჩირგაძეს და უჯია ავალიანს, რადგანაც მათი დაუოკებელი ენერჯია და იუმორი, შეუძლებელი იყო, სხვის რაიმე ჩარჩოებში მოგექცია. ზეიკოსთან უფრო ხშირად, უჯია თამადაობდა და მისი თამადაობა ეს იყო იუმორის, პაროდის, პანტომიმის და ყველაფერი სასაცილოს ნაზავი, განუმეორებელი სპექტაკლი, ხოლო თუ სუფრაზე გია ფერადეც იყო, რაც ხშირად ხდებოდა, მაშინ ჭამისთვის ვის ეცალა, ხალხი სიცილისაგან ცუდად ხდებოდა.

იახტაზე მოქეიფებები, ვართ განცხრომაში და გვესმის რაღაც უცნაური ყვირილი და ყიჟინა. გამოვყავი თავი კაიუტიდან და რას ვხედავ. ორი კატერი საესე ხალხით, მოემართება იახტისკენ. მოწინავე კატერის ცხვირზე დგას “მეობრე”,

მეზღვაურის “ტელნიაშკაში” ჩაცმული, ცალთვალახვეული გია ფერაძე და ყვირის:

- ნა აბორდაჟ!
- “ზღვაში მოდის კატერი იობ ტვაიო მატერი!”

და იახტა გაივსო მეკობარ-მეგობრებით. რასაკვირველია ყველას გაგვეხარდა... მერე, სადამოხანს, მეორე ამოსვლაზე, მიემატენ ჩემი მეგობრები მიტო ვარძელაშვილის თამაძობით, რომლებმაც გაიგეს, რომ ილოს იახტაზე პურმარილია და საბოლოო ჯამში, იახტაზე 22-მა კაცმა მოვიყარეთ თავი. “ვიწრო წრის ქეიფი”, რომ ჩაიშალა ეს ნათელია, მაგრამ იახტა, რომ არ ჩაიძირა ამაზეც მადლობელი დავრჩი. ნახევარ ხალხს ვინც ზღვაზე ამოვიდა, ზეიკო საერთოდ არ იცნობდა.

-აი, ბიძინი ღმერთმა დამსაჯა. სახლში რომ დავრჩენილიყავი, ნაცნობებში მაინც ვიქნებოდი და სივიწროვისგან გვერდები არ დამემტვრეოდა.

-არა ზეი! ღმერთმა კი არა, ჩემმა ოხერმა ძმამ დაგვსაჯა და ახლავე მივხედავ საქმეს.

მე ფული ცოტა მქონდა დარჩენილი. გიას აუხსენი სიტუაცია და მან თავისი მეკობრის ფორმით და ზეიკოს “შლაპით” ჩამოიარა ყველა და ძაღდატანებით, ვითომ მართლა აყანადებდა, ზოგს ვითომ საყურეს ხსნიდა, ზოგს გულზე ჩამოკიდულ ძეწკვს და საბოლოოდ საკმაო თანხა შეაგროვა.

კატერით გადავედით ნაპირზე, მოვიტანეთ დასალევი და ქეიფ-ქეიფით, ბანაობით და გიას გაუთავებელ ლაზღან-დარაობაზე სიცილ-ხარხარით, გვიან დამეს მშვიდობიანად დავასრულეთ ზეიკოს ცხოვრებაში პირველი დაბადების დღე საზღვაო ემიგრაციაში და ჩემდა სასიხარულოდ, ღმერთის წყალობით, არავინ არ დამხჩვალა.

უთო

რუსთაველის თეატრი გემით მიდიოდა გასტროლებზე საბერძნეთში. ბათუმიდან ჩავიდენ ოდესაში და საბერძნეთში გასვლის წინა დღეს, ყველანი საზღვარგარეთ გასაყიდი საქონლის საყიდლებზე აპირებდნენ წასვლას. ამ დროს გია უკვე ბრუნდებოდა ქალაქიდან, დიდი მძიმე შეკვრით, რომელსაც ძლივს მოათრევდა. გაგვიდგენ ცნობისმოყვარე მსახიობები. ეტყობა გიამ რაღაც კარგ რამეს მიაგნო და ჩვენ გვიმალავსო. გაყვნი გიას კაიუტაში და ნახეს, რომ მას უთოების დიდი შეკვრა მიჰქონდა.

-რუსეთის უთოებზე საბერძნეთში დიდი მოთხოვნილებაა და ძალიან მომგებიანად გადაისო!

გავარდნენ მსახიობები და ოდესაში სწრაფად შექმნეს უთოების დეფიციტი. როდესაც გემი გავიდა ოდესიდან, გიამ უთოს ცარიელი ყუთები სხვების დასანახად წყალში მოისროლა და შემდეგ გემის სხვადასხვა კუნჭულში ემალებოდა განრისხებულ მეგობრებს.

ქალის მოწმობა

გიას საკუთარი მანქანა არასოდეს ყოლია, მაგრამ უმანქანობას არ უჩიოდა, სულ ნაცნობ მეგობრების მანქანით დადიოდა, მეგობრები მას უარს ვერ ეუბნებოდენ, ინსპექტორები კი ცნობდნენ და პრობლემა არასოდეს შექმნია. არა მარტო თბილისში, მოსკოვშიც კი, იგი ხან ანდრეი მირონოვის ბმვ-თი დაგრიალებდა, ხან კი ალექსანდრე აბდულაოვის 07 ჟიგულით.

ერთხელ გია მისი მეგობარი გოგონას მანქანით მიდიოდა.



“მე, ჩემი გაჭირვება მეყოფა, ბიჭო”

გაახერა ინსპექტორმა, რომელიც ეტყობა სოფლიდან ახალი ჩამოსული იყო და გია ვერ იცნო.

-თქვენი საბუთები-მოთხოვა გიას.

გიამ მიაწოდა საბუთები.

ინსპექტორმა დახედა ქალის საბუთებს და გააკვირვებულმა შეხედა გიას:

-ქალბატონო მანანა! რატომ

არღვევთ მოძრაობის წესებს?-ნიშნის მოგებით მიმართა გიას.

გია გადმოვიდა მანქანიდან, წყნარად აართვა ხელიდან საბუთი და მინაზებულნი ხმით, კეკლუცად უპასუხა გაოგნებულ ინსპექტორს:

-კარგი რა! მე ჩემი გაჭირვება მეყოფა! და უკანაღის ქნევით, ქალური მიხერა მოხერით ჩაჯდა მანქანაში, დაქოქა და ადგილზე გაქავებულ ინსპექტორს მიაძახა

-ჩაო!

კაკლის მურაბა

გიას ახლობელი მეგობრები იყვნენ თამაზ სეფერთელაძე, დათო აბესაძე და მალხაზ თავართქილაძე, “ციფერი ტრიოს” მომღერალი ბიჭები. როდესაც ისინი პირველად მიემგზავრებოდნენ გერმანიაში გასტროლებზე, საზღვარგარეთ ბევრჯერ ნამყოფ, გამოცდილ მეგობარს, გიას მოადგენ, რჩევა დარიგებისათვის.

გიამ რასაკვირველია “ჭკუა დაარიგა” ბიჭებს და სერიოზული სახით ურჩია გასაყიდად წაედოთ ლაგოდების ქარხნის კაკლის მურაბა, და ხაზი გაუსვა, “ლაგოდების”, რადგანაც იქ ამ პროდუქტს რეკლამას უკეთებენ და მასზე დიდი მოთხოვნილებააო! დაუჯერეს. წაიდეს ბლომად ლაგოდების კაკლის მურაბა, რომელიც რასაკვირველია, შერჩათ ხელში და იძულებული იყვნენ ნაწილი სასტუმროში დაერიგებინათ გემრიელი სუვენირების სახით, ნაწილი თავად მიეყოლებინათ ჩაიხე და თითოეული ტკბილი კაკლის ჭამისას, სიმწრით აყოლებდენ გიას გინებას:

-ოხ! ფერაძე შენი....

ბოტკინი



გია და ბესო

სტუდენტობისას დაემართა ბოტკინი და დავაწინეთ ინფექციურ საავადმყოფოში. იქაც გაავიჟა მთელი მედპერსონალი. მასთან ერთად ვითომ და ანალიზებზე, სპეციალურად დაწვა, მასავით ჭკუამხიარული სოსო ჟღენტი, რომელსაც გიამ “ჩურჩხელა” შეარქვა. გია ხუმრობდა: ჩემი ხათრით სოსომ, ძალად დაიმართა ბოტკინიო. ექიმები გაწამებული ყავდათ რეჟიმის ხშირი

დარღვევით. მოაკითხავდა ბესო ხიდაშელი და ავადმყოფის პიჯამოებით იპარებოდნენ დაბადების დღეებზე სამაიმუნოდ. თან მიჰქონდათ დამის ქოთნები და სხვა, მართლაც საშიში, ინფექციური უცნაური ინვენტარი. მისვლისას, ოჯახებში იმპროვიზირებულ სპექტაკლებს აწყობდნენ და სიცილისაგან, ცრემლებამდე მიჰყავდათ დამსწრენი.

მათთან ერთი ბუზღუნა და დამსმენი, სომეხი ავადმყოფი იწვა. განსაკუთრებით გია ამოიჩემა, რომელსაც ყველაზე მეტი აურხაური შეჰქონდა პალატაში და ხშირად ასმენდა ექიმთან. გიამაც არ დააკლო “ყურადღება” და “შპიონი” შეარქვა.

ერთხელ ამ “შპიონს” ანალიზები უნდა ჩაებარებინა. იმ განყოფილებაში იყო სამ კაბინიანი ტუალეტი და ავადმყოფებს ოყნის გაკეთების შემდეგ ამ ტუალეტში უნდა მოეგროვებინათ ლაბორატორიისათვის “მასალები”.

შპიონს გაუკეთეს ოყნა და მიადგა ტუალეტს. მაგრამ სამივე კაბინა დაკავებული იყო. კაბინები წინასწარ დაიკავეს გიამ და

მისმა ამფსონებმა. შპიონმა დაიწყო კარზე კაკუნი. უშედეგოდ. მერე გადავიდა მუშტებით ბრახუნზე. ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ კაბინების დაკეტილი კარებების ზემოდან, პაპიროსის ბოლის რგოლები ამოდებდა. შპიონი მიხვდა რაშიც იყო საქმე, დაიწყო წინ და უკან სირბილი და ყვირილი:

-გია, გამოდი, ღმერთი არა გწამს!?

შპიონი მოიკუნტა და ცოტა ხანში საეჭვოდ გაიტრუნა ტუალეტის გარეთ.. ანალიზის ჩაბარება ჩაიშალა.

ამ დროს კაბინიდან წყნარად გამოვიდა გია და უთხრა:

-აი, ახლა წავალ და ექიმს ვეტყვი, საბჭოთა ბოტკინელის პიჯამო რომ დასვარე და ამაყად გაიარა.

მას შემდეგ შერცხვენილი სომეხი უკვე აღარ “შპიონობდა”.

არეული ანალიზები

ინფექციურ სავადმყოფოში არის შარდის გამოკვლევის ე.წ. ზომინციკის მეთოდი, როდესაც ავადმყოფი დღე-ღამის განმავლობაში ყოველ 3 საათში აგროვებს შარდს ქილაში და მერე იკვლევენ სხვადასხვა დაავადებებზე. თითოეული ავადმყოფის 8 ქილა, მათზე ქაღალდით მიწეპებული გვარებით იღება ტუალეტში. ამ ქილების რაოდენობა დაახლოებით 50-ს აღწევდა. ექიმებისთვის და ავადმყოფებისთვის ქილათა ეს სიმრავლე, დიდ უხერხულობას ქმნიდა და ამ რიტუალის შესრულება ბევრ კურიოზთან იყო დაკავშირებული.

გია, რა გიაა, ეს სიტუაცია საღაზღანდაროდ რომ არ გამოეყენებია.

გია შედიოდა ჩუმად ტუალეტში და დაკრულ ქაღალდებს გადააწეებდა და აურევდა ერთმანეთს სხვადასხვა ავადმყოფების ქილებს, რაც ავადმყოფებზე მეტად ექიმებს აგიჟებდა.

მერე, იმ ხსენებულ “შპიონს” არ აკმარა ზემოთაღწერილი სასჯელი და როდესაც მოძმე სომეხი, დილის პორციას მოშარდავდა თავის ქილაში, გია შეუმჩნევლად შედიოდა ტუალეტში და მის სხვა ქილებსაც შარდით ავსებდა. რაზედაც ეს “შპიონი” ექიმების რისხვას იმსახურებდა:

-რა ვერ გაგაგებინეთ, რომ მარტო ერთ ქილაში უნდა ჩააფსა და არა ყველაში. უჯავრდებოდენ საწყალ გაოგნებულ ავადმყოფს.

“საბჭოთა ბოტკინელი”

საავადმყოფოდან ერთ ერთი გაპარვის დროს, სადღაც იშოვნა დიდი ყვითელი ქაღალდის ფორმატი, რომელიც თავად მოხატა და გამოუშვა კედლის გაზეთი “საბჭოთა ბოტკინელი” შარუებით ექიმებზე, ავადმყოფებზე, მკურნალობის მეთოდებზე, ზომინციკის ანალიზზე, “შპიონის” ანალიზების ჩაბარებაზე, იუმორისტული ლექსებით, რომლის სანახავად მთელი საავადმყოფო მოდიოდა. ეს გაზეთი მერე დიდი ხნის განმავლობაში კაბინეტში ეკიდა საავადმყოფოს მთავარ ექიმს, არაჩვეულებრივ ადამიანს, სლავა ჩხიკვიშვილს, იმ დიდი ბენია ჩხიკვიშვილის შვილიშვილს, რომლის შვილიც ჩვენ ბაბუა სერგო ჟორჟოლიანთან ერთად იყო გადასახლებაში კამჩატკაზე.

ფაფა

საავადმყოფოს მერეც, რასაკვირველია არ იცავდა რეჟიმს. დიეტა დაუნიშნეს 6 თვით. ყოველ დღით დედა უკეთებდა ფაფას და იყო ერთი ჩხუბი ფაფის ჭამაზე.

ერთხელაც მრავალჯერადი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად გიამ კატეგორიული უარ განაცხადა ფაფის ჭამაზე.

-კარგი რა, თავი დამანებე, ნუ გამიწყალე გული ამ ფაფით. არ შეეჭამ.

დედას აუვარდა ისტერიკა. დააგლო სავსე თეფში და ფაფა იატაკზე დაიდვარა.

გია მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და სამზარეულოდან გაიძურწა.

ცოტა ხანში შემობრუნდა ძუნძულით, ტრუსებში, კისერზე გაუკეთებია წინსაფარი, ხელში უჭირავს კოვზი და მოჩლეფილი პატარა აღუა ბავშვის ხმით მივიდა დედასთან:


“დედიტო, ფაფა მინდააა!” ჩაიცუცქა და დაიწყო კოვზით იატაკზე დაღვრილი ფაფის ჭამა.

კონფლიქტი იმ წუთას განიმუხტა. სულ ასე იყო. რა გინდ გაბრაზებული ყოფილიყო დედა გიაზე, საკმარისი იყო ერთი მისი მოფერება, რომ ნებისმიერი დაძაბული სიტუაცია განმუხტულიყო.

“სოიუზი”

ერთი ამბავიც მინდა გავისხენო გიას მოსკოვის ისტორიებიდან, რომელიც მის დასახასიათებლად საინტერესო დეტალია. ეს გახლავთ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან მისი არასტერეოტიპული ქცევა.

გიას მეგობარი სოსო ულენტი-“ჩურჩხელა“- გეოლოგია. მისმა ექსპედიციამ აფხაზეთში ავადხარაზე აღმოაჩინა ძვირფასი ფერადი ლითონის საბადო და მთელი ჯგუფი დააჯილდოვეს იმ დროისათვის არნახული თანხით.



სოსო ულენტი

ამ თანხის არაჩვეულებრივ დროსტარებად გადაქცევის საუკეთესო ადგილი იმ დროს, რასაკვირველია იყო, მოსკოვი. და სოსომაც ჩააღაგა ტკიცინა ოცდახუთმანეთიანები სქელ საფულეში, ოჯახს დიდი ხნით გამოეთხოვა და ამაყად გაემართა მოსკოვის დასაპყრობად.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩაიცვა, დაიხურა და ერთ სადამოს, მშვენიერ მანდილოსანთან ერთად, სპეციალურად დაქირავებული “ვოლგით” მიაშურა ახლადგახსნილ, იმ დროს ყველაზე პრესტიჟულ რესტორან “სოიუზს”.

აქ მოხვედრა ჩვეულებრივი

მოკვდავისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

რას არ ეცადა სოსო, ხან 25 მანეთიანი შეაძღვია კარისკაცს, ხან რა დაპირდა და ხან რა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, შერცხვა კაცი მანდილოსანთან. კარისკაცი ჩვეული ქესტით მიუთითებდა წარწერაზე: “სპეცმომსახურება”. ვინც იმ დროს მოსკოვში დადიოდა, მათ კარგად იციან კარისკაცების უარგონი, თუ რას ნიშნავს “სპეცობსლუჟიანიე,” “ნე პოლოჟენო”, “ მესტ ნეტ”, როდესაც გარედან შეუიარაღებელი თვალით მშვენიერად ჩანს, რომ თითქმის მთელი რესტორანი ცარიელია და ეს რეგენი კარისკაცი არ გიშვებს. პრობლემის გადასატრელად საკმარისი იყო ცოტა მოხერხება, ცოტა ფული და რაც მთავარია კარისკაცებთან განსაკუთრებული მიდგომა. ამ ხელოვნების მცოდნე უბადლო ოსტატი იყო გია.

მისი თავბრუდამხვევი ოხუნჯობანი ჯერ აოგნებდა კარისკაცებს, მერე კი საბოლოოდ განაწყობდა მისდამი სიმპათიით და მისთვის ყველა კარები უპრობლემოდ იღებოდა.

ხალხი კარებს იყო მისეული და შურით შეჰყურებდა რესტორანში შემავალ მაღალ საზოგადოებას. უცებ შევიცარი

გამოვარდა კარებიდან, და დაიწყო ხალხის ხელით გაწვევა-გამოწვევა:

-გავატაროთ, გაეცალეთ, გამოატარეთ! ხალხმა კორიღორი გააკეთა საპატიო სტუმრების გასატარებლად.

გაიხედა სოსომ და რა დაინახა. გია ფერაძე ორ ულამაზეს მსახიობ ქალთან ერთად შედის რესტორანში და კარისკაცი სწორედ მას უთავისუფლებდა გზას..

სოსო უცებ მოეგო გონს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იბღავლა:

-გიააა, ფერაძეეეე! სოსო ვარ ქლენტი, მიშველეეე... არ მიშვებენ... გიამ ამაყად გამოხედა, არც გაჩერებულა, კარისკაცს ისე ჩაულაპარაკა:

-ეს გამოატარეთ, ჩემთანაა... და გაიარა.

სოსო რასაკვირველია დაუყოვნებლივ გაატარეს.

მერე კი... ვინანუ-ხუმრობით იგონებდა სოსო- ნეტავ არ გაეგონა გიას ჩემი ხმა. დაიწყო განუწყვეტელი დროსტარება დილიდან-დილამდე, როდის თენდებოდა, სად გვიდამდებოდა, სად დაგვიოდით, სათვალავი ამერია. პრაქტიკულად არ გეგძინა. გიას დადლა არ ეტყობოდა და სულ ახალ ახალ ფეიერვერკებს აწყობდა. მე კი ენერგია და ფული მალე გამომეღია და მესამე დღეს უკვე სასწრაფო ტელეგრამა გაგვზავნე თბილისში დასთან:

-“იხო. გზის ფული დამახმარე. შენი სოსო”.

დამსხვრეული “ბოკლები”

გია და ამირან ბუაძე, ერთ ზაფხულს შამპანიურებით ავიდენ სოსო ქლენტთან სახლში. გაშალეს სუფრა. სოსომ გამოიღო ახლადნაყიდი ბოკლები და სიამაყით დააყოლა:

-ეს, უბრალო ჭიქები არ გეგონოთ, დავარდნისას არ ტყდება.

დაიწყეს ხმა. თამადა გია იყო. მან თქვა:

-ვიცი ეს ბოკლები, მიჭახუნებისას ისეთი ხმა აქვთ, კრემლის კურანტები გეგონებოთ.

სადღეგრძელოს დამთავრებისას დაიძახა:

-აბა, კრემლი! კრემლი გავაკეთით და ბოკალი ისეთი კუთხით მაგრა მიუჭახუნა სოსოს, რომ ორივე ბოკალი წვრილ წვრილ ნამსხვრევებად დაიშალა მაგიდის თავზე.

თურმე გიას სცოდნია, რომ ამ ჭიქებს აქვს კრიტიკული წერტილი და თუ ამ წერტილით დავარდა ან გვერდიდან რაიმე შეეხო მას, იმ წუთას იმსხვრეოდა.

სოსო გაგიჟდა.

-როგორ, ეს ალბათ წუნი იყო და გამოიღო მეორე წყვილი ბოკალი.

გიამ კვლავ გაახურა სადღეგრძელო და კვლავ დაიძახა:
-აბა, კრემლი! კრემლი! - ისევ ჯახს!

და ორივე დაიმსხვრა.

რაღა ბევრი გაავარძელო, სანამ სოსოს სიამაყით ნაყიდი 12-ვე ბოკალი, “აბა. კრემლის” ძახილით, არ დაღეწა, გიამ არ მოისვენა და სოსო, პურმარილის მაგივრად, შუშის ნამსხვრევებს ხვეტდა ცოცხით ხელში.



ღმერთმა დაგლოცოთ!

ბევრი ანეკდოტი დადის გიაზე. ბევრი მართალია, ზოგს უბრალოდ მიაწერენ მას, ბევრს თავად იგონებდა სიტუაციის მიხედვით, და ეს ანეკდოტები დღესაც ახსოვს სულ სხვადასხვა წრეებში მის მრავალ ნაცნობ-მეგობარს. აქ მოყვანილი ხუმრობები ალბათ მცირედი ნაწილია მათ გონებაში დარჩენილისა და თუ ამ წიგნის მკითხველი მომაწოდებს, მის მიერ დამახსოვრებულ, გიას “ჩადენილ” ხუმრობებს, თუ ღმერთმა ინება, მათ მომავალ გამოცემაში მიუჩენ ადგილს.

მილორავა

გიას ჰქონდა ჩვევა. თუ ვინმე მის ხმას ვერ იცნობდა ტელეფონში, კითხვაზე: ვინ ბრძანდებით? რატომღაც ყველას პასუხობდა:

-შოთა ვარ მილორავა! და ამით ახლობლები უკვე ცნობდნენ გიას.

გია მეგობრობდა დათო ყიფიანთან და მთელ მის ოჯახთან, სადაც იგი მიღებული კაცი იყო. დათოს და გიას ბევრჯერ უთამაშიათ ერთად ფეხბურთიც. როგორც უკვე აღვნიშნე დათო ეუბნებოდა: შენ რომ მსახიობობას თავს დაანებებდე და ფეხბურთისთვის სერიოზულად მიგეხედა, შენგან დიდი ფეხბურთელი გამოვიდოდა.



ერთხელაც დიდი ხნის უნახაობის შემდეგ, როდესაც დათოს ფეხი მოტეხეს ესპანეთში, გიამ გაიგო რომ იგი დაბრუნდა და სახლში იწვა. გიამ დაურეკა დათოს,

-ვინ ბრძანდებით? იკითხა დათომ.

-დათო, შოთა ვარ მილორავა!

-გისმენთ ბატონო შოთა! რაზე შეწუხებულხართ.

გია მიხვდა რომ ვერ იცნეს მისი ხმა და ცოტა დასერიოზულებული ხმით განაგრძო.

-ჩემო დათო, კანტატას ვწერ ფეხბურთზე და მინდოდა თქვენთან გასაუბრება თუ არ შეგაწუხებდით.

-რას ბრძანებთ ბატონო შოთა. მე ფეხი

მაქვს მოტეხილი და ვწევარ, თავისუფალი დრო ბევრი მაქვს, მაგრამ გარეთ ვერ გამოვდივარ.

-ჩემო დათო! თუ არ შეგაწუხებთ მე შემოგივლით, ალბათ სულ ნახევარ საათს წაგართმევთ.

-რას ბრძანებთ, რამდენი ხანიც გენებოთ ბატონო შოთა!

და შეხვედრაზე საღამოს 7 საათზე მოილაპარაკეს. მეტი დამაჯერებლობისათვის გიამ დაწვრილებით გამოკითხა მისამართი, სადარბაზო, სართული, რომელიც რასაკვირველია კარგად იცოდა და დაემშვიდობა შეხვედრამდე.

საღამოს 6 ს. 30 წ. გია რეკავს ყიფიანების კარზე.

იღება კარები.

-ო, გია მობრძანდი, მობრძანდი! რაღაც ცალი ყბით შეიპატიუეს.

ოჯახში საგანგებო სიტუაცია იყო გამოცხადებული, როგორც დიდი კომუნისტური დღესასწაულის წინა დამეს, როდესაც ყველაფერი უნდა მოესწროთ ბოლო წუთებში. ყოველთვის საყვარელი სტუმარი გია ფერაძე, ამ სიტუაციაში მისი მოუსვენარი, ხან უტიფარი ხუმრობებით რასაკვირველია ცოტა სახიფათოც იყო და ვერ ჯდებოდა დღევანდელი ოფიციალური შეხვედრის პროტოკოლში. გვერდზე ოთახში სუფრას შლიდნენ. სამზარეულოდან ისმოდა ჭადის ცომზე ხელების ტყაპუნი, სადღაც გულგამგმირავად წიოდა მტკვერსასრუტი. გია სასწრაფოდ შეუშვეს დათოსთან, თან გააფრთხილეს, რომ დათო ვერ არის კარგად და დიდხანს სტუმრობა და გადაღლა არ შეიძლებოდა.

გავიდა ხანი, გახდა 7 საათი, გია რაღაცეებს უყვება დათოს. დათო ხშირ-ხშირად საათზე იყურება. გია ვითომ ვერაფერს ამჩნევს და განაგრძობს ჩვეულ მაიმუნობას. გახდა 8 საათი. იგივე სიტუაციაა. შუალედში მეზობელმა დარეკა კარზე და ოჯახში ერთმანეთს თავებს ახლიდნენ საპატიო სტუმრისთვის კარის გასაღებად. მაგრამ ამოდ. ყველას ერთი დარდი ჰქონდათ, რომ იმ სიტუაციისათვის ზედმეტი გია ფერაძე, ვერა და ვერ მოიშორეს თავიდან.

9 საათზე დათოს და ჯიუტად შემორჩენილ სტუმარს შემოუტანეს ლანგარზე დაწყობილი ბუტერბროდები და ჩაი.

10 საათზე გია ადგა და წასვლა დააპირა. საპატიო სტუმრის არმოსვლით გულგატეხილი და ბედს შერიგებული ოჯახის წევრები ახლა კი შეეპატივნენ გიას დარჩენაზე. უკვე კარებთან მისული გია, მოუბრუნდა ოჯახს და თქვა:

-დათო! ისეთი შთაბეჭდილება მქონდა მთელი საღამო, ვითომ ეს ეს არის გაიღება კარი და შოთა მიღორავა უნდა შემოსულიყო...

-ოხ, ფერაძევე შენი...

ერთხმად აღმოხდა მთელ ოჯახს და ისღა დარჩენოდათ, ნალოლიავებ გაშლილ სუფრაზე, გიასთან ერთად კარგად ეცინათ მთელი საღამოს განმავლობაში გადატანილ პერიპეტეიებზე.

ფერაძე - ბრეჟნევის მრჩეველი

წინა მოგონებაში, მოყვანილი გიას და დათო ყიფიანის ფოტო, დაბეჭდილია დათოს ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში: “დღესასწაულის წადილი”. ამ კრებულშივე ნახავთ გია გორგოძის ერთ მოგონებასაც, რომელსაც გთავაზობთ.

“1981 წლის 21 მაისს, საქართველოს ავადსახსენებელი გასაბჭოების 60 წლის იუბილეზე, პოლიტბიუროს მთელი

შემადგენლობა ეწვია თბილისს, “გენსეკ” ბრეჟნევის წინამძღოლობით. ჩვენში დიუსელდორფის 13 მაისის ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობდნენ.

20 მაისს, საღამოს, დათო ყიფიანთან კახი ასათიანმა უცნაური სტუმრები მოიყვანა – ბრეჟნევის და უკრაინის ცეკას პირველი მდივნის – შჩერბიციკის თანაშემწეები. ხელცარიელიც არ მოსულან – ყიფოს ლამის მაგიდისხელა კიევეური ტორტი მლართვეს შჩერბიციკის სახელით. ტორტი დაიჭრა, მერე კონიაკიც დაილია და ბრეჟნევის გვარიანად შექქიფიანებულ თანაშემწეს შეეპარეთ: იქნებ სვალინდელ გამოსვლაში, გენსეკმა თბილისის “დინამოს” გამარჯვება მოულოცოსო... გენსეკის თანაშემწეს ყველაზე ენერგიულად ცხონებული გია ფერაძე უტევედა, თავისი გაუთავებელი ოხუნჯობებით. ფერაძე არწმუნებდა თანაშემწეს, ლეონიდ ილიჩს ნამდვილად გაუხარდებო, თანაც ამით ქართველების გულს მოიგებსო... იმასაც რა ენადვლებოდა, ეტყობა დილით ჩაამატა სიტყვაში და მეორე დღეს, მთელმა ქვეყანამ მოისმინა ბრეჟნევის პირით: “ნე პოდეველი ტბილისკიე დინამოვიც, ზა კოტორის მი ვსე პერეჟივალი...”

ასე, ბატონებო! გია ფერაძეს, ბრეჟნევეზეც ჰქონია გავლენა. აბა!?

ჯვარცმული კუნძული –

გიას იღებდნენ ფილმში “ჯვარცმული კუნძული”, რომელიც ტექსელის გმირებს ეძღვნებოდა. გადაღებებისათვის აირჩიეს ქალაქი ტალინი.



“ჯვარცმული კუნძული”

გიას ეპიზოდური როლი ჰქონდა, გერმანელ ჯარისკაცს თამაშობდა და ყოველდღე არ იყო დაკავებული. ერთ თავისუფალ დღეს გიამ გაიცნო მომხიბლავი ქერათმიანი ესტონელი ქალიშვილი ენე და საღამოს მოიპატიჟა რესტორანში მეგობრებთან ერთად. იმ დამეს გია სასტუმროში არ დაბრუნებულა. მეგობრებს ეს ძალიან არ შეუცხადებიათ. მეორე დღეს დაინიშნა გადაღება, მაგრამ გია დილითაც არ გამოჩენილა. გახდა შუადღე. შეწუხდა მთელი გადაამღები ჯგუფი, აღარ იცოდნენ სად ეძებნათ. ამ დროს სასტუმროში, მისი მეგობრის გელა ჭიჭინაძის სახელზე მოდის ელვა ტელეგრაფმა ნოვოსიბირსკიდან: “მძიმე

მეტეოროლოგიური პირობების გამო ფრენა გადადებულია, ვიქნები სვალ. გოცინთ. ენე. გია.”

თურმე ენე სტიჟარდესა ყოფილა და გია გაყოლია მას თვითმფრინავში, ღამის რეისში ტალინი-ნოვოსიბირსკი, იმ ანგარიშით რომ შუადღემდე უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ კაცი ბჭობდა ეშმაკი იცინოდაო ნათქვამია.

ფილმის რეჟისორი დასაბმელი გახდა, მის ღრიალს ალბათ ყოველგვარი აპარატურის გარეშე გაიგებდა გია ნოვოსიბირსკში. მაგრამ რაღა უნდა ექნათ. იმ დღეს სხვა სცენის გადაღება მოუწიათ.

გია გასტროლებზე



გიას “გასტროლები”

კაცი მგზავრობაში შეიცნობა ნათქვამია და როგორც რუსთაველის თეატრის მსახიობები იგონებენ, გია არაჩვეულებრივი იყო გასტროლებზე.

“თუ მატარებლით მივდიოთ, გამცილებლებს უახლოვდებოდა მომენტალურად. თუ კი, თვითმფრინავით, მაშინ მისი სამიზნე სტიჟარდესები იყვნენ. იგი მათ ფორმაში გამოწყობილი გამოგვეცხადებოდა და ხუმრობებით

გვემსახურებოდა. გასტროლებზე, გია იყო ჩვენი მოტორი“- იგონებს მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი.

უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე გაიჩენდა ახალ ნაცნობებს, რომლებიც ხშირად აკითხავდნენ მანქანით და მიჰყავდათ მეგობრებთან ერთად სხვადასხვა გასართობ ადგილებში, ქალაქში დროს სატარებლად, რითაც ხარობდნენ მისი ახლო მეგობრები და გულზე სკდებოდნენ დასზე “მიმაგრებელი” ჩინოსნები. მაგრამ, გიას მათთვისაც ჰქონდა შემონახული ხუმრობები და ანეგდოტები, რითაც მათ გულსაც ადვილად იგებდა, რისთვისაც ბევრ რამეს პატიობდნენ. სპექტაკლის დამთავრებისთანავე ყველა ეძებდა გიას:

-გია! აბა რას ვშვებით, დღეს საით მივდივართ?

როგორც გია ამბობდა, მას არ უნდოდა, რომ იგი სხვა სპექტაკლებში დაეკავე-



გია და დიკა კელია პარიზი

ბინათ, რადგანაც “კავკასიური”, ხომ აუცილებლად წავიდოდა გასტროლებზე და საზღვარგარეთ ყოფნისას მეტი თავისუფალი დრო ექნებოდა. ვია თითონაც მშვენივრად ტკბებოდა ამ თავისუფლებით და მის მეგობრებსაც ახეირებდა.

ერთხელ გასტროლებზე წასვლის წინ მეგობარი ეკითხება:

-ვია რა სპექტაკლები მიგაქვთ საგასტროლოდ?

-კავკასიური და რიჩარდ I I I.

-კავკასიურში ვიცი, კასრში ზიხარ. რიჩარდში არ მინახიხარ, რა როლი გაქვს.

-არაფერი, ეპიზოდური როლი მაქვს, ხანდახან მესამე ერთიანის მაგივრად მაყენებენ. (რიჩარდ I I I).

მოულოდნელი სურპრიზები



ვიას სურპრიზი

იზა გიგოშვილის მეუღლე, მსახიობი მერაბ თავაძე, ვიას ახლობელი მეგობარია. ისინი 1982-83 წლების განმავლობაში ერთად იყვნენ გადაღებებზე დოკუმენტალურ სტუდიაში კიევში და რიგის სტუდიაში. მერაბი იგონებს:

-როდესაც ადამიანს იცნობ და მეგობრობ და პერიოდულად ხვდები, ეს სულ სხვაა და როდესაც ერთი წლის განმავლობაში 24 საათი ერთად ხარ, აქ სულ სხვა სახით წარმოგიდგება იგი. ვიამ გამოგნა ამ ერთი წლის განმავლობაში, მისი ყურადღებით,

მოუსვენარი ხასიათით. ჩვენი ერთად ყოფნის განმავლობაში იგი, სულ ახალ-ახალ წახნაგებს წარმოაჩენდა ჩემთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. მე როგორც დავასკეენი მისი დაუოკებელი ენერჯია მიმართული იყო იქითკენ, რომ როგორმე სხვისთვის ესამოვნებინა და მოეწყო მათთვის სიურპრიზები, მოულოდნელი ზეიმები.

მერაბ თავაძე იგონებს:

საზეიმო დახვედრა

კიევში დოკუმენტალურ სტუდიაში მე და ვია, მთავარ როლებში გადაგვიღეს ფილმში “ბატერფლაის დაბრუნება”. ვია ერთი კვირით ადრე ჩავიდა კიევში.

ჩემი ჩასვლის შესახებ ვიას გაუგზავნე ტელეგრამა და შევატყობინე თვითმფრინავის რეისი.

თვითმფრინავიდან ჩამოვედი და აეროპორტში შესვლისას დავინახე უამრავი ხალხი ტრანსპარანტებით და ყვავილებით

ხელში, ტაშისკვრით, შეძახილებით და ვაშას ძახილით გამოემართა ჩემსკენ. ყურადღება მივაქციე წარწერებს. თვალებს არ დაუჯერე. ტრანსპარანტებს ეწერა: “კიევი მიესალმება გამოჩენილ მსახიობს მერაბ თავაძეს.” “მერაბ! კეთილი იყოს თქვენი ფეხი უკრაინის მიწაზე”. და სხვა. როგორც იქნა, გოგოებს უკან დავინახე გია ფერაძე და მივხვდი, რომ ეს მისი ონები იყო. მაგრამ ამხელა ამბავის ატეხას ვერ წარმოვიდგენდი.

თურმე, ერთი კვირა საკმარისი იყო, რომ გიას დოვჟენკოს სტუდია სრულად დაეპყრო. მან არ დაიზარა და სურათის მხატვარს მოამზადებია ტრანსპარანტები, შეუბია რეჟისორი და ორი ავტობუსი “მასოვკა” წამოუყვია ჩემს დასახვედრად. მთელი ბორისპოლის აეროპორტის მგზავრები გააკვირვებულნი კითხულობდნენ ვინ ჩამოვიდა ამისთანა, კიევში ჩვენ რომ არ ვიცნობთო. როგორც კი დამთავრდა საზეიმო მისაღება, გია მიუბრუნდა გოგოებს

-Анука девочки все! Спасибо! По машинам . და გაისტუმრა ისინი უკან.

კაპიტანი ფერაძე



“ბატერფლაის დაბრუნება”

სულ სხვა იყო კამპანიაში.

უცვებ იღება რესტორნის კარი და საზეიმო მარშით შემოდის გია ფერაძე, გემის კაპიტნის სრულ ამუნიციონში გამოწყობილი. საზღვაო ოფიცრის შავი ფორმით, კოკარდიანი ქუდით, კაპიტნის კორტიკით და ისეთი მწყობრი ნაბიჯით გამოიარა რესტორანი, რომ სუყველა მას მიაჩერდა.

ჩვენ სუფრაც და ქალიშვილებიც გამოცოცხლდენ.

გავიდა რამოდენიმე წუთი, გიამ ერთი-ორი ჭიქა გადაკრა და უცებ წამოდგა. აიღო ხელში სასმისი და ხმამაღლა მიიპყრო დარბაზის ყურადღება:

-Господа! Прошу всех встать! ისეთი რიხით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა.

-Разрешите выпить, За тех кто в море!

თქვა, ბოკალი დაცალა ბოლომდე, დაჯდა და მითხრა:

-ერთი სურათი გადამაღებია ამ ფორმაში, რას მოუხაზავ ჩემ ძმას, მთელი ცხოვრება ზღვაზეა იახტით და კაპიტნის ფორმა ჯერ არც უნახია.

გია მებუფეტე

გიას არაჩვეულებრივი ნიჭი ჰქონდა ადამიანთან



გია ბუფეტში

დაახლოვების. სულ სხვადასხვა ტიპის, დონის და ასაკის ადამიანს ისე ადვილად შეაბამდა, რომ სულ მოკლე ხანში მისი ახლობელი ხდებოდა. მერაბ თავაძე და გია კიევში ყოფნისას, გადაღებიდან გვიან ბრუნდებოდენ. მაგ დროს ყველაფერი დაკეტილი იყო. ამიტომ ხშირად მშვივრები რჩებოდენ.

მათ სართულზე იყო ბუფეტის, რომელიც 11 საათზე იკეტებოდა. ბუფეტში მუშაობდა ბალზაკის ასაკს გადაცილებული ერთი უკრაინელი ქალი. იგი დილას მშვენიერ საუზმეს გვიმზადებდა. გია ისე დაუახლოვდა ამ მებუფეტეს, იმდენი ეხუმრა, იმდენი ეარშიყა, ისე შეაცოდა თავი, რომ ღამე

მშვივრები რჩებიან, რომ ეს ღვთისნიერი მებუფეტე გიას გულის გასაღებთან ერთად, უტოვებდა ბუფეტის გასაღებსაც და მთელი პროდუქტები მის განკარგულებაში იყო.

ღამე გვიან მოსულები გემრიელად შეგექცეოდით ბუფეტში ყველაფერს, არა მარტო ჩვენ, სხვებიც შემოგვეჩვიენ და ღამით ნავაჭრი პროდუქტის ღირებულება და თანხა, დილით სრულად ბარდებოდა მებუფეტეს.

გიას ძალიან უყვარდა და აფასებდა იზა გიგოშვილს.
იზაც სიყვარულით პასუხობდა გიას, ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. გთავაზობთ იზას ერთ მოგონებას.



იზა გიგოშვილი და გია

რეი ჩარლზის კონცერტი

რუსთაველის თეატრის შვეიცარიაში ყოფნისას, იქ კონცერტები ჰქონდა ცნობილ მომღერალს, რეი ჩარლზს და ბილეთის ფასი 30 დოლარიდან იწყებოდა. ერთ სადამოს გია მოვიდა და მეუბნება:

-შაღვონა! მაქვს პატივი დაგპატიოთ რეი ჩარლზის კონცერტზე.

გადავირიე! გია საიდან იშივე ბილეთების ფული, ორი ბილეთის ფასი ხომ თითქმის ჩვენი ჰონორარის ნახევრის ტოლია.

-დარდი ნუ გაქვს, ოც წუთში ქვევით იყავი ჰოლში, გამოწყობილი!

სასწრაფოდ მოვიყვანე თავი საზეიმო წესრიგში და დათქმულ დროზე ჩავდიხარ ჰოლში. გიაც გამოწყობილი ქვევით მელოდებოდა.

მდიდარი კაცის უსტით გააჩერა ტაქსი და მივედით ვეებერთელა საკონცერტო დარბაზთან, სადაც უამრავი ხალხი იყო მისეული შესასვლელ კარებს. გიამ ხელი ჩამკიდა, გასწი გამოსწია ხალხი, როგორც იქნა მივაღწიეთ კარებამდე, რომელსაც პოლიცია აკონტროლებდა. მივედით ბილეთების კონტროლიორთან. გიამ წინ გამატარა, ჯიბიდან ამოიღო სადღაც ნაშოვნი რეი ჩარლზის სურათი, რომელზედაც ქართულად წაეწერა მომღერლის ავტოგრაფი და კონტროლიორს დამტვრეული ინგლისურ-ქართულ-იტალიურით დააყარა:

-რუსთაველი... ტეატრ... კავკაზიშე წრე...იზა... შალვოვნა... რეი ჩარლზ...ბიგ ფრიენდ-ბიგ დოსტ... -თან ჩემზე უითებდა და მარჯვენა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუსვ გამოუსვა, რაც ჩვენში ახლო მეგობრობის მანიშნებელი ქესტია. გაკვირვებულ კონტროლიორს ვერაფერი გაეგო, უკან ხალხი მოაწყდა, შეიქმნა საცობი.

გია და მე უკან მომავალმა ხალხმა, თანდათან შეგვიტანეს შიგ და გიამ კიდევ ერთხელ მხარზე მოუთათუნა ხელი კონტროლიორს:

-იეს! რეი ჩარლზ... ბიგ ფრენდ... თენკ იუ... და კვლავ გაუს გამოუსვა თითები ერთმანეთს.

ხალხის ნაკადს ნელ ნელა შევყავდით შიგ. კონტროლიორი იძულებული გახდა უკვე ჩვენს უკან მომავალი მაყურებლების ბილეთები შეემოწმებინა, ჩვენ უკვე შორიდან ვაკვირდებოდით გაოცებულ კონტროლიორებს, რომლებიც კვლავ საჩვენებელი თითების ერთმანეთზე გასმით არკვევდნენ თუ რას ნიშნავდა ეს ქესტი. მე და გია სასწრაფოდ შევერიეთ ხალხში.

დარბაზშიც, ვილაც ახალგაზრდას დაათმობინა ჩემთვის ადგილი.

-ასე მანახა გიამ რეი ჩარლზის დაუვიწყარი კონცერტი.

როზა რუსთაველი

მერაბ თავაძე იკონებს. იზას სადამო იმართებოდა მოსკოვში. მე იზამ, და გიამ წინა დამით გადავწყვიტეთ რესტორან “პეკინში” შესვლა სავახშმოდ. რესტორნის შესასვლელთან მოსკოველი ბომჟები მათხოვრობდენ. ერთ-ერთმა მათგანმა როდესაც გაიგო ჩვენი ქართული ლაპარაკი, მოგვიახლოვდა და მოგვმართა:

-Земляки! Не поможете?

გია მოუბრუნდა და ეკითხება:

-Какой ты мне земляк?

-Как кацо! У меня жена грузинка!

-Как зовут?

-Роза!

-Как фамилия?

ბომჟი დაფიქრდა და უპასუხა

-Руставели!


გიას გაეცინა. ამოიღო სამი მანეთი და რუსთაველის ცოდნისთვის დააჯილდოვა გახარებულ ბომჟი.

-Молодец! Ты правда земляк.

გია და გუჯა ბუბუტიშვილი

გუჯა ბუბუტიშვილი და გია ახალგაზრდობიდან მეგობრობდნენ. ქეიფი და მხიარულება გუჯასთვის უცხო არ იყო. ამიტომაც ის და გია ხშირად პოულობდნენ ერთმანეთს.

იმ პერიოდში გუჯა ბეტონის ქარხანაში მუშაობდა და



ცხოვრობდა ვერაზე, ჯავახიშვილის შესახვევში, ძველ შუშაბანდიან სახლში. როგორც ყველა მეუღლე, მის ცოლსაც არ მოწონდა ქმრის ხშირი, გვიანამდე გადაკარგვა მეგობრებში.

ერთხელ, დილაადრიან, გია მიადგა გუჯას სახლს და ქუჩიდან დაუძახა.

გამოიხედა მისმა მეუღლემ და უთხრა, რომ გუჯა გუშინ გვიან დაბრუნდა სამსახური-

დან და ჯერ ძინავს.
გუჯა ბუბუტიშვილი

გია კარგად იცოდა რა სამსახურიდან დაბრუნდა გვიან გუჯა, რადგანაც იმ დამით 3 საათზე დაშორდნენ ერთმანეთს.

გია უთხრა მარინას:

-უნდა გაადვილო, ძლივს უშოვნე ბეტონის “რასტვორის” კლიენტი და მანქანაში მელოდებო.

საქმეს რადგანაც ჭირდებოდა, მარინამ დიდი სიფრთხილით, გადასცა მძინარეს, გიას დანაბარები.

გუჯა სწრაფად წამოხტა და დაიწყო ჩაცმა. მიხვდა რა “რასტვორზე” იყო ლაპარაკი. “თეთრ დუქანში” შესანიშნავი ხაშის “რასტვორი” კეთდებოდა “საპახმელიოდ”, რაზედაც მათ წუხელ მოილაპარაკეს.

შაბათი დღე იყო. გიას დილითვე შეუკრებია მთელი “სასტავი” და მანქანაში ელოდა მერაბ თავაძე, გელა ბრეგვაძე, აგრეთვე გიასთან და მერაბთან ერთად, კიევის გადაღებებიდან სტუმრად ჩამოსული, ცნობილი მსახიობი, ლენა საფონოვა.

კამპანია გაემართა “რასტვორის” საშოვრად სოდანლულში. რასტვორს მოყვა “ბეტონი”, “სუკის არმატურა”, მერე მთელი ამბები და გახურდა ქეიფი. შუადღეს ვიღაცას გაახსენდა პანტიანის ხინკალი და ჰაიდა...პანტიანისკენ.

წინდახედულმა გუჯამ დარეკა სახლში და მეუღლეს შეატყობია, რომ ქარხანაში ავარია იყო და სანამ არ აღადგენდნენ ქარხნის ნორმალურ მუშაობას, სახლში ვერ

მივიდოდა. მან ასევე, ალიბისათვის, ადრევე შეიარა ქარხანაში და წამოიღო მუშის სპეცტანსაცმელი.

პანტიანიდან გადაება ქეიფების სერია, მშვენიერი მოსკოველი სტუმრის პატივსაცემად. გადაპატიუება-გადმოპატიუებები. კვირას შამპანურებით ამომაკითხეს თბილისის ზღვაზე და იახტაზე იქეიფეს. ღენა საფონოვა, ცოტათი თბილისის ზღვის წყალმა გამოაფხიზლა. იგი, ისედაც არ იყო მაინცდამაინც პუტკუნა, მაგრამ უკვე ლანდი გასდიოდა და სუფრის დანახვაზე აღერგია ემართებოდა..

ამ ბობოქარი, “ქარხნის სარემონტო სამუშაოების” დამთავრების შემდეგ, კვირას გვიან ღამით, გუჯა, ქარხნის მუშის, ბეტონით ამოთხვრილი ფორმით და ჩექმებით, მძიმედ “ნაშრომი” დაბრუნდა სახლში.

მის ბედზე, მუშის სპეცტანსაცმელის კომპლექტში შედიოდა დარტყმაგამძლე პლასტმასის კასკა, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის თან წამოიღო.

“გამადაგა” თუ არა ოჯახში კასკა, ამაზე ისტორია დუმს.

თამარაშვილი

ღაშა თაბუკაშვილი და გია ვერის უბნელები იყვნენ. გიას ძალიან უყვარდა ღაშას მშობლები, ბატონი რეზო



თაბუკაშვილი და ქალბატონი მედეა ჯაფარიძე. ისინიც სიყვარულით პასუხობდნენ შვილის მხიარულ მეგობარს.

ბოლოს, როდესაც გია განთავისუფლდა პატიმრობიდან და როგორც თითონ იძახდა, უკვე ის გია აღარ იყო, შეუვლია დიდუბის პანთეონში, მისულა ბატონ რეზო თაბუკაშვილის და

მედეა ჯაფარიძის საფლავზე, სადაც გადაუღია მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტო, რომელიც მან ღაშას უსახსოვრა.

ერთხელ ადრე თაბუკაშვილებთან სტუმრობისას გია და ღაშა სუფრას უსხდნენ და ხინკალს შეექცეოდნენ. ღაშა ერთი წუთით გავიდა სამზარეულოში. ხინკალს პილპილი აკლდა. გიამ მიიხედ-მოიხედა და დაიწყო შავი პილპილის ძებნა, იქვე, გიას უკან, დიდ ძველებურ კაკლის ხისგან დამზადებულ კარადაზე, იღო რაღაც უცხოური თავდახურული მოჭიქული ქილა, ისეთი რომელშიაც ჩვენში სხვადასხვა სუნელებს ინახავდნენ.

გია გადასწვდა ქილას, გახსნა და ნახა, რომ შიგ რაღაც პილპილის მსგავსი ფხვნილი იყო. ის ის იყო გაემზადა ფხვნილის ხინკალზე მოსაყრელად, რომ შემოვიდა ლაშა.

ლაშა გაფითრდა და იყვირა:

-გია, რას შერები? ახლავე დადგი ქილა ადგილზე!

გია ვერაფერს მიხვდა, სანამ არ აუხსნეს, რომ ამ ქილაში იყო ცნობილი ქართველი მეცნიერის თამარაშვილის ფერფლი, რომელიც ბატონმა რეზომ იტალიიდან ჩამოასვენა, და რომელიც მალე ქართული მიწისათვის უნდა მიებარებინათ.

როგორც ლაშა იხსენებს, ეს ქილა გიას მართლაც უნახავს მათ ოჯახში და ეს ისტორიაც თავად გამოუგონია, რაზედაც ბატონი რეზო გამწყრალა:

-მაგ ონავარმა, თამარაშვილის მეტი სახუმარო ვერაფერი მოიგონაო?!

თაზოს ბაბუა.



გია და თაზო

ბელი საქართველოში, თავად არაჩვეულებრივი იუმორით დაჯილდოვებული ადამიანი, ქირურგი ვახტანგ ხურციძე, რომელსაც მთელი ქალაქი სიყვარულით “წოპეს” ეძახის და ბევრი ცხვირი აქვს, გაკრეჭილ-გაღამაზებულები, არა მარტო თბილისელებისათვის. იმ დღეს რასაკვირველია “წოპე” პანაშვიდზე იდგა ჭირისუფლებთან ერთად. თამაზის მეგობრები, ეზოს გარეთ ქუჩაში იყვნენ. ამ დროს მათ სიახლოვეს გაჩერდა “ვოლგა”, ერევნის ნომრებით და მანქანიდან გადმოვიდა სამი გრძელცხვირა, შავშავი სომეხი ქალი.

ბელი არ გინდა? მათდა საუბედუროდ პირველი ვინც მათ შემოხვდათ იყო, გია ფერაძე.

-იზვინიტე, გდე მოუნო უვიდეტ, პროფესორა ვახტანგა ხურციძე? მიმართეს მათ გიას. გია არ დაბნეულა და სერიოზული გამომეტყველებით მიუთითა პანაშვილის რიგზე.

-ვოტ ეტა ოჩერედ კ ნიმუ! და გაუშვა გრძელცხვირა სომეხი ქალბატონები პანაშვიდის რიგში ჩასადგომად.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა მოხდებოდა მერე. ფაქტია, ვია დროებით გაეცალა იქაურობას და შორიდან აკვირდებოდა თუ როგორ გამოდიოდნენ სადარბაზოდან ფხუკუნ-ფხუკუნით, პირზე ხელაფარებული, პანაშვიდმოვლილი გრძელცხვირა ერევენელი სტუმრები.

ალკა ცეკას მდივნის კაბინეტში

ვაჟა ლორთქიფანიძე გიას ახლო მეგობარი იყო. როდესაც იგი კომკავშირის ცეკას მდივანი გახლდათ, ხშირად დაჰყავდა ვია სხვადასხვა შეხვედრებზე. ერთხელაც გიამ მიაკითხა მას კაბინეტში. ვაჟამ თხოვა:

-გია აქ დაჯექი ცოტა ხანი, უცხოელი სტუმრები უნდა მივიღო 10 წუთით და მერე წავალთ.



გია მაიმუნობს

გია დაჯდა კუთხეში, მაგიდიდან მოშორებით. შემოვიდნენ სტუმრები. გია წარუდგინეს, როგორც აქტივისტი მსახიობი. გავიდა 20 წუთი, შეხვედრა გაიწვლა და აღარ თავდებოდა. მოსალოდნელი პურმარილის ლოდინში, გიას სული უკაწკაწებდა. ადგილზე ვერ იხვენებდა. ცოტა ხანში ადგა, ამოიღო სიგარეტი, მივიდა ცეკას მდივანთან და მობოლიშებით ასანთი სთხოვა, როდესაც მისგან უარი მიიღო, მივიდა კედელთან, რომელზედაც ეკიდა ბრეჟნევის ახალგაზრდობის სურათი ფორმაში “მცირე მიწაზე”, პაპიროსით ხელში.

-რაზრეშიტე პრიკურიტ?! ყველასგან შეუმჩნეველად ამოიღო სანთებელა, ვითომ მიაღო სიგარეტი ბრეჟნევის სიგარეტს, მსუყე ბოლი გამოუშვა და გემრიელად გააბოლა, თავი დაუკრა სურათს და ხმადაღლა მადლობა მოუხადა ლეონიდ ილიჩს.

სტუმრები გაოგნდნენ და სურათს მიაჩერდნენ. ყველაზე მეტად გაოგნდა ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელიც სურათთან ზურგით იჯდა, ამიტომ ვერ გაეგო, როგორ მოუკიდა გიამ სიგარეტს და რატომ უხდიდა მადლობას ლეონიდ ილიჩს.

ჰაილ ჰიტლერ!

გია სტუდენტობისას კომკავშირული საგზურით ექსკურსიაზე იყო ჩეხოსლოვაკიაში.

მე ბევრი მქონდა წაკითხული პრადის შესახებ და წასვლამდე გიას ვეუბნებოდი:

-რა ბედნიერი ხარ. პრალა გაზაფხულზე რა ღამაზია. ვიშგოროდი, აყვავებული ალუბლები...

-ალუბლების დედა ვატირე-მპასუხობდა გია- პახმელიაზე ჩეხური ლუდის საშოვნელად ნაცნობობა რომ არ დაგჭირდება, ესაა მთავარი! - იმ დროს ქართული ლუდი, ერთხელ უკვე დაღეულს ჩამოგავდა და ჩეხური ლუდი რომ გემოვნა, ან ცენტრალურ კომიტეტის ბუფეტში ან "ინტურისტში" უნდა გყოდოდა ნაცნობი, ან მიშა ლოლაძის და ვახო ცხადაძის ახლობელი უნდა ყოფილიყავი, რომლებიც სასტუმრო "აჭარის" და სასტუმრო "ივერიის" დირექტორები იყვნენ.



68 წლის ჩეხოსლოვაკიის ცნობილი ამბები ახალი ჩავლილი იყო და დაძაბულობა ჯერ კიდევ არსებობდა. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო გიას მეგობარი ალკკ ცეკაძან, თემურ კაჭკაჭიშვილი რომელიც შემდგომ მღელვარების გარეშე ვერ იგონებდა ამ მოგზაურობას.

ჯგუფხელი იხსენებდა: ერთხელ ქუჩაში მოვიდვართ კარლოვი-ვარში და უცებ მწკრივად დაწყობილი გერმანელი ტურისტების ჯგუფი მოდის ქუჩაზე.

გია რაღაც ნაგვის ტუმბოზე შედგა, გაიჭიმა და როდესაც მოახლოვდნენ გერმანელები, ქუსლი ქუსლს მიარტყა, მარჯვენა ხელი ზე აღმართა და რიხიანად დაიძახა:

-ჰაილ გიტლერ!

გერმანელები დაიბნენ. პროვოკატორი ეგონათ და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაეცალენ იქაურობას. მე კი ისე შემეშინდა მიწას ჩავეტანე ის მერჩივნა. ვიფიქრე ეს რომ ვინმეს დაენახა დამთავრდა ჩემი კარიერა კომკავშირში. მოგვიდუ გიას ხელი და საჩქაროდ შევიმალეთ რომელიღაც სახლის ეზოში.

კიდევ კარგი გადავრჩით!

მოდერნ ჯაზ კვარტეტი-პრალაში

იმ წელს პრალაში ტარდებოდა ცნობილი ფესტივალი “პრალის გაზაფხული” და ჩვენ სასტუმროში ცხოვრობდენ ამ ფესტივალის მონაწილეები. მათ შორის იყო მსოფლიოში სახელგანთქმული ჯგუფი “მოდერნ ჯაზ კვარტეტი”. მსოფლიოს საუკეთესო პიანისტის ჯო ლუისის და ასევე საუკეთესო ვიბროფონისტის მილტ ჯეკსონის მონაწილეობით, რომელთა ნახვას და მოსმენასაც ნატრობდა ნებისმიერი ჯაზის მოყვარული მთელ მსოფლიოში. იმ საღამოს კონცერტიდან



გია ფერაძე

თავისუფალი მუსიკოსები ისვენებდენ და დამსწრე საზოგადოებისთვის სასტუმროს რესტორანში, ჯო ლუისი როიალზე უკრავდა პასაჟებს. ჩვენი ჯგუფი, იმ დროს ჩეხური ლუდით გატიკნილები, კარგ ხასიათზე დამდგარი, ვბრუნდებოდით სასტუმროში. გიამ შეიხედა რესტორანში, გაიხედ გამოიხედა, დაინახა, რომ ვიღაც ზანგი უკრავდა როიალზე. გადაჭრა დარბაზი, ავიდა სცენაზე. მივიდა ზანგ პიანისტთან, მხარზე მოუთათუნა ხელი და თბილისურად მიმართა:

-აბა, ჩემი შავი ბიჭი, ერთი მიმიშვი ინსტრუმენტთან!

ჯო ლუისი, რატომღაც, უსიტყვოდ დაემორჩილა და დარბაზში გადაინაცვლა.

ჯგუფხელი, თავდახრილი, სირცხვილისაგან დარბაზიდან გაიპარა. გაოგნებული აუდიტორიის წინაშე, გია მოუჯდა როიალს, დაუკრა და იმღერა “თბილისო”, “მეფაეგონე” “ყვავილების ქვეყანა” და როდესაც შეატყო, რომ დარბაზი უკვე აყვანილი ყავდა, მთელი დარბაზი ამღერა “სულიკო”. მერე გაუგია გიას თუ ვინ ააგდო როიალიდან და შეწუხდა, მაგრამ ფერაძე რა ფერაძეა, რომ არ ეთქვა:

-თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო... აბა, ყველა პანაშვიდურად რომ იჯდენ ეს კაი იყო? იმ ზანგის ჯინაზე ხომ ავამღერე მთელი დარბაზიო.

გია რაიმე ამბავს გაიგებდა, თავისებურად შეაღამაზებდა და მეორე დღესვე ქალაქში ანეგლოტიც მზად იყო.

გიზოს მამა

ჩვენს ბიძაშვილს გიზო ნიკოლაიშვილს მამა ადრე 1949 წელს იმ გარდაცვალება და დაკრძალული იყო კუკიის სასაფლაოზე. როდესაც მისი დედა მუხათგვერდში პანთეონში დავასაფლავეთ, გადაწყდა რომ მამაც უნდა გადმოგვესვენებია მუხათგვერდში. მე და გიზო მოველაპარაკეთ მუშებს ორივე სასაფლაოზე და დათქმულ დღეს ავედით კუკიაზე. მუშებს



გიზო ფორმაში

უკვე ყველაფერი გამზადებული ჰქონდათ, ამიტომ დრო ბევრი არ დაგვიკარგია და მამის ნეშტი ჩაასვენეს პატარა ყუთში. აღმოჩნდა რომ, მუხათგვერდში მუშების მოსვლამდე დიდი დრო იყო დარჩენილი. ყუთი ჩავასვენეთ მანქანის საბარგულში და წამოვედით ქალაქში. მიცვალებულის გადმოსვენებას პირველად ვესწრებოდით ორივე და ძალიან ვღელავდით. მე არ ვიმჩნევდი, მაგრამ დაძაბულობისაგან ხელები მიკანკალებდა.

წარმომდგენია გიზო რა დღეში იქნებოდა.

ვინაიდან დრო ამის საშუალებას გვაძლევდა, გადავწყვიტეთ ცოტათი დავმშვიდებულიყავით და მამის ხსოვნის სადღეგრძელო შეგვესვა.

პლექსანოვის პროსპექტზე ჩავედით “იმერეთში” და ერთი ორი ჭიქა წავუქციეთ. ცოტათი სული მოვითქვით. მერე ნელი სვლით, ბიძია ვასო ნიკოლაიშვილის ნეშტი, სიმბოლიურად მანქანით გავატარეთ ქალაქში და მივაბარეთ მიწას მეუღლის გვერდით.

ნაშუადღევს გიზოს სახლში, უახლოესი მეგობრები შევიკრიბეთ და მოვიგონეთ მიცვალებულები. იქ იყო გიაც. როდესაც მოგვევით გადასვენების ცერემონიალის შესახებ, წამში გამოაცხო მთარული ანეგლოტი გია ფერაძემ.

მეორე დღიდან მთელი ქალაქი დაგვცინოდა მე და გიზოს:

-როგორ იყო? გიზოს მამას მანქანით სახინკლევებში რომ ატარებდით და ის კი საბარგულიდან აკაკუნებდა, გეხვეწებოდით, ბიჭებო მეც უჭმელი ვარ, ნუ მაწვადებთ, ჩემს ელენესთან მიმქნარებაო.

იარაღების კოლექცია

ერთხელ გიზო ნიკოლაიშვილმა გია დაპატიჟა მისი მეგობრის, ომარ მაჭავარიანის ოჯახში. სახლში შესვლისას მიმსვლელის ყურადღებას იპყრობდა კედელზე დაკიდებული ძველი თოფების და ხმლები მდიდარი კოლექცია.

გიამ შეათვალიერა იქაურობა და თქვა

-აუფ! რავარი გასატრაკებელია ამ ოჯახში?!

ალიკას ალიყური



ილიკო და ალიკა

გია შეხვდა ჩემს მეგობრებს: ალიკა კობლაძეს და გიზო ნიკოლაიშვილს, რომლებსაც ძალიან უყვარდათ გია. ალიკამ დაპატიჟა მეგობრები რესტორან “დურუჯში”, სადაც იმ დროს კარგი პურმარილი კეთდებოდა. მაშინ მობილური არ იყო და ალიკამ რესტორნიდან დამირეკა სამსახურში და შემატყუ-

ბინა “დურუჯში” მივსულიყავი.

დარბაზში მალე გაეწყო პურმარილი. ალიკა ზურგით იჯდა დარბაზში შესასვლელ კართან. ჩემს მოლოდინში გია რამოდენიმეჯერ წამოხტა, სულ სხვადასხვა უესტიკულაციით

-ვას, ბიძინი მოსულა!

-ო, ბიძინის გაუმარჯოს!

გია ასე მეძახდა: ხან “ბიძინის”, ხან “სტარში ბიძინის”.

და ალიკა ყოველ ასეთ გამოხდომაზე ფეხზე დგებოდა და შემოსასვლელისკენ ტრიალდებოდა. გია პერიოდულად იმეორებდა სულ სხვადასხვა ასპექტში ამ სცენას და ალიკა ყოველთვის “ჭამდა”.

ერთხელაც ალიკა გონს მოეგო და არ აყვა გიას ხუმრობას, სწორედ მაშინ, როდესაც მე მართლაც მივედი.

სხვა სუფრის წევრები წამოდგნენ ჩემს შესახვედრად, ალიკა კი ჯიუტად არ დგებოდა, თან სახის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა

-მაგას აღარ ჭამს ბიჭი ალიკაო!

სუფრას მიუახლოვდი, ყველას გაეხარდა ჩემი მისვლა, ალიკა კი ჯიუტად იგნორირებას მიკეთებდა. მე მეგობრულად კისერზე წაუთათუნე ხელი ზურგით მჯდომ ალიკას:

-რა იყო ბიჭო, გეწყინა ჩემი მოსვლა! რატომ არ მესალმები.

დარცხენილი ალიკა ელდანაკრავით წამოვარდა ფეხზე:
-ბიჭო! ამ შენმა ძმამ იმდენჯერ მომატყუა, იმდენჯერ
წამოვსტი ტყუილად ფეხზე, ბოლოს ვიფიქრე, დეგენერატი ხომ
არა ვარ, აღარ მოვტყვილდებიო და ახია ჩემზე,

გია მოუბრუნდა და ლექსად მიმართა:

-არ დაგეგდო ჩემთვის ყური,

აგცდებოდა ალე-ყური.

ალო გასტრონომია?

გია ადრე დაბრუნდა რეპეტიციიდან და სპექტაკლამდე
გადაწყვიტა ცოტა წაეძინა.

არ გაგეცინოთ, ეს ანეგდოტი არაა, ასეც ხდებოდა მაგრამ
ძალიან იშვიათად.

როგორც კი თავი მიდო ბალიშზე, რეკავს ტელეფონი.

-ალო. გასტრონომია?

-არა ბატონო, შეგეშალათ. უპასუხა და დაკიდა ყურმილი.

ცოტა ხანში ზარი განმეორდა.

-ალო გასტრონომია?

-არა, ხომ გითხარით, არაა გასტრონომი.

კვლავ ზარი მესამედ. გიამ ნერვიულად აიღო ყურმილი:

-ალო გასტრონომია? იგივე ხმით, იგივე ტონით, იგივე კაცი
რეკავს.

-ხო გასტრონომია, გასტრონომი. უპასუხა გიამ

-შენ რომელი ხარ?

-კალბასი ვარ დვა დვაცატიანი, შენი დედა ვატირე, დამაძინე
რა! უპასუხა გიამ და კლიენტს მეტი აღარ დაურეკავს.

ბაბუ ნინა, ჩამოველი

ბაბუ ნინას სავარძელში ჩაჯდომისას ტელეფონიც იქვე უნდა
ჰქონოდა და რა გასაკვირია, პასიური ცხოვრების გამო
სკლეროზიც ადვილად მოერია. ტელეფონზე ხანდახან
არაპროგნოზირებად პასუხებს იძლეოდა, რაც დედას და გიას,
რბილად რომ ვთქვათ, წყრომას იწვევდა.

გია როცა ჩამოდიოდა გასტროლებიდან, იყო ერთი რეკვა და
თუ არ მიასწრებდი ტელეფონის ადებს, ბაბუ ნინა პასუხობდა:

-გია ნე პრიუხალ, სახლში არ არის. არ ჩამოსულა
გასტროლებიდან.

ერთხელ, მეორედ და ბოლოს გიამ აიღო ჩემოდანი, ჩაიცვა,
ზარი დარეკა და ვითომ ეს ეს არის ჩამოვიდა, ბაბუ ნინას
ჩაეხუტა:

-გამარჯობა ბაბუ ნინა. აი, ჩამოვედი გასტროლებიდან! პაპიროსი ჩამოვიტანე. რითაც ბებიამ ძალზე გაიხარა და იმ დღეს აღარ უპასუხია ტელეფონზე არასწორად.

სამი ძირითადი როლი

გიას, კინოსა და თეატრის სცენაზე, 40-მდე როლი აქვს შესრულებული. მაგრამ მის ცხოვრებაში საექტაპო იყო, სამი ძირითადი როლი, რომლებიც მაყურებელს დღემდე შემორჩა მესხიერებაში. ამ როლებმა გიას შემდგომ ცხოვრებაზეც იმოქმედეს.. მისმა პოპულარობამ არნახულ დონეს მიაღწია და პატარა “წიწკების” და ბავშვების კერპიდან, გია უფრო სერიოზული აუდიტორიის საყვარელი მსახიობი გახდა.



ეს როლებია: თეატრში განხორციელებული როლი, რობერტ სტურუას- “კავკასიურ ცარცის წრეში”, გიას დაუვიწყარად შესრულებული იოსების როლი, განსაკუთრებულად კი, სცენა იზა გიგოშვილთან და ლეილა ძიგრაშვილთან ერთად – კასრში მჯდომი გია.

მეორე-ნიკოს როლი, სევდიანი ქალაქელი კაცის სახე, დიმა ბათიაშვილის ფილმში “არასერიოზული კაცი” და ლეკო თათაშელის როლი, გიორგი მონგულაშვილის ფილმში: “ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა”-ში.

კავკასიური ცარცის წრე

ქრონოლოგიურად 1975 წლიდან დაწყებული, ეს როლები ასე განლაგდენ.

გიას პირველი დიდი წარმატება, ამ სპექტაკლმა მოუტანა. მაყურებელმა, პრესამ, კინოკრიტიკოსებმა ერთხმად აღნიშნეს იოსების სახასიათო როლის არანეულებრივი ექსპრესიული, შესრულება. ეს სცენა, რამაზ ჩხიკვაძის აზდაკის სცენებთან ერთად, მთელი “კავკასიური ცარცის წრის” სახედ იქცა და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, თეატრალურ აფიშებზე, თუ პროგრამებში იყო განთავსებული. კავკასიურზე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ აქ მათი ამონარიდების მოყვანაც კი, ზედმეტად მიმანია, ფაქტია ეს ეპექტაკლი დღესაც ცოცხლობს

და მის პირველ მნახველებს, ჯერ არ დავიწყებიათ გიას კასრში მჯდომი-იოსები.

არასერიოზული კაცი

შემდეგი მნიშვნელოვანი, დასამახსოვრებელი სახე შექმნა გიამ, ქალაქელი, გზააბნეული ნიკო, დიმა ბათიაშვილის ამ ფილმში.

ფილმის რეჟისორის დიმა ბათიაშვილის, სცენარისტის-ერლომ ახვლედიანის, კომპოზიტორის-ვახტანგ კუჩიანიძის და მთავარი როლის შემსრულებლის, გია ფერაძის, სინერგიზმმა განსაზღვრა სწორედ, ამ ფილმის წარმატება. ფილმი



დაჯილდოვებულია რამოდენიმე ფესტივალზე საზღვარგარეთ. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, ჯერ კიდევ წარმოების პერიოდში, ფილმი მოსკოვმაც აღიარა და მას ქართული კინოს შედეგრი უწოდეს, საბჭოთა კინოს ცნობილმა მოღვაწეებმა.

ფრანგულმა კინოაკადემიამ, “არასერიოზული კაცი” ორჯერ შეიტანა ევრო-

პის 12 საუკეთესო ფილმების სიაში. როგორც ცნობილი იტალიელი კინოდრამატურგი ტონინო გუერა აღნიშნავდა:

–“ქართული კინო იმ მნიშვნელობისა არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო, ისეთი მშვენიერი ფილმი, რიგორიცაა “არასერიოზული კაცი”. ხოლო როცა ფილმი ფრედერიკო ფელინიმ ნახა მოსკოვში, უტირია. ამ ფილმის წარმატება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა გია ფერაძის ბრწვინვალე თამაშმა. ყველანი ერთხმად გამოყოფდნენ მის არაჩვეულებრივ ტალანტს და როლში ჩაწვდომის სიღრმეს.

რეჟისორი, დიმა ბათიაშვილი, იხსენებს:

–“საბჭოთა პერიოდში ეს არაიდეოლოგიურ ფილმად ითვლებოდა და გადაღებები ოთხჯერ გაგვიჩერეს, ისიც კი გვითხრეს, მოქმედება რევოლუციამდელ საქართველოში გადაიტანეთო, რაზედაც მე ვუპასუხე, მოდით ბარემ ჩვენ წელთაღრიცხვამდე გადავიტანოთ მეთქი. პარტიულ მესვეურებს ისიც უთქვამთ ჩემზე, ეს არასერიოზული კაცი რას იღებსო... ფილმის სათაურიც ამ ფრაზიდან ავიღე.



სცენა გაზეთის ჯიხურთან

გია, უნიჭიერესი კაცი იყო, ორ სამ დუბლზე მეტის გადაღება მასთან არ დამჭირვებია. ფილმში განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დაძაბულობით შეასრულა გიამ, როლი გაზეთების ჯიხურთან. როდესაც ამ სცენას ვიღებდით, იქ, რომ კაცი თამაშობს, რესტორანში “ვიშიბალად” მუშაობდა. ვინმე თუ იჩხუბებდა, გარეთ აგდებდა. მივედი და ვუთხარი, ფილმში უნდა

ითამაშო მეტქი. გაუკვირდა, მკითხა, ვინ უნდა ვითამაშო. ვუპასუხე, ერთი ყალბაბანდი და უსაქმური კაცი მოვა და ისე მოგიშლის ნერვებს, ლამის დაახრჩო მეტქი. დავახრჩობ კი არა, მოვკლავო-მიპასუხა. ასე დავამტკიცეთ როლზე.



“მზე მიდის” გადაღების მომენტი

ძალიან მენატრება გიაც და ბევრი ჩემი მეგობარი, რომლებიც ცოცხლები არ არიან. ამას წინათ გია გამომეცხადა სიზმარში. რას შრეები ბიჭო, აღარ მოდიხარ? მომენატრეო. მე ვუპასუხე: ცოტაც მოიცა, აქ კიდევ ერთი-ორს გადავკრავ და მერე მუდამ ერთად

ვიქნებით-მეტქი.”

ამ ფილმით, დიმა ბათიაშვილმა და გიამ, დედაჩემს აუსრულეს ბავშვობის ოცნება და მიიწვიეს, ხანში შესული მარტოხელა ქალის როლზე, რომელსაც გიამ ორჯერ მიჰყიდა კატა.

-ამ ორი ეპიზოდის გადაღებაში კინაღამ გამალოთეს-იძახდა დედაჩემი. “გადაღებები ქალაქის ძველ უბნებში მიმდინარეობდა. გაგვიკეთებდნენ გრიმს, მოამზადებდნენ განათებას, და უცბად გიას ან დიმას მოაკითხავდნენ მანქანით “სპონსორი-ამფსონები”, შორიდან ყბაზე წელიპურტს მიირტყამდენ, რაც დალევის პაროლი იყო და რეჟისორი აცხადებდა:

-მზე წავიდა, გადაღება გადაიდო ხვალისთვის.- მიუხედავად იმისა, რომ კაშკაშა მზეს, რეალურად არაფერი მოსვლია და ფთილა ღრუბელიც კი არსად ჩანდა ცაზე, სწრაფად

უწინარდებოდნენ. ასე მეორდებოდა ხშირად. ხანდახან თან მიყვავდით, კინალამ მეც გამალოთეს.

გადაღებებისთვის ჯგუფმა იქირავა ერთი ძველი თბილისელის ბინის რამოდენიმე ოთახი. ერთ-ერთ ოთახში კი, ცხოვრობდნენ სტუდენტი-მღვმური გოგობი, რომლებიც დიდიდან მიდიოდნენ ინსტიტუტში და გვიან ბრუნდებოდნენ. ერთ დღეს ამ მღვმურებს ჩამოსვლიათ პურ-ღვინო სოფლიდან. რეჟისორი ცოტა მოგვიანებით გამოცხადებულა და გადასადებ მოედანზე არავინ დახვედრია. უკითხავს სად არიან?



გია და დედა

-ავერ მღვმურების ოთახში, რეპეტიციას გადიანო-უპასუხეს.

შეიხედა დიმიამ ოთახში და რას ხედავს, მთელი გადაამღები ჯგუფი შემოსხდომია სუფრას, თამადა გია ფერაძეა და მიდის გახურებული ქეიფი. “რეპეტიცია” მთელი დღე გრძელდებოდა. კიდევ კარგი, იმ დღეს ცოტათი ადრე მოსულმა მღვმურებმა, სორავის ნარჩენებს მაინც მოუსწრეს.

თუ კი ვინმე ნამდვილი ქალაქელი, მოქეიფე მეგობარი ყავდა დიმა ბათიაშვილს და გიას, ყველა ამ ფილმშია გადაღებული. თუნდაც რად ღირს, ათია დათუნაშვილის თამაში- ნიკოს მამის როლში, რომელიც ბევრ პროფესიონალ მსახიობს შემურდებოდა. მართლაც, ეს გულიანი ფილმი, მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდის, თბილისქალაქის და ქალაქური ურთიერთობის ნამდვილი ანთოლოგიაა და ბევრი ქალაქელი ბიჭის სახეს ინახავს, რომლებიც დღეს უკვე ცოცხლები არ არიან.

აღბათ, ამიტომაც აჩვენებენ ამ ფილმს ასე ხშირად ტელევიზიით და ამიტომაც მას დავიწყება არ უწერია.

“ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა”



გია და ლევან აბაშიძე

თამაშობდა. მოკლემეტრაჟიან ფილმში “სერენადა”, ამოჭრეს მთელი ეპიზოდი გიას მონაწილეობით. “კავკასიური ცარცის წრის” სატელევიზიო ვარიანტში, სასწრაფოდ ჩაამონტაჟეს ახალი მსახიობი და იმ პატარა დასაწყის სცენებში, სადაც გია და ნანული სარაჯიშვილი ცეკვით გაირბენდნენ სცენაზე, საერთოდ ამოჭრეს.

“ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაში” გიას მიერ შესრულებული დრამატული, ლეკო თათაშელის როლი, ერთ-ერთი საინტერესო სახეა ქართულ კინემატოგრაფში. ეს როლი შეიძლება ითქვას, საბედისწერო იყო გიასთვის, რადგანაც მისი შემდგომი ცხოვრება, ამ ფილმის ბოლო სცენების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ამაზე კი ქვემოთ მოგახსენებთ.



ლეკო თათაშელი

შეწვევტილი “ანკანაკება”

სულხან-საბას ლექსიკონში, სიტყვა “ანკანაკება”, განმარტებულია, როგორც გაბმული ლხინი. ეს სიტყვა ყველაზე ზუსტად შეეფერება გიას ცხოვრების პირველ პერიოდს.

გია ფერადის ცხოვრება, სწორედაც, იყოფა ორ-არათანაბარ ნაწილად.

პირველი 37 წელი “ანკანაკება” - დაუსრულებელი ზეიმი, სიხარული, სიყვარული, გასტროლები, მეგობრები, დროსტარება, ფეიერვერკები, ფერად ფერადი ცხოვრების დღეები და მეორე - ბოლო 10 წელი: გამოუსწორებელი ფათერაკი, დაუსრულებელი ტანჯვა, პატიმრობა, კარცერები, გადასახლებები, თავისუფლების მოყვარული, მოძრავი ადამიანისათვის, ჯოჯოხეთად ქცეული არსებობა, ციხის მუქ-მწვანე და შავ-ნაცრისფერ ფერებში.

ორი ფილმი, რომლებშიაც გიამ ითამაშა მთავარი როლი, ტრაგიკულად დაემსგავსა მის ბიოგრაფიას. ერთი “არასერიოზული კაცი”, რომელშიაც იგი ქალაქელი კაცის სახასიათო როლს კი არ თამაშობდა, არამედ თავის თავს ასახავდა და მეორე, ტრაგიზმით აღსავსე ლეკო თათაშელის როლი ფილმში “ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა”, სადაც ლეკო თათაშელი ცემით და ტანჯვით პატიმარი ხდება და ვინ იცოდა, რომ ამ როლის დამთავრების მერე, სულ რაღაც ნახევარი წელი არ გავიდოდა და ლეკო თათაშელი-გია ფერადე, თავისი გმირის ბედს გაიზიარებდა.

1985 წლამდე, გია ფერადის ბიოგრაფია კარგადაა გაშუქებული პრესაში და მის მიერ შექმნილი სახეები, შემონახულია იმ 40-მდე ფილმში, რომლებშიაც მას უთამაშია. მაგრამ მისი პიროვნების ბოლომდე გასაგებად, ყველასათვის გამოცანად რჩება ის ბოლო წლები, რაც მან გაატარა ციხის კედლებში 1985 წლიდან, როდესაც მას ბედმა უმუხთლა და როდესაც იწყება გია ფერადის ბოლო როლი, იძულებითი “გასტროლები” სსრკ სხვადასხვა ციხეებში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს “უბედური ჭლექიანი მსახიობის მოგზაურობა”, როდესაც მან სსრ კავშირის ყველაზე ძნელად ასატანი, გაძლიერებული რეჟიმიანი ციხეები მოიარა. მკითხველის შეკითხვაზე: რატომ?

მე პასუხზე თავს შევიკავებ!

თავს აღარ შევაწყენ მკითხველს მძიმე დეტალებით, უბრალოდ მიყოლებით ჩამოვთვლი იმ საპყრობილეებს, გაძლიერებული რეჟიმის შრომაგასწორებით დაწესებულებებს, რომლებშიც ყოფნითაც ჯერ არავინ გამოსწორებულა და

რომლებშიაც გიას მოუხდა “მოგზაურობა” ეტაპით 1985-1992 წლებში:

თბილისი-ვლადიმირი(რუსეთი)-თბილისი.

თბილისი –შუშა (ყარაბახი) - ბაქო(აზერბაიჯანი)- თბილისი.

თბილისი- წულუკიძე –იაკუტია –მახაჩყალა (რუსეთი)-რუსთავი- თბილისი.

გია, 1992 წლის ბოლოს განთავისუფლდა ამნისტით.

კვალი ნათელი

გია არა მარტო თბილისში იყო პროჟულარული, სადაც კი ყოფილა გადაღებაზე ან გასტროლებზე, ყველგან უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი უჩნდებოდა. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ვილნიუსში, ნივოსობირსკში... განსაკუთრებით ბევრი მეგობარი ყავდა მოსკოვში. ამაში მე მაშინ დავრწმუნდი, როდესაც მას გაუჭირდა და საჭირო შეიქმნა მეგობრების რეკომენდაცია-დახასიათება, რათა დაემტკიცებინათ, რომ იგი საზოგადოებისთვის სახიფათო ელემენტი არ იყო და ჭლექით დაავადებული გია, იაკუტიის ყინვიანი მხარის პატიმარი, როგორმე სამხრეთით გადმოეყვანათ. ვიცოდი ჩამონათვალი იმ დიდი მსახიობებისა, ვისთანაც გია მეგობრობდა, გაავამზადე პროკურატურაში მისატანი პატარა წერილი, და ჩამოუარე მის მეგობრებს მოსკოვში. ზოგიერთს თეატრებში ვაკითხავდი, ზოგიერთებს სახლში და არ ყოფილა შემთხვევა, რომ თითოეულ მათგანს უარი ეთქვას დახმარებაზე, გულისხმობს ახლოს არ მიეტანოს მისი უბედურება და დიდი სითბოთი არ მოეგონებიათ მათი საყვარელი მეგობარი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს მასთან, არც თუ ისე ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა, ხანმოკლე გადაღებების პერიოდში. ამ ხელმოწერებიანი წერილის ასლი ჩემთან ინახება, როგორც მეგობრობის და მხარში დგომის მაგალითი, განსხვავებით იმ ქართველი ორიოდ “ახლო მეგობრისაგან”, რომლებმაც მიზეზთა გამო უარი განაცხადეს მსგავს წერილზე ხელის მოწერაზე. არ შემიძლია ჩემი ძმის ხსოვნის 10 წლის თავზე მაღლიერებით არ გავიხსენო გიას რუსი მეგობრების სახელები, რომელთა ნაწილი დღეს უკვე ცოცხალი აღარ არის. სსრკ სახალხო არტისტები: ანდრეი მირონოვი; ზინოვი გერტი; ვეგენი ლეონოვი; ტატიანა პელცერი; ყველანი გარდაიცვალენ. ნათელი დაადგეთ მათ!

მათთან ერთად იყვნენ დღესაც მბრწყინავი ვარსკვლავები:

რუსეთის სახალხო არტისტები: ალექსანდრე შირვინტი; მიხეილ დერჟავინი; ალექსანდრე აბდულოვი; ნიკოლოზ

კარაჩენცევი; ოლეგ იანკოვსკი; ალექსანდრე ზბრუევი; ვალენტინა ტელიჩკინა; ნატაშა კრაჩკოვსკაია; კონსტანტინ რაიკინი; ირინა ალფეროვა.

გიასთვის და ჩემი ოჯახისთვის ეს იყო უდიდესი მორალური მხარდაჭერა და კიდევ ერთი ცხადი დადასტურება, იმისა, რომ კვალი ნათელი, ადამიანისაგან გაცემული სიტოზო, სიკეთე და სიყვარული, გასტროლებზე წაყვანაზე, თანამდებობაზე და ეროვნებაზე მაღლა დგას.

იგი არასოდეს იკარგება!

მე, ორჯერ დამჭირდა მათი დახმარება და ამ ხელმოწერების ერთი-ერთი ასლი, მომყავს ქვევით.

Миронов Андрей-Народный Артист РСФСР-	<i>A. Mironov</i>
Михаил Державин-Заслуж.Артист РСФСР -	<i>M. Derzhavin</i>
Ширвиндт Александр-Заслуж.Артист РСФСР-	<i>A. Shirvindt</i>
Зиновий Гердт -Народный Артист РСФСР -	<i>Z. Gerd</i>
Валентина Теличкина-Заслуж.Артистка - РСФСР, Лауреат Гос. премии РСФСР	<i>V. Telichkina</i>
Крачковская Наташа-Заслуж.Арт. РСФСР-	<i>N. Kravchovskaya</i>
Александр Абдулов- Заслуж.Артист - РСФСР, Лауреат Премии Ленинского комсомола	<i>A. Abdullayev</i>
Ирина Алферова -Заслуж.Артистка РСФСР-	<i>I. Alferova</i>
Райкин Константин-Заслуж.Артист РСФСР- Лауреат Премии Ленинского комсомола	<i>K. Raykin</i>

ცნობილი რუსი მსახიობების ხელმოწერები,
გიას მხარდასაჭერად.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რას ნიშნავს "მოგზაურობა" ანუ პატიმრების ენაზე ეტაპირება, გთავაზობთ გიას ციხის ჩანაწერებიდან, მხოლოდ მცირედ მოგონებებს, დაკავშირებულს მის ერთ-ერთ ეტაპირებასთან, ანუ მესამე "მოგზაურობა წულუკიდიდან-იაკუტიამდე". გიას სტილი, ჟარგონი, ენა, ნახატები, მთლიანად დაცულია. მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, გია აქაც გიია და როგორც მკითხველი დაინახავს, არ კარგავს მისთვის ჩვეულ იუმორს, რომელმაც მას გააძლგებინა წლების განმავლობაში, ამდენი ტანჯვის გადატანა.

გია ფერადის ციხის დღიურებიდან (ტექსტი და ნახატები)ი

1988 щели 10 марти. рогорц ъовелявис, месамедац



моматъвилес. савиме шени даишалао да ябилисши унда гагишвая «сизо-1»-шио. рогорц ъовелявис ме дегенератма, гахаребулма, галайебулма, «ругзакши» вдуряе нивяеби да шевахти «чорни воронаши» расац чвеняан «воронокс» уяхиан. чамоведи ыуяаисши да ы мияхрес: еса да ес яывен брьандебия? диха мяеыи-уяхари мощищевия.

–машин еряи генцва аыея гадмовбръандея русеяискен мимавал халхяан ерядо.

михведи, ром кидев моматъвилес... маграм рас изам «патара кацса дид кацяан, родис гасвлиа маряали».

17-мде виъави ыуяаисис цихезе, холо амаве дйес русеяискен микрес яави.

щамиц ар мимахедес
арц дедискен да арц ьмискен,
чамсвес сщрафад столипинши
яави микрес ростовискен...

18-ши виъави ростовис цихезе, холо 19-ши гавемгзавре волгоградискен.



волгоградши егреящодебул
эуйаевградши давъовнди 2 дйе
– 22 ши дамьахес

саратовидан «гиа, дрозде, гелодебия», мец схва ра гза
 мыонда, 23-ши чаведи саратовши. викияхе вин мьахда мяеыи?
 иы мияхрес «бияи, рацха цудая гамоиъуреби, мгони гзаши
 гагвицивди да ехла унда гагаябяо» да исе марбенинес
 мищисывеша гадасасвлелши, укан ъайлеби да штикиани
 зарискацеби могвдевднен, ром аяи дйе сули ъливс мовияыви.
 шеведи саратовши «етапкаши». рогорц ъовелявис марто вар,
 ирвлив 8 каца, маграм егени гинда ъофилан, гинда ара.

ме вцоцхлб, роца яывен гхедавя чемо дедико, чемо ъмао,
 швилебо да чемо сисхло да хорцо чемо мегобребо. о ром
 ицодей рогор менатребия. ймеряма мицоцхлос яывени яави,
 албая кидев родесме виынебия еряад. ара мгониа, маграм
 карги иынебода. ъовел шемяхвеваши «иа так хочу»! шинагани
 хма мпасухобс: ъалиан беври маиндоме аи гиазан! мохаршул
 щаблзе уарс хом ар итьви?!

да аи, 1 априламде виъави аы саратовис цихезе. 1-ши
 мияхрес «дйес пирвели априлиа гамгзавребац адвилаи»,
 мегона квлав матъвилебднен, маграм маряла ар
 гамамгзаврес ааа... чвенши хом тъвили
 мефобс. авкрифе гуда набади да
 челиабинскинскен ёери...ёери...



дйес укве априлис ориа
 да столипиншиц «сбориа».

3-ши виынеби челиабинскиши, мере рогор?
 саия? да родис? «чорт его знает»...

априли ки чеми явеа, ме марялац маград
 миъварс априли... 10-ши чеми патара гогос
 дабадебис дйеа, 20-ши чеми дабадебис дйе.

ра саоцари ояхеули шевикрифяя 20
 априлс:гитлери, наполеони, хрушчови да ме, холо ори дйия
 гвиан ки даибада, ме имис дабадебис дйец... махсовс... вова
 улиановели. самцухарод, гарда чеми дабадебис дйиса верц
 еряс вер давесщреби,сапатио мизези маывс
 её...гиа...гиа...фера...фера...гиа...гиа...фера...фера.

. исмода борблебис рака руки... ме, ки визеыи
 чемявис да гулши банс веубнебоди
 ваи...гиа...гиа...фера...фера...ье...ье...ваи!

да аи, 4-ши амовъави яави, ара
 челиабинскиши, арамед свердловскиши. еря
 патара камераши 60 каци шегъарес,
 маграм ара ушавс... амасац мичвеули вар...

дйес 10 априлиа! айдегомаа...ырсте
 айдеа!



дйес 10 априлиа! чеми гого 4 щлис гахда...
айдгома чемявис уцминдеси да сасщаулад ламази
дйесасщаулиа.

щияели кверцхи... баткани... саняели... газафхули...

ймеряо чемо, ра дйе дадга,

ме вквдеби да ыристе айдга...

(юешмаритад!)

ъвела чемебс вулоцав ам дйесасщаулс, ъвела ыристианс да
ъвела морщмунес.



дйес албая рамденма урцмуном да
ухатом гадаищера пирэвари. имдени сааяя
ром момаклон, анда щами... мяавроба
кидев валши дамрчеба. давелодеби рас
момитанс хвалиндели дйе... исе ймеряис
щъалобия, чаи ар гваклиа, чефири-
арестантебис кониаки... мадлоба, диди
мадлоба ймеряс имисявис, ром сашуалеба
гваыис чаия маинц вяывая гулис надеби...
велодеби етапс...

дро гарбис. ме ки исев свердловскис
«пересилкаши» вар. модис далоцвили да
амаве дрос дащъевлили 20 априлиц, чеми
дабадебис дйе – даыцес ес дйе. зигари

биеуби ариан чемяан еряад: чечени саида, казахеби: анвар
«йабзи» (бръенс нишнавс) да халида, ваха, малиша да иура.
дилидан 20 априлс адре адген да саяумлис момтанс райац
чвенебури фокуси чаутарес – иман ки моитана магари шаыари
да 2 паикия мети пури. гавийвие да дамахведрес
«критникебис» торти. исеяя ламази иъо, ром имис ъуребас
арафери зобда. земодан щврилад дафывил шаыарзе, чаия
ещера «гиа 40 лет».

гиа, аи есец 40 щели

сул гагияеярда тиали щвери,
гушин ъмащвили герыва

сахелад,

уцеб еря дйеши гахди бебери.

чаи шемовинахея ам дйисявис
специалурад. мивийе мравали
мисалоцеби. гвердия ыурдеби изднен:
ябилисели вахо да сохумели славика.
земпри мачуыес шави, чвенебури. чемма
камерис биеубма ки пирсахоци,
цхвирсахоцеби, наскеби, шарфи да висац



ра ёюнда мравли схва сахсовари. мадлобели вар имаяи.
ъвелас яавис дарди аывс да ймеряи тьос маяи мфарвели...

исев етапис цдаши,
исев юайара ямаши...

ес мерамдене явеа,
ром мивеяреви гзаши.

иакутиамде мивайщев яу ара азрзе ара вар. еряи ки вици, ме
миъварс ъвела висац уъварвар, висац ар уъварвар да яавис
гзазе гаумарэос...етьоба егеяебиц бевриа, радганац карга
ханиа критис режими дамимяаврда, маграм ме исев критис
режими майвс, амас схванаирад вер даарымев, зона щесиерад
арц минахиа, да арц мэера яу одесме внахав.

яумца давицадоя... сад звечыареба, мивъвея динебас.

ес сроки хом асец да исец чеми гасатания,

амая хелши ки ес цховреба, вах ра мъиме асатания...

дйес укве 21 априлиа- дйес давлиея боло чаи... яави гвткива,
деда ваи...

аба, зер зеробия, вецадоя ъвел шемяхвеваши, ром финали
тьос «ёепи енди». зйапариа, маграм «иа так хочу»...

рогорц ына 21-ши пативцемулербма инебес да чамсвес
матаребелши. укве 20 дйезе метиа аыа вар, етьоба укве
мовбезрдия да уфро имитом. шегврекес патара ояхши да 22
ши сайаmomде им патара ояхши виъавия 70 каци. амая
ехерхебая, магаши остатеби ариан, ес хом **шрома-**
гасамхецебели колониаа.

рогорц ына исев матаребели, исе михариа холме, яияьюс
исев садме сазйваргарея мивдиоде.

столипини, стопипини,

ра гаряоба, ан рис лхини,

гулзе гащевс ркинис кари,

гасаыцеви арсия ари.



оцдасами –гаяенда-дайамда,
оцдаояхи-гаяенда-дайамда.
оцдахуяи гаяенда, зер каргад ар
дайамебула.

мивайщияя красноарскс.
вифиыре красноарскши цихезе,
рамодениме дйес гамачеребднен,
ам ыалаыяан, чеми гастролербис

дроиндели саукеяесо могонебеби макавширебс, гулия миндода,
маграм цховреба егреа мощъобили, гулия рац гинда ис сад
арис бабаиа?!... «закон подлости, процветает». зустад еря
сааяши дамиъахес красноарскис цихидан етапзе гасасвлелад!

егеяи рам ме ар маховс, рац етапешши вар, ром
матареблидан, матаребелзе давехаея еря дйеши, маграм хом
хедешия ратом мохда асе? ме миндода, ром даврченилиъави
красноарскиши... «внутрени гогоси» кълав меубнеба:

«еёё.. гиазан! шени миквирс, вейар гаиге, ром убедо хар!? ам
хнис каци маквирвеш аи!»

оцдахуяи дайамда-оцдаеывси гаяенда. сайамос виынебия
иркутскиши, асе сязивес.

чамоведия иркутскиши. шегъарес исев ояхши етапкаши.
маграм ояхиц арис да ояхиц. шармоидгинея кубо рамодениме
кацзе. температура игиве рац мишис ывеш адамианс аывс,
зустад ар вици, маграм даахловешия егре иынеба. 27 –ши
сайаможде гамовкубовдия. хо, маряла! шамогъарес йамис 3
сааязе мквдребши, ывлебис гасаябобая. цота шевиябеш ывлеби
да ис гъо ам ывеънискен унда мовехеда, ром чыара, чыарас
ъахилия гамогврекес да исев им сасафлаозе е.и. имае кубоши-
е.и. имае камерашши чаггасвенес. иынеба асе саболоод
гацивдеяо. маграм мохда сасцаули аравин ар момквдара,
ъеела гагванацилес камерешши. аы цота мовияыви шедарешия
сули. ехла взивар иркутскиши да велодешши.

мовида пирвели мауси, даищъо дйесасцаулеби.

рисши пирвели мауси,
ромели гулзе халиси,
дйес исея хасияязе вар
ра гавакешо арц вици.

мовида 7 мауси – гамогваяриес камеридан. гамогваяриес да
чагваяриес исев им ынупис кубоши, ромелзедац земоя
могахсенея.

«гамогваяриес, чагваяриес, щагваяриес», ратом вхмароб ам
ситъвешс?

имитом ром амая схванаирад ар шеуылия да им мопъробас,
рогорц чвен гвешцевиан схвас вераферс дауъахеш. рас изав,
яанамдебобис пирешши ариан да схванаирад «не положешо!»,
асея ъвелган, рогорц аыеш, исеве иыеш, мавяулс зешия яу
ывешия. чвенц райа дагврчешши ра,

виаминеш, виаминеш, виаминеш,
идаъвеш викибинеш, викибинеш!
саыме арис имаши
еш мивдивареш читашши,
мере «чорт его знает»
мгони иакутиашши.

рогорц иына дагвешахеш етапеш. ехла мяавареш внахеш ромел
транзитешши момищешс гачереба... гаведия “гасашмонад” да

саюмлис мисайебад. аы пурис раоденобазе михвдеби сад
миъавхаря.; нахевари пури – улан удемде, 1 пури читамде, 2
пури- тахтамитамде («долина смерти»), 3 пури –
хабаровскамде.

асеве яяю ковзи шаыари читамде, 2 ковзи тахтамитамде, 3
ковзи хабаровскамде, нахевари улан-удемде. асеве зустан
нацилдеба яевзи. ме мивийе ъвелафери яяю яяю. яывенявис
албая укве гасагебиа, яу сад мивдивар. чвеняан саыарявелоши,
деда швилс ром щъевлис, шен щади армоусвлелши читаши да
иакутиашио.

чемо гиа, ес ра хдеба,
ра явалеби дагеюъита,
мсофлио, ром моиаре,
ра мохдеба, нахе

читац.

моклед райа беври гавагръело
читаши взивар да

хвале сад щавал ар
вици,

аы маинц минусс
ачвенебс,

ёода нифхавиц
чавицви!



давелодеби родис гамаяревен, ан щамаяревен читидан. аы шемовбрьанди... (ес исе! чемс яавс яу ар веци пативи, аба есени хом сул фехебзе микидебен!), маш асе... шемовбрьанди читаши 9 маисс, гамарэвебис дйес. виси гамарэвебис? риси гамарэвебис азрзе ара вар. мгони магнебис. шемовбрьанди 9-ши да дйес 25 маисиа укве... укве ис дро дгеба, да ис ганцъоба, родесац ъвелаферс ийеб да фехебзе икидеб. сцоред



асе вар мец. арафери ар вици, рогора харя чемо ахлobleбо. ме ки вщер щерилебс да вар, ар вици модис яу ара яывенамде, ынеб яывең ам дйеши харя, ром ар иция рогора вар, рас вшвреби. асеа патимрис хведри етапши . мас аывс мимаряулеба да патимрис номери, схва аранаири мисамаряи да уфлеба мас ар гаачниа.

взивар да взивар читаши да велодеби явиямфринавс, родис инебeбс аминди чемс гамгзавребас. рас изам иакутиаши мимавали патимрис бедиц таросзеа дамокидебули...

ваи чемс убедур яавс,
велодеби явиямфринавс,
ам лодинши дро гадис
да ес щлебиц мифринавс.
мале щамикияхавен
мец чукчебис сиаши
яавс амовъоф сул мале
«мзиан» иакутиаши.

П.С. როგორც იყნა ლეკო ყაყაშელმა (ღია ფერაემ) ივნისის შუა



გია - ლეკო თათაშელი ციხეში

რიცხვებისაყვის მიაყცია «მზიან» იაკუთიას, ცოცხალ მკვდარმა.



ძმა ძმისთვის, შავი ღღისათვის.

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი, არის პატიმრობის პერიოდის გიას ერთად-ერთი პროზაული მოგონება, დანარჩენი მოგონებები და განცდები მისი ლექსების 15-მდე დიდ ფორმატიან რვეულშია თავმოყრილი. ეს რვეულები დრო და დრო სხვადასხვა პაემანებიდან ჩამომქონდა თბილისში.

საპრობილეში მოხვედრის პირველივე დღეებიდან



დაწყებული, გია განუწყვეტილად წერდა დღეც და ღამეც, როგორც მისი კამერის ბინადრები ამბობდნენ, თითქმის არ ეძინა.

*“ციხეზე თემა არ დაიღვია,
ისე ხანდახან თუ დაწერ რამეს,
ღღისით არ ფიქრობ, ხალხში ერთობი,
თუ მომდის მუზა, ეუმადლი ღამეს”.*

წერდა ყველაფერზე: საკანის მობინადრეებზე, მის გაუნელებელ გულისტკივილზე, თავზე დატეხილ უბედურებაზე, სასამართლო პროცესის წინა დღეების განცდებზე და მერე, უკვე სხვადასხვა კოლონიებში განცდილ ემოციებზე. ეს ყველაფერი აღწერილია გიას მიერ და მათი მცირე ნაწილი შეტანილია მისი ლექსების წიგნში “სევდის კრებული”, რომელიც გამოვეცი 1997 წელს გიას გარდაცვალების შემდგომ.

გაწამებული რედაქტორი

ამ კრებულის ხსენებისას, არ შემოიღია გვერდი აუარო ჩემი მეგობრის, საქართველოში ცნობილი ლიტერატორის, ილია ჭავჭავაძის და სხვა პოეტების პოეზიის და ცხოვრების წერილმანების, ზეპირად მცოდნის, თამაზ ტყემალაძის ღვაწლს, გაწუეს კრებულის რედაქტირების საქმეში, საგნებით უანგაროდ და რაც მთავარია, მისივე შემოთავაზებით. თხუთმეტი კი არა, ოცდაათამდე დიდ და პატარა საერთო რვეულში ჩაწერილი ჩემი ძმის ციხის ლექსები, მან თითქმის წელიწადნახევარი გულდასმით იკითხა, გადაარჩია და მართლაც ჩინებული რედაქტურა გაუკეთა, რამაც განაპირობა მათი წარმატება. როდესაც ყოველი ლექსის ჩასწორებაზე ვედავებოდი, მე, ამ საქმის უვიცი ინჟინერი, მისთვის ჩვეული სიდარბაისლით მპასუხობდა:



გაწამებული რედაქტორი

-ბიძინი! შენ იცი, რომ გალაკტიონსაც ჰყავდა რედაქტორი. გიას ლექსებში მე არაფერს ვცვლი, უბრალოდ ვაშალაშინებ: ზოგან რითმია ამოვარდნილი, ზოგან სტროფია გასასწორებელი და მეტი არაფერი. ეს გიას აზრია და ეს გიას ლექსია! ასეა თუ ისე, გიას ლექსებმა, რომ უდაოდ დიდი მოწონება დაიმსახურეს, ამ საქმეში თამაზ ტყემალაძის შრომის ღირსის წილიცაა.

აქვე თანდართულ გვერდებზე მომყავს და შიგადაშიგ ტექსტშიც ურთავ გიას ორიოდე ახალ ლექსს, რომელთა რედაქტირებაც, კვლავ თამაზს მოუწია.

რა ქნას ბატონმა თამაზმა? ამ უბედურს ეგონა, გიას ლექსების მერე, სამუდამოდ მოვისვენე ფერადეებისგან, მაგრამ ნურას უკაცრავად! მას მოუწია ჩემი პირველი პატარა წიგნის: **“წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე”**-ს და ამჯერად უკვე, შედარებით მოზრდილი, ამ წიგნის რედაქტირებაც. ახლა მივხვდი რა ყოფილა გამართული ქართული. როდესაც თამაზი მიბრუნებს მის ჩასწორებულ, გადახაზულ-გადმოხაზულ ვარიანტებს, მე ახლიდან ვსწავლობ ქართული ენის ანა-ბანას და მრცხვენია ჩემი სკოლის ქართული ენის შესანიშნავი მასწავლებლების: შუშანა ზოიძის, მარო აბაშიძის, გალინა

ქონიაშვილის, ავთანდილ გვასხვაძის გახსენება, მათი ფუჭად ჩავლილი შრომის გამო. მათ მართლაც შესანიშნავად გვასწავლეს და შეგვავყვარეს ქართული ენა. მის მიმართ აღტაცება და მოწიწება ჩაგვინერგეს, მაგრამ შემდგომმა ჩემმა ინჟინრულმა ცხოვრებამ, ძირითადად უცხოენოვან ტექნიკურ ტექსტებზე მუშაობამ, ჩემდა სამწუხაროდ ამ დიდი პედაგოგების სიყვარულის და თამაზისთანა კარგი მექართულეების, სიტყვით აღფრთოვანების მეტი, არაფერი დამიტოვა თავში. ნიშანი რომ იწერებოდეს, რედაქტორის მიერ ქართულ მართლწერაში, მე ალბათ არანაირი ნიშნის ღირსი არ ვიქნებოდი და ეს ჩემი მასწავლებლების ბრალი ნამდვილად არაა. თამაზი იმედოვნებს, რომ მეათე წიგნისათვის ალბათ, სამიანის დონეს მაინც მივალწევ ქართულში.

ციხის ხელოვნება.



მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო, ხელოვნების განსაკუთრებულ ჟანრს, გიას ციხის საერთო რვეულებს. ციხეში გამომწვედელი, ყურებამდე ნიჭით გაძეპვილი გია, ვერ ისვენებდა და მის შემოქმედებით წვას ამ ჟურნალების და კამერის კედლების გაფორმებით იკმაყოფილებდა. თითქმის ყოველ ლექსს გვერდზე

ახლავს, პასტიტ შესრულებული ნახატები, რომლებიც ლექსის ხასიათიდანაა გამომდინარე. ამ ნახატებით გააფორმა გიას მეგობარმა მალხაზ კუხაშვილმა “სეველის კრებული”. როცა მადლობას ვუხდიდი, მალხაზი სულ იმას იძახდა: მე რა შუაში ვარ, უბრალოდ გიას დახატულები მივუსადაგე სათანადო ლექსებს და მორჩა!

ამ რვეულებში, სევდასთან ერთად, არაჩვეულებრივი იუმორისტული ჩანახატებიცაა. ჩაკრული ჰქონდა ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ფოტოებიც. თეატრის მსახიობების შარუები. განსაკუთრებულ გვერდებზე მისი ნაცნობი კინომსახიობების სურათებია ჩაწებებული, ჟურნალებიდან, რომლებსაც აფორმებდა მისი ლექსებით და ნახატებით.

რაც შეეხება კამერას, აქ კედელზე ეკიდა, მისი უახლოვესი მეგობრების დიდი პლაკატები. ზონიდან-ზონაში გადაჰქონდა

ჩემი ბავშვობის მეგობრის, ზონებშიც განსაკუთრებული პატივით მიღებული, ბუბა კიკაბიძის კალენდარი და ყოველ წელს ახალ კალენდარს აკრავდა გაცრეცილ სურათს.

ამდენი წლის მერე, მინდა გამოვტყდე, როცა ეს კალენდარი გამოიცა, ბუბა თბილისში არ იყო. დარწმუნებული ვიყავი უარს არ მეტყოდა და ამ კალენდარს, ბუბას მაგივრად, მე წავაწერე ქართულად მისალმება, რითაც გიას განსაკუთრებით მოჰქონდა თავი სხვა პატიმრებთან და ალიბის გამაგრებისათვის, დამატებით გაუფხავნე ჩემ დაბადების დღეზე, სახლში გადაღებული სურათი, სადაც გია და ბუბა ერთად არიან ფოტოზე გამოსახულნი.

ასეთივე პატივი ხვდა წილად ლენა საფონოვას პლაკატს, აქ უკვე ჩემი “პადდეკა” არ დამჭირდა, თვით ლენამ მიაწერა მოკითხვა მოსკოვში და მას ტუჩების პომადის ანაბეჭდიც დავატოვებინე პლაკატზე.

ერთ გვერდზე ჩაკრული ჰქონდა ამონაჭერი ადრინდელი ჟურნალიდან “ახალი ფილმები”, სადაც გიას ფოტო გარეკანზე იყო მოთავსებული. ამ ჟურნალის გამოსვლისას ყველა ეუბნებოდა, რომ სურათი უფრო მე მგავდა, ვიდრე გიას. მართლაც იყო ეგეთი შემთხვევა! ალბათ გია კარგად



კამერის ფანტაზიები

ვერ გადაიღო ფოტორეპორტიორმა, სურათი გაუფუჭდა და მე დამემგვანა, რაზედაც გიამ ასეთი ხუმრობაც გამთაცხო:

-ჰო! ჟურნალის ყდაზე მე, კი არა ილიკოა. მე არ მეცალა, კინოგადაღებაზე ვიყავი მაშინ და ჟურნალში გადასაღებად ილიკო გაუშვიო. ერთხელ მაინც გამოჩნდეს ხალხში.

მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, აქვე მომყავს ამ რვეულებიდან, რამდენიმე გვერდის ასლი, ყოველგვარი კომპიუტერული რედაქტირების გარეშე. ყველა პაემანზე, ჩამქონდა ჟურნალ-გაზეთების მთელი დასტა, რომელსაც პაემნიდან პაემნამდე დედა უგროვებდა. ამ მისთვის უძვირფასესი მასალებიდან, აფორმებდა გია ჟურნალის გვერდებს და ამავდროულად, დაგვიანებით იგებდა წარსულში უკვე მომხდარ, მაგრამ მისთვის ახალ-ახალ ამბებს, მოვლენებს.



“ეს ილოა, ჩემს მაგივრად გაუშვი გადაღებაზე. ერთხელ მაინც გამოჩნდეს ხალსში”.



პასუხი, მეგობრების გაგზავნილ ფოტოზე.

1. ვერანე ქან ღიფა, ჭ ვი ახ მომუგონა, ჩემი ბუნა
 ვიხ ვეხეხაძი ვი ახა, უბნებო ჩემიონია!
ჩემი ბუნა!!

2. ჩემი ვერანე ბიჭებო, ჩემიონებო ახან,
 მიყვარს ეს ჩემი უბანი, თანამე ყველს ძლიან



აქ გავიხილ ავიღე
 ვინ სავახლე ვერანე
 ვერანე - ვიგახი ყბანი,
 ყსუვაიღეს ყველს.
 ჩემი ბუნა და გიოხტი
 მათი ღამსა გიღებო,
 ჩემი ვერანე ბიჭებო,
 ვერანე ჩემიონებო!

ამს ვერანე უხი ვერანე
 ძველი ახიღი ფერანე,
 ჩემიონებო ახან, ძემი გუხიღიღი
 ვერანე!
 ვერანე ქან და ღიფა, ჭ ვი ახ
 მომუგონა
 მიყვარს ვეხეხაძი ვი ახა,
 უბნებო ჩემიონია!

ავას! (ჩვენს) 18.XI.86
 "ავას ხოგ ყდა სევა
 იღოხიაძი შავა!"



ესაქა გუხიღა
 ვან ვინღა
 ვინე ვეღა?
 იგი ხომ, ბიღელებს
 ყველღი ზეხიღეღა!
 სუხნს მიყვება
 ვეხეხაძე ყველა გიღა
 შუგე ვიხა ამაღა.
 ვიღე, ძველ ზეღა
 იმეღს ღიღე ვეღა!

ვაჯღია ჩემი ავა?
 ვეყსე ვი ვაქრავა
 ყველა გიღა - ღამსაჯა
 ხეგ რინეო მან ყდა!
 ვაქს ვიღაღი ყღევი,
 ავას ვეღეღს ვიხაღ,
 იხეღი ბომანღიღი,
 ქევახეღა გვახაღ!

შიღი ახ სევეღს,
 შიღი ახ ვანეღებღს!

ვერის გუნდი თბილისის ჩემპიონი გახდა მინი-ფეხბურთში

X რუსეთი ფაშვია შვიდი!

შენ ხსენებ ხაყვას რუსეთი,
შენ შენ სიტყვით, მგალი ხარ,
შენ ხარ ყვავილი "რუსეთი"
და ჯერად ხელსაველი ხარ!

მეც არ ვიხსნის, არ მოგეწყვიტო!
"არ, მთხე სრავარს დავა!"
შეღმგახსნავს,
სხვა ხელწეხა
კაქს,
მთხე არ ხომ,
შენ ხარ
ქალი!



მეცხე არ მოგეწყვიტო!
არ, მთხე სრავარს დავა!
შეღმგახსნავს,
სხვა ხელწეხა კაქს,
მთხე არ ხომ,
შენ ხარ ქალი!

ჩიხი არხაიანი, ჩიხი ნეცხანი,
შენ ხარ ხელოვნების ნიჭი ნეცხანი!

"ახეი ვეაობ. ახეი სანოს,
ოქხაბ ხეი მოემახოს!"

გვერდი მიუბღვნა რუსულან ფეცტიაშვილს



ორი “არასერიოზული” ვერელი



“შეცდომების კომედია”

გია და მიშა კაზაკოვი




გიას, ლენინზე ნაკლებად არ უყვარდა ბავშვები!



მამუკას გვერდი



ციხის რეგულიდან:
გია და ლუის კორეოლანი



გია და სპ-ილი!

ილიკო, ჩემო ილიკო,
ძაღო და ძაღვ უტკბესო,
ვინც დაგივიწყოს წამითაც,
დილა არ გაუთუნდესო.
მაგ უღვაშების ჭირიმე,
მერე რა მოხდა, მე არ მაქვს,
მოვარია, რომ ნამუსი,
ჩვენი ოჯახის, შენ დაგაქვს.
გამოვად, უღვაშს მოუშვებ,
ვიქნები, უღვაშთან,
ვიცხოვრებ, როგორც ნამდვილი
და სწორი ადამიანი,
ასევე მოხვანს შორიდან,
როგორც ბავშვი და ეს სვილო,
მე, ის პატარა ბავშვი ვარ,
ამ შემთხვევაში

შენ, სპ-ილი

ტაბაგა
1988 წ.

არარომანტიული პაემნები

ჩვენ შევეხეთ გიას ცხოვრების სხვადასხვა წახნაგებს, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მხარე, ირიბად დაკავშირებული გიასთან, რომლის შესახებაც იცის მხოლოდ ჩვენი ოჯახის ახლობლების ძალიან ვიწრო წრემ და ისიც ნაწილ-ნაწილ. ეს მოგონებები შეეხება ჩემი გიასთან პაემანზე წასვლის და მზადების, თვით ციხის პაემანებზე ყოფნის პროცესს, რომელიც მისი პატიმრობისას, წელიწადში რამდენიმეჯერ მეორდებოდა, შვიდი წლის განმავლობაში.

მე გიასგან განსხვავებით, საერთოდ დიდი მოლაპარაკე არ გახლავართ, რის დასტურადაც მომყავს ჩემი ნახევრად გურული მეუღლის, დეა ივანიძის სიტყვები (აქ ცოლის გვარს



დეა

იმიტომ ვახსენებ, რომ ძველ ნაცნობებს პირველ ცოლში არ აერიოთ). დეას, რომ კითხავენ მეგობრები: როგორ? ეს არ იცი? ნუთუ ილიკომ არ მოგიყვა? მას ხუმრობით უთქვამს:

“ილიკო როცა სახლშია, თუ ფხიზელია, არ ლაპარაკობს, ხოლო თუ მთვრალია, ვერ ლაპარაკობს”, ამიტომაც აქ მოყვანილ ისტორიებს შეიძლება ბევრი პირველად გაიცნობს.

პაემანი რომანტიკული სიტყვაა და ასოცირდება სიყვარულთან, მთვარესთან, შეყვარებულთან. მაგრამ პაემანი საპატიმროში, რასაკვირველია შორსაა ამგვარი პოეტური ცნებებიდან. იგი დაკავშირებულია დიდ წვალებასა და სიძნელეებთან. გიას სანახავად შორეულ გზაზე წასასვლელად, განსაკუთრებით ემზადებოდა ჩვენი ოჯახი და ამ სამზადისში ჩართული იყო გიას მთელი სამეგობრო. ამ პროცესმა თავიდანვე მკაცრად ჩამოყალიბებული სტრუქტურის სახე მიიღო, სადაც თითოეულ მეგობარს, თავისი მკვეთრად გამოხატული ფუნქციები უნდა შეესრულებინა.

მარტო კაცი ჭამაშიაც არ ვარგა, მაგრამ, როდესაც გიჭირს და გვერდში ერთგული მეგობრები გყავს, როგორც ეს ხდებოდა გიას პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ეს არის მეგობრობის, თანადგომის, ძმობის და სიყვარულის გამოხატვის ისეთი არაჩვეულებრივი მაგალითი, რომელიც ყველამ მინდა რომ გაიგოს, მაგრამ ამის სრულყოფილად აღწერას, ალბათ მხოლოდ დიდი

კალმოსანი თუ შექმნება, ამიტომ დიდსულოვანი მკითხველი მომიტყევეს ჩემს დილექტანტურ მცდელობას, შექმნებისდაგვარად გადმოვიცე 20 წლის წინანდელი გიასთან დაკავშირებული ჩემი მოგონებები.

არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ პატიმრის მოვლა ციხეში ძალზე ძნელი რამაა ჭირისუფალისთვის. იგი პირველ რიგში ოჯახისათვის დიდი გამოცდაა და დიდ ენერგიასთან ერთად საკმაო სახსრებსაც მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ჩემი მეგობრის, ნოდარ ნებიერიძის მეუღლის მონაყოლი, როდესაც მისი ქმარი დაიჭირეს და რაღაც უმნიშვნელო დარღვევისათვის კოლონიაში მოხვდა, აქ იგი ბიბლიოთეკის გამგედ მოეწყო და შედარებით კარგ პირობებში იხდიდა სასჯელს. არც წიგნები აკლდა, არც საჭმელ-სახმელი. მეუღლეს ეცოდებოდა ქმარი და ცდილობდა არ მოეკლო მისთვის ზრუნვა, ყურადღება. ორი ბავშვი მოსაველედი ყავდა, სამსახური, ბაზარი, ამანათები და გაწყდა წელში ახალგაზრდა ქალი. ერთხელაც პაემანზე მისულს, პატიმარმა ქმარმა მაინც გამოთქვა საყვედური რაღაცაზე, ვეღარ მოითმინა ფიცხმა გურულმა მზია-ქალმა და მიახალა უმადურ ქმარს:

-გაგწყდი წელში ქალი, გავნახვერდი. რაც შენ აქა ხარ გახეთის წაკითხვის დრო არა მაქვს, შენ კი დაუღაჟა ლოყებით სულ ახალ ახალ რაღაცეებს ითხოვ. მოდი ერთი გამიცვალე ადგილი. ცოტა ხნით მე დაგჯდები შენს მაგივრად ციხეში და შენ მიხედე ოჯახს და იარე ჩემთან “პერედაჩებით”.

ამას გარდა, სსრ კავშირის დროს პატიმრისათვის საჭირო ყველაფერი უნდა გეშოვნა, წამლიდან დაწყებული (აქ მხედველობაში მაქვს სამკურნალო წამლები, რომლებიც ტუბერკულოზით დაავადებულ გია ფერაძეს სისტემატურად ჭირდებოდა), ტანსაცმლით დამთავრებული (სპორტული პიჯამო, კედები, საცვლები). ყველაფრის შოვნას ნაცნობობა და მეგობრების თანადგომა სჭირდებოდა.

და აი, სწორედ გიას, ასეთი ერთგული ძმები იდგენ ჩემს გვერდში მისი პატიმრობის თითქმის რვა წლის განმავლობაში, რომლებსაც ერთი დღითაც არ მოუკლიათ ყურადღება გაჭირვებაში ჩავარდნილი მეგობრისათვის. აქ აღარ იყო გარჩევა ვინ ოჯახის მეგობარი იყო, ვინ ჩემი და ვინ გიასი, ჩვენ ყველა ერთად ვწვევით იმ მძიმე, მაგრამ სავალდებულო კაცურ ჭაპანს, რასაც გაჭირვებაში ჩავარდნილი ძმის და მეგობრის დახმარება ჰქვია. როგორ დავივიწყო ამ ხალხის ერთგულება და თანადგომა,

თითოეული მათგანი ჩემი გიასთან პაემანზე წასვლამდე სულ ჩვენთან ტრიალებდა, თვალეში მიყურებდა და ერთმანეთს ასწრებდნენ ყველა წვრილმანი საქმის მოგვარებას. ალბათ ასეთი რამ მართლაც, მარტო საქართველოში შეიძლება მოხდეს, მადლობა მათ მეგობრობის ასეთი უნიკალური ნიჭისათვის. ახლა, როდესაც მათზე ვფიქრობ, უნებლიეთ მახსენდება წმინდა იოანე ოქროპირის საყვარელი ლოცვა, რომელსაც ხშირად იმეორებდა ჩვენი ნათესავი, წმინდა მღვდელმთწამე გრიგოლ ფერაძე ყველაზე მძიმე გაჭირვების უამს, სამშობლოდან მოშორებით შორეულ პოლონეთში: **“უფალო გმადლობთ ყველაფრისათვის”**



გივი ჯიჯიასია, მიშა ბაქრაძე, თამაზ ანდელუაძე, სულხან ისაკაძე, შუ და “კაკალა”-გია ნორაკიძე

ჩემი სკოლის მეგობრები, სწორუპოვარნი, სიკეთის და სიყვარულის სხივთა მთოვარნი, მაგონდება სკოლის წლები, ჩვენი ანცობა, ბოლო ზარი, სიჭაბუკე, მერე კაცობა...

ერთმანეთის ჭირში-ლხინში ვიდექით ერთად, ერთმანეთის ძმობის მადლით-გულეები ძგერდა. მეგობრობის კოშკი გვედგა, ასი სართული, თბილისური, ვერული და ნაღდი ქართული.

ჩვენი ძმობის საფუძველი ქვა და რკინაა, ნუთუ მართლა ყველაფერი ისევ წინაა? მყრალი ციხის ყრუ დიღევი, ჩემი ბინაა, მტყუან-მართლის გამრჩეველი ძმებო, ვინაა?

რომ მიშველოს, ფრთები მომცეს, მართლა ვინ არი? მჭამს დარდები, მჭამს ჭლექი და კიდევ მკბინარი...

მადლობა ღმერთს, შემრჩა ძალა, ძმებად გსახავდეთ,
კაკალ, სულხან არ მოგკვდები, ვიდრე გნახავდეთ.
თაზო, მიშა კვლავ მეყოფა სამხო მუხტები,
ფოგო, გივი, ფილიპოკა-ჩაგეხუტებით.

მანდ მელოდეთ, ჩვენი სკოლის ახლოს იარეთ,
რასაც იგრძნობთ, წერილებით გამიზიარეთ.
ჩემი მერხის მეგობრებო, ასწით ფიალა,
მადლეგრძელეთ, თორემ დარდმა, გამატიალა.

შუშა 1987 წ.

ცნობილია, რომ ციხეებში პროდუქტების და ნივთების შეტანას “ფოკუსნიკობა” ჭირდებოდა, რადგანაც ყველაფერი მკაცრად კონტროლდებოდა და ძალზე შეზღუდული იყო. მაგრამ, როგორც ცნობილი იტალიელი კომიკოსი ტოტო ამბობდა ფილმში “კანონი, კანონია”, ჩვენც ყველა პატიოსან გზას ვეძებდით, რომ გვერდი აგვეარა ამ არაპუმანური კანონებისათვის და როდესაც ისეთ გადასაკარგავში მიდიხარ პატიმარ ძმასთან, როგორც, იაკუტიაა, ვცდილობდი მაქსიმალურად ჩამეტანა საჭირო ნივთები და საქონელი, რადგანაც იქ ხშირად ჩასვლა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ჩვენც ზუსტად ისე, როგორც ეს ზემოთ ნახსენებ გენიალურ ფილმშია, კონტრაბანდისტ ტოტოსავით, “ფოკუსების” მეშვეობით გადაგვქონდა სპირტი საზღვარზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფერნანდელის სიმპათიური და ჰუმანური მესაზღვრის ნაცვლად, ჩვენ გვიწვედა ურთიერთობა პირქუშ და უხეშ რუს ჩინოვნიკებსა და მეციხოვნეებთან.

“ილო მიდის პაემანზე”!

მაშ ასე! თბილისში, გიას ახლობლებში, ვრცელდებოდა მოსამზადებელი სიგნალი, კოლური დასახელებით: “ილო მიდის პაემანზე!” და იწყებდა ფუნქციონირებას “პაემანის საორგანიზაციო კომიტეტი”, რომლის სტრუქტურაში შედიოდა:

პირველი, ინფორმაციის და გზავნილების ჯგუფი- დედაჩემის ხელმძღვანელობით, რომელიც ახლო ნაცნობებში აგრძელებდა ინფორმაციას მომავალი პაემანის შესახებ და შემდგომ აგროვებდა წერილებს, პატარა ამანათებს, სიგარეტებს და სხვა, რაც მოჰქონდათ მეგობრებს გიასთან გასატანებლად.

საერთოდ დედა იყო ყველა ქვეჯგუფის მაკონტროლებელი და გამხალისებელი, იგი თავზე დაგვეტრიალებდა ყველას და ყველაფერში ერეოდა. მე ვპატიობდი მის ამ ჩარევას, რადგანაც ის ჩემზე მეტად ნერვიულობდა.

ამ საორგანიზაციო კომიტეტში ჩემს გვერდზე მდგომი ყველა საქმეში, ფაქტიურად საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე სხვა ქვეკომიტეტების სულისჩამდგმელი და ხშირად “ფულისჩამდგმელი”



თაზო ანდლულაძე

პიროვნება, იყო მთელი ამ რვა წლის განმავლობაში, გიას უბნის, ბავშვობის და პირველი კლასის მეგობარი თაზო ანდლულაძე, რომელიც თბილისში ყველასათვის საყვარელი ადამიანია. მე არ შემხვედრია კაცი, ვისაც თაზოს ხსენებაზე სიყვარულით სახე არ გაბადროდეს. თაზო დღემდე ჩემი ოჯახის ერთ ერთი უძვირფასესი წევრია, რომელსაც ძმაკაცის ოჯახში შემოსვლის “ერუგლასუტონნი” საშვი აქვს..

სათითაოდ არ ჩამოვთვლი მათ სახელებს, ვინც გვერდში მედგა, რომ არავინ გამომჩნეს და არ ვაწყენიო ვინმეს. ახლა, დაახლოებით 20 წლის შემდეგ, გიას მაგივრად, დედას მაგივრად და ჩემი სახელით, კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა მოვასხენო ყოველ მათგანს იმ თანადგომისათვის და სითბოსთვის რაც მათ გამოიჩინეს გიას და ჩემი ოჯახის მიმართ ძნელებელობის უამს. რომ არა მათი ერთგულება, ალბათ მეც გამიჭირდებოდა ყოველივე ამის ატანა.

ახლობლები სრულიად უანგაროდ გვეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადი მატერიალური დარტყმა მაინც ჩვენს ოჯახზე მოდიოდა, რისთვისაც გავცვალეთ დედას საბურთალოს ბინა უფრო პატარა ბინაზე დიდუბეში, მეც მომიწია მანქანის გაყიდვა. სხვა “მივლინებებზე” რომ არაფერი ვთქვა, მარტო იაკუტიაში ჩემი “მივლინება” ერთი მეგობრის თანხლებით, ურომლისოდაც იქ წასვლა შეუძლებელი იყო, კარგად მოზრდილი თანხა ჯდებოდა, მე კი სამჯერ მომიწია წასვლა-წამოსვლა წელიწადნახევარში და მეგობრების წყალობით ოჯახი გაუსაძლის ვალებში არ ჩავარდნილა.

მეორე ჯგუფი იყო - პროდუქტების ჯგუფი. მასში შედიოდნენ- “პუნქტუალური ძმაკაცები” სულხან ისაკაძე და

“კაკალა” ანუ გია ნორაკიძე, გიას უბნელები, პირველი კლასის მეგობრები და ერთმანეთის განუყრელი ვერელები, რომლებსაც სათითაოდ ყველა “სულხანა-კაკალას” ეძახდა და თითქმის ერთ პირად აღიქვამდა. მათ მე “პუნქტუალური” დავარქვი, რადგანაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ წლების განმავლობაში, თუ კაკალას დანჯღრეული “ნივა” იძლეოდა ამის საშუალებას, რაიმე დავალებაზე წასვლა დაგვიანებოდეთ და საქმე ზუსტად დროში არ



“კაკალა”



სულხანი

შეესრულებოთ. ამ ჯგუფში შედიოდნენ აგრეთვე გიას კლასელები: გივი ჯიჯისია, მიშა ბაქრაძე, ფოგო, ფილიპე. ზურა რამიშვილი, დევიკა ანთაძე და ასევე ჩემი მანქანიანი მეგობრები: ალიკა კობლაძე, რეზო-“ბრახუნა” თვალაბე-იშვილი; ყველა ისინი ვალდებული იყვნენ გამგზავრების წინა დღეებში ბაზარში წასულიყვნენ, აგრეთვე მოეხერხებიათ წამლების, სხვა საჭირო პროდუქტების შოვნა და მოტანა, რომელსაც სახლში ასუფთავებდა, ახარისხებდა და



ალიკა კობლაძე



ირმა გურგენიძე

რეცხავდა ქალების ჯგუფი ჩემი მეუღლის დეა ივანიძის და ჩემი მეჯვარის-ირმა გურგენიძის შემადგენლობით. შეუძლებელია არ გავიხსენო ღვაწლი ამ ჯგუფის უმცროსი წევრის, ჩემი პატარა ქალიშვილის, ნინკასი, რომელიც სულ რაღაც 7-8 წლისა იყო და მონდომებით ეხმარებოდა ქალებს მწვანის გარჩევაში, ფუსფუსებდა და სულ კითხულობდა:

-გია ბიბია მალე ჩამოვა?

მოტიანი, დახარისხებული პროდუქტები ცალკე ეწყობოდა და ისინი ხელშეუხებელი იყო. ხოლო ამდენ “მუშას” ჭამაც ხომ უნდოდა, აქ კი ჯგუფში იყო, ჩემი მეგობარი ალიკა კობალაძე, რომელსაც “ხორცის გიუს” ვეძახდით, ისე უყვარდა ხორცის არჩევა და ყიდვა. მას “საღდაცკის”-დახურულ ბაზარში თავისი მეხორცე აწარკა ყავდა და ხორცის ყიდვით ვერ ძლებოდა. იმ დღეებშიც მოტიანდა 15-18 კილო ხორცს და თითონვე შეუდგებოდა, ირმა გურგენიძესთან და ომარ სუპატაშვილთან ერთად, “მუშათა” სადილის მზადებას. შეკითხვაზე თუ რად უნდოდა ამდენი ხორცი? ალიკა პასუხობდა:

-ამდენ კაცს დააურება ხომ უნდა და მეორეც “იამანს” რამე ხომ უნდა მოუწყოთ “სტოლზე”.

პროდუქტებს შორის იყო, წასადებად აუცილებელი, ყველაზე სტრატეგიული პროდუქტი – ქართული უნივერსალური ვალუტა “ჭაჭა”, რომლის საშუალებით, განსაკუთრებულად, რუსეთში, ალი ბაბას “სეზამ გაიღეს” შეძახილის მსგავსად, ყველა კარები იღებოდა. მაგრამ შორ გზაზე ჭაჭის ტარება არარენტაბელურია და ჩვენც ღმერთმა გამოგვიგზავნა უფრო ძლიერმოქმედი საშუალება, რაქტიფიცირებული, 96 გრადუსიანი, ხორბლის სპირტი- “ცეცხლოვანი წყალი”, როგორც მას ხუმრობით ვეძახდით და რომლის ერთი ბოთლიდან 3 ბოთლი არაყი გამოდიოდა. იმ დროს ჩვენი ბიძაშვილი, გიზო ნიკოლაიშვილი მუშაობდა ერთ-ერთ საწარმოს ხელმძღვანელად, სადაც ეს სტრატეგიული პროდუქტი რუსეთიდან შემოდიოდა.

გიზო ვასილინი

გიზოს, მეგობრებში გავრცელებული ზედსახელი იყო “ვასილინი, დოლ-გარმონა”. გიზო იყო აბსოლუტური სმენით შემკობილი, ყოველთვის კარგად ჩაცმული, ცხელ ზაფხულშიც კი ჰალსტუხშებში, სიმპატიური ადამიანი. უკრავდა ყველა ინსტრუმენტზე. მდებოდა არაჩვეულებრივად, განსაკუთრებით ქალაქურ ბაიათებს. ხშირად გარმონზე ლოყადადებული, თითქოს ჩაძინებული, უკრავდა თუშურ მელიდიებს, მაგრამ მას კი არ ეძინა, იმ დროს, თვალდახუჭული, შორეული თუშეთის მთებზე და მდებოებზე დასეირნობდა. მის ოჯახს და მეგობრებს ორმოცი წელი გიზოს შაქრის დიბეტი გვაწუხებდა, ხოლო იგი, ამას აინუშშიც არ აგდებდა. მისთვის მთავარი იყო მეგობრები, სუფრა და ნამდვილი ქეიფი, ამ სიტყვის სრული

მნიშვნელობით. მის გარეშე ქეიფს ფასი არ ჰქონდა ჩვენს სამეგობროში. ეს ხორციელ შევიგრძენით გიზოს წასვლის მერე.

“ვასილინი” “ცოტას” აკლებდა მისი საწარმოს პროდუქციას რუსეთიდან ჩამოტანილ “ცეცხლოვან წყალს”, რათა ჩვენ უკან რუსეთშივე დაგვებრუნებია, ოღონდ სხვა დანიშნულებით. ეს დანაკლისი რასაკვირველია სოციალისტური საწარმოს გეგმიურ მაჩვენებლებზე არ მოქმედებდა, ჩვენ კი ფასდაუდებელ დახმარებას გვიწვედა.



ვასილინი უბერავს

“იამანი”

ადგილზე მოსახმარად ამ ცეცხლოვანი სითხიდან ჩვეულებრივ წყალში განზავებით, ვამზადებდით “იამანს”. რომ ავხსნა თუ რა არის “იამანი”, მიტო ვარძელაშვილის მონაყოლს გავიხსენებ.

კახელ მიტუას ღვინოს ასინჯებენ. დაუსხეს ტანიანი წარაფი. მან ბოლომდე დაცალა, ჭიქის ძირს აკოცა და სიამოვნებით წარმოთქვა

- “იამანია!” - ჰკითხეს :

-რა არის ძია მიტო იამანი?

-“იამანი” შვილო? ბალახია. ცხენსა კლავს ორ წუთში! მიუგო პასუხად.

მართალია, ჩვენი განზავებული “იამანიდან” არავინ მომკვდარა, მაგრამ 100 გრამიც კი, პირდაპირ მთავარ ტვინში ურტყამდა კაცს და ჰიპნოზით სწრაფი ჭრა ჰქონდა, რასაც ოდიტოგანვე განსაკუთრებულად აფასებდენ რუსეთში და დღესაც ასე გრძელდება.

და არა მარტო რუსეთში. გიას ძმაკაცები, როგორც კი შემოდიან დღესაც ჩემთან, ოჯახში, იმავ წამს “იამანს” კითხულობენ. “იამანის” მოქმედების მექანიზმი მინდა ავხსნა გიას უსაყვარლესი, აწ გარდაცვლილი, მეგობრის გიანორაკიძის-(კაკალას) სიტყვებით, რომელიც ჩვენი სახლიდან ორას მეტრში, ზევით, აბანოს გვერდით ცხოვრობდა.


-ბიძინი! ვერაფერი გავიგე ამ “იამანის”. თქვენთან რომ ესვამ, სუფრაზე ყველაფერი მახსოვს, აბსოლუტურად ფხიზელი მგონია თავი. როგორც კი გამოვალ და 100 მეტრს

გავიფიქვინე ვერის აბანოს კიბეებამდე, მერე აღარაფერი მახსოვს, თიში მემართება.

-ჩემო კაკალ! მიტო ძია ხომ მოგიყვია, რომ “იამანი” ცხენსა კლავს ორ წუთში. ორ წუთში ცხენი 100 მეტრს გადის, და შენც ალბათ ამიტომ ითიშები, მაგრამ არ კვდები, ეი. შენ ცხენზე მაგარი ყოფილხარ -ვპასუხობდი მე. კაკალა კი თავისი განუმეორებელი, ოდნავ აღმაცერი მხერით, მიამიტი ღიმილით შემომხედავდა.

შეფუთვის ჯგუფი

სპირტი შემოდიოდა ერთ ერთ პასუხსაგებ სექტორში, ანუ - შეფუთვის ჯგუფში, რომელსაც მთელი, მისთვის ჩვეული მეცნიერული სერიოზულობით უძღვებოდა მიტო ვარძელაშვილი. მისი აპრეხილი უღვაშები, მუდამ “მრისხანე”



“ძია მიტო”

ვარძელაშვილი

მკაცრი კონტროლი განსაკუთრებული, საბაჟო პერსონალი. “შმონის” (გასინჯვის) ხსნიდნენ, სინჯავდენ, მიტო-ძიას მოხუფულ, მორჩილულ, მასკირებულ სასმელს ერთხელაც არ გამოუწვევია ზემოთ ნახსენები ეპითეტებით შემკული პერსონალის ეჭვი.

სიტყვა “შმონი“-გასინჯვა, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ეთანადებოდა მის ქართულ შესატყვისს, რადგანაც პაემანზე შემსვლელს სულ მთლად აშიშვლებდენ და სინჯავდენ, ემანდ თვალიდან დაფარულ რაიმე ორგანოში, ნარკოტიკი და ფული რომ არ ჰქონოდა დამალული.

გამომეტყველება, რომლის ქვეშ მეგობრის, ოჯახის, შვილების, შვილიშვილების არაჩვეულებრივი ერთგულება და სითბო იმალება. მისი პირდაპირი, შუბლში შალაბანდით მოხლილი, ქართლური იუმორი და რაც მთავარია, ყველაფრისმცოდნეობა, გიას ძმაცაცებში თავიდანვე მისდამი მოწიწებას იწვევდა. მას ყველა “მიტო-ძიას” ეძახდა. ამ პროცედურაზე იყო დამოკიდებული სასმელის მშვიდობიანად ჩატანა გიამდე, რომელსაც უნდა გაეგლო აეროპორტების და რაც მთავარია, მსოფლიოში ყოველად არაადამიანური, რუსული ბოლოს ციხის, ეგრეთწოდებული პროცედურა, სადაც ყველაფერს ურადლებით ათვალიერებდენ და ეურადლებით ათვალიერებდენ და მასკირებულ სასმელს ერთხელაც არ გამოუწვევია ზემოთ ნახსენები ეპითეტებით შემკული პერსონალის ეჭვი.

შეფუთვის ტექნოლოგია

“პროდუქტების ჯგუფს” შემოჰქონდა წვენები 0,5 კგ რკინის ქილებში (მანგო, ფორთოხალი და სხვ). ყიდვისას წინასწარ მოწმდებოდა ქილის გარშემო ეტიკეტი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო გახეული. სითხის შეცვლის პროცედურა ასე იწყებოდა. ქილებს ფრთხილად შორდებოდა ეტიკეტი, რომ არ დაზიანებულიყო. გვერდზე უკეთდებოდა ორი წვრილი ნახვრეტი, საიდანაც გადმოსხმებოდა შიგთავსი და სამედიცინო მსხვილი შპრიცით, ჯერ წყლით ირეცხებოდა, მერე კი შეჟავდათ სპირტი. რის შემდეგ ხდებოდა ნახვრეტების მირჩილვა. ისე, რომ ისინი შეუმჩნეველი უნდა დარჩენილიყვნენ, ზვეიდან კარგად ეწეპებოდა ეტიკეტი და “ცეცხლოვანი წვენიც” მზად იყო გასაგზავნად.

სპირტის გადატანის მეორე მეთოდით, ჩამოსხმა ხდებოდა არყის ცარიელ ბოთლებში. თვითმფრინავით არყის გადატანა, გარკვეული რაოდენობით, არ იკრძალებოდა. რესტორანში ვშოულობდით არყის ცარიელ ეტიკეტდაუზიანებელ 0,75 ლიტრიან ბოთლებს. აქ უკვე მიტო ძია სხვა ტექნოლოგიას ხმარობდა. მან დაამუშავა ბოთლებზე ხრახნის მოჭრის კუსტარული მიწყობილობა და უხმარ მეტალიურ საცობებს, ხრახნს უკეთებდა ფილიგრანულად, ქარხნულზე საიმედოდ. თავდაყირა გადმობრუნებულ ბოთლები, რომ გენჯღრია კოქტილის “შეიკერივით”, წვეთი სითხე არ გადმოსხმებოდა.

შორეული ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებოდა კიდევ ერთი საშუალება, “ლიმონის” ლიმონათი, თავზე ვერცხლის ქაღალდით დამშვენებული ე.წ. “სამთავრობო ლიმონათი”. ლიმონათის ცარიელ, ბოთლებში ისხმებოდა სპირტი. მერე მიგვქონდა მეგობართან ლიმონათის ქარხანაში, ქარხნულად ისუფებოდა, ყელზე ვერცხლის ქაღალდი ეკვრებოდა, შემდეგ ეწეპებოდა ლიმონის ეტიკეტი და “სპეც-ლიმონათი” მზად იყო ტრანსპორტირებისათვის. ამ “ლიმონათის” ბოთლებს ვაწყობდით მაღაზია “ჭაშნიკის” კონიაკის 10 ბოთლიან მუყაოს ყუთებში. სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ყოველი შემთხვევისათვის ყუთის ცალ მხარეს, შეუმჩნეველად ნიშანს ვადებდით. აქ ვდებდით ორ ნამდვილ ლიმონათს. რამაც ერთხელ აგვარიდა კიდევაც უსიამოვნებას, მოსკოვის აეროპორტში.

დომოდედოვოს აეროპორტი ცნობილი იყო ციმბირისკენ მიმავალი თვითმფრინავების მკაცრი შემოწმებით. ერთხელ, როდესაც იაკუტიაში მიფრინავდით მე და კოტე ებანოიძე, მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო მონიტორზე აშარად ჩანდა ყუთში ჩალაგებული ბოთლების რენტგენოგრამა, მებაჟე

ვერაფრით ვერ იჯერებდა, რომ ორ ახმას ქართველს ამ სიშორე გზაზე, საქართველოდან იაკუტიასში, ლიმონათი მიჰქონდა. მან დაცინვით შემოგვხედა და ნიშნისმოგებით გვკითხა.

-Вы что? Будете верить, что два здоровых Грузина в Якутию лимонад везут?

ჩვენ დაუწყეთ “შებმა”, რომ ვიყავით გეოლოგები და სამი თვით მივდიოდით სამუშაოდ, რომ იქ წყალი არ დაილევა, რომ იქ ბავშვები გველოდებიან და ა.შ. ბოლოს მე ვითომ გავბრაზდი, ამოვიღე პატარა ჯაყვა, მონიშნულ მხარეს დაუსვი ყუთს, ამოვიღე ნამდვილი ლიმონათი და მივაწოდე კონტროლიორს. თან გული მაინც მიკანკალებდა: ვაი თუ ჩალაგებისას რაიმე შეეშალათ ან ყუთის მხარე შემეშალა, ხომ ჩამოგვართმევდენ ამდენ ნაწვალზე ცეცხლოვან წყალს და საქმეში გამოყენების მაგივრად, ვიღაცა ურჯულო რუსებს უნდა გადაეხუხათ იგი, თან რასაკვირველია ერთსაც კარგად შემოგვაგინებდენ მადლობის მაგივრად. აეროპორტიდან აეროპორტში, ორი დღის ნატარებ ყუთში, ლიმონათი კარგად გამობარიყო, კონტროლიორმა გამომართვა ჯაყვა, გახსნა ბოთლი და რაც მოხდებოდა, ალბათ მიხვდით. გამთბარი ლიმონათი, მრავალი საუკუნის წინ ბოთლში დამწყვდეული ჯინივით, ლავუაზიეს კანონის თანახმად ყველა მიმართულებით, შიშინით ამოიფრქვა და მთლიანად გაწუწა მებაჟეც და გარშემომყოფებიც. რის შემდეგ იგი, ჯერ მის გვერდზე მდგომმა გაწუწულმა უფროსმა გაჯორა, რამაც ლიმონათში ამოვლებული ჩურჩხელასავით მებაჟეს, დანარჩენი ბარგის შემოწმების სურვილი დაუკარგა და სასწრაფოდ თავიდან მოგვიშორა, ჩემი ჯაყვა კი შეიტყაპუნა, მაგრამ ჯაყვას ვინდა ჩიოდა.

სახლვარგარეთ გამგზავრების ჯგუფი.

მნიშვნელოვანი იყო სახლვარგარეთის ჯგუფის ფუნქციები. ისინი საქართველოს გარეთ პაემანზე მიმავალი “სონდერკამანდის” გამგზავრება-დაბინავება-დაჯავშნის პრობლემებს აგვარებდენ. აქ მთავარი მზრუნველი გახლდათ ბატონი ოთარ გორდელაძე, რომელიც მაშინ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მუშაობდა და თბილისი – მოსკოვი - თბილისის მიმართულებით ბილეთების შოვნის კოორდინატორი იყო.

ოთარი იყო მთელი ჩვენი სამეგობროს “მამა და მარჩენალი”, მას “ოთარ-სეთურსაც” ვეძახდით ახლო მეგობრები. მთავარი იყო მას გაეგო, რა გჭირდებოდა, თქმაც არ უნდოდა, ისე მარტივად გადაგიწყვეტდა ნებისმიერ საკითხს, ისე

მორიდებულად მოგართმევდა ლარნაკზე დადებულს. მადლობას რომ ეუბნებოდი, დასჯილი ბავშვივით თავს ხრიდა, წითლდებოდა და თაკილობდა. მე სულ მიკვირდა, როგორ ახერხებდა დროის გამონახვას, ყველასათვის ეცა პატივი.

თუმცა, ერთხელ მისი ეს ტექნოლოგიაც გავშიფრე.

დილით სამსახურში მისვლისთანავე იწყებდა “სპისოკის” წერას. “გორდელაძის სპისოკში”, როგორც მას მეგობრები უწოდებდით, იყო მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრების დავალებები, მისი მეგობრების გასაჭირი, ბახვიდან ჩამოსული ნათესავების საქმეები (იგი საპატიო ბახველია), კაკაბეთიდან შემოთვლილი თხოვნები (იგი კაკაბეთის სიძეა) და ეს “სპისოკი” ხანდახან რამოდენიმე თაბახს მოიცავდა. ეს იყო მხოლოდ მიმდინარე დღის დავალებები, რადგან საღამოს ეს “სპისოკი” უკვე გადაშლილ-გადახაზული იყო და ხვალ ახალი სია დგებოდა. თუ შენ გეწერა ამ “გორდელაძის სპისოკში” მოხვედრა, შეგეძლო დაწყნარებული ყოფილიყავი, ის საქმე გაკეთებული იყო ფრიადზე. ადამიანი ასე ეთანადებოდა თავის თანამდებობას მეტი არ მინახავს. იგი მრავალი წელი, ბევრი მთავრობის პერიოდში, იყო ქვეყნის პრეზიდენტში შეწყალების განყოფილების გამგე. რომ მიგეშვა ყველას შეიწყალებდა და ჩვენს გადატენილ ციხეებს, ორ დღეში დააცარიელებდა, მისი კეთილი გულის წყალობით. უპატიოსნესი კაცი, რომელსაც ვერავინ შებედავდა ფულის შეთავაზებას იმ საქმეებში, რაც მაშინაც ათასები ღირდა. მას შეეძლო მილიონური ყოფილიყო, მაგრამ ასე ცხოვრობს დღესაც ჩვენი ოთარი, მხოლოდ “ვარდების რევოლუციამ”, მას “მამა მარჩენალის” ტიტული - ოცდარვაღარიანი პენსიონერის ტიტულზე შეუცვალა.



ოთარ გორდელაძე

ჩვენ საზღვარგარეთის კომისიაში მაშინ ოთარი ბილეთებთან ერთად შეთავსებით, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელ და მინისტრთა საბჭოს ბუფეტში, ამა ქვეყნის ძლიერთათვის ხელმისაწვდომი პროდუქტების შოვნაშიც გვეხმარებოდა.

შანსიანი ჯგუფი

მოსკოვიდან მგზავრობას უკვე ჩვენი ზეიკო ბოცვაძე ხელმძღვანელობდა. ზეიკო იყო ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარი. მთელი ცხოვრების მანძილზე იშვიათად შემხვედრია მისი ნატურის ტოლფასი ქალბატონი. ჩვენი მეგობრობის პერიპეტეიების აღწერას ნამდვილად ტომები დასჭირდება. მე მხოლოდ ამას ვიტყვი-ღმერთის მადლობელი ვარ, თუნაც მარტო იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე შემახვედრა ასეთი ღამაზი, მუდამ მომდიმარი, ერთგული, ნაზი, თან



ჩვენი ზეიკო

ვაჟაკური და მეგობრებზე გადაყოლილი ადამიანი. როცა ეს მეგობარს ჭირდებოდა, ზეიკო ხდებოდა დაუნდობელი, მის მიერ განსახიერებული “მონანების” გმირის მსგავსად, შექძლო შენი გულისთვის შეუძლებელი გაეკეთებინა. ამავდროულად იყო დედოფალივით მედიდური, ამპარტავანი, და რაც ჩვენთვის მთავარი იყო, არაჩვეულებრივი თანამესუფრე, ნამდვილი თბილისელი დარბაისელი ქალბატონი, ჩვენი საყვარელი ზეიკო ბოცვაძე.

მოსკოვში ბილეთების “გაშანსვა” ვვალებოდა ზეიკოს და ჩვენს

მეგობარს, ქართველების ყოფილ რძალს, საქართველოზე შეყვარებულ შესანიშნავ ქალბატონს, ღია ვერბიცკაიას. ღიას ყველაზე ძნელი ფუნქცია ებარა, რადგანაც იაკუტსკზე და განსაკუთრებით იაკუტსკიდან ბილეთები პრაქტიკულად ერთი წლით ადრე წინასწარ იყო დაჯავშნილი. იაკუტელები მოწყვეტილი არიან “ღიდ მიწას”. იქ რკინისგზა არ არის, მთავარი სასიცოცხლო არტერია მდინარე ღენაა. ამიტომ ყველამ წინასწარ იცის, როდის მიდის შვებულებაში, რამდენი დღით, სად მიდის, რამდენი უნდა დახარჯოს, როდის ჩამოვა და სხვა, მათ მთელი წელი წინასწარ აქვთ დაგეგმილი, ისე, როგორც, ალბათ მთელი ცხოვრება და წლიდან წლამდე არაფერი იცვლება. ამ გეგმას მხოლოდ მძიმე ავადმყოფობა და სიკვდილი თუ შეცვლის, ამ ერთადერთ უცილობელ მოვლენას, თურმე წინასწარ ვერც იაკუტელები ითვალისწინებენ. ამიტომ ღიას უწევდა კავშირების ამოქმედება მოსკოვის ყველაზე მაღალ დონეზე.

რომ რომელიმე უწყების ჯავშანით ჩვენთვის ბილეთები “გაეშანსა”.

ბილეთების “გაშანსვა” შესანიშნავი თბილისური ტერმინია. ეს არ ნიშნავს დიდ რიგში დგომას და ბილეთის მოპოვებას. “გაშანსვა” არის მთელი შენი ნაცნობობის, შენი პიროვნული ენერჯის, მომხიბვლელობის გამოყენება ბილეთის საშოვრად, მაშინ როდესაც მისი შოვნის შანსი მინიმალურია და ლიაც ამ თვისებებიდან გამომდინარე, ყოველთვის ასერხებდა ბილეთების მოპოვებას.

როდესაც წასვლის თარიღს წინასწარ ვაცნობებდით, ეს პროცესი, შედარებით ადვილი ხდებოდა, მაგრამ ერთხელ იაკუტიდან ახალმა ჩამოსულმა, ასეთი ტელეგრამა მივიღე:

-Срочно приезжай! Мне плохо!

და შუა ოქტომბერში, როცა იქ თერმომეტრი 20 გრადუსს ყინვას უჩვენებდა, მომიწია ისევ უკან გამგზავრება. აი, მაშინ კი, დიდი ჯავა დაადგა ღიას ბილეთის საშოვნელად.

ღმერთმა გაანათლოს ამ დაუვიწყარი ქალბატონების ზეიკო ბოცვაძის და ღია ვერბიცაიას ხსოვნა. მათი მრავალჯერადი გადარეკვ-გადმორეკვით, ყოველთვის ხერხდებოდა ბილეთების



ნატაშა, ლუდა, იგორი, დეა 2003 წ.

შოვნა. დასანანი, რომ სულით და ხორციით ასეთი ლამაზი პიროვნებები, დღეს ამ ქვეყნად აღარ არიან.

მე მაშინ ტელევიზიაში ემუშაობდი და კარგი მეგობრები მყავდა საკავშირო ტელევიზიაში. მათი მეშვეობით ხდებოდა საუკეთესო სასტუმროს დაჯავშენა იაკუტსკში.

ეს დამღლელი პროცედურა, რაც მე ჩამოვთვალე, ძირითადად იაკუტიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ხდებოდა, რადგანაც ყველა პაემნიდან, სადაც მე მიწვევა ჩასვლა, ეს იყო ყველაზე რთული, ამ საქმეში მთელი სერიოზულობით ჩაბმული იყო ჩვენი ოჯახის მრავალი მეგობარი, ვისაც რა შეეძლო იმას აკეთებდა. იყო გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, გადარეკვები თბილისში,

მოსკოვში და პირველი ჩასვლის მერე, როდესაც იაკუტსკშიც კარგი მეგობრები შევიძინე, გარკვეული საქმეების მოსაგვარებლად წინასწარ ვრეკავდი ამ შორეულ ქალაქში. დანარჩენი მეზავრობები ამასთან შედარებით მარტივ გასეირნებას ჰგავდა. მაგრამ პაემანის საორგანიზაციო კომიტეტის ყველა რგოლი, ყოველი ჩემი გამგზავრებისას ასევე შეუფერხებლად და შეწყობილად მუშაობდა.

აქ უპრიანი იქნება, ვახსენო გამგზავრების მხარდამჭერი მოსკოვური ჯგუფი.

საქმე ისაა, რომ იაკუტიაში მეზავრობისას ყველა შემთხვევაში ერთი ღამე უნდა გაგვეთია მოსკოვში. აქედან ბარგით დამძიმებულები ხან გიზო ბაქანიძეს დავადგებოდით თაგზე, რომელიც იმ დროს ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მუშაობდა მოსკოვში, ხან კი ჩემი მეგობრები იგორი და ნატაშა ხორუნუები და ლუდა პეტრუნისი ედავებოდნენ ერთმანეთს ჩვენს გადაპატიუებაში, მათი ოჯახის კარები ყოველთვის ღია იყო ჩემთვის. როგორც შემდგომში ეს ცხოვრებამ აჩვენა, მთელი ჩემი მეგობრებისთვისაც.

ერთი სიტყვით, მეგობრების წყალობით, ყველა პრობლემა მოხსნილი იყო.

ასე მზადდებოდა პაემანის საფუძვლები, რომლის შემდეგ მთავარი იყო “ზონდერკამანდის” გამგზავრება პაემანზე.

“ზონდერკამანდა”

შორეულ პაემანზე წასვლა ერთი კაცისათვის თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ადგილზე იმდენი სარბენი, იმდენი ერთდროულად გასაკეთებელი საქმეა, თანაც დროის ძალზე შეზღუდულ პერიოდში, რომ ამას ერთი კაცი ვერ გაწვდებოდა. თბილისიდან ახლო-მახლო გამგზავრებაზე ერთი-ორი დღით ბევრი მსურველი იყო, მაგრამ იაკუტიაში წასვლას მინიმუმ 10 დღე ჭირდებოდა. ამიტომ ცხადია, ეს ყველას არ შეეძლო.

ამ ზონდერკამანდაში, მე, ღმერთისგან მისჯილი, ჩემი მუდმივი ადგილი მქონდა, როგორც ძმას და ექსპედიციის ხელმძღვანელს. წასვლის წინ ოჯახი მიმყავდა სიონის წყალსაცავზე “რეზერვაციაში”, ასე ვეძახდი კიბერნეტიკის ინსტიტუტის ორსართულიან, ნახევრადდანგრეულ ხის ბარაკს, რომელში ზაფხულში დასასვენებლად მოხვედრაზეც, ერთმანეთს ხოცავდა კიბერნეტიკის ინსტიტუტის მრავალი უფულო თანამშრომელი. ჩემს იქ მომუშავე მეუღლეს, რომელიც სახლის გარეთ, სამსახურში, მეგობრებში, მუდამ დიმილიანი და თავაზიანია, ყველა პატივს ცემდა,

უმართლებდა და გათამაშებაში ერთი პატარა დასასვენებელი ოთახი ყოველთვის ხვდებოდა. აქ, ალბათ თავის როლს თამაშობდა ის, რომ ადრე მეც, ამ ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში, მათი თანამშრომელი ვიყავი, ყველა მიცნობდა და რაც მთავარია, ჩვენი შვილი ნინკა, ვისაც უნდა დაესვენა სიონში, მთლად “კიბერნეტიკული ქმნილება” გამოდიოდა.



დეა და ნინკა
სიონის რეზერვაციაში

გიას პატიმრობაში ყოფნის 8 წლის განმავლობაში, მე არც ერთი ზაფხული არ დამისვენია ოჯახთან ერთად. ჩემდა სამწუხაროდ, არც ერთხელ მაღლობა არ მითქვამს დეასთვის, ჩემი მეუღლისათვის, რომელიც ყოველთვის გვერდში მედგა, მოთმინებით იტანდა ყველა გაჭირვებას და უსიტყვოდ თანამიგრძნობდა. რადგანაც არ ვარ მაინცდა მაინც, ენაჭიკჭიკა, “შენჭირიმე-შენგენაცვალე” კაცი, მაგრამ ყველაფერს კარგად ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ ოჯახის სიმტკიცე გაჭირვებაში გამოიცდება. ყველა წვერმა თავისი ვალი ყოველგვარი მაღლობის და ჯილდოების გარეშე უნდა მოიხადოს. მაგრამ, რომ დაფვიქრდი, სწორედ ახლა, მართალია, 20 წლის დაგვიანებით, როდესაც იგი უკვე მიეჩვია ჩემს ასეთ “დაუნახაობას”, საჯაროდ, წერილობით მინდა მაღლობა მოვახსენო მას... პირად საქმეში შეტანით!

დავაბინავებდი ოჯახს... მივდიოდი “დასასვენებლად” ხან აქ, ხან იქ, ხან ყარაბახის “კურორტ” შუშაში, ხანაც ციმბირში “მდინარე ლენას რივიერაზე” -იაკუტსკში.

გიას, საბჭოთა სამართალით, პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, მე კი, უფალმა, პატიმრის მოვლა დამაკისრა. და გინდა თუ არა თითოეულ ჩვენთაგანს, ჩვენი ჯვარი უნდა გვეხილა.

მეგობრის მიიმე უღელი

ზონდერკამანდის მეორე წვერი იცვლებოდა მიმართულების და სიშორის მიხედვით. ყველაზე ხშირად უწევდა გამგზავრება კოტიკო ებანოიძეს ანუ როგორც მას გია ეძახდა სიყვარულით “კოსტიას”. კოსტია ტიპიური ვერელი, მაღალი, თბილისის “დინამოს” ყოფილი ფეხბურთელი, ზანტი

მიხვრა-მოხვრით, პენსიაზე გასულმა სპორტსმენებმა, რომ იციან, ხელების თავისებური ექსტიკულაციით, მზად იყო ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერ საკითხზე აეტეხა დავა და დაგნიძლავებოდა. მას “კიროვის ბაღის გულშემატკივართა



კოსტია ებანოიძე

უმადლესი სკოლა” ჰქონდა გავლილი. ამიტომაც ადამიანებთან ურთიერთობას და მათი გულის მოგებას ადვილად ახერხებდა. მე და კოტე კარგად შეთამაშებული ტანდემი ვიყავით, ორჯერ გახლდით იაკუტიაში და ბევრჯერ კიდევ სხვა ხანმოკლე პაემანებზე, როგორც იტყვიან, იგი ყოველთვის “ბეზატკაზნი” მეგობარი იყო და ესეთივე დარჩა დღემდე. თუმცა ნაღდ ვერელს რა შეცვლის!

იაკუტიაში ერთხელ გელა ბრეგვაძე მახლდა. ეს იყო გიას და ჩემი საერთო შეხედვით-მძიმე არტილერია! მაგრამ უსპეტაკესი, ვეებერთელა - კეთილი გულის ადამიანი, რომ შეხედავ, შეიძლება შეგშინებოდა ისეთი კომპლექცია ჰქონდა, მაგრამ ვისაც უნახავს გელას ურთიერთობა შვილთან და ახლა, უკვე შვილიშვილთან, ანასთან, შეიძლება გაუკვირდეს, რადგანაც ეს ამხელა გარშემოწერილობის, ბუნწულა, დათვისტოლა კაცი, ასაკით შვილიშვილზე უფრო პატარა ბავშვი ხდება. როდესაც ერთხელ კოსტიას არ ეცაღა, გელამ გადადო თავი, დაეთხოვა სამსახურიდან და მარტო არ გამიშვა იაკუტიაში. მეგობრისგან ითხოვა ცხვრის ქურქი “დუბლიონკა”, რომელიც მისთვის ვიწრო იყო და მჭიდროდ ჰქონდა შემოჭერილი ტანზე. როდესაც თავზე ბეწვიანი



გელა ბრეგვაძე

ბოხოხიც დაიხურა, ნამდვილი **“ლიცო კავკასკოი ნაციონალნოსტი”** გახდა, მაგრამ მაშინ ეს ტერმინი არ არსებობდა და ქართველებს მთელ დიდ რუსეთში დიდი პატივისცემით გეხვდებოდნენ. ეს ტერმინი უირინოვსკისთანა იდიოტმა პოლიტიკოსებმა მოიგონეს, ხალხთა მეგობრობის თავისებური გაგების გამო.

თბილისის სიახლოვეს შუშაში, წულუკიძეში და მახანკალაში პაემანზე გიას კლასელები: თამაზ ანდღულაძე, სულხან ისაკაძე, გია ნორაკიძე, გივი ჯიჯიხია მომყვებოდნენ და გზის გაკვალვის შემდეგ, უჩემოდაც ჩადიოდნენ იქ და შექმლებისდაგვარად მეხიდებოდნენ.

ომში გაცილება”

გახსენებად ღირს ამ ე.წ. ზონდერკამანდის გამგზავრების რიტუალის აღწერა. ვისაც ახსოვს ფილმი “ჯარისკაცის მამა”, მისთვის ადვილი გასაგები იქნება, როდესაც საბარგო მანქანაზე მჯდომ გიორგის მთელი სოფელი აცილებს და საჩუქრებს და დარიგებებს აძლევს. ისევე ჩვენც, წასვლის დღესთან მოახლოვების პროპორციულად იზრდებოდა ხალხის რაოდენობა ჩვენს ოჯახში. ვინ არ მოდიოდა, დაწყებული დედას ბავშვობის მეგობრებით: ბარდღუნია კობალაძე, ეთერ მეტრეველი, ნათლიანეში თამარა კაციტაძე და მისი ქალიშვილები მანანა და პუსიკა, ბიძანეში კოკი სერგია და მისი ქალიშვილი ნანა, დამთავრებული გიას პატარა ნათლებით და რასაკვირველია ჩემი და გიას ურიცხვი მეგობრები. თითოეული მათგანი ცდილობდა განსაკუთრებული რაიმე რჩევა მოეცათ, რომ გზაში ფრთხილად ვყოფილიყავით, თვითმფრინავიდან თავი არ გამოგვეყო, ტაიგაში შორს არ შევსულიყავით, რომ გიასთვის მოკითხვა გადაგვეცა, რომ... რომ... რომ... და ასე შემდეგ დაუსრულებლად, იამანით გვილოცავდნენ გზას.

ბოლოს, მსურვალე გამოთხოვების მერე, როდესაც მხოლოდ ორი კაცი, ჩვენი 120 კგ. ბარგით თვითმფრინავში მოვთავსდებოდით. იწვებოდა პაემანის მეორე, ჩვენთვის ყველაზე მძიმე, ათასი ბარიერის დაძლევის, ეტაპი.

120 კგ.ბარგი ვახსენე. არ შემშლია! აქ იყო ყველაფერი აკურატულად შეფუთული და ჩაწყობილი, “პაემანის საორგანიზაციო კომიტეტის” მიერ მომზადებული ტვირთი, რომელიც მშვიდობით უნდა ჩაგვეტანა დანიშნულების ადგილამდე. სასმელები განსაზღვრული იყო ციხის ადმინისტრაციის მოსათვინიერებლად, ცოტა კი ზონაში შესაგზავნად. იყო სხვა ნივთები და პროდუქტები გიას მოთხოვნით. რვეულები და კალმისტრები ლექსებისათვის, საჭმელი, კონსერვები, სულგუნი, გუდა, ტუშონკა, ხაჭაპურები, საპარსი საშუალებები. თუ მიგვიოდი სამდღიან პაემანზე, მიმქონდა ლობიო, ჭადის ფქვილი და პაემანის დროს ადგილზე ვამზადებდი გიას ყველაზე საყვარელ კერძ-ლობოს, რომელიც ისე უყვარდა, რომ ადრე იმ ბედნიერ

დროს, როდესაც გია გასტროლებიდან ბრუნდებოდა, სპეციალურად რეკავდა სახლში ჩამოსვლის წინ და ლობიოს გვიკვეთავდა.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ზონაში პატიმართან პაემანზე, იმას არასოდეს დაავიწყდება საბჭოთა ზონისათვის დამახასიათებელი რკინის გისოსებიანი კარებების ჭრიალი და ჯახუნი, მუქი რუხი და მწაფნე ფერებით შეღებილი კედლები, მხოლოდ ზონისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მძაფრი სუნი, პაემანისთვის განკუთვნილი ზონის საერთო საცხოვრებელში ქონით გაზინტყული საერთო სამზარეულო და ტუალეტის “სურნელი”, რომელში შესვლასაც ჯობდა სამი დღე მოგეთმინა. ჩასულები თავს ვიკავებდით ემოციებისაგან, რადგანაც ჩვენ მხოლოდ 3 დღე გვიწევდა ამ პირობებში ყოფნა, გია კი უკვე რამოდენიმე წელი იტანდა ამ გაუსაძლის პირობებს.

გინდა წერე, გინდა იკითხე.

გიას ციხეში მოხვედრის და განსაკუთრებით სასამართლოს უსამართლოდ მკაცრი განაჩენის გამოტანის დღიდან, იწყება გიას მოგზაურობა სსრ კავშირის სხვადასხვა ციხეებში და ამის პარალელურად ჩემი კარდაკარ სიარული, საქართველოდან დაწყებული, მოსკოვის უმაღლესი სამართალდამცავი ორგანოების კაბინეტებში დამთავრებული. უფრო სწორი იქნებოდა, მათ ყოვლად “უსამართლო ორგანოები” ეწოდებოდეს, რადგანაც, მაშინ, როგორც დღეს, სამართლის მოძიების დარგში ჩვეულებრივი ადამიანებისათვის არაფერი შეცვლილა. საჩივარს საჩივარზე ვწერდი. იმ პერიოდში ყველაზე გამოცდილ ადვოკატებსაც კი შურდათ ჩემი შედგენილი საჩივრების ემოციურობის და ლოგიკურობის. ასე დამიგროვდა ყველა დონეზე შეტანილი საჩივრების მრავალტომეული.

არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ გია ფერაძე არ შეიძლება განზრახ მკვლეელი ყოფილიყო, ამის დამადასტურებელი ყველა მასალა არსებობდა საქმეში, მაგრამ გინდა წერე და გინდა იკითხე, ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, რკინის ქალაშნებიც რომ ჩამეცვა, სამართალს ვერსად ვიპოვნიდი. გიას ბედი გადაწყვეტილი იყო სხვა დონეზე. იგი პრაქტიკულად განწირული იყო ციხეებში ნელ ნელა გასაქრობად.

ზემთ ვახსენე გიას მოსკოველი მსახიობი მეგობრები, რომელთა წერილიც მნიშვნელოვანი იყო საკავშირო პროკურატურისათვის გიას პიროვნების დადებითი

დახასიათებისათვის, მაგრამ გადამწყვეტი როლი გიას იაკუტიდან გადმოყვანაში ითამაშა გიას მეგობარმა, ყოფილმა ჩემმა უფროსმა და მეგობარმა, წარსულში საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელმა ნუგზარ ფოფხაძემ. მისი ავტორიტეტის მეშვეობით მოხერხდა ჩემი შეხვედრა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორთან, რაც



მე, ტიმ სევერინი, ნუგზარ ფოფხაძე და
ოთარ ლორთქიფანიძე “არგოზე” 1984წ.

პრაქტიკულად სხვამხრივ გამორიცხული იყო ჩემთვის, ისე, როგორც სხვა ჩვეულებრივი მოკვლავთათვის. ასე წვადებით მოვახერხეთ ჭლექით დაავადებული პატიმრის იაკუტიდან თბილ ქვეყნებში, კერძოდ კი მახაჩყალაში გადმოყვანა. ამას გარდა ნუგზარ ფოფხაძემ, სხვა ბევრი სიკეთე გაუკეთა ჩემ ოჯახს, რისთვისაც მისი მადლიერი ვიქნები ცხოვრების ბოლომდე.



ჭლექიანი პატიმრის მოგზაურობები



იმ დღეების მწარე გასახსენებელს რა დაღევს, რომლებსაც მე და გიას მეგობრები, ხშირად, ახლა უკვე ღიმილით ვისხენებთ. შევეცდები გავიხსენო გიასთან პაემანებზე სიარულისას გადატანილი თავგადასაღებები, რომლებიც ნათელს მოჰფენენ გიას და მის პატიმრობასთან დაკავშირებულ ნაკლებად ცნობილ პერიოდს, რომლითაც ვგონებ მკითხველიც დაინტერესდება.

მაშ ასე, თბილისის საპრობილემოში (კრიტში) ყოფნისას სრულიად ჯანმრთელი ვიყავი დაავადდა. კრიტში მოხვედრილ პატიმარს, რომ არაფერი დაემართოს, ის უნდა გაგიკვირდეს, რადგან დიღევის დასშულ სივრცეში, პატიმრებით გადატვირთულ საკნებში კედლებიც კი გაჟღენთილია კოხის ჩხირებით, რომლებიც მრავლდებიან და შემდეგ პატიმრების ფილტვებში იღებენ ბინას.

ვინაა რამოდენიმე თვე სიცხიანი იყო და მაინც არ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, რადგანაც მისი ციხეში ყოფნა, ლამის თბილისის ქალაქკომის ბიუროზე განიხილებოდა. ამიტომ კუთვნილი მკურნალობის ჩატარებას ვერავინ ბედავდა, ყველას ეშინოდა მისთვის ხელისშეწყობა არ დაბრალებოდა, თუმცადა სიტყვით იგი ყველას ებრალებოდა. ციხიდან 500 მეტრში მდებარე ციხის საავადმყოფოში (“რეზბალნიცაში”) გადაყვანის მაგივრად, მასზე “ზრუნვით გადაღლილმა” ხელმძღვანელობამ, სამკურნალოდ საქართველოდან “ცოტათი” მოშორებით, რუსეთში, სულ რაღაც 1700 კმ-ილომეტრში, უღმობლობით, განუკითხაობით ცნობილ, ვლადიმირის ტუბ-ზონაში გადაიყვანა.



ვლადიმირი.

ვლადიმირის საპრობილე მოსკოვიდან 200 კმ.ის დაშორებითაა. იქ არის საკავშირო ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა საპრობილე-საავადმყოფო. სადაც პატიმრების ნახვა შეიძლება მხოლოდ ხანმოკლე პაემანით, ისიც სქელი შუშის მიღმა, ისე რომ პატიმართან ახლო კონტაქტი არ გქონდეს. მოსკოვიდან ელექტრომატარებელი გადიოდა დილით და 2 საათში იყო ვლადიმირის კოლონიასთან, პოკროვში. აქ, გიასაც მოუწია მისი სურვილების მოთოკვა, რადგანაც ძალიან მკაცრი რეჟიმი იყო, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით საკვები პროდუქტების, თეთრეულის და რვეულების გადაცემა შეიძლებოდა.

ბინას ვიღებდი მოსკოვში და იქედან დავდიოდი პოკროვში. 1987 წლის შობა ახლოვდებოდა. სამსახურის საქმეები “გამოვიჩინე” მოსკოვში და ჩემს მთავარ ინჟინერთან, ზურა კანდელაკთან ერთად წავედით მივლინებაში. ზურა სამსახურის საქმეებზე დარბოდა დილიდან საღამომდე, ხოლო მე დილას ადრე გავდიოდი და გვიან ღამით ვბრუნდებოდი სასტუმროში. ტუბზონაში პატიმრების ნახვა ძალზე შეზღუდული იყო. ვლადიმირში ბევრი “ტვინი უხვრიტე” უფროსობას და დიდი ჩაღიჩის მერე (აქაც გაჭრა ცეცხლოვანმა წყალმა), სქელი მინიდან მანახეს გია და ისიც სულ რაღაც 1 საათით.

გვიან საღამოს მე და ზურა ერთმანეთს სასტუმროში ვაბარებდით დღის ანგარიშს, მერე ჩავდიოდით სავახშმოდ რესტორან “მინსკში”, სადაც დიდი გრიალი მიდიოდა. მე და ზურა კი სხვადასხვა მიმართულებით მთელი დღის ნარბენი. არაქათ-გამოცლილები ინდიფერენტულად უყურებდით მოცეკვავე და მოძიგბიგე ძირითადად ქალების წყვილებს და ერთი სული გექონდა ლოგინამდე მიგვეღწია დასაძინებლად. ერთ საღამოსაც ზურიკო მეუბნება:

-აფსუსი არაა მე და შენ გარეთ ვიყოთ და გია ფერაქე ციხეში იჯდეს!?! ხომ წარმოგიდგენია ახლა, გია რომ ჩვენს ადგილას იყოს, რას გადაუვლიდა ამ ბოზებს.

მოსკოვში ჩასვლისას ყოველთვის ვეხმაურებოდი გიას უახლოეს მეგობრებს: ალექსანდრე (საშა) აბდულოვს. ანდრეი მირონოვს და ნიკოლოზ (კოლია) კარაჩენცევს. ისინი ინტერესით მეკითხებოდნენ გიას შესახებ და როცა გაიგეს, რომ გია იქვე ვლადიმირში იყო, მათი არანორმალური

დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, აბდულოვმა და მირონოვმა სურვილი გამოთქვეს გიას ნახვისა. აბდულოვს შაბათს ჰქონდა თავისუფალი დღე, მირონოვს კი ოთხშაბათს. მე არ შემეძლო არ გამომეყენებინა გიასთან მისვლის ეს საშუალება, ვიცოდი თუ რა მნიშვნელოვანი იქნებოდა ციხეში ამ სახელოვანი ხალხის მისვლა და გიასთვის დიდი ხნის უნახავი მეგობრების ნახვა.

ალექსანდრე აბდულოვი პაემანზე.



საშა აბდულოვი

შაბათს მე და საშა აბდულოვი მისი 07-უიგულით ჩავედით პოკროვში. აბდულოვი რომ დაინახეს ციხის სანიტარ ქალებში ატყდა ერთი უივილ- სივილი. გამოვარდნენ გარეთ, ბლოკნოტებით, სურათებით, თხოვდნენ ავტოგრაფებს. ქალებისგან განსხვავებით არავითარი სიხარული არ გამოუხატავს ციხის უფროსობას და დიდი ჭოჭმანის შემდეგ ნება დართეს საშას ხანმოკლე პაემანისა, მაგრამ კვლავ შუშის მიღმა შეგვახვედრეს. საშა ძალიან ექსპანსიური პიროვნებაა. იმერელივით ფიცხი, მე

ვეუბნებოდი:

- შენ რანაირი რუსი ხარ, ასეთი ტემპერამენტიანი?

-დიახ, რუსი ვარ! ფერგანაში დავიბადე და ქუჩის კანონებით გავიზარდე, იქიდან მაქვს სამხრეთული ტემპერამენტი.

ძალიან გაანერვიულა ციხის უსულგულო ადმინისტრაციამ, პირად შეურაცყოფად მიიღო მათი უყურადღებობა. ჩემი დამშვიდება არ ჭრიდა.

-ძაღვები! ტყუილად კი არ ეძახიან ძაღვებს, იძახდა მოსკოვისკენ მომავალი.

გზაში მანქანა გაგვიფუჭდა, მოსკოვში დავბრუნდით გვიან, პირდაპირ მივედით კინოს სახლის რესტორანში, სადაც უკვე მისი სამყარო იყო, ყველა დიდ პატივს მიაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ადგილი თავისუფალი არ იყო, ადმინისტრატორმა კაბინეტი დაუცალა და იქ დავსხედით. ყველა დაესია სიყვარულით და ნახევარი რესტორანი

რიგრიგობით ჩვენს კაბინეტში შემოდოდა, რომლებსაც საშა, გიას სადღეგრძელოს ასმევდა, მაშინ კი ცოტა დაიოკა პოკროვის “ძაღლებიდან” მიყენებული წყენა, თავმოყვარეობა შელახულმა მსახიობმა.

წამოსვლისას მისგან მალულად ქართული ჩვევისამებრ,



საშა აბდულოვი თბილისში

დავაპირე ანგარიშის გადახდა, რაზედაც ადმინისტრატორმა გააკვირვებულმა შემომხედა

-თქვენ ეტყობა კარგად არ იცნობთ საშას. მე რომ თქვენგან ფული ავიღო, ნამდვილად მომკლავს.

ამ დროს საშამაც შეამჩნია ჩვენი საუბარი და ელდანაკრავივით მეცა:

-Илюша! Я же сказал, что вырос на улице, пожалуйста, не оскорбляй меня!

ჩვენი წამოსვლის მერე გაჩნდა გიას ეს ლექსი:

აბდულოვს და ილოს

*დღეს პაკროვში ზეიშია, ატყდა ტაში, ატყდა ვაშა,
ფერადესთან ჩამოვიდა აბდულოვი, თვითონ საშა!
ლაპარაკი ვინ მაცალა, ანდა აქ ვინ გაავიგებს,
მე მიყურებს, თან ვსაუბრობთ, თან ავტოგრაფს არიგებს.
ვეუბნები წადით ძმაო, გამივიყდა “ოპერი”,
მიატყლიტეს, საშა ყვირის: “გიჟია ეს ოხერი?”
ჩემი ძმა და საშა იყვნენ, დიდ ბრძოლაში და ომში
ვეუბნები: თქვენი ფეხი, აღარ ვნახო პაკროვში.*

*1986 16.12 პაკროვი,
ვლადიმირი.*

ანდრეი მირონოვი ციხეში

სულ ვნერვიულობდი, რადგანაც ვიცოდი, რომ 3-4 დღეში მირონოვთან ერთად უნდა ჩავსულიყავი პოკროვში, რაზედაც ციხის უემური უფროსობა ნამდვილად გაგიჟდებოდა, ისედაც ჩემს დანახვაზე უკვე აღერგია ჰქონდათ, მაგრამ რას იზამ...

ოთხშაბათს დათქმულ დროს ანდრეი მირონოვს დაურეკე, შევხვდი და წავუვით პოკროვში. თანაც გავაფრთხილე, რომ 5 დღის წინ მე და საშა ვიყავით და ალბათ გაძნელებოდა გიას ნახვა და შეიძლება მე აღარ შევეშვი. თუ ასე



ანდრეი მირონოვი

მოსდებოდა, მას მაინც ენახა გია. მართალია პოკროვი მოსკოვთან ახლოს მდებარეობს, მაგრამ ჩვეულებრივი შორეული რუსული პროვინციასავითაა, სადაც ერთადერთი ღირსშესანიშნავი ნაკებობა საპატიმროა.

როდესაც ანდრეის ახალთ-ახალი ვერცხლისფერი BMW, (რომელიც მაშინ მოსკოვშიც კი იშვიათობა იყო), მიადგა საპრობილის კარებს, ხალხი დაიბნა, იფიქრეს ვიღაც ცეკას კომისია ჩამოვიდაო, მაგრამ მანქანიდან გადმოსული მირონოვი, რომ დაინახეს, უმაღლესად ატყდა ჟივილ-ხივილი. ანდრეი პირდაპირ შევიდა ციხის უფროსთან. მე

მანქანაში დავრჩი, ზედმეტად რომ არ აღმეშფოთებინა ციხის მომსახურე პერსონალი.

გავიდა 20 წუთი და გამოჩნდა ჩაფიქრებული ანდრეი. მეუბნება, ციხის უფროსობამ პირობა წამომიყენა, ფერაძესთან ამ თვეში უკვე ორჯერ იყო მისი ძმა და აბღულოვი, რაც ჩვენი რეჟიმის პირობებში უპრეცედენტო შემთხვევაა, მაგრამ რადგანაც ამხელა მსახიობი შეწუხდით, თუ გინდათ, რომ მოგიწყოთ შეხვედრა, ჩვენ უნდა ჩავიწეროთ თქვენი საახალწლო მილოცვა პატიმრებისადმი, რომელსაც ახალი წლის დამეს ციხის შიდა რადიოთი გადავცემთ.

რა მექნა, დავთანხმდი, მითხრა ანდრეიმ, მაგრამ რა უნდა ვთქვა არ ვიცი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სულ სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე გამოვსულვარ, მაგრამ პატიმრების წინაშე არასოდეს. ძალიან ვღელავ. ერთად მოვილაპარაკეთ გამოსვლის შინაარსზე და შევედით პირდაპირ ციხის უფროსის კაბინეტში.

ჩემდა გასაკვირად ციხის უფროსს იუმორი აღმოაჩნდა და მეუბნება:

-Товарищ Перадзе! Вы так часто ходите к нам, может вообще останетесь у нас?

ანდრეის დაუდგეს ბაბინიანი დანჯღრეული მაგნიტოფონი “სპალისი”, ასევე პრიმიტიული მიკროფონით. მერე ციხის პოლიტრუკმა ხელით გვანიშნა გაწვუმბულიყავით და მიკროფონში შესავალი სიტყვა ჩაწერა:



“ჩალის ქედი”

ანდრეი მირონოვთან

-Говорит радиозел учреждения №01/294. слушайте передачу «Ваше будущее в ваших руках» Перед вами выступит народный Артист СССР Андрей Миронов.- და მიუჩნა ანდრეის მიკროფონი.

ანდრეის ისეთი დაბნეული სახე ჰქონდა, შეგვეცოდებოდა. ხშირ ხშირად იწმენდა ოფლს შუბლიდან, გაუბედავად დაიწყო, მაგრამ მალე შევიდა უჩვეულო როლში. მან ასალი წელი მიულოცა პატიმრებს და ასხნა რომ იგი ჩამოვიდა ციხეში მისი მეგობრის, ნიჭიერი მსახიობის, გია ფერაძის სანახავად, რომელიც საბედისწერო შემთხვევის გამო მოხვდა აქ, მე დარწმუნებული ვარ რომ ბევრი თქვენთაგანიც შეიძლება ასე

შემთხვევით არის ამ კედლებში და მოუთმენლად ელოდება სახლში დაბრუნებას, სადაც ოჯახი და შვილები ეგულებათ... და ანდრეი ისე შევიდა როლში და ისეთი გულის-ამაჩუყებელი სიტყვები წარმოსთქვა, რომ ციხის გულქვა უფროსსაც ცოტა უკლდა და ატირდებოდა.

ამ სიტყვის მერე, გაინაღდა რა, სახალწლო მილოცვა, ციხის აღმინისტრაცია ჩვენი მეგობარი გახდა, შემოიყვანეს გია პირდაპირ უფროსის კაბინეტში და საშუალება მომცა მას ჩავსუტებოდი. ანდრეის წამოდებელი ჰქონდა უნგრული შებოლილი ძეხვი-“სალიამი” და ინგლისური შოკოლადი. მერე უფროსის თანხმობით ერთი ბოთლი ვისკი ამოიღო პორტფელიდან. მის გარდა ყველამ დავლიეთ, იგი საჭესთან

იჯდა და წინ თოვლიანი მოყინული გზა გვქონდა გასავლელი. დამდეგი მშვიდი ახალი წელი ვუსურვეთ ციხის უფროსობას. პატიმრებს კი სახლში დაბრუნება. ვისაუბრეთ, ბევრი ვიცინეთ, ანდრეიმ და გიამ ბევრი რამ გაიხსენეს მათი ერთობლივი გადაღებებიდან და ბოლოს გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

გამოსვლისას ციხის უფროსმა დამაბრუნა უკან, უჯრიდან კონვერტი ამოიღო და მაწოდებს. კონვერტი რომ დავინახე შევცბი, უმაღვე ვიცანი, მაგრამ ნირშეუცვლელი ვეკითხები ეს რა კონვერტია? იგი მეუბნება აი, ქალაღი და კალმისტარი.



“ჩალის ქუდი”

-დაწერეთ, რომ დაიბრუნეთ თქვენი 300 მანეთი, რომელიც წინა კვირაში გიასთვის გადასაცემად მიეცით ჩვენ ოფიცერს.

ეს ერთხელ მართლაც მოხდა, ციხიდან მოშორებით, რომელიღაც სახლის სადარბაზოში, ირგვლივ არავინ არ იყო და არც შეეძლო ვინმეს დაენახა.

სომხის ანეგდოტის არ იყოს, უდაბნოში, რომ გაანდო საიდუმლო მეგობარს და იგი მეორე დღესვე დაიჭირეს, რაზედაც სომეხმა თქვა:

-რა მაგრა მუშაობს კაცო ეს კაგებე?

მე რომ არ დამისმენია ის ოფიცერი ფაქტია და სხვა ვის უნდა დაესმინა, მაგრამ არ დავიბენი, წყნარად კატეგორიულად უარვეყავი ეს ფაქტი:

-რა ფული? რის ფული? რა ოფიცერი? რის ოფიცერი? მე არაფერი არ გადამიცია არავისათვის. და ბოლომდე პირველ ჩვენებას მივაწეკი. ბოლოს უთხარი:

-თუ თქვენ გინდათ ვინმეს გაფუჭება ჩემი მეშვეობით ეს არ გამოგივათ, სხვა ვინმე გამონახეთ.

უფროსი გამოძევა და მეუბნება

-რატომ კარგავთ ამ ფულს 300 მანეთი სოლიდური თანხაა.

-მე, და თქვენი პატიმარი, ჩემი ძმა, ისე ვართ გაზრდილები, ბატონო უფროსო, რომ რაც ჩვენი არ არის, იმას ხელს არ მოკვიდებთ, ის არ შეგვერგება! ვთქვი და წამოვედი.

როგორც შემდეგ მომწერა ვიამ კამერის “ნახედკას” დაუნახავს ფულის გადაცემის ფაქტი და ჩაუშვია ის ექიმი, მაგრამ ჩემი დასტური უნდოდათ, რომ საბუთი ჰქონებოდათ მის გასაფუჭებლად.

მართალია, ის მამასისხლად ნაშოვნი თანხა დამეკარგა, სამაგიეროდ კაცის გასაფუჭებლად საბუთი ვერ მიიღეს ჩემგან, მაგრამ ახალ წელს უფულოდ დარჩენილი ვიასათვის, მერე დიდი ჩალიჩი დამჭირდა, რომ გარკვეული თანხა ისევ მიმეწოდებია.

გახვერტილი საბუთი.

მაგრამ უსიამოვნებები თურმე იმ დღეს, ამით არ დამთავრებულა.

გზაზე თოვლი იდო. ანდრეის ძალიან ფრთხილად მიყავდა მანქანა. ერთ დასახლებულ პუნქტს გავცდით და უცებ გაგვანერა ავტონისპექტორმა. ჩამოართვა მირონოვს საბუთები და იქვე ჯიხურისკენ გაემართა. მე შეცბუნებული გადმოვედი მანქანიდან. გაირკვა, რომ ამ დასახლებული პუნქტის ფარგლებში აკრძალული იყო 60 კმ. მეტი სიჩქარით მოძრაობა, ჩვენ თურმე 65 კმ. სიჩქარით გვიმოძრავია და დაგვიწყო დიდაქტიკური ლექციის კითხვა, რომ ეს დაუშვებელია, რომ ამით მოყინულ გზაზე საფრთხეს უქმნიდით, როგორც სხვა მოქალაქეებს, ისე საკუთარ თავს.... არაფერმა არ გაჭრა. არც მირონოვის ავტორიტეტმა, არც ჩემმა თხოვნამ. მე გამოუშვი ანდრეი ჯიხურიდან და ინსპექტორს ვეუბნები:

-კინოში არ დადიხარ? ან ტელევიზორს არ უყურებ? ბოლოს და ბოლოს რუსი ხომ ხარ და მირონოვი, რუსეთის სიამაყეა და რუსეთის სახალხო არტისტია!

მას არ შეუწყვეტია ოქმის შევსება და თავაუწყველად, ცივად მიპასუხა:

-Ну и что? Народный артист тоже может убить человека!

რა უნდა მეპასუხა, ხელები მექავებოდა, ერთი სული მქონდა, რომ თავში ჩამეცხო, მაგრამ რუსი ჩინოვნიკი, რუსი ჩინოვნიკია და მორჩა...

არ მინდოდა ახალ შარში გამეხვია ანდრეი და ისეთი მადლიანი ქართული გინებით გამოვედი გარეთ, რომელსაც თარგმანის გარეშეც იოლად გაიგებდა ნებისმიერი ეროვნების ადამიანი,

მანქანაში ანდრეი მამშვიდებდა:

-ნუ ბრაზობ, არაუშავს! ეს ისტორიული დღეა ჩემთვის. პირველად ვიყავი საპყრობილეში. პირველად გამოვედი პატიმრების წინაშე, მართალია რადიოთი, მაგრამ ისე ვვლავდი, სხვა ქვეყნის მაყურებლის წინაშეც კი არ მინერვიულია ამდენი და ბოლოს, დღეს პირველად ჩამომართვეს და პირველად გამიხვრიტეს მართვის მოწმობა. ამით გია კიდევ ერთხელ შემოვიდა ჩემ ცხოვრებაში. მთავარია, ახლა მშვიდობით ჩავიდეთ სახლამდე.

ამ ურჯულო ინსპექტორმა პირველი და როგორც შემდგომში გაირკვა ერთადერთი ჭრილი გაუქმთა ანდრეი მირონოვის მართვის მოწმობას.

ამ ვიზიტის მერე, მომდევნო ზაფხულში, ბალტიისპირეთში გასტროლებისას ანდრეი მირონოვი პირდაპირ სცენაზე გარდაიცვალა ანეკრიზმით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ დიდი მსახიობის და დიდი ადამიანის სული.

როდესაც ანდრეის მისაღმება გაუშვიათ ციხის რადიოქსელით ახალ წელს, პატიმრებმა ჩანაწერი რამოდენიმეჯერ გაამეორებინეს ადმინისტრაციას და მას შემდეგ გია ფერაძე საპყრობილის ყველაზე გამოჩენილი პატიმარი გახდა.

ანდრეის ჩამოსვლას გია ასე გამოეხმაურა:

*დღეს თითქოს გულზე ამხსნეს ნაკერი,
და მოაცილეს ტკივილის შოვი,
ჩემს სანახავად აქ შემოვიდნენ,
ჩემი ძმა ილო და მირონოვი.*

*ანდრეუშა ძმაო, ღმერთმა დალოცოს!
და მისი გულის ჭირიმე ნაღდად,
მეგობრებმა, რომ არ დამივიწყეს
გულზე მომეშვა, რაც მქონდა დარდად.*

*მოვიდა გულით, კაცურ გაგებით,
და არა ქართულ სიბანდებით,
მითხრა: “გამავრდი, შენთან ვართ ყველა”,
და არა “გია, როგორ ბრძანდებით”.*

*მის ცუდ კაცობას და ვაჟკაცობას,
ცუდ არტისტობას ვერავინ იტყვით
მას შეუძლია ახლად დაგბადოს,
ტკბილად ნათქვამი ორიოდ სიტყვით.*

*კაცური კაცი ყველგან კაცია,
ეგ სულ ერთია, თუ რა ნაცია,
მთავარი არის არ მიგატოვოს,
ანდა ვინ გკითხავთ თუ რა გაცვია?*

*მადლობა ღმერთო, შენ შემოგველე,
ჩემო მფარველო და სულზე ტკბილო,
რადგან ვიხილე ჩემი ჯიგრები,
მირონოვი და ჩემი ძმა ილო!*

1986 19.12

შუშა

ვლადიმირიდან გია დააბრუნეს კვლავ თბილისის საპრობილეში.

ეტყობა გიაზე მეთვალყურე პირებმა, რომლებიც “მასზე ზრუნავდენ” მთელი პატიმრობის პერიოდში, კარგად იცოდენ გიას მოუსვენარი ხასიათი. კერძოდ ის, რომ იგი ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდებოდა და მასაც ერთ ციხეში არ აჩერებდენ. ვლადიმირიდან დაბრუნების მერე იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს. ფერადეს აზერბაიჯანის ციხე ჯერ არ უნახავსო და გაუშვეს ყარაბახის მთიანი რესპუბლიკის კურორტზე, ქ.შუშას, ეკატერინე მეორის დროს, მე-18 საუკუნეში აშენებულ საპრობილეში.

*უკვე ხაში ივლისია
და ბაქოსკენ მივლივარ,
მიკლუხო ვარ მაკლავი თუ,
ბოლო ბოლო ვინ ვგლივარ.*

*ხან პაკროვში თავს მიკრავენ,
ხან მიყვავართ “შუშაში”,
ჩემს ზარებზე არახოდეს
არ ამოვა “ღუშაში”.*

*მე ყველაფრის ღირსი ვაეხდი,
 თუნდ ნაჯახით გაპობის,
 ოღონდ არა ასე შხამით
 ნელა-ნელა დაღპობის.*



შუშა თბილისიდან 560 კმ. არის დაშორებული და მართლაც, აზერბაიჯანის ერთ ერთი ულამაზესი მაღალმთიანი ადგილია, (ყარაბახის ტერიტორიაზეა), მხოლოდ ერთი განსხვავებით, რომ ამ სილამაზეს “წორნი ვორონათი” იქ ჩასული პატიმარი ვერ აღიქვამს და მან შუშის სილამაზის შესახებ მხოლოდ სხვის მოყოლილს უნდა დაუჯეროს.

“რეინის შუშა.”

*რა ხდება გამაგებინეთ,
 დღესაც არ დაღის ჩემამდე,
 კაცი “შუშაში” იჯდე და
 გარეთ ვერაფერს ხედავდე.*

გია შუშინსკი

თბილისიდან შუშაში წასვლა-წამოსვლას ერთი დღე უნდებოდა. მე მანქანა არ მყავდა და პირველი საკითხი იყო მანქანის არჩევა. აქ რიგში იდგენ კოსტია, თაზო და ბრახუნა. ხან კოსტია მოდიოდა თავისი მანქანით, ხან ბრახუნა მაძლევდა მანქანას, ხან კი თაზო. ყველაზე ხშირად მაინც კოსტიას უწევდა წამოსვლა. იგი იმ დროს არ მუშაობდა და როგორც კიროვის ბაღში გაზრდილ ნამდვილ ძველ ვერელს ეკადრებოდა, დილაობით “დაავადებული” იყო ქრონიკული პახმელით. ჩვენ გავდიოდით დილით, ძალიან ადრე. კოტე საჭესთან დამჯდომი არ იყო.

საცოდავი თვალებით მეუბნებოდა :

-ბიძინიჩ! მკვდარი ვარ, ოღონდაც შენ აქედან დაჯექი საჭესთან, მე მერე ერთ “პივას” დავლევე გზაში, აზრზე მოვალ და იქიდან ჩემზე იყოს მძღოლობა. თუ გინდა ბათუმამდე გატარებ.

იქ ჩასვლისას, როგორც წესი, ციხის ერთი თანამშრომელი, რომელიც ადგილზე გვეხმარებოდა პაემანის საქმეების მოგვარებაში, უნდა წაგვეყვანა პატივსაცემად და ხშირად სასაღილოში მისვლისთანავე კოტიკა ვითომ უცაბედად, პირველი გადაჰკრავდა სასმისს.

-ვი! ეს რა მომივიდა ბიძინი, დამავიწყდა საჭესთან რომ უნდა დავმჯდარიყავი, რაც იმას მოასწავებდა, რომ უკანა გზაზე 560 კმ. კვლავ მე მიწევდა საჭესთან ჯდომა და დილით ადრე გასულები, დამით 1-2 საათზე ვბრუნდებოდი და ზურგს უკან 1200 კმ. გზა მრჩებოდა გავლილი.

ნაბი

გიას საკანში ერთი აზერბაიჯანელი ბიჭი იჯდა, სახელად ნაბი, რომელსაც გია მოფერებით “ნაბი-ჭვარჩიკს” ეძახდა. მან რასაკვირველია, არ იცოდა ამ მოფერებითი სიტყვის მნიშვნელობა. იგი თითქმის ყრუ იყო. ძალიან უყვარდა გია და სულ თვალეებში შესცქეროდა, თუ რამე გამოჩნებოდა მისი მოყოლილიდან, ჩააცვივებოდა და ამეორებიებდა. ნაბი უკვე დიდი ხანია შუშის საპყრობილის ბინადარი იყო, ნდობის ნიშნად ხშირად უფროსობის კაბინეტებსაც ალაგებიებდენ. გია ხუმრობდა:

-მომკლა ამ ნაბიმ! მონასავით დამდევეს კუდში ეს “ნაბი-ჭვარჩიკი”, არაფერი არ ესმის ყურში და ორჯერ მიწვეს მოყოლილის გამეორება, ერთ წელში 2 წლის სალაპარაკო მალაპარაკა, მაგრამ სროკს მაინც არ მინახევრებენ.

მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც გია შუშადან გადაიყვანეს წულიკიძეში, ერთ დამეს ნაბიმ მოახერხა, დირექტორის კაბინეტში შეიპარა, დიდი რისკის მიუხედავად, სახლში დარეკა ჩვენთან და გიას ამბავი იკითხა. მას ხომ ყურში კარგად არ ესმოდა, ნაბი შუშადან და მე თბილისიდან იმხელას ვყვიროდით ყურმილში, რომ ტელეფონი სულ არ ვეჭირდებოდა.

“პოლიციელები და ქურდები.”

მას მერე 18 წელი გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრიც ცოცხალი აღარ არის და ახლა უკვე შეიძლება ისეთი რაღაცეების გახსენება, რაც ადრე შეუძლებელი იყო.

როდესაც გიას პატიმრობის ამ წლებს ვისხენებ, არ შემიძლია კიდევ ერთი ღვთისნიერი კაცი არ მოვიგონო, რომლის პროფესიაც შორსაა ღვთისმოსაობისაგან. მით უმეტეს, არც იგია დღეს ცოცხალი და ბევრისთვის შეიძლება ეს ისტორია დაუჯერებელიც იყოს. როგორც მოგახსენებდით, გია საპრობილეში მოხვედრისთანავე სარგებლობდა, როგორც პატიმრების, ასევე ადმინისტრაციის დიდი სიყვარულით. ვინ ვინ თუ არა მათ, კარგად იცოდენ, რომ



გიას გამოუტანეს უპრეცედენტოდ მკაცრი განაჩენი და ისინი თავისი კეთილგანწყობით გამოხატავდენ გიასადმი თანაგრძნობას. მათ შორის იყო თბილისის საპრობილის უფროსი, ახოვანი ვაჟკაცი, ასორმოცდაათკილოიანი კაცი გივი შავთვალაძე, რომელსაც გია ძალიან ეცოდებოდა.

იგი მეუბნებოდა:

-ასეთ ნიჭიერ კაცს რა უნდა საპრობილეში, ცოდლა. როდესაც გია გადაიყვანეს აზერბაიჯანის საპრობილეში, დამიბარა და მითხრა:

-შუშაში ციხის უფროსი, ჩემი ნაცნობი სომეხი კაცია, თუ დაგჭირდება მასთან რამე, ერთი დღით წამოგყვები.

მართლაც, მან შეასრულა კაცური სიტყვა! ერთ კვირა დღეს გაუარეთ მე და კოსტიამ სახლში და შუშაში წავიყვანეთ.

მისგან ბევრი არაფერი მჭირდებოდა, მაგრამ რომ წარმოვიდგინე რა ეფექტს მოახდენდა გიაზე და ციხის უფროსებზე მისი ჩასვლა, გადავწყვიტე გამომეყენებია ეს უპრეცედენტო შეთავაზება. გივი, მაღალი და ჯანმრთელი კომპლექციის ტიპაჟი, ყველაფრით ძალიან წააგავდა ცნობილი იტალიური კინოს “პოლიციელები და ქურდების” მთავარ გმირს, ალდო ფაბრიცის პოლიციელს. არაჩვეულებრივი თუხთუხა, ცოცხალი კაცი იყო. მან გზაში

მოიფიქრა გიას გათამაშების სცენა და შეეცადა თავად შეესრულებია კიდევაც.

გიამ რასაკვირველია არაფერი იცოდა მისი ჩასვლის შესახებ. ბატონი გივი პირდაპირ შევიდა ციხის უფროსთან. მეგობრული მისაღმების შემდეგ, აუხსნა თუ რა იყო მისი სტუმრობის მიზეზი, რამაც პირდაპირ რომ ვთქვათ, გააოცა მისი სომეხი კოლეგა. მე და კოსტია მოსაცდელ ოთახში შეგვიყვანეს. თანამშრომელი გააგზავნეს გიას დასაძახებლად.

გია შემოვიდა ციხის უფროსის კაბინეტში და იქ ციხის უფროსთან ერთად, მარტო მისი ყოფილი ციხის უფროსი რომ დაინახა, გაგიჟდა. ჯერ გაეხარდა მისი დანახვა, მაგრამ დაიბნა, ვერ მიხვდა რაში იყო საქმე. ბატონმა გივიმ უთხრა:

-გია! გაემზადე! მე ჩამოვედი რომ წავიყვანო, ისევ ჩემთან გადმოყავხართ...

გია უმაღვე მიხვდა მწარე ხუმრობას.

-ბატონო გივი, მაგას ჭამს გამოცდილი პატიმარი გია ფერაძე? როდის იყო, რომ ციხის უფროსები პატიმრების საბადრაგოდ დადიოდნენ?!

მერე მე და კოსტიასაც დაგვიძახეს. ყველაფერი დადგა თავის ადგილას. გია ვერ მაღაგდა გივის ნახვით გამოწვეულ სიხარულს და გაოცებას. კარგა ხანი ვისაუბრეთ, გადავეცით ჩატანილი ამანათი და წამოვედით.

სომეხმა კოლეგამ თავი გამოიღო და გივი შავთვალაძის პატივსაცემად ქალაქბარეთ, სომხურ რესტორანში წავიყვანა. შუშაში ძირითადად აზერბაიჯანული სოფლის სასადილოებია, რომლებშიაც ყველაფერი ცხერის სუნად ყარს. სომხურ რესტორანში, გაცილებით უკეთ ვიგრძენით თავი.

ბატონმა გივიმ შესანიშნავად ითამადა, მადლობა გადაუხადა სომეხ კოლეგას, შიგადაშიგ სადღეგრძელოებს სომხურადაც ამბობდა.

საოცარი სანახავი იყო, როდესაც ორი სხვადასხვა ქვეყნის ციხის უფროსი, მათი საერთო პატიმრის სადღეგრძელოს სვამდნ და მას ჯანმრთელობას და მალე გათავისუფლებას უსურვებდნ. ესეთი რამე, ვერც ცნობილი იტალიური ფილმის, “პოლიციელები და ქურდები”ს ავტორებმა, სტენომ და მონიჩელიმ, ვერ მოიფიქრეს და მგონი საერთოდაც მსგავსი რამ ჯერ არ ყოფილა სასჯელადსრულების ისტორიაში. ეს პურმარილი, გინესის წიგნში შესატანი თუ

არა, სანახავად და მითუმეტეს გასახსენებლად მართლაც ღირს.

კოტიკამ რასაკვირველია კვლავ მომასწრო დალევა, მე ისევ მძლოლის როლი გარანტირებული მქონდა. დაშორებისას ერთი საყვედური მაინც მივიღეთ სომეხი ციხის უფროსიდან, როდესაც ყველას შეუმჩნეველად, მას დავასწარი სუფრის საფასურის გადახდა, რომელიც ისე მიზეზული იყო, რომ გაკვირვება ვერ დავმალე. ოქროსკბილებიანმა ოფიციალტმა გამიღიმა, თვალი ჩამიკრა და მითხრა:

-შენ რომ, რაიკომის მდივანთან ერთად მოსულიყავი, უფრო იაფს დაგითვლიდით.

წულუკიძე

შუშაში ყოფნისას გიას დაუმთავრდა საპატიმრო რეჟიმი და წულუკიძის კოლონიაში გადაიყვანეს. 1987 წლის დეკემბრის ბოლო იყო წულუკიძის კოლონიის უფროსობა თურმე “მოუთმენლად ელოდა” პატიმარ ფერაძეს, რათა ბოლომდე მიეყვანათ მისი “პატივისცემის” საქმე. სულ 3 თვე გააჩერეს აქ და ამ 3 თვიდან გაურკვეველი მიზეზებით, ნახევარი კარცერში ჩაკეტული ყავდათ, ახალი წლის ღამის ჩათვლით.

ამის შედეგად გაუმწვავდა საპრობილეში შექმნილი ჭლექი და ავადმყოფი, 39 გრადუსი ტემპერატურით, ყოველგვარი ადამიანური და იურიდიული კანონების დარღვევით, მარტში გაუყენეს შორეული იაკუტიის გზას, “სადაც, კალიმის მსგავსად, 12 თვე ზამთარია და დანარჩენი კი, ზაფხული” და თურმე იაკუტიის 50 გრადუსიანი ყინვები ხელს უწყობს ჭლექის კერების ჩაკირვას, მაგრამ სინამდვილეში, ოთხთვიან ეტაპზე ჭლექიანი კაცის გაგზავნა, მისთვის სიკვდილის განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო, მაგრამ ყველას გასაკვირად, გიამ გაუძლო ამ ღვთის რისხვას და რაც მთავარია არ გატყდა.

იაკუტიამდე მინდა ერთი მოგონება გავიხსენო წულუკიძესთან დაკავშირებით.

ნიგეზიანი პაემანი.

როგორც ითქვა, შუშადან გია გადაიყვანეს წულუკიძეში.

14 იანვარი ახლოვდებოდა მე, დედა და გიას უფროსი ქალიშვილი პაემანზე მივდივართ წულუკიძეში, ჩვენი მეზობლის, თემურ ვაშაკიძის ახალი “07” მანქანით. თემური გიასთან ერთად იჯდა “კრიტში” და ახალი გამოსული იყო

ციხიდან. გავედით დილა ადრიან. გზა მოყინული იყო და რიკოთზე მისვლისას თემურიმ სიჩქარეს მოუკლო. თავდადმართში გაძნელდა მოძრაობა. უკან დაბრუნებაც აღარ შეიძლებოდა, გვიან იყო და მეორეც, გია მოუთმენლად ელოდა ჩვენს ჩასვლას. მდ. ძირულასთან მიახლოებისას მოსახვევში მანქანა თავდადმართზე მოგვიცურდა, დაიწყო მოყინულ გზაზე ვალსის ცეკვა და აბსოლუტურად უმართავი ტრიალ-ტრიალით გაცურდა მდინარეში გადასავარდნისაკენ. მე ვიჯექი წინ, ფეხებში მედგა დიდი ქვაბი საცივით, ის ის იყო, გადასავარდნ ჯებირს მიუახლოვდით... ღვთის წყალობით!!! აღმართში ამოდიოდა ქუთაისის სამგზავრო “იკარუსი”, რომელსაც ისეთი ძალით დავეჯახეთ მარცხენა მხრიდან, რომ ბილიარდის შარივით, მარჯვენა მოპირდაპირე მხარეს რკინის დიდი ბორტი ჩამოვარდა, რამაც ჩვენი მანქანა ადგილზე გააჩერა და გვიხსნა ნაღდი დაღუპვისაგან. მერე რომ გადავიხედე მართლაც შეეშინდი. 30 მეტრის სიღრმის ხრამში, ადრე გადავარდნილი დამტვრეული მანქანების კორპუსები ეგდო, რომლებსაც არ გაუმართლა და ეტყობა არც ქუთაისის ავტობუსის გრაფიკი იცოდნენ.

მანქანაში არავინ დაშაგებულა, მხოლოდ ქვაბი ახტა დარტყმისაგან და მთელი საცივის წვენი შარვალზე გადმოშესხა. ავტობუსიდან გადმოცვივდნენ მგზავრები, გადმოვედით ჩვენც. დაინახეს, რომ ცოცხლები ვიყავით. ვატყობდი, ავტობუსის მგზავრები ცდილობდნენ ჩემგან დისტანციაზე მდგარიყვენ. მე რომ დავიხედე შარვალზე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. შარვლის ტოტები, ფეხსაცმელები, საცივის წვენში ამოვლებული, საჭკო ასოციაციას ქმნიდა და იმ მგზავრებს მე შიშისაგან ჩასვრილი ვეგონე, მერე ერთი ქუთაისელი მომიახლოვდა და ქუთაისურ კილოზე მეკითხება:

-ძამია, ეტყობა ახალ წლებზე ბევრი საცივი ჭამე? რავა ნიგეზის სუნად ჩავისვრია.

როდესაც მე თითო ამოვისვი შარვალზე და უთხარი: ძმაო ეს მართლაც საცივია! მთელი ავტობუსი შემიყარა:

-ნახეთ, ნახეთ, პირველად ვნახე საცივით ჩასვრილი ადამიანი.

ჩვენ ღმერთმა გადაგვარჩინა! ალბათ იმიტომ, რომ კეთილ საქმეზე ვიყავით წასული, დიდი ხნის უნახავი პატიმარი გველოდა მოუთმენლად, ჩვენი დაღუპვა ამიტომაც არ

იქნებოდა. თემურის მანქანა ჩავაცურეთ ბუქსირით რამოდენიმე კილომეტრზე და პროფილაქტიკაში დავტოვეთ. ბედი ეტყობა, მაინც ჩვენ მხარეს იყო. მანქანის ბუქსირებაში ვინც გვეხმარებოდა, აღმოჩნდა წულუკიძის კოლონიის თანამშრომელი. გადავჯექით მის მანქანაზე. გიას კი, სხვა პროდუქტებთან ერთად, მხოლოდ ინდაურის საცივის ნაჭრები ჩაუტანეთ, წვენის გარეშე. წვენის არსებობის დამამტკიცებელ საბუთად, პაემანის ბოლომდე შარველიდან სუნელებით გემრიელად შეზავებული ნიგვზის სუნი ამდიოდა. გიამ იშოვნა ხუმრობის საბაბი :

-ინდაურის ხორცი გადაიდეთ. წვენი თუ გინდათ, აგერ ილიკოს დაასხით შარვალზე წყალი და ზედ პური მოუსვით-ხუმრობით პატიჟებდა საცივზე ზონის მეგობრებს.

იაკუტია



აი! ესე კარგია იაკუტიაში

წულუკიძიდან “მზიურ-იაკუტიაში” მეზავრობას გია თავად ჰყვება მის დღიურებში, რომელიც ზევით შემოგთავაზეთ. იმას რამე დაუმატო შეუძლებელია.

მე კი, ჩემი გრაფიკი მქონდა და ორიოდ სიტყვით, მინდა განსაკუთრებით შევჩერდე იაკუტიაში გიასთან პაემანებზე მეზავრობის შესახებ, რადგანაც სირთულით და თავგადასავლებით, სხვა პაემნებთან შედარებით, ამ სიშორეს პაემანზე წასვლა, ალპინისტების ტერმინოლოგიით, ევერესტზე ასვლის ტოლფასი იყო.

იმას თუ როგორ მზადდებოდა ექსპედიცია იაკუტიაში უკვე მოგახსენეთ, ჩემს ოჯახთან ერთად როგორ ინაწილებდა ამ პრობლემას პაემანის საორგანიზაციო კომიტეტი უკვე იცით,

მთელი დატვირთვით მუშაობდა მზადების ყველა სამსახური: ბილეთები ნაშოვნია, ბარგი ჩალაგებულნი, იაკუტსკში სასტუმრო დაჯავშნილი. როგორ გავდიოდით საბაჟო კონტროლს უკვე მოგიყვებით და გავჩერდი იქ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ბარგით აღმოვჩნდებოდით მოსკოვი-იაკუტსკის თვითმფრინავში.

აქ უნდა ვახსენო კიდევ ერთი ღვთისნიერი, აწ გარდაცვლილი, ძალიან სიმპატიური და ნიჭიერი თბილისელი კაცი, ზურაბ ჭელიძე, რომელიც სამხატვრო ფონდში მუშაობისას, ბევრჯერჯერ ყოფილა იაკუტსკში მივიღინებით და მისი პიროვნული მომხიბვლევლობის წყალობით ბევრი კარგი ნაცნობი შეიძინა იქ.



ზურაბ ჭელიძე

მან ორი წერილი გაგვატანა იაკუტსკში მცხოვრებ მეგობრებთან, რომლებმაც შემდგომში ფასდაუდებელი სამსახური გამიწიეს.

ერთი წერილი განკუთვნილი იყო იქაური ქართველისათვის, რომელიც 25 წლის წინ განაწილებით მოხვდა იაკუტიაში და იმ ხანად “იაკუტგეოლოგიას” სამმართველოს მთავარი ინჟინერი იყო – მისი სახელია ჯუღელი.

ღიას ჯუღელი! ჯუღელი მისი სახელია და გვარად არის ლეფსვერიძე. ჯუღელი ლეფსვერიძე ზურაბმა წინასწარ გააფრთხილა ჩვენი ჩასვლის შესახებ და ისიც დაგვხვდა აეროპორტში, მერეც დიდი დანხმარება გაგვიწია ამ გემრიელმა ლეჩხუმელმა კაცმა, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით.

მეორე წერილი იყო განკუთვნილი იაკუტიაში ყველაზე საჭირო და გავლენიანი ადამიანისათვის, მდინარე ლენის სანაოსნოს უფროსის, აღმირალ მინევეისათვის. მდინარე ლენა იაკუტიის სასიცოცხლო ძარღვია. რადგანაც იქ სარკინიგზო ტრანსპორტი არ არის, მგზავრობა, ტვირთების გადაზიდვა მდინარის მეშვეობით წარმოებს და მხოლოდ ზაფხულის თვეებში, როცა ლენა გაყინული არ არის. ამიტომაც იაკუტსკში ყველაზე საჭირო კაცი მინევი და საჭიროებასთან ერთად იგი აღმოჩნდა საშუალო ასაკის,

არაჩვეულებრივად თბილი ადამიანი, მაგრამ ამაზეც ცოტა მოგვიანებით.

ტაიგა, ტაიგა,

მოსკოვიდან იაკუტსკამდე 7 საათია საფრენი. ჰაერში აფრენის მერე ცოტა ხანში თვითმფრინავის ილუმინატორიდან კიდევ შეიძლება რაღაც დასახლებული პუნქტების და ურალის დანახვა, მაგრამ მერე, როდესაც თვითმფრინავი ტაიგის ზემოთ აღმოჩნდება, გეგონება იგი ერთ ადგილას ჩერდება და მის ქვევით ხედი საერთოდ არ იცვლება. ტაიგა... ტაიგა... ტაიგა და მაღალ ხეებს შორის აქა იქ, მზეზე ბრჭყვიალებს წყლის გუბეები, რომლებიც წარმოიქმნება ადიდებული კალაპოტიდან გადმოსული მდინარეებიდან. ასეა ბოლომდე, იაკუტსკამდე. ამ გაუთავებელი ტყეების თავზე უნებლიეთ გრძნობ ამ უსაშველო 7000 კილომეტრის მანძილს.

ერთხელ, როდესაც, ტაიგის ცაზე გელა ბრეგვაძესთან ერთად მივფრინავდი, მან უქურა, უქურა ამ გაუთავებელ უკაცრიელ ტყეებს და მეუბნება:

-ბიძინი! აქ რომ ჩამოვარდეს თვითმფრინავი, ხომ სამუდამოდ დავიკარგებით ტაიგაში. ჩვენი თბილისში ჩასვენების შანსი არ არსებობს

-გელა! ნუ გეშინია. ჩვენ ერთად არ შეიძლება რაიმე დაგვემართოს. ჩვენს გარეშე თბილისში ხომ სხვა მკვდრები დარჩება დაუსაფლავებელი, ამიტომაც ღმერთი არ გაგეწირავს.

ქალაქში ორივე, დაკრძალვების ცერემონიის უბადლო მცოდნე და შემსრულებლებად ვითვლებით დღემდე. მე სარიტუალო საქმეებს ვაგვარებ, ხოლო გელა ქელეხის მოწყობის აღიარებული ოსტატია.

ამის დასტურად ერთ ისტორიას გავიხსენებ.

ჩემი სიდედრი ქალბატონი ლიდა, მძიმე ავადმყოფი გარდაიცვალა ღამის პირველ საათზე. დეამ და მისმა დამ, ციალამ, როგორც წესია, მიხედეს ცხედარს. მე დილას ავდექი და მარტო წავედი საქმეების მოსაგვარებლად. მოძრაობის ოპტიმალური გეგმა თავში უკვე დამუშავებული მქონდა. იმავე დილით 12 საათზე უკვე ყველაფერი დავამთავრე: ბალზამირება, საფლავი, ცნობები, პანაშვიდის მუსიკა, კატაფალკი და ბოლოს რომ მივედი “სასახლეზე”,

ზომები და მისამართი უთხარი, ხელოსანმა სახელით მომმართა:

-ბატონო ილიკო! თქვენ ისე ხშირად მოგყავთ კლიენტები, რომ მაგ ზომის სასახლე აგერაა მზად, მართალია სხვისი შეკვეთაა, მაგრამ. თუ გნებავთ ახლავე მივიტანთ ამ მისამართზე.

მე უმაღვე შევაჩერე.

-არა! თუ ძმა ხარ, სადამოს მოიტანეთ, თორემ ისეთი ოხერი ძმა მყავს, გია ფერაძე, რომ მთელ ქალაქში თავს მომჭრის, სიდედრის კუბო წინასწარ ქონდა ნაყიდიო.

როდესაც გელას დაურეკე და სიდედრის ამბავი გავაგებინე, მან მხოლოდ ორიოდ პროფესიული შეკითხვა დამისვა: რა რიცხვში? რამდენ კაცზე? სამარხო თუ ხსნილი? და როდესაც ჩემგან მიიღო პასუხი, უსიტყვოდ საქმის მოგვარებას შეუდგა. ამით ქელეხზე საფიქრალიც მომშორდა.

მაგრამ იმჯერად, საბედნიეროდ მე და გელას ჩამოსვენება არ დაგეჭირებია და ღმერთის წყალობით, იაკუტიაში სამივე მგზავრობისას გადაგურჩით ყოველგვარ უსიამოვნებებს.

მოსკოვიდან ფრენას ჭირდება 14 საათი და იაკუტსკიდან მოსკოვამდე არაფერი, რადგანაც მოსკოვიდან საფრენ 7 საათს უნდა დაამატო დროის ამდენივე განსხვავება და გამოდის 14 საათი, ხოლო იაკუტსკიდან კი დროის სარტყელს მოყვები და დილის 8 საათზე გამოფრენილი, მოსკოვში ისევ დილის 8 საათზე ჩამოდიხარ, ვითომც მთელი 7 საათი არ გიფრენია.

ჯუღელი

იაკუტსკში პირველ ჩასვლაზე მანქანით დაგვხვდა ჯუღელი ლეპსვერიძე. მან გადაწყვიტა სახლში წავეყვანეთ და როდესაც გაიგო, რომ სასტუმრო გვქონდა დაჯავშნული იწყინა! იგი იქ ცოლთან და ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა.

ჯუღელმა დიდი ყურადღება გამოიჩინა ყველა ჩასვლისას. მანქანით დახვედრა, სახლში დაპატიჟება, ოჯახში გაშლილი ქართული პურმარილი, კოლონიაში მოსვლა ჩვენს წამოსაყვანად და შემდგომ ჩემი თბილისში ყოფნისას იგი თავისით უზაენიდა ვიას სიგარეტებს და სხვა პროდუქტს. ვიას იგი პირადად არ იცნობდა, მაგრამ ერთი პაემანისას მაინც მოვასხვრეხე მისი ცოტა ხნით შეპარება და ვიას ვაცნობა.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა. ჩემი იაკუტიდან ერთ ერთი წამოსვლის მერე, გიამ მთხოვა “იამანის” გაგზავნა საახალწლოდ. მე და მიტო ძიამ, ჩვეული ტექნოლოგიით დავამუშავეთ მანგოს რკინის ქილები, შიგ ჩავასხით სპირტი და ამანათით გაუგზავნეთ ჯუღელს, კონსპირაციისათვის წერილი მივწერე ქართულ ენაზე, რომ ორი ქილა მისი იყო და ორი ქილის წასაღებად გია გამოგზავნიდა საიმედო კაცს. ჯუღელმა მიიღო ამანათი: ჩურჩხელები, მანგოს წვენი.

მაგრამ წერილმა დაიგვიანა და ამანათის შემყურე ვერ მიხვდა, რატომ გაუგზავნეთ მანგო თბილისიდან, როდესაც მანგოს წვენი იქაც ბლომად იყო. ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ



ჯუღელი და მე. მისი ქალიშვილის ქორწილში. თბილისი 1991წ.

უსინჯავენო და სახლში ერთი ქილა გახსნა მისმა ქალიშვილმა. როდესაც ყვითელი მანგოს მაგივრად თეთრი სითხე გადმოიხსნა და ტროპიკული არომატის ნაცვლად სპირტის სუნი დადგა ოთახში, ჯუღელი მაშინდა მიხვდა თუ რა იყო ამანათში.

ჯუღელი ტელეფონით დამიკავშირდა და ყველაფერი გაირკვა. ხორბლის სუფთა სპირტი მისთვისაც კარგი საახალწლო საჩუქარი იყო, რადგანაც იაკუტიაში თითო მშრომელს! დიახ, მარტო მშრომელს, (რადგანაც იქ თვლიან, რომ ვინც არა შრომობს ის არ სვამს!), თვეში თითო ბოთლი არაყის ტალონი ეკუთვნოდა და მეტს ვერანაირი ფულით ვერ იშოვნოდი.

ერთ ერთი პაემანის შემდეგ ჯუღელი დაგვხვდა ზონასთან და მე და კოსტია პირდაპირ მის სახლში წავვიყვანა. 1989 წლის ზაფხული იყო. 9 აპრილის წელი. სუფრა ქართულად იყო გაშლილი ჩვენს პატივსაცემად: ხაჭაპური, ლობიო, ბაჟე,

ბადრიჯანი, ფხალი, არ ვიცი, სად ეშოვნა ჯუღელის ეს ქართული პროდუქტები, მაგრამ ჩვენ კი გავიხარეთ. იურმალას დასკვნით კონცერტს აჩვენებდენ ტელევიზორში და როდესაც გამოაცხადეს გამარჯვებული ქართველი სოსო პავლიაშვილი, რომელმაც იმდერა “სამშობლო, სამშობლო” და დარბაზში ქართულ დროშებს აფრიალებდენ გულშემატკივრები, კინაღამ გასკდა გული! ყველანი ცხარე ცრემლით ვტიროდით სიხარულისაგან. შორეულ იაკუტიაში! იმ სტრესის მერე რაც 3 დღის განმავლობაში, მე და კოსტიამ გიას ნახვით და მერე განსაკუთრებით განშორებით მივიდეთ, ქართველის ოჯახში, საოცარი მშობლიური იყო სიმღერაც, სოსოც, დროშებიც, რაც იქ, იაკუტსკში მყოფ ყველა ქართველს განუზომელი სიამაყის, ერთიანობის და სიხარულის გრძნობით გვაკსებდა.

რესტორანი “იაკუტსკი”.

იაკუტსკში პირველივე საღამოს მე და კოსტია გამოვედით ქალაქის დასათვალიერებლად. რომ გითხრათ, რომ დედა ეს რა ვნახე, დედა ეს რა სილამაზე ყოფილა მეთქი, ვერ ვიტყვი. ერთი ცენტრალური ქუჩა, რომელზედაც სტალინის ეპოქის დამახასიათებელი ადმინისტრაციული სახლები დგას და დანარჩენი მე-19 საუკუნეში ხის მორებიდან აშენებული ძველი ბარაკებია, ზამთრის 60 გრადუსიანი ყინვების გადასატანად.

მოგეშვიდა. ვახშმად შევედით რესტორან “იაკუტსკში”.

მე არ შეუდგები ყველაფრის აღწერას, ვიტყვი მხოლოდ რომ მენიუ, არც თუ ისე მდიდარი იყო, ხოლო სასმელი ჩვენ უბის ჯიბეში გვქონდა, ბრტყელ ბოთლებში ჩასხმული ქართული კონიაკი. მთავარი რისთვისაც ამ ეპიზოდს ვიგონებ იყო შემდეგი. რესტორანში უკრავდა ორკესტრი, ჩვეულებრივი პროვინციული ორკესტრი, იალტიდან ვლადივასტოკამდე ყველა რუსული რესტორნებისთვის დამახასიათებელი ერთნაირი კუბლიკით, მენიუთი, რეპერტუარით და კედელზე უნიჭოდ მოხატული ბერიოზკის ხეებით. ჩვენდა გასაკვირად ორკესტრმა დაუკრა ქართული სიმღერა ფილმიდან “მიმინო”, რომელიც რუსულად და მერე დამტვრეული კითომ ქართულით “ჩიტო, გრიტოთი”, შეასრულა თვით ორკესტრის ხელმძღვანელმა. ქართველები ჩვენს მეტი არავინ ჩანდა და ეს შესრულება არ იყო მიძღვნილი ჩვენდამი, ეს იყო მათი ჩვეულებრივი რიგითი ნომერი. შესვენებისას ოფიციალტს

დავაძახებინეთ ორკესტრის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა, გრძელთმებიანი, ბეჭდებიანი კაცი, რომელსაც კისერზე რაღაც ჯაჭვები ეკიდა. იგი გაგვეცნო - ვიქტორად. როდესაც ვკითხეთ საიდან ამ სიშორეს მათ რეპერტუარში ქართული სიმღერა? მან ამაყად გვიპასუხა

- როგორ თუ საიდან?! მე ცოლი მყავს, ქართველი, ტატიანა ფერაძე!

მე და კოსტიას თვალები გაგვიფართოვდა. როდესაც გაიგო, რომ მეც ფერაძე ვარ, თანაც ჩვენ კიდევ ერთი ფერაძის სანახავად ვართ ჩამოსული ამ სიშორეს, მანაც



გაიკვირვა. უმალ ძმები და ნათესავეები გავხდით. შესვენების დამთავრების მერე ორკესტრმა ამჯერად უკვე ჩვენდამი მიძღვნილი ქართული სიმღერა შეასრულა, მერე კი რამოდენიმე სიმღერა მიუძღვნა გაჭირვებაში ჩავარდნილ მსახიობს. გია ფერაძეს. მან თითონ შეასრულა “შესანიშნავი” რუსულ-ქართულით ლადიძის “სიმღერა თბილისზე”. კონცერტის დამთავრების შემდეგ კვლავ მოუჯდა ჩვენს სუფრას. კოსტიამ

დაიწყო გარკვევა თუ სადაური ფერაძე იყო მისი ცოლი? ზესტაფონელი? ხარაგაულელი? სვირელი? თუ აფენიდან? გაირკვა რომ იგი არც ზესტაფონელი, არც ხარაგაულელი, არც აფენიდან და არც სვირელი არ იყო, არამედ იყო იაკუტელი ფერაძე. იგი იაკუტიაში დაბადებულა, დედა ყავდა იაკუტელი.... და მამის შესახებ ინფორმაციას ვიქტორა და მგონი არც მისი მეუღლე ტატიანა ფერაძე არ ფლობდა. გია ფერაძე, რომ ადრე მჯდარიყო კოლონიაში იაკუტსკში, არ გამიკვირდებოდა რომ ტატიანა ჩემი ძმისშვილიც აღმოჩენილიყო.

ვიქტორას, როგორც ქართველების “მუსიკოს სიძეს”, მაინც რაღაც ჰქონდა გაგებული ჩვენს ტრადიციებზე. ორიოდ ჭიქა ქართული კონიაკის მერე, რომელსაც იგი განუზომელი

ნეტარებით წრუპავდა, მან ხატონად შესვა, იაკუტის სადღეგრძელო და თქვა:

-როდესაც ღმერთი ზეციდან ათვალიერებდა დედამიწას, იაკუტის თავზე კალთა დაიბერტყა და მთელი სიმდიდრე დატოვა ჩვენს მიწაში! მოდი და ნუ იფიქრებ დედამიწის სიმცირეზე, ჩვენ ქართველებიც ხომ ვსვამთ მსგავსი პათოსის სადღეგრძელოს.

მეც ოდნავ ნასვამი ვიყავი და ვიქტორას წავეტრაბახე:

-ვიქტორ! შენ ბოლომდე არ გცოდნია ეგ ისტორია. ღმერთი რომ მიწებს ათვალიერებდა და თან არიგებდა,



ახალი მშაკაცები

ეტყობა ჯერ იაკუტიაში გამოიარა. ჩვენ ქართველებს კი მის მოლოდინში მოგვმივდა, სუფრა გავშალეთ და პურღვინოს შეუდგექით. როდესაც ღმერთმა ჩვენამდე მოაღწია, ჩვენ უკვე შუა ქეიფში ვიყავით. აღმოჩნდა, რომ ქართველებს თურმე სუფრა მისთვის გადანახულ ბაღში ჰქონოდათ გაშლილი. მას ისე მოეწონა ჩვენი უდარდელი ქეიფი და სიმღერები, რომ საკუთარი ბაღი ქართველებს აჩუქა. მას გაუმარჯოს საქართველოს ღმერთის კუთვნილ ედემის ბაღს.

ვიქტორა ძალზე სერიოზულად მისმენდა.

-ამას დღესვე მოუყვები ჩემს მეუღლეს. როგორ გავახარებ-ჩაილაპარაკა. ვერ მიხვდა ხუმრობას. სიტუაციის განმუხტვის მიზნით ისევ მოუბრუნდი ვიქტორას:

-რა იყო ბიჭო, მთელი კალთა რომ ჩამოაცლევინეთ ღმერთს იაკუტის თავზე, ცოტა სიმდიდრე ჩვენთვისაც დაგეტოვებიათ რამე. როგორც იქნა გავგიდიშა.

იმ საღამოს გვიანამდე ვისაუბრეთ ვიქტორთან, გავიგეთ იაკუტის ცხელ ცხელი ამბები, მას მერე ჩვენ დრო აღარ გექონდა რესტორან “იაკუტსკში” სასიარულოდ. ჩვენი

მარშრუტი იაკუტსკუდან 70 კმ. ჩრდილოეთით გადიოდა გამოსასწორებელი კოლონიისაკენ.

მაგრამ, ბედი ბედია და მისი წყალობით ისე არ წამოვედით იაკუტიდან, რომ ერთად-ერთი იაკუტელი ფერაძე არ გაგვეცნო. ჩვენი იაკუტიდან გამოძვზავრებისას კვლავ შეგვხვდა ვიქტორა! იგი ცოლს აცილებდა მოსკოვში და გაგვაცნო ტატიანა ფერაძე! იგი გვარს მხოლოდ უხვადგაფერადებლი სახით თუ გაამართლებდა. მწარედ დახატულთვალებიანი, ტიპიური რუსის იაფფასიანი, შეღებილი ქალი, ხელოვნურად გაჩეხილი თმებით და მართლაც შემეცოდა ჩემი საგვარეულო, რომ ისიც ფერაძის გვარს ატარებდა. მაგრამ რას იზამ. ნუგეშად ისლა მრჩებოდა, რომ იგი ძირითადი ფერაძეების საგვარეულოს 7000 კილომეტრით იყო მოშორებული და ჩვენში მისნაირების გამრავლების საშიშროება არ გვემუქრებოდა.

ადმირალი

პირველივე ჩასვლაზე, როდესაც მიგხვდით, რომ პაემანის უფლებაზე შესაძლოა პრობლემები შეგვეხვედროდა, ზურაბ ჭელიძის ქვის გამხეთქავი წერილით მივედით ადმირალის გასაცნობად. იაკუტიაში ზაფხულში არ ღამდება. მზე ოდნავ გადაიწვევრება და ისევ იწყებს ზენიტისკენ აღმასვლას.

საღამოს მზიანი 11 საათი იქნებოდა, რომ მოვახერხეთ მასთან შესვლა. გადავეცით ზურაბ ჭელიძის წერილი, მოკითხვა და ქართული სუვენირები. იგი ძალიან კეთილგანწყობილი კაცი გამოდგა ქართველების მიმართ. როდესაც მის ოთახში იახტის მაკეტი შევაქე და გაიგო, რომ მეც იახტსმენი ვიყავი, გაეხარდა. იგი ნოვოსობირსკიდან ყოფილა წარმოშობით და ბევრ ჩემს ნაცნობ, უფროსი თაობის იახტსმენსაც იცნობდა. ამჯერად არ გავვიმხელია ჩვენი ჩასვლის მიზეზი, რადგანაც დაგვთანხმდა იმავე საღამოს სასტუმროში გვწვეოდა, ჩამოტანილ ქართულ პურღვინოზე.

სასტუმროში იგი მოვიდა მეგობართან ერთად. მისი მეგობარი კი აღმოჩნდა, არც მეტი და არც ნაკლები, იაკუტიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ჩვენ დავახვედრეთ ქართული სუფრა: ხაჭაპური, სულგუნი, ცივი ჭადი, გუდა და სხვა, ნაირნაირი ქართული სასმელებით, რომელთა დაგემოვნებასაც, მათ ჩვენდა გასაკვირად 96

გრადუსიანი სუფთა სპირტი არჩიეს და როდესაც ვკითხე მორიდებით, რამდენი რამდენზე გამეზავებია წყლით, აღმირალმა ისე შემომხედა მივხვდი, რომ ჩემს მეზღვაურობაში ეჭვი შეეპარა:

-Ты что Илюша! Какой моряк будет спирт разбавлять?!

მხოვეყვით აქეთური იქეთური და რამოდენიმე სადღევრძელის შემდეგ ჩვენს შორის ყოველგვარი ბარიერი მოიხსნა. აღმირალი ჩაგვაცივდა:

-ბოლოს და ბოლოს მომკლა ცნობისმოყვარეობამ, აღარ იტყვი რა არის თქვენი ჩამოსვლის მიზეზი? აქ სპირტის დასალევად ხომ არ ხართ ჩამოსულები?!

შესაფერისი მომენტი იყო და აღარ ჰქონდა აზრი დამალვას. როდესაც გაიგეს, რომ არც აღმასის საბადო გვინდოდა გვეყიდა და არც ხე-ტყის გაზიდვას ვაპირებდით, გულზე მოეშვათ, რადგან მათთვის ამ უბრალო საქმეში დახმარება აღგვითქვეს. იქვე გადარეკეს შინაგან საქმეთა მინისტრთან და მოიპატიუეს, მაგრამ რადგან იგი იმ დამით მიემგზავრებოდა მოსკოვში, ვერ მოვიდა, თუმცა 20 წუთში დაგვიკავშირდა ტელეფონით, და გვითხრა, რომ გადაგვაბარა მის მოადგილეს, რომელიც ხვალ საქმეში გაერკვეოდა და ამიტომ, ერთი დღის მერე დაგვიბარა.

სანამ მეორე დღეს პაემანის ამბები გაირკვეოდა უჩვენოდ, მინევემა დიდი ნდობა გამომიცხადა და შემომთავაზა მისი იახტით ლენაზე გასეირნება. იახტის თხოვება სხვისთვის ეს იგივეა, რაც ცხენის, ან ცოლის თხოვება ჯიჯიტისათვის. ამას ოცნებაშიც კი ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ციმბირში, მდინარე ლენაზე, მექნებოდა საშუალება იახტით გამეხეირნა, რომელიც დაწყინარებულ მდგომარეობაში ზაფხულში 20 კილომეტრამდეა სიგანით. (ამ დროსაც ერთი ნაპირიდან მეორე ძნელად მოჩანს). მან თქვა, რომ სამწუხაროდ ორი დღით მიდის ნოვოსიბირსკში და დილით გამოგვიგზავნა მანქანა, მძღოლს გამოატანა იახტის გასაღები და ჩვენც გავემართეთ იახტ-კლუბისაკენ.

ციმბირელები რომ მაგრები არიან არყის სმაში ცნობილია, მაგრამ თანამდებობის პირებს თუ ამდენის დაღვევა შეეძლოთ ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. დილით, მთელი ღამის ნაბახუსევი, მე და კოსტია ცოცხალ მკვდრები ვიყავით, მაგრამ მაინც დიდი იყო ჩემი სურვილი ლენაზე იახტით გასეირნებისა. როდესაც კოსტია უთხარი, რომ ჩვენ ვიქნებით პირველი ქართველები, რომლებმაც აფრიანი ნავით

ლენაზე იმოგზაურეს და შენც შესხვალ ქართული აფოსნობის ისტორიაში, თქვენ წარმოიდგინეთ, კოსტიაც ავიყოლიე, თუმცა ნათელი იყო, რომ ჩემი ხათრით, თავს უკანასკნელ ძაღვს ატანდა.

მინევეის გაზიზინებული სამთავრობო, “ვოლგით”, წავედით იახტ-კლუბისაკენ. გზაზე ლენაზე ხიდით გადავიარეთ. იმხელა იყო მდინარე, ისეთი ჩქარი დინება და ტალღები იყო, რომ კოტიკა ხმამაღლა მოსთქვამდა:

-ვაი მამაჯან! სად ვიღუპები. ტაიგაში მაინც ჩამოვარდნილიყავით, ვინმე გვიპოვნიდა ან ცოცხალს ან მკვდარს, ეს ლენა კი პირდაპირ “სევერნი ლედავიტი აკეანში” ჩავიტიანს და მერე ეძებე აისბერგებში კოსტია.

კოსტიას ვუამბე მოუსვენარი მოგზაურების, აწ გარდაცვლილი ჩემი მეგობრების: ალიკა ყავლაშვილის, ძმები ზურა და გურამ სახელაშვილების მონაყოლი, რომლებიც მოტორიანი ნავით დაეშვენ ენისეიზე, თუ რა საშინელება იყო ციმბირის მდინარეებზე მოგზაურობა და განსაკუთრებით ტაიგის მონაკვეთების გავლა, სადაც კოდოების მსგავსი, პატარა საბრძოლო მოიერიშე თვითმფრინავები დაფრინავენ და მათი აგრესიისაგან, სქელი, წყალგაუმტარი ტანსაცმელიც კი არ იცავდა ტანს. რის შემდეგ ორმეტრიანი, ძველი თბილისის “დინამოელი”, ფეხბურთელი კოსტია, თვალ და თვალ დაპატარავდა.

ჩვენში დარჩეს და ამ ბობოქარი მდინარის დამნახავს, მეც შექმეშინდა. ამ მიუხევევლ პირობებში, ძლიერ დინებაზე, უმოტორო სხვისი იახტის მართვა სარისკო საქმე იყო, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდი, მე ხომ საქართველოში ერთ ერთი პირველი სპორტის ოსტატი ვიყავი აფროსნობაში და მინდოდა “მომაკვდავი” მეგობისათვის მეჩვენებია კლასი.

კოსტიას ვეღარ უყურებდი, კვდებოდა საწყალი. ხელში რაღაც მინერალური წყალი ეჭირა და ცხვირსახოციტ იხველებდა შუბლს. მიუახლოვდით იახტ კლუბს. მანქანა გაჩერდა კლუბიდან დაახლოვებით 500 მეტრის მოშორებით. შორიდან ჩანდა წყალზე მოქანავე იახტების ანძები. მძლოლმა აგვიხსნა, რომ ლენა გადმოსულია ნაპირებიდან და დანარჩენი გზა ფეხით უნდა გაგვევლო.

გავაღე მანქანის კარი და ფეხსაცმელებით პირდაპირ წყალში ჩავტოპე კოჭებამდე. მალე შევბრუნდი მანქანაში, გავიდრე ფეხზე, ავიკაპიწე შარვლის ტოტები და კოტიკას მაგალითის მისაცემად, ფეხსაცმელებით ხელში გადმოვედი

მანქანიდან. კოტიკა შიშით და კვნესით მიყურებდა, დასაკლავი ბოჩოლას თვალებით.

ეტყობა ჩემს გამოჩენას ელოდენ და ორი ნაბიჯის შემდეგ წყლიდან თავამოყოფილი ბუჩქებიდან (ისე, როგორც იაპონელი კამიკაძე მფრინავები დაესიენ ამერიკის საზღვაო ბაზას “პირლ ჰარბორს” 1941 წელს), დამეტაკა იაკუტელი კოლოების მთელი არმია, და დამიწყეს უწყალოდ კბენა თავიდან ფეხებამდე, მაშინ კი ველარ მოვითმინე და განწირული ხმით ვიბღავლე:

-კოსტია, არ გადმოხვიდე! არც ეგეთი ღენა მინდა, არც ვალია, არც კატია და არც ეგეთი იახტა! ერთ წუთში მწარედ დაკბენილი სასწრაფოდ შეეხტი მანქანაში.

ისევ სახელაშვილების მონაყოლი გამახსენდა ენისეის კოლოებზე. ეტყობა ღენის, ენისეის, ობის და თქვენ წარმოიდგინეთ ჩვენი ქართველი-ფოთის კოლოებიც ან ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ან მათ ყველას ერთნაირად ეჯავრებათ ქართველები.

კოტემ პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

-ბიძინი! როგორც კი ჩავალთ იაკუტსკში, აქაური კოლოების სადღეგრძელო უნდა დავლიო. მე იქ ნამდვილად მოგვედებოდი. მათ ღენას ტაღლებში ასპროცენტთან სიკვდილს გადამარჩინეს.

მე კი ნაკბენებისგან ფეხები დასიებული მქონდა და გამწარებული ვიფხანდი. კოტეს ფერი დაუბრუნდა სახეზე და ხუმრობის ხასიათზეც დადგა:

-ბიძინი! შენ რაც ფოთში კოლოები გიხოცია, მგონებ ამათმა აიღეს სისხლი, ქართველი ნათესავი კოლოების მაგივრად.

კოსტიამ სასტუმროში დაბრუნებისთანავე გადმოიღო “იამანი” და სამჯერ შეასრულა დანაპირები, შესვა მისი გადამრჩენების სადღეგრძელო და ჩემი ხათრით, კოლოს სახელი არ უხსენებია, “მხსნელებს” უწოდებდა სადღეგრძელოში.

მას შემდეგ იაკუტსკის კოლოებზე, მიუხედავად მათი განსაკუთრებული სისასტიკისა, ჩემგან განსხვავებით, კოსტიას მეტი საყვედური არ დასცდენია.

აქაც ფერადე?!

ადმირალ მინეევს ყოველი ჩასვლისას ვხვდებოდი. ძალიან დაემეგობრდით. გავიცანით მისი ოჯახიც. მართალია, მერე თითქმის არ შემიწუხებია გიას თაობაზე, უკვე თავად დავაძყარეთ საჭირო კავშირები გაცილებით დაბალ, მაგრამ შემსრულებლების დონეზე, მაგრამ, როგორც ნამდვილი მეზღვაური და თანაც აფროსანი, რომლებმაც მთელ მსოფლიოში, მართლაც განსაკუთრებულად იციან მეგობრობის ფასი, ადმირალი თითონ იჩენდა ინიციატივას და სულ ცდილობდა რაიმეთი პატივი ეცა ან დაგვხმარებოდა.

ერთ ერთი ჩასვლისას მე და გელა ბრეგვაძე, ადმირალის მანქანით, რომელსაც მთელი იაკუტია ცნობდა, მივედით პაემანზე და როდესაც მანქანიდან გადმოვედით ჩვენი ბარგი ბარხანით, იქ მყოფებზე დიდი ეფექტი მოვახდინეთ. თვით ბარგის გამსინჯავი “შმონშიკი” გვეხმარებოდა გადმოლაგებაში.

პაემანის დამთავრების დროისათვის, ადმირალმა კვლავ გამოგვიგზავნა მანქანა და მისი განკარგულებით მძღოლმა პირდაპირ სანაოსნოს პატარა რესტორანში მიგვიყვანა. სანამ ჩვენ ხელ-პირს ვიბანდით და თავი წესრიგში მოგვყავდა სამდღიან სიბინძურეში მყოფებს, მძღოლმა მინეევიც მოიყვანა რესტორანში.

ცალკე კაბინეტში გაშლილი იყო საოცარი, გულუხვი, ციმბირული პურმარილი, ძირითადად ჩვენთვის ნაცნობი და ბევრი უცნობი გამოყვანილი თევზებით, შავ და წითელ ხიზილალებზე აღარაფერს ვლაპარაკობ, რომლებიც დიდ ჯამებში ეწყო და საჭმელად ვეებერთელა სუფის კოვზები იყო ჩაწყობილი. მინეევს უყვებოდით ჩვენს შთაბეჭდილებებს, გადავეცით გიას გამოგზავნილი საჩუქარი, კოლონიაში დამზადებული ულამაზესი ხის ჯვარი და პურისაგან დამზადებული ფერადი კრიალოსანი..

უცებ, ადმირალის სიგნალზე, ოფიცინტმა ქალებმა შემოიტანეს მინეევის - სიურპრიზი: **ქაბაბი და ხინკალი!**

მე და გელა, რომელსაც 24 საათი შეუწყვეტლად შეუძლია გემრიელი საჭმელების ჭამა, მაგრამ ყველაფერს ქონიანი ღორის მწვადი ურჩევნია, ხინკალ-ქაბაბზე მაინც და მაინს არ გიჟდება, თვალს არ უჯერებდით. გვიჭამია მოხევეური, ხევსურული, ქალაქური და ყველა სხვა სახის ხინკალი, მაგრამ იაკუტური ხინკალი თუ არსებობდა ვერც წარმომედგინა.

მინევემა, ნასიამოვნებმა ჩაიცინა

-აი, აქაც ვიცით კავკასიური საჭმელების კეთება.

ჩვენ ჩამოუთვალეთ მინევეს ხინკლის ნაირსახეობები და აქ დამზადებულ ხინკლსაც მოუქებნეთ დასახელება, მას “ადმირალსკი ხინკალი” დავარქვით.

როგორც გაირკვა მის რესტორანში მზარეულად მუშაობდა ვიღაც სომეხი. ჩვენ ვთხოვეთ მისი დაძახება.

შემოვიდა საშუალო ტანის სომეხი და სუფთა ქართულად მოგვესალმა. ჩვენმა გოცებამ პიკს მიადწია. როდესაც მას გამოვეცნაურეთ გაირკვა, რომ იგი ადრე ცხოვრობდა თბილისში და მზარეულად მუშაობდა კაფე “თბილისში”.

აი, საოცრება! სწორედ იმ წლებში, სწორედ იმ კაფე “თბილისში”, სადაც გიას შტაბ-ბინა ჰქონდა მოწყობილი. როდესაც ვკითხეთ იცნობდა თუ არა გია ფერაძეს, იწყინა:

-რას ქვია! გიას ვინ არ იცნობს თბილისში. და ბევრი მისი მეგობარიც ჩამოთვალა.

მართლაც, შეუცნობელია გზანი უფლისანი და მოჩვენებითი სიდიდის მიუხედავად, სამყარო არც ისე დიდი ყოფილა.

როდესაც გაიგო, გია იქვე 70 კილომეტრში იმყოფებოდა, თან ხედავდა, რომ ჩვენ მისი უფროსის, ადმირალის მეგობრები ვიყავით, თავი გაიგიჟა და აღგვიოქვა, აწი მან იცის, როგორ მოუაროს გიას.

მას შემდეგ არც ის სომეხი გვინახავს და არც გიასათვის მისი გაკეთებული სიკეთის შესახებ გვსმენია რამე. მის მიერ ციმბირში მომზადებული “ადმირალსკი” ხინკლისგან მიღებული სიამოვნებისათვის მადლობელიც დავრჩით, რომლის გემომაც უფრო მეტად გაგვიმძლავრა მშობლიური სახლის ნოსტალგია.



ციმბირული პაემნები

იაკუტსკში პაემანის გარშემო ბევრი რამ მოყვები, გარდა საკუთრივ პაემანისა.

წელიწადნახევარში იაკუტსკში 3-ჯერ მომოწია ჩასვლა და სამივეჯერ ბევრი თავგადასავალი გადამხდა თავს, რომლის ძირითადი, ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტები ახლა მინდა რომ გაგაცნოთ.

ტაბაგა

მშობლიური გინება

ტაბაგას შრომაგასწორებითი დაწესებულება № 256/12 იაკუტსკიდან 50 კილომეტრის მოშორებით, სამხრეთით მდებარეობს. მე უკვე გიამბოთ, რომ პაემანის ნებართვაში დაგეგმარენ ჩვენი ახალი მეგობრები, რადგანაც გიას, როგორც მიიმედ დაავადებულ ინფექციურ ავადმყოფს, პაემანი არ ერგებოდა. წარმოგიდგენიათ, ამ სიშორეს ჩასულები, გიას უნახავად უკან რომ გამოვებრუნებიეთ, რა ცოდვა იქნებოდა ჯერ ჩვენთვის და პირველ რიგში გიასათვის, რომელიც წუთებს ითვლიდა ახლობელ ხალხთან შესახვედრად. მაგრამ მადლობა ღმერთს! ყველაფერი მოგვარდა. მე და კოსტია ჩავედით ადგილზე დასაზვერად. ზონაში შესასვლელიდანვე დაიწყო ჩვენი გაცემა.

როგორც პირველად მისულები, მოკრძალებით შევედით თუ არა, გვესმის მამაპაპური ქართული დედის გინება!!!

აი, საოცრება, აქ ამ გადაკარგულში, მშობლიური გინება!?

ორი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დაცვის ახალგაზრდა თანამშრომელი, უშვერი სიტყვებით აგინებდა ვიდაცას და ეს გინება შორეულ იაკუტიაში იმდენად მოულოდნელი და მშობლიური იყო, რომ გააკვირვებულემა შეეძახეთ:

-ბიჭებო ქართველები ხართ?

ცოტა არ იყოს ბიჭები შეშინდენ და უმაღლესი ჩვენსკენ შემობრუნდა.

შემდეგ გაირკვა, რომ იმ ზონის დაცვაში მსახურობდა საქართველოდან ჯარში გაწვეული ჩვენი ქისტ ბიჭების მთელი რაზმი და ჩვენს დანახვაზე მათ გააკვირვებას საზღვარი არ ქონდა. ისინი მიხვდენ, რომ ჩვენ გიას სანახავად ვიყავით ჩასულები. ერთ-ერთი მათგანი გაიქცა გიას დასაძახებლად. გიამ უკვე იცოდა ჩვენი ჩასვლის შესახებ და მოუთმენლად გველოდა. იგი გისოსების მიღმა

დაგვანახეს და მოვასწართ ორიოდ სიტყვის გადაღ-
პარაკება. გიამაც და ჩვენმა ქისტმა მეგობრებმა
გაგვაფრთხილეს, რომ აქ მაგარი “შმონი” ანუ გასინჯვა
იციან, ამიტომ აკრძალული საქონელი და სასმელი არ უნდა
მოგვეტანა. მიგვითითეს ერთ უცხვირპირო რუსზე, რომელიც
საკუთარ დედასაც არ დაინდობდა შემოწმებისას.

მე და კოსტია უკვე გამოცდილები ვიყავით მსგავს
ტიპებთან კონტაქტების დამყარებაში და ამ “შმონშიკს”
კოსტია მიუქსიე.

“შმონშიკის” მოთვინიერება

როგორც უკვე აღვნიშნე, კოსტიას აქვს თბილისელი კაცის
შარმი და იცის, ვის როგორ დაელაპარაკოს. წყნარად,
დამაჯერებლად, ხელების შესტიკულად იპყრობდა
თანამესაუბრის გულს. კოტე შევიდა “შმონშიკის” ოთახში.
გამოელაპარაკა აქაურზე-იქაურზე. იგი ჩაის სვამდა და თავი
დაიპატიჟა ჩაიზე, სანაცვლოდ უთხრა, რომ მისთვის ჰქონდა



გია და კოსტია

კავკასიური სუვენირი, ორი
ბოთლი სპირტი! კოსტიამ
სპირტი, რომ ასხენა
“შმონშიკს”, ცხელი ჩაის დიდი
ელუპი დაადგა ყელზე. მან
გაამეორებინა კოსტიას და
ასეთი ციდან ჩამოვარდნილი
უეცარი ბედნიერებისაგან, სულ
შეიცვალა. ორცხობილა და
კამფეტებიც გამოიღო და აუსუნა
კოტეს, როგორ და სად მიეტანა
შეუმჩნევლად მისთვის ეს

სასმელი ბინაზე.

ტაბაგა არის ერთი უშველგებელი ზონა და მის გარეთ
ერთადერთ ქუჩაზე, ბარაკებში ცხოვრობს მხოლოდ ზონის
მომსახურე პერსონალი.

მე და კოსტია დავბრუნდით იაკუტსკში, ავიღეთ ორი
ბოთლი სპირტი, რომელიც 0.75 ლიტრიანი ბოთლებიდან 0.5
ლიტრიან ბოთლებში გადმოვასხით, რითაც 0.5 ლიტრი
სპირტი დავზოგეთ, თითო გრამს თვალისჩინივით
უფრთხილდებოდით. სადამოს ისევ ჩავედით ტაბაგაში. ჩვენს
მიერ 7000 კილომეტრზე წვალებით ჩატანილი ბარგის გიამდე
მიღწევის ბედი, ამ კაცის ხელში იყო. მხოლოდ იგი
წყვეტავდა რა შეიძლებოდა შეგვეტანა და რა არა. კოტემ
შეასრულა მიცემული ინსტრუქცია და კონსპირაციის მთელი

დაცვით, გადასცა სპირტი ადრესატს, რომელმაც მეორე დღეს დილით დაგვიბარა. გიასგან, აგრეთვე ჩვენი ქისტებიდან გაფრთხილებულებმა სასმელი დავტოვეთ სასტუმროში და მეორე დილას მივედით ჩვენი ბარგით-ბარხანით პაემანზე.

“შმონშიკი” არ ჩანდა. მან თურმე, თავის სიცოცხლეში პირველად დააგვიანა სამსახურში. კაცი გაუგზავნეს და როდესაც, ორი საათის დაგვიანებით გამოჩნდა, დაწითლებული ცხვირპირით და უაზრო თვალებით, მივხვდით, რომ ამ საწყალს მძიმედ დასპირტული დამე გაუტარებია, დილით ვერ ამდგარა და ჩვენი ვარაუდით რუსი კაცის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, დანამდვილებით იმ ორივე ბოთლს, ბოლოს მოუღებდა, თანაც ისე ჩუმად, რომ წვეთსაც არ უწილადებდა თავის ძმასაც კი. კიდევ კარგი, ჩვენდა ბედად მასაც არ მოელო ბოლო.

“შმონშიკი” იჯდა და საკუთარი თავი ორივე ხელით ძლივს ეკავა. დავიწყეთ ბარგის ამოლაგება შესამოწმებლად. ეს რომ დაინახა მოგვეარდა:

-რას შევებით? რატომ ალაგებთ ბარგს? ჩვენ გაგვიკვირდა.

ოთახში ჩვენს მეტი არავინ იყო და მან მძიმედ წარმოსთქვა:

-მე ახლა “შმონის” თავი მაქვს კოსტია?1 შეიტანეთ ყველაფერი რაც გაქვთ!

ამას კი არ მოველოდით! გამიგია, რომ არაყი და სპირტი ნორმალურ ადამიანსაც ამხეცებს, ის კი რომ, ორი ბოთლი სპირტი მხეც “შმონშიკს”, ადამიანად გადააქცევდა, არ მოველოდით. ეს, რომ გვეცოდნოდა, იაკუტსკის სასტუმროში არ დავტოვებდით სასმელებს, რომელთა ზონაში შეგზავნაზე, მერე დიდი წვალემა გადაგვხვდა მე და კოტიკას, ქისტ მეგობრებთან ერთად.

სურნელოვანი პაემანი

გია მოუთმენლად გველოდა! იგი ხუთი თვე არ მენახა! ცრემლიანი მისაღმება, ჩახუტება, მოფერება და დაიწყო სამდღიანი გაუთავებელი ლაპარაკი, შეკითხვები, ლაპარაკი, ლაპარაკი, ლაპარაკი. მას ყველაფერი აინტერესებდა და გვაყრიდა შეკითხვებს. ნივთები ამოვაღაგეთ, სუფრა გაიშალა. მე სამზარეულოში ვიპოვე ქვაბი და ტაფა, რომლებიც ჩატანილი ჭურჭლის სარეცხი პასტით ვხეხე და ჩავდგი ლობიო მოსახარშად. გამოვაცხე ჭადი და შეუდექით სუფრას, მოწყენილად, დასალევის გარეშე. გიას მოუყვებით, რომ შეუმოწმებლად შეგვიშვა შმონშიკმა, გაგიჟდა, ესეთი რამე თეორიულადაც კი ვერ წარმოედგინა, რადგანაც ერთი

თვის წინ, ერთ-ერთ კანონიერ ქურდთან პაემანზე მოსულ დედას, თურმე ტანსაცმელი სულ მთლად გაახდევინა, ნარკოტიკები და ფული, რომ არ შეეტანა.

ქართული სუფრა რა სუფრაა, დასალევის გარეშე და გიარა გიარა, რომ წყნარად იყოს... მან ჩვენი ჩატანილი ნივთებიდან ამოიღო, საპარსი ოდეკოლონი “სპორტი”, რომელიც თურმე, ჩემდა უბედურებად დედას 3 ფლაკონი ჩაუღია და იმით გვაიძულა სადღეგრძელოების თქმა. გიარა აიღებდა არყის ჭიქას, ჩაასხამდა ოდეკოლონს, გაურევდა ოდნავ წყალს, დიდხანს რომ გვეოფნებოდა, და ყოველ სადღეგრძელოს ასე იწყებდა:

-ამ პატარა, მაგრამ სურნელოვანი სასმისით... ეს გაუმარჯოს..... და წავიდააა..... ჩვენც რა გვექნა. აგვიყოლია და თავიდან ძალით გვასმევდა “სურნელოვან” ჭიქას ბოლომდე, მერე კი ჩვენთვის სულერთი იყო რას დავევადით, მაგრამ ესეც არ გვაკმარა, ოდეკოლონის მერე, ჩატანილი ნივთებში ღლოსონი იპოვნა, გახსნა წყალში და ისიც დაგვაღვინა. ეს რაღაც საშინელება გამოვიდა და ბავშვობაში თევზის ქონს რომ მასმევდენ, ისე დაველიე ცხვირზეხელმოჭერილმა. ამის შემდეგ ოდეკოლონის და ღლოსონის ნაზავი კოქტეილის საშინელ სუნად ვყარდით მთელი 3 დღის განმავლობაში. პირში ისეთი გემო გვექონდა, თითქოს ვერის აბანოს საპარიკმახერო გადაგვეყლაპოს.

ამ პაემანის მერე, დასანახად ვერ ვიტან ოდეკოლონ “სპორტს”. ერთხელაც, აქ თბილისში, კოტე ებანოიძეს ხუმრობით, დაბადების დღეზე მიუტანე ოდეკოლონი “სპორტი”. მგრძობიარე კოტიკა “სპორტის” დანახვაზე გავარდა ტუალეტში და გული კინაღამ აერია.

პაემანიდან გამოსვლის მერე, ჩვენი მთავარი ამოცანა, რაც “რამკიანმა გიარა” დაგვისახა, იყო სპირტის შეგზავნა ზონაში. დაგვიბარა მეორე საღამოს, როდესაც ჩვენი ახალი ქისტიმეგობრების მორიგეობა იყო.

სახიფათო მისია

ჩვენ რასაკვირველია ჩავედით დანიშნულ დროს ფასდაუდებელი “ტავართ”, რომელსაც მთელი ზონა მოუთმენლად ელოდა. ქისტი ბიჭებიდან ერთ-ერთი გამოვიდა და გვაუწყა შემაშფოთებელი ამბავი, რომ იმ დღეს, ზონის უფროსობას, სულ შეუცვლია დაცვის განლაგების განრიგი. ეტყობა მათამდეც მივიდა, ჩვენს მიერ იაკუტსკში ჩატანილი სპირტის სუნი. ქისტი ჯარისკაცები იმ დღეს ცენტრალური

შესასვლელიდან გადაუყვანიათ ზონის უკან, ერთ-ერთი საგუშაგოს კოშკზე. მაგრამ მეგობრობა რა მეგობრობაა და თანაც სპირტი-სპირტია, ამიტომ შეტანის გეგმა ერთობლივად სასწრაფოდ შეეცვალათ. გავემართეთ იმ საგუშაგოსკენ, რომლის გზაც გვასწავლა ქისტმა. კიდევ კარგი იქ ყოფნის დროს ჩვენ, ტაქს არ ვუშვებდით, იგი ბოლომდე გველოდებოდა. ზონა საკმაოდ დიდი იყო და მანძილიც დიდი გავიარეთ.



“ბელადი ციხეში”

ჩვენს ბედად, კოშკის ქვევით ღობედან, თავი გამოყო მეორე ქისტმა და ცოტა დაგმწვიდლით. ჩვენ მისგან მაღალი მავთულხლართი გვაშორებდა. მან იკითხა:

“ტავარი” რაში გაქვთო?”

როდესაც უპასუხეთ, რომ შუშის ტარაში, სწრაფად გვიპასუხა რომ პლასტმასის ტარაში გადაგვესხა და უცბათ გაუჩინარდა ღობის პატარა ხერეღში. იმ წუთას ჩვენ შეკითხვები დაგვებადა და ვერ მივხვდით მისი სწრაფი გაუჩინარების მიზეზს. მაგრამ ცხოვრებამ მალე თითონ მიგვახვედრა!

ღობის იმავე ხერეღიდან გამოვარდა, უშველებელი გერმანული ავჩარკა და გამოიქცა ყვფით, ჩვენს შესაჭმელად. მე და კოსტია, ძვირფასი, მაგრამ მძიმე ბარგით, როგორ გავირბინეთ, “ერთ ადგილზე” ქუსლების რტყმევით, 300 მეტრი და როგორ აღმოვჩნდით ტაქსში, არავინ იცის. გადავიწერეთ პირჯვარი და გავქანდით იაკუტსკში. ვიშოვეთ პლასტმასის ლიტრიანი ბოთლებში ჩასხმული წვენები. სითხე გადმოვასხით, გამოვრეცხეთ, შეეცვალათ სპირტით და ცოტა სუელი მოვითქვით.

გადავწყვიტეთ, ორიოდ საათის მერე, კვლავ გვეცადა ბედი, გვიან ღამით. გვიან კი იქნებოდა, მაგრამ, ღამესი რა მოგახსენოთ, იმ დროს იმ მხარეში არ ღამდება, როგორც მოგახსენეთ, იქ ღამის 2-3 საათზე, ჩვენებური უძზეო დღეა.

ტაქსისტი, რომელიც დიდი ენთუზიაზმით გვემსახურებოდა და ფულთან ერთად სპირტის სუნსაც გრძნობდა, სულ სასტუმროსთან გველოდებოდა.

-თქვენზე კარგ ხალხს და ამაზე სასიამივნო ტვირთს, სად ვნახავ მთელ ციმბირში- ამბობდა, გაავრცელა რა, ჩვენი მნიშვნელობის არეალი მთელ ციმბირზე. იგი მთელი გულით თანაგვიგრძნობდა და ყოველმხრივ გვეხმარებოდა.

ჩავედით მოგვიანებით. მივაღექით ისევ იმ კოშკს, სადაც ვიცოდით, რომ დიღამდე ქისტები უნდა ყოფილიყვნენ მორიგედ. დავდექით შორიახლო, 300 მეტრში და გულისფანცქალით, მანქანის შუქით, მოკლე სიგნალი გაუშვიეთ. იქ ჩვენი მანქანის მეტი, არაფერი მოძრავი ფიზიკური სხეული არ იყო და შორიდანაც ადვილად შესამჩნევი ვიყავით. ჩვენდა გასახარად გუშაგმა ხელი აღმართა მაღლა. ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა!

ვიჯექით მანქანაში, ყოველ მხარეს ვაკონტროლებდით და ვეწეოდით და ვეწეოდით სიგარეტს სიგარეტზე.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა და როგორც იქნა, ღობე ოდნავ გაიწია, იქედან ვიღაცამ გამოყო თავი და ხელით გვანიშნა, ახლო მივსულიყავით. არიქა გვეშველა! გადმოვიტანეთ ძვირფასი “ტავარი”. ჩვენი ნაცნობი ქისტი ჯარისკაცი აღმოჩნდა. ჩვენ, სპირტიანი ხელყუმბარებით ებომბავდით, მაღალ მავთულხლართებს იქეთ, ზონის ტერიტორიას და ჩვენი მეგობარი ცქვიტი ქისტი, კი მათ მიწაზე დავარდნას არ აცლიდა, ისე იჭერდა.

ყველაფერი ეს ჩავატარეთ ორიოდ წუთში, დავპატიჟეთ ქისტი ბიჭები, მეორე დღეს, იაკუტსკში სასტუმროში. ბოლოს ომგადახდილებმა, მაგრამ გამარჯვებულებმა, კმაყოფილების გრძნობით, სასწრაფოდ დავტოვეთ ბრძოლის ველი.

მეორე დღეს ჩვენი ბიჭები გვესტუმრენ სასტუმროში. სუფრა გაუშალეთ და იმდენი ვიცინეთ, გუშინდელ თავგადასავლებზე, რომ იაკუტსკის “ობკომის” სასტუმროს სართულის მორიგეს შეეშინდა და ვერ ხვდებოდა რა ხდება? რისგან ზანზარებდა კედლები?

თურმე, ბიჭებსაც არანაკლები ხიფათი გადახდათ თავს. როდესაც კოლონიის უფროსობამ გაიგო, რომ ჩვენ დავამთავრეთ პაემანი, გააძლიერეს დაცვა, შეცვალეს მორიგეობის გრაფიკი, ეტყობა, მათ მიერვე ჩანერგილი


დამსმენების წყალობით, შეიტყვეს “ტავარის” შეგზავნის შესახებ. პირველ ჩვენ მისვლაზე დამატებითი ბაღრაგის ძაღლმა, კინალამ ჩვენი ქისტი მეგობარი შეიწირა. იგი თურმე იმიტომ გაუჩინარდა მაშინ სასწრაფოდ, რომ დროზე შეატყობინეს კოშიდან, მოახლოვებული საფრთხის შესახებ.

შემდეგი ჩასვლა მე და გელა ბრეგვაძეს მოგვიწია იმავე წელს ოქტომბერში. იმ პაემანმა მშვიდად ჩაიარა და ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დამამახსოვრდა იყო, სომხის გაკეთებული “ადმირალსკი” ხინკალი, რომელზედაც უკვე მოვითხრეთ.

მესამე პაემანი შედგა უკვე შემდეგ წელს.

მარხა

მეორე წელს გია გადაიყვანეს სხვა ზონაში, დაბა მარხაში, რომელიც იაკუტსკის ჩრდილოეთით ოთხმოც კილომეტრში მდებარეობდა.



“მალიშა”

1989 წელი იყო. 9 აპრილის წელი. წერილებში ეტყობოდა, რომ გია ძალიან ნერვიულობდა აქ თბილისში მომხდარ ამბებზე. მე და კოტე ზაფხულში ჩავვით და გია ჩვენგან ელოდა დაწვრილებით ცხელ ცხელ ინფორმაციას მომხდარ ამბებზე. პაემანზე გიასთან ერთად დაგვხვდა კიდევ ერთი პატიმარი, რომელსაც სპეციალურად წინასწარ დაუჭერია თადარიგი, გამოუძახია დედა, რათა გიასთან და ჩვენთან ერთად ყოფილიყო 3 დღე პაემანის ზონაში. ეს პატიმარი იყო გვარად მალიშევი,

ხედსახელად “მალიშა”, იგი გახლდათ მარხას ზონის “მაყურებელი”, ანუ ზონის მთავარი კანონიერი ქურდი. 38 წლიდან მან 21 წელი გაატარა ციხეებში და კოლონიებში, სამი კაცი ყავდა მოკლული, მრავალჯის ნასამართლები იყო ყაჩაღობაზე და გაუპატიურებაზე. ერთი სიტყვით კარგი რამე იყო!

იგი გარეგნობით გავდა ჩემ ბავშვობაში, პოპულარული ფილმის, “საგზური ცხოვრებაში”ს გმირს, ქურდ მუსტაფას. ტანით პატარა იყო და გვარს შეეფერებოდა, მაგრამ იმ ზონაში მალიშა ყველაზე დიდი ფიგურა იყო, მის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი საკითხი. ერთი იყო, რომ მსგავს

ადმიანებთან ურთიერთობა ძალზე სახიფათოა. შეიძლება სულ უბრალო რამეზე ტვინი გადაუტრიალდეთ, რასაც არაპროგნოზირებადი შედეგები მოყვება. ამის ეშინოდა გიას და მისვლისთანავე გვთხოვდა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავით, ზედმეტად არ გაგვეღიზიანებია მაღიშა.

მაღიშას ძალიან უყვარდა გია და ზონაში გვერდიდან არ იშორებდა, მისი რიდით გიას უბატონოდ ხმას ვერ ცემდა ვერავინ, იქ მომსახურე პერსონალის ჩათვლით.

აი, ასეთი შესავალით დაიწყო მესამე პაემანი იაკუტიაში.

მარხაში პაემანი დაგეგმილი იყო და პრობლემები არ შეგვექმნია. ყველაფრის შეტანა შევეძელით, ფეშქაშათ გაცემული ქართული “იამანის” წყალობით. ციხე შიგნიდან ტყდებაო. გიამაც და მაღიშამაც მოახერხეს შიგნიდან ბადრაგის შემზადება და დაებინავდით, გავემზადეთ სამ დღიანი პაემანისათვის.

სუფრა გავაწყვეთ, მე კვლავ შევათბე ხაჭაპურები, გამოვაცხე ჭადები და ჩავდგი ლობიო მოსახარშად. ამოვაწყვეთ სასმელები. რადგანაც მაღიშა იქ იყო მათი ამოლაგება არ შეგვეშინებია, ზონის თანამშრომლებს, რომლებმაც მათი წილი დასალევი უკვე მიიღეს, აკრძალული ჰქონდათ პაემანის ზონაში გამოჩენა “რამკიანი” ქურდის დაძახების გარეშე.

ისეთი სუფრა გაიშალა ავ თვალს არ დაენახებოდა. სასმელებიც ნაირნაირი გვექონდა. ერთი ბოთლი ვისკი ლევან უჩანეიშვილმა გაგვატანა, მიშა (ბასკუ) ლოლაძემ ფინური ბანკის ლუდები გაუგზავნა გიას, გოგი ხარაბაძემ ფრანგული სიგარეტები “ჟიტანი” და მაღიშას, რომ ასეთი რამეები ცხოვრებაში არ ენახა ცხადია, მაგრამ იმ დროისათვის თბილისშიც კი, ბევრი სხვაც გაკვირვებული დარჩებოდა სუფრის სიუხვით.

პაემანზე შესვლისთანავე გიამ დაგვაყარა შეკითხვები, დედა როგორ არის? რა მოხდა 9 აპრილს? ვინ გათხოვდა? ვინ კითხულობდა მას? ვინ გარდაიცვალა და სხვა და სხვა.

პაემანის ოთახი პატარა, როგორც გია ეძახდა, “ერთი საკუთლე ოთახი” იყო და ჩემი გაკეთებული ლობიოს ჭამის მერე, მართლაც ამართლებდა გიას დარქმეულ სახელს. ორ მხარეს მდგარ ლოგინებს შორის ჩავდვით მაგიდა. გასავლელი აღარ დარჩა. პრაქტიკულად მთელი ოთახი საწოლი და მაგიდა იყო. ჩვენც ქურდულად ფეხმორთხმულები, ნახევრად წამოწოლილები ვიყავით მთელი სამი დღე. ვინმეს გარეთ გასვლა თუ მოუნდებოდა ერთმანეთზე უნდა გადაეხიჯებინა. მაღიშა არ გასულა თავის

ოთახში, სულ ჩვენთან იყო, დღეც და ღამეც, ერთხელაც არ დაუხედავს დედამისისათვის, რომელსაც სულ ეძინა, რაც ადასტურებდა კოსტიას ეჭვებს, რომ ის ქალი სულაც არ იყო დედამისი.

თავიდან მაღიშას ყოფნა სირთულეს გვიქმნიდა. მისი ხათრით ძირითადად რუსულად ვლაპარაკობდით. ცოტა რომ დაველიეთ მაღიშას იმდენ ყურადღებას აღარ ვაქცევდით და სადღეგრძელოებს ქართულად ვლაპარაკობდით და ხან მე, ხან კოსტია, რიგრიგობით ვუთარგმნიდით.

“რწყილი და ჭიანჭველა” - “პო იაკუტსკი”.



გია და კოკოშა

თბილისიდან გიას მეგობარმა ვახტანგ კობაიძემ-(კოკოშამ) დიდი ვაი-ვიშით გამატანა მისი სამსახურის, პატარა ზომის უცხოური დიქტოფონი, რადგან კარგად იცოდა მეგობრის ხასიათი, ეშინოდა, ის გიას არ დაეცოვებია, რისთვისაც მას სამსახურში პრობლემები შეექმნებოდა. როგორც გაირკვა, კოკოშას ტყუილად არ შინებია. გიამ რომ დაინახა პატარა, კომპაქტური უცხოური დიქტოფონი, გულში ჩაიკრა და უკან წაღებაზე უარი გაგვიცხადა:

-ამას ცოცხალი თავით ვერ გაგატანთ! მოკლედ მოჭრა.

მისი ამბავი მეც რომ ვიცოდი, მივხვდი თუ რა საფრთხის წინაშე დგებოდა, მთელი საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვანი, კოკოშას ჟურნალისტური კარიერა. მას სიტყვა მივეცი, რომ დიქტოფონს უკან დაუბრუნებდი. და უცებ გამახსენდა “რწყილი და ჭიანჭველა” და თუ რატომ, ამას თავად მიხვდებით.

გია დიქტოფონს ეფერებოდა, მე კი, კოსტია და მაღიშა შეუმჩნევლად გავიხივე სამზარეულოში და გაჭირვებაში ჩავარდნილი კოკოშას დახსნის ჩემი გეგმა აუხსენი...

მაღიშა ახტა-დახტა და მოიხმო ბადრაგი. ბადრაგს უთხრა:

-კოსტია ორი საათით გარეთ უნდ გაუშვალ!

-მას რომ ჩემთვის არაყი არ მოუტანიაო...

-მოგიტანს! უთხრა მაღიშამ.

ბადრაგმა გააღო ციხის კარები.

ახლა უკვე კოსტია ახტა-დახტა და ქუნაში ბადრაგის გამოძახებულ ტაქსში ჩახტა.

-ძმაო, თბილისში მეგობარია გასაჭირში და სწრაფად უნდა უშველოთო.

გაგიჟდა ტაქსისტი!

-როგორ? თბილისში მივდივართ? გაოცებულმა იკითხა.

-არა! აქვე იაკუტსკში, უმაღლ მაგნიტოფონი უნდა მაშოვნო! აქ მოვიტან არაყს, მივცემ არაყს ბადრაგს, მაგნიტოფონს მივცემ ცნობილ ავტორიტეტს “გია იაკუტსკის” და აქედან დავიხსნი მეგობარს თბილისში.

-შენ რომ ჩემთვის 25 მანეთი არ მოგიციაო!

-პრობლემ იოხ! მოგცემ იუზგარ-ჯან. თუ იჩქარებ ერთ არაყსაც გაჩუქებ. უთხრა კოსტიამ.

ამ სიტყვების მერე, ტაქსი კი არ ახტა-დახტა, არამედ გაფრინდა და იაკუტსკში პირდაპირ უნივერსიტეტთან დაეშვა...

კოსტია გადმოხტა, იყიდა უნივერსიტეტში მაგნიტოფონი “ელექტრონიკა”, მერე შეხტა სასტუმროში, აიღო სპირტის მარაგი და ჩახტა ტაქსში.

მისცა ტაქსისტს 25 მანეთი და 1 იამანი.

მისცა ბადრაგს 1 იამანი, ჩვენთვისაც მოიტანა 2 ბოთლი... ოღონდაც სპირტი და...

შემოალო პაემანის ოთახის კარები.

ჩავაბარეთ გიას ახალთ-ახალი მაგნიტოფონი “ელექტრონიკა”.

სამივეს ერთობლივი მოწადინებით, მაინც ძლივს ავართვით, დიქტოფონი და ასე გადავარჩინეთ აქ იაკუტიაში, 7000 კილომეტრით დაშორებული მეგობრის, კოკოშას ჟურნალისტური კარიერა.

პაემანზე

ამის მერე, მთელი პაემანის პირველ დღეს სუფრის მსვლელობა იწერებოდა ფირზე. გია ადღეგრძელებდა მის მეგობრებს პერსონალურად და კითხულობდა მათდამი მიძღვნილ ლექსებს. ამას გარდა, გიას ჩაუტანეთ ჯემალ სეფიაშვილის 9 აპრილის სიმღერა “ვანუქოთ ერთმანეთს ტიტები”, ხოლო გოგი დოლიძემ სპეციალურად გამატანა მისი სიმღერების ჩანაწერი, სადაც იგი გიას ლექსზე, მაცაცო სეფიაშვირადის სიმღერას “ვერას” მღეროდა. მთელი დღე ხომ ჩართული გვქონდა ეს ჩანაწერები, მერე კი ღამე, როდესაც ყველას უკვე კისერი გვწყდებოდა და ვინ სად მიწოლილი წავუძინებდით, გიამ შეიტანა მაგნიტოფონი ტუალეტში, სადაც შესვლა აუტანელი “არომატის” გამო

ერთი წუთითაც გვიჭირდა. გია, მთელი სამი საათი არ გამოსულა ტუალეტიდან, საიდანაც ისმოდა: “ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები” და “თბილისში ყველა პატარა უბანს...” და გოგის სხვა სიმღერები.

მეორე დღეს სუფრა განვაახლეთ. დილიდან მივხედეთ თავს. ლობიო უკვე მზად იყო და ჩატანილი სუნელებით შევაზავე, ცოტა წვენი დაუმატე და მშვენიერი საპახმელიო რამე გამოვიდა, შიგ ჩამბალ, უკვე შემხმარ შოთის პურებთან ერთად.

მალიშა გვიყვებოდა, როგორ უყვარდა ზონაში ყველას გია. როგორი ყურადღებით უსმენდენ მის მონათხრობს სხვადასხვა ქვეყნებზე, გამოჩენილ მსახიობებზე, კინოგადაღებებზე, ქალებზე. სიცილით ხოცავდა ყველას ანეგდოტებით. მთელი ზონის გული და სული იყო. მალიშას მონაყოლით წარმივიდგინე რა დღეში აგდებდა და როგორ ბერავდა ტყუილ მართალით გია იმ საწყლებს, რომლებთაც კამერის, ნარის და “ბურის” მეტი არაფერი ენახათ ამ ქვეყანაზე. გია მათთვის იყო ტელევიზორიც და გარე სამყაროს სხივის შემონათება, მათ ნაცრისფერ და უსახურ ყოფაში.

ქურდული გაკვეთილები

მალიშა უკვე მაგრად მოთვინიერებული გვყავდა. კოსტიამ გამოკითხა, თუ რაში გამოიხატება მალიშას საქმიანობა ზონაში. მან ახსნა, რომ მთელი დღე დაკავებულია. თვალს ადევნებს კარაქის და არყის ფალსიფიცირებული ტალონების ბეჭდვას, რომლის მთელი წარმოება ჰქონდათ აწყობილი. კონტროლი ყოფილა საჭირო, რომ ზედმეტი არავის არ დაებეჭდა ან არ “მოედუნათ”. ადევნებდა თვალყურს წესრიგს, დისციპლინას, დაბეჭდილი ტალონების გარეთ გაგზავნას, შემოსული ფულის და საერთო საღაროს (ობშჩაგის) შევსებას და რაც მთავარია, ხშირად უწევდა მოსამართლეობა ანუ საქმის გარჩევა.

მალიშა იჯდა ლოგინზე ჩაცვუცქული, მე ვიყავი წამოწოლილი, კოსტია იყო ფეხმორთხმული, გია კი თბილისში გასატან ლექს-წერილებს წერდა.

ჩვენ მშვიდად ვსაუბრობდით. მალიშამ აგვიხსნა ციხის იერარქია და ჩამოთვალა პატიმრების 6 ძირითადი კატეგორია. შევეცდები გავიმეორო მისი კლასიფიკაცია, როგორც დამამახსოვრდა:

ყველაზე დაბალ საფეხურზე არიან- “მრავ”- ანუ “ჭუჭყი”-ს კატეგორიის წარმომადგენლები, რომლებსაც ვისაც როგორც უნდა, ისე ხმარობს.

მეორე- “ჩორნიე”, მომსახურეთა კატეგორიაა, იგივეა “შნირები”.

მესამე- “კრასნიე”, რომლებშიც იგულისხმება ძირითადად ადმინისტრაციის დამსმენი და კამერების “ნასედკები”.

მეოთხე ფენა – “მუჟიკი” ანუ კაცები, ნორმალური პატიმრები, რომლებიც მუშაობდენ და ზონის საწარმოო გეგმას ასრულებდენ.

მეხუთე- “ფრაერები”- ანუ, არაქურდები. ეს კატეგორია ყველაზე დაახლოვებულია ქურდებთან, ამიტომაც არ მუშაობენ

მეექვსე კატეგორიაა, “ვორ” ანუ ქურდი, რომლის მაღლაც დგას მხოლოდ უკატეგორიო კატეგორია! “ვორ ვ ზაკონე” ანუ კანონიერი ქურდი.

ჩვენ დაგვაინტერესა, რომელ კატეგორიაში გადიოდა ჩვენი ძმა გია. მაღიშამ აგვიხსნა, რომ გია იყო “ფრაერი”, ანუ ქურდებთან დაახლოვებული არაქურდი ადამიანი, რომელსაც უფლება ჰქონდა ქურდებთან ერთად პური გაეტეხა ერთ სუფრაზე, მაგრამ ქურდულ გარჩევებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ესე იგი გია მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიას, რომელიც ქურდების ნდობით და პატივისცემით სარგებლობდა. მაღიშამ დაამატა:

-როგორ? ვერ ხვდებით, მე და გიამ დავამთხვიეთ პაემანები და ერთად ვართ აქ. ეს კი ბევრ რამეს მეტყველებს.

ჩვენთან ქალაქში ფრაერი შეურაცყოფის ტოლფასი წოდებაა. ვინმე ბურთს ფეხს რომ ააცდენდა ფეხბურთის თამაშისას მიაძახებდენ: “ეი შე ფრაერო!”. მაგრამ თურმე რა “საპატიო” წოდებით ვამკობდით იმ ფეხბურთელს, მაშინ არ ვიცოდით.

აქ ურთავთ გიას რამოდენიმე ახალ ლექსს, რომელიც არ შედიოდა წიგნში “სევდის კრებული”.



ცოლის მომტირალი ქმარი

მე ცოცხალი და შენ მკვდარი,
სამართალი ეს არ არი,
ვწევარ მარმარილოს ქვაზე
ჩაკრული მაქვს მკერდში ჯვარი.

ო! რა ტკბილად მაგონდება
შენ ცოლი და მე კი ქმარი,
ნამუსი სულ აღარ არი?
მე ცოცხალი და შენ მკვდარი.

სასაფლაო,
სუსტი ქარი,
 ცრემლი,
 სევდა,
 გულზე ბზარი,
ისევ ქრისტე,
 ისევ ჯვარი,
 ცოლის მომტირალი ქმარი...

არა! არა! გენაცვალე,
 სამართალი ეს არ არი....
 1989 იაკუტია

მარიამო, წმინდა ქალო!

მარიამო, წმინდა ქალო!
საქართველოს ნატვრისთვალო,
ერთი თხოვნა ამისრულე
ოცნებების დედოფალო!

ჩემს მიწაზე დამაბრუნე,
 დედა მკერდში ჩამახუტე,
 შვილი მომაფერებინე,
რა? შენც ხომ არ გამებუტე?

მარიამო წმინდა ქალო,
სალოცავო ხატო ჩვენო,
თუ ცოდვა მაქვს ჩადენილი,
 გვევდრები, შემაჩვენო!
საყვარელო ჩემო მიწავ,
დავრჩი ისევ ის ვინც ვიყავ.

უცაბედი შემთხვევისთვის
მე მგონია არ გამრიყავ.

შენი ვარ და შენს გულისთვის
ამოვიგლეჯ გულს მკერდიდან,
ჩემს სიცოცხლეს განაცვალებ...
ყოველ მხრიდან.

შეიძლება დღე გათენდეს,
მოვკვდე უცებ გარღვიცვალო,
მარიამო გევედრები,
ისე მომკლა არ ვიწვავლო.

მეყო ტანჯვა, სევდა, გლოვა,
ისეც ბევრი დამიგროვდა.
სისხლს ასპიტი მიწუწნიდა
სული კიდევ შეგლას მთხოვდა.

საქართველოს ნატურის თვალთ
მარიამო, წმინდა ქალო,
მომიარე მძიმე წუთას,
სისხლით რომ არ დაგიცალო.

მიწაში თუ ჩამასვენეს,
სულერთია, დღეს თუ ხვალე,
მთელი ძალით ამოვძახებ
“საქართველო გენაცვალე”!

მე ვეცდები, რომ არ მოვკვდე,
კვლავ თბილისში დავიბუდო,
მარიამო, წმინდა ქალო,
ოღონდ შენ არ გამებუტო.

1989 ტაბაგა

ტაკიმასხარა

(ავტობიოგრაფიული ლექსი)

რომ ჩაუფიქრდეთ ვინ არის კაცი,
რომელსაც ჰქვია აკიმასხარა?!
ტრიალებს ხტუნავს, ყირაზე ღვება
ხალხი იცინის, თვითონ კი არა,

ცუდ ხასიათზე მოვიდა ცირკში,
და ჩამოიცივა სახეს მასკა რა,
მასკა იცინის, გული კი არა,
აი, ვინ არის ტაკიმასხარა.

სიცილისაგან ხალხს გული მისდის,
წარმოდგენაზე ასეთიც ხდება,
აცინებს ყველას, დიდს და პატარას,
მისი გული კი, შუაზე სკდება.

ჩაქრა მანეჟი, და როცა ყველა
თავის სახლებში მიმოიშალენ,
მოიხსნა მასკა, მწუხარებით თქვა:
ისევ მასხარა ვიქნები ხვალე?!

გამოდის ცირკის შენობიდან და
ავტოგრაფებს თხოვს დიდი პატარა,
ჯიბიდან იღებს მეტრიან ფანქარს
და პროგრამაზე აწერს “მასხარა”.

მივიდა სახლში, ჩაწვა ლოგინში,
ფერხითთ მიცუცქდა პუდელი “ვასკა”,
და მის გადაღლილ სახეს, კედლიდან,
მას უცინოდა მასხარას მასკა.

შეხედა მასკას და წყნარად უთხრა
რა გეცინება? ჩემო ბიძია!
დაიძინა და მეორე დილას
მასხარას აღარ გაუღვიძია.

თავის გამზრდელს რომ გაღვიძებოდა
წკმუტუნებს, ცმუკავს პუდელი “ვასკა”,
ტიროდა ყველა დიდი პატარა,
სიცილს არ წყვეტდა, კედლიდან მასკა.

1987 შუშა

“ქურდი” კოსტია

კოსტია ეკითხება მალიშას:

-მალიშ! რა ამისთანა საქმეებს არჩევ აქ? შეგიძლია ძმურად ერთი მაინც მომიყვე?

გია დაიძაბა. თვალით ანიშნა კოსტიას, რომ დაუკრეფავში არ გადასულიყო. ნასვამ მალიშასთან ხუმრობა უკვე სახიფათო იყო. ავად უელავდა თვალები... თუმცა ჩვენდა გასაკვირად, მალიშამ პირიქით, თავისი სიბრძნის დამადასტურებლად, კოსტიას მოუყვა ზონაში მომხდარი, რაღაცა ჩხუბის ამბავი და ამაყად თქვა თუ როგორ დასაჯა სასტიკად მასში მონაწილე ერთი მხარე. უცვებ კოსტია ხელების თბილისური ექსტიკულაციით ეუბნება:

-იზინი მალიშ, ნო ტი ნე პრავ!

ოთახში სიხუმე ჩამოვარდა.

ქურდს, ვიღაც “მოფრავრო” ეუბნება, რომ მართალი არაა. უპრეცედენტო შემთხვევაა.

-პოჩემუ? - იწვინა მალიშამ. კოსტიამ, რომელსაც კიროვის ბაღში მიღებული, ფეხბურთიდან დაწყებული, ჩხუბით დამთავრებული, გარჩევების დიდი გამოცდილება ჰქონდა შეთვისებული, თბილისურ-ქალაქური ჩხუბის მაგალითზე იოლად გაურჩია, რატომ არ იყო მართალი მალიშა და რატომ უნდა დაესაჯა ერთი მონაწილე მეორის მაგივრად.

მალიშა ყურადღებით უგდებდა ყურს კოსტიას. ღრმად ჩაფიქრდა! მერე მოუყვა მეორე შემთხვევა და მისი გამოტანილი, მეორე განაჩენის შესახებ. აქაც კოსტიამ იგივე გაიმეორა და დაუმტკიცა, თუ რატომ არ იყო ადამიანური პოზიციიდან მართალი მალიშა და როგორ უნდა მოქცეულიყო მისი გაგებით. მალიშა სულ უფრო მეტად დაინტერესდა კოსტიას სამართალით და მესამე შემთხვევაც გაარჩევინა.

ოთახში ავად ჩამოწვა სიხუმე! მალიშამ უყურა, უყურა და მთელი სერიოზულობით წარმოთქვა:

-Костя! Останься ну! Ничего не будешь делать. Будешь сидеть на нарах и будешь помогать мне дела разбирать и много денег будешь иметь.- ჩვენ შევებით ამოვისუნთქეთ.

-არიქა, კოსტია, როგორც იქნა, მაგარი სამსახური იშოვნე. სიცილით უთხრა გიამ. არ გაუშვა ბედნიერი შემთხვევა ხელიდან.

კოსტიამ მადლობა მოახსენა მალიშას, მაგრამ მოიმიზეზა რომ იქ თბილისში მას შეილიშვილები ყავს გასაზრდელი და მათ ვერ დაადაღატებდა. მაშინ მალიშამ გაიხადა ფერადი საკერავი ძაფებით სპეციალურად ხელით ნაქსოვი რამიკანი

ქურდის წვრილი ბადეებიანი მაისური და უდიდესი პატივისცემის ნიშნად კოსტიას აჩუქა:

-Наси! Эта воровская майка. Ты достоин!

უთხრა მან და ყურადღება არ მიუქცევია იმისათვის, რომ ორი მეტრის სიმაღლის კოსტიას, მეტრნახევრიანი მალიშას მაისური, მხოლოდ ჭიბამდე თუ მისწვდებოდა. მერე ყველამ ერთად დიდი გაჭირვებით, ფეხზე შემოჭერილი “აზიაცკივით”, ძლივს ჩამოვაცვით თავზე.

ნელ-ნელა საუბრებში იღეოდა პაემანის დრო. გია თხზავდა ლექსებს, რომელსაც მერე დიქტოფონზე ვწერდით. შესანიშნავი ლექსი დაწერა 9 აპრილზე, რომელიც ცრემლებმომდგარმა ემოციურად წაიკითხა. მალიშას ერთი დღით ადრე დაუმთავრდა პაემანი და ჩვენც გავიხარეთ, რადგანაც ერთი დღე მარტო ვიქნებოდით უცხოს გარეშე. მალიშა დიდი სიყვარულით გამოგვეთხოვა. მან მე “ნასტაიაში ბრატუხას” წოდება მომანიჭა. ცრემლიც კი მოადგა თვალზე. თურმე ამ გამოუსწორებელი რეციდივისტის გულში მთლად არ იყო ჩაკლული ყოველივე ადამიანური. წასვლისას დაგვამშვიდა, რომ სანამ გია მასთან იქნებოდა, არაფერი დააკლდებოდა. გამოთხოვებისას, როგორც იქნა დაინახეთ “დედამისი”, ჭროლათგაღებიანი პატარა იაკუტელი მოხუცი ქალი, რომელიც კომპლექციით მართლაც წააგავდა მალიშას. მე რომ, ეს კოსტიას უთხარი, მის მიერ ადრე გამოთქმულ ეჭვზე, მიპასუხა:

-მასე თუა ბიძინი, სიმაღლით და თვალებით ყველა იაკუტელი და ყველა ჩინელი ერთმანეთის ახლო ნათესავი გამოდის. ამჯერადაც სიბრძნით სავსე იყო ქურდის მაისურიანი ვერელი კოსტიას ლოგიკა.

გიას იაკუტიდან წამოსვლის მერე, მახანყალაში მოუვიდა წვრილი სურათით.

სურათს უკან აწვრია:

“Братуха Гия. Не забивай Марху!

Малыш и Кувалда Вася.

მალიშას წასვლისთანავე კოსტიამ იყვირა, არიქა მიშველეთ, როგორმე გამხადეთ ეს მაისური, ორი დღე ვერ ვსუნთქავ, მოგვედი კაცი! მალიშას შიშით აქამდე ვერაფერს ვამბობდი. მე და გიამ სიცილ-სიცილში ძლივს გამოვაძრეთ კოსტია ქურდული მაისურიდან. მას ტანზე, თითქმის უკვე ჩალურჯებული მაისურის წვრილად ნაქსოვი წერტილების ასლი, პაემანის ბოლომდე ეტყობოდა. ქურდი კოსტია, კვლავ ვერელ კოსტიად გადაიქცა.

-ასეა ძმაო! ქურდობა ადვილი საქმე კი არ არის-იციხოდა
გია.

დარჩენილი დრო გაუთავებელ საუბრებში და ერთმანეთის
ფერებაში გავატარეთ. პაემანის დამთავრების მოახლოვე-
ბასთან ერთად წელდებოდა ხუმრობის სურვილიც.

გია მეუბნებოდა: რა გინდა ბიძინი! ხომ განახე ქვეყნები,
ვლადიმერი, შუშა, ტაიგა, ღენა, იაკუტია. შენი იახტით, რომ
გადააკვდი ამ თბილისის ზღვას, აქ როგორ მოხვდებოდი მე



ვასო და მალიშა

რომ არ ვყოფილიყავი და ალბათ, რომ იტყვიან *ეშჩო ნი
ვეჩერ!* რა იცი კიდევ რას მიპირებენ, ალბათ კიდევ ბევრ
ქვეყანას განახებ. ისე ყველაფერი აგისდათ, როგორც ეს
ნათქვამი მართალი აღმოჩნდა.

პაემანზე ყველაზე საშინელი მომენტი იყო ჩვენი დაშორება,
როდესაც ჩვენი წასვლის დრო ახლოვდებოდა. ბარგი
ჩალაგებულა, ზონაში შესაგზავნი შეგზავნილია, (ამჯერად
მალიშამ შეიტანა ყველაზე საჩოთირო ნივთები)
გამოთხოვებისას, როდესაც შენ უკვე “სვაბოდაზე” ხარ,
გისოსებს აქეთ და ტუბერკულოზით დაავადებული შენი
ღვიძლი ძმა კი, გისოსებს მიღმა დარჩენილი გიცქერის,
შეუძლებელი იყო მისთვის თვალეებში შეხედვა. არასოდეს
დამავიწყდება გამოთხოვებისას, მისი ბოლო გამოხედვა,
რომლის სევდის აღწერასაც, მხოლოდ შექსპირის ან
ყაზბეგის კალამი თუ შეძლებდა.

სენსაცია!!!

სენსაციის მოყვარული ჟურნალისტებისათვის და არა მარტო მათთვის

როგორც ვთქვი, ამ ამბების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არც გია, არც დედა, არც ბევრი სხვა ადამიანი აღარ არიან ცოცხლები და რადგანაც ალბათ მხოლოდ მე დაერჩი ამ ისტორიის მემკვიდრე, ერთი თითქმის ყველასათვის უცნობი საიდუმლო მინდა გაუწყოთ. წარმომიდგენია, გაზეთის რომელიმე კორესპონდენტისათვის, რომ მომეყოლა ეს ამბავი, რა ხმაური ატყდებოდა გაზეთების სათაურებში: ექსკლუზივი... სენსაცია... მხოლოდ ჩვენს გაზეთში.. და სხვა. მაგრამ ამჯერად ვარჩიე დუმილის დარღვევა წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. მინდა რომ ეს ამბავი გიას შეიღებმა და მთელმა საზოგადოებამ იცოდეს.

ჯერ კიდევ გია ფერადის ზენიტში ყოფნისას, იმ ფატალურ შემთხვევამდე ორი წლით ადრე, გია რუსთაველის თეატრთან



გია ფერადე 1986 წ.

ერთად გასტროლებზე იმყოფებოდა რუსეთში, ქკრასნოიარსკში. იქ ჩვეული ტრიუმფით მიმდინარეობდა როგორც თეატრის, ისე გიას პირადი, გასტროლებს მიღმა “გასტროლები”.

გიას იქაც გამოუჩნდა მრავალი თაყვანისმცემელი და მათ შორის იყო ერთი უღამაზესი ქალიშვილი, კრასნოიარსკელი ცნობილი გენერლის შვილი, რომელსაც ძველი ტურგენევის დროინდელი რუსი ქალების მსგავსად, თავდავიწყებით შეუყვარდა გია. მას საქმაროც კი ყოლია, მაგრამ გიას ნახვის მერე, არავისი სახელის გაგონება არ უნდოდა. გიასათვის ეს იყო ჩვეულებრივი საგასტროლო რომანი, რომლისთვისაც მას დიდი ყურადღება არ მიუქცევია. აქ ჩამოსვლის მერე, გია დებულობდა წერილებს, მაგრამ ახალი

გასტროლები, მსახიობის დატვირთული ცხოვრება და ნელ-ნელა შეწყდა მიწერ-მოწერა. გავიდა ხანი. მოხდა უბედურება. გია აღმოჩნდა ციხეში. როდესაც ორი წლის მერე გიას სახელზე მოვიდა წერილი კრასნოიარსკიდან, მე და დედა საგონებელში ჩავვარდით.

წერილში იყო სამი წლის ბავშვის ფოტოები, გია ფერადის ასლი, რომლის დედასაც ბედის ირონიით ერქვა ირინა და რომელმაც შვილს დაარქვა გია - გვარი კი მისცა ფერაძე!



გია (უფროსი)



ბიძინა გიას ძე



გიკა ფერაძე (რუსი)



გია ბიძინას ძე
(უმცროსი)

ირინამ მიუხედავად მშობლების და ახლობლების დიდი წინააღმდეგობისა, მაინც გააჩინა ბავშვი გიასაგან. გიამ ამის შესახებ არა უწყობდა. ირინა არაფერს ითხოვდა გიასაგან, უბრალოდ უნდოდა, რომ ორი წლის მერე მაინც, გაეგო მამას შვილის შესახებ და გამოგზავნა ბავშვის ფოტო. დედამ მიწერა გიას უბედურების ამბავი. ირა ძალიან შეწუხდა. შემდეგ ყოველთვის კითხულობდა მის მისამართს, რომელიც ხშირად იცვლებოდა. იგი წერილებს წერდა და უგზავნიდა

გიას ბავშვის სურათებს. არავითარი გენეტიკური ანალიზი არ ჭირდებოდა ამ სურათებს. ფოტოებიდან გია ფერადის ბავშვობა გიყურებდათ.

როდესაც გია მოხვდა იაკუტიაში და ირინამ გაიგო ამის შესახებ, მომწერა იყო თუ არა შესაძლებლობა, რომ მას იქ მოუწვობდნენ პაემანს და მისცემდნენ საშუალებას გიას ენახა ბავშვი პაემანზე. მე აღუთქვი დახმარება და ჩემი იაკუტელი მეგობრების წყალობით ეს ულამაზესი რუსის ქალი, დეკაბრისტების ცოლების მსგავსად, ბავშვთან ერთად ჩავიდა ზამთარში იაკუტსკში და ციხეში მონახულა ჭლებით მიძიმედ დაავადებული, საყვარელი ადამიანი, რომელიც მხოლოდ ორიოდ დღე ყავდა ნანახი და რომელმაც ასე შეცვალა მთელი მისი ცხოვრება.

მეტი რაღა ვთქვა! ეს არის ჩემი საიდუმლო! რომელზედაც ბევრი ვიფიქრე გამეძახილა თუ არა? მაგრამ ჩვენ დროში ისე იშვიათია სიყვარულის ასეთი ძლიერი და უანგარო გამოვლინება, რომ მინდოდა ამის შესახებ სხვასაც გაეგო, განსაკუთრებით მათ, ვისაც რუსის ქალებზე მარტო გამოძევენებული წარმოდგენა აქვთ. გიას გარდაცვალება ირინამ დედასგან გაიგო. მას მერე სამწუხაროდ არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია მასზე. ბოლო ხანებში, ინტერნეტის მეშვეობით, ვცდილობ მივაგნო “გია ფერადე-რუსის” ასავალ დასავალს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

ერთია, როდესაც ჩემი და გიას შვილების ბედნიერებაზე სანთელს ვანთებ, მინდა რომ მისმა წმინდა შუქმა, რუსეთში გადაკარგულ გია ფერადესაც გაუნათოს გზა.

მასხაყალა

მოსკოვში საკავშირო პროკურატურაში სირბილმა და საჩივრების წერამ და გიას აქაური და სახელოვანი რუსი მეგობრების თანადგომამ, ბოლოს და ბოლოს გაჭრა და ჭლებიანი ავადმყოფი გია ფერადე, როგორც იქნა გამოამგზავრეს ხანგრძლივი ეტაპით მასხაყალის კოლონიაში. უკან მომავალი ეტაპიც ორი თვე მოზოზინებდა ჩვენკენ, მაგრამ რა შედარებაა, გიას ყოველი დღე აახლოვებდა მშობლიურ კავკასიას და თბილ ქვეყნებს. საქართველოში მისი გადმოყვანა არ შეიძლებოდა, რადგანაც მას ალბათ კვლავ სადმე მოუსვლელში გაისტუმრებდნენ.

მეორეც, მასხაყალა შედარებით ახლო იყო. დედას ხომ ოთხი წელი არ ენახა შვილი, რის გამოც, დარდისგან მან ინსულტიც გადაიტანა და ამის მიუხედავად, მაინც მოელოდა რომ აუცილებლად ჩავიყვანდი პაემანზე მასხაყალაში.

როგორც კი მოვიდა შეტყობინება გიას მახანყალაში ჩასვლის შესახებ, ამუშავდა ზემოთ ნახსენები პაემანის საორგანიზაციო კომიტეტი და კვლავ გავრცელდა სიგნალი: “ილო მიდის პაემანზე”. მალე დასაზვერად შე და გიას მეგობრები ჩავედით მახანყალაში.



შე.გია და თაზო
მახანყალის ციხეში

დიდ საბჭოთა კავშირში კოლონია ყველგან კოლონიაა და მიუხედავად იმისა, რომ მახანყალაში ჩვენს ტრადიციებთან ახლო მდგომი ხალხი ცხოვრობს, კოლონიის უფროსობა მაინც რუსები იყვნენ და ამ მხრივ დიდი განსხვავება არ იყო რუსეთის სხვა კოლონიებთან. მაგრამ თბილისელი მეგობარი მოჭიდავეების დახმარებით გავედით კავშირზე იქაურ მოჭიდავეებზე, რომლებიც დაღესტანში ლეგენდარული

პოპულარობით სარგებლობდნენ. მათი დახმარებით კი ვახერხებდით პაემანის საქმეების მოგვარებას. ამას გარდა მახანყალაში მოღვაწეობდა ჩემი მეგობარი თემო ზაქარაშვილი (ხოზიკა), რომელიც მთელ მახანყალას იცნობდა და იქ ყველა საყოფაცხოვრებო პრობლემის გადაწყვეტაში გვეხმარებოდა.

მახანკალაში სუთჯერ ვიყავი გიას მეგობრებთან ერთად. ერთხელ დიდი გაჭირვებით დედაჩემიც ჩავეყვანე პაემანზე, რის შემდეგაც იგი ისე ცუდად გახდა, რომ ორი დღე დამატებით მოგვიწია სასტუმროში დარჩენა, უკან გამოსავლელი უდელტეხილებით ცნობილი გზის წინ, რაც წნევიანი ადამიანისათვის ძალიან სახიფათო იყო.

დიდი ხნის უნახავი დედა-შვილის შეხვედრა მძიმე სტრესი იყო ყველასთვის და ამ შეხვედრას გია რასაკვირველია ლექსით გამოეხმაურა.

დედას!

შენ რომ იცოდე, შენს სანახავად
დედა, რამდენ ხანს ვეძებდებოდი.
აღარ გავიდა დრო უსაშველო,
პა, და მეგონა გავთავდებოდი.

მოვიდა დღე და ვზივარ ოთახში,
სადაც შენ უნდა გამოხნდე დედა,
ჯერ კარებშიც კი არ შემოსულხარ,
მაგრამ მე მაინც ჩემს თვალწინ გხედავ.

გაილო კარი და შენ გამოხნდი,
მეგონა უფრო მოხუცს გნახავდი,
ისევ ისეთი რომ დაგინახე.
შენს კოცნას, როგორც მკელი დაუხარბდი.

ჩაგეხუტე და ვიგრძენი სუნი,
სუნი ამ ქვეყნად ყველაზე ტკბილი,
და გამახსენდა მე შენი კალთა,
საყვარელი და საოცრად თბილი.

მაინც შეგეტყო სიხარულისგან
ლოყაზე ცრემლი ოდნავ გცხებოდა,
კისური-კისურს ისე მოგხვიე
აღბათ გედებხსაც შეშურდებოდათ.

მოგხვიე ხელი და ჩაგეხუტე,
უსმენდი გული როგორ გიცემდა,
მხოლოდ ასეთი წმინდა გრძნობისთვის,
კაცი დარჩენილ დღეებს მიცემდა.

ეს გულისცემა მეც გადმომედო,
და შეუერთდა ჩემი გულის რითმს,
მაშინ კი მივხვდი, რომ ღირს სიცოცხლე,
მხოლოდ და მხოლოდ შენი გულისთვის.

შენ წახვედი და კვლავ მარტო დავრჩი,
ისევ კედლები, ისევ ფიქრები,
ეშმაკმა იცის, დღეს რომ ვიყავი,
კვლავ ბედნიერი როდის ვიქნები!

პირველი ჩასვლისას ჩაუტანეთ აუცილებელი ნივთები და წამლები, მათ შორის, აწ გარდაცვლილი ჩემი მეგობრის ალიკა განჩინილაძის ცნობილი წამალი “კატრექსი”, რომელსაც კარგი შედეგები ჰქონდა ჭლექის მკურნალობის დროს, მაგრამ აღმინისტრაციამ კატეგორიულად აგვიკრძალა ამჟღავნების შეტანა, რადგანაც ნარკოტიკი ეკონათ. ნარკოტიკები კი პაემანზე ყოფნისას იმდენი ვნახეთ, რომ გაგვიკვირდა.

საქმე ისაა, რომ ჩვენს ჩასვლას დაემთხვა საკავშირო მნიშვნელობის “რამიანი” ქართველი ქურდის “გვაჯის” ქორწილი, რომელსაც ცოლი კრასნოდარიდან ჩამოუყვანეს. სუფრა იყო გაშლილი ჩვეულებრივ პატარა ოთახში და რომ იტყვიან ჩიტის რძეც არ აკლდა. შავი, წითელი ხიზილადა დიდი კოვზებით, ასეტრინები, სათაღი, ორაგული ვეება ნაჭრებად დაყრილი და სხვა დელიკატესებით სავსე იყო სუფრა. საქორწინო ტორტი და დასალევი რასაც ისურვებდი! ვისკიდან დაწყებული შამპანიურით დამთავრებული. მოსაწვეიც რაც გინდა: მხოლოდ დეფიციტური იმპორტული სიგარეტები: მარლბორო, კენტი, ქემელი და თუ ისურვებდი ანაშაც ბლომად გააჩნდათ. ციხის საერთო წესების თანახმად როგორც იაკუტიაში, ისე აქაც უფროსობას შემოსვლის უფლება არ ჰქონდა. საქმე უმაღლეს დონეზე იყო ჩაწყობილი. ჩვენ რასაკვირველია, მიგვიწვიეს სახეიმო სუფრაზე. პატარა ოთახში, სადაც მაგრად დაბოლილი, ქორწილში დაპატიჟებული რამოდენიმე პატიმარი ქურდი იყო მინაგებული. ჩვენ დავლოცეთ ახლადდაქორწინებულები და დროზე ადრე გავეცალეთ იქაურობას. შემდგომში გია მომიყვა, როგორ დაღია მის ხელში სული იმ უბედურმა ქურდმა, ზედმეტი დოზა წამლის გაკეთების შედეგად.

აქ გამართლდა გიას იაკუტსკში ნათქვამი, “ეშჩო ნი ვეჩერ” და რომ ჯერ კიდევ ბევრი ქვეყნის ნახვა მომიწევდა მის გადამკიდეს.

ჩეჩნეთის ომი კარს იყო მომდგარი და ის ადგილები, რომლებსაც შემდგომ წლებში ასე ხშირად ახსენებდენ საომარი მოქმედებების დროს: მახაჩყალა, ხასავიურთი, აჩხოი მარტანი, გროზნო, ინგუშეთი და ჩრდილო ოსეთი გიას წყალობით მეც და მისმა მეგობრებმაც, პაემანზე სიარულისას ბევრჯერ “დავათვალეერთ”.

მართონის ბოლო

ღრო მიდიოდა. ქვეყანა იცვლებოდა. სსრკ ინგრეოდა და ღრო მაინც მიდიოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, სხვადასხვა რესპუბლიკების პატიმრებს მათ სამშობლოში



აბრუნებენ. გიაც გადმოიყვანეს რუსეთიდან საქართველოში, კერძოდ რუსთავის კოლონიაში, სადაც მოუსწრო კიდევ პრეზიდენტ გამსახურდიას ამნისტიამ და 1992 წლის ბოლოს სამოქალაქო ომის დაწყებამდე გია განთავისუფლდა 7 წლის და 7 თვის ტანჯვა-წამების შემდეგ.

რუსთავში გიამ ცოტა გაიხარა, რადგანაც თავისიანებში მოხვდა. იგი ოპტიმიზმით ელოდა მოახლოებულ განთავისუფლებას. დიდი გეგმები ჰქონდა.

ამბობდა მე ისეთი რამეები მაქვს განცდილი და ნანახი, რომ “ოსკარის” ღონის კინოსცენარებს დავწერ და ფილმს გადავიღებო.

- რა ბედი მაქვს. სადაც ვიყავი კოლონიებში, ყველგან აირღაირია. თბილისიდან გადამიყვანეს და აქ ატყდა 9 აპრილი და უბედურება. შუშადან გადმომიყვანეს და ატყდა ყარაბახის ომი. იაკუტიიდან წამოვედი და იქ რევოლუცია დაიწყო. მახაჩყალადან როგორც კი გადმომიყვანეს ატყდა ჩეჩნეთის ომი. ახლა უნდა ვთხოვო მოსკოვში გადამიყვანონ, იქნებ დავეშალო ეს დედამო..... რუსეთი და იქნებ რამე ეშველოს საქართველოს. ამბობდა ხუმრობით და ამ ხუმრობაში სინამდვილის მარცვალი მართლაც იყო.

მოსკოვში არა, მაგრამ გიას საქართველოში გადმოყვანის მერე, აქ ატყდა, რაც ატყდა.

გიას პატიმრობიდან განთავისუფლებას დაემთხვა საქართველოში სამოქალაქო ომი, ომი ოსეთში, ომი აფხაზეთში და ყველა უბედურება.

მაშინ ძმა ძმას, ცოლი ქმარს ებრძოდა სხვადასხვა პოლიტიკური სიმპატიების გამო. ვინ ზვიადისტი იყო, ვინ კიტოვანის მხარდამჭერი, ვინ მხედრიონელი, ვინ

შევარდნადისტი - და ვინაც უბრალოდ ნაძირალა ვერ გაიგებდი.

გიას კი, ჭლექი ისევ აწუხებდა და სერიოზული მკურნალობა ჭირდებოდა. მკურნალობის მაგივრად იგი კოლონიიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა, ოღონდ არა ჭლექის სამკურნალოდ.

მრავალი წლის მონატრებული იყო კარგად ჩაცმას, მან ჰალსტუხში და კოსტიუმში გამოწყობილმა მიაცილა მეგობრები გლდანში. უკანა გზაზე გადააწყდა რომელიღაც შეიარაღებულ ჯოგს და მარტო იმიტომ, რომ მას ჰალსტუხი ეკეთა. საშინელი აგრესია გამოხატეს ინტელიგენტის ტიპის მიმართ:

-რას უყურებ? ვერა ხედავ ჰალსტუხი უკეთია, დასცხე მაგ ინტელიგენტს- მიაძახეს და ისე სცემეს ფეხებით და ავტომატის კონდახებით, რომ უგონოდ ეგდო მთელი ღამე გზის პირას სუსხიან თოვლში, ახალი წლის წინა დღეებში დეკემბერში. მხოლოდ დილით იპოვნა ვიღაც ქრისტიანმა გამგულელმა და სასწრაფოს შეატყობინა. მე, კი ორი დღე ვეძებე საავადმყოფოებში და მორგებში და ბოლოს ძლივს მივაგენი ერთ ერთი საავადმყოფოს ყბა-სახის განყოფილებაში სულ მთლიანად ბინტებში შეხვეულს.

ბოლოთქმა

პატიმრობიდან განთავისუფლებული გია სულ სხვა ეპოქაში აღმოჩნდა, სულ სხვა გარემოში, სხვა ურთიერთობებში. გაჭირვებისაგან გათითოკაცებულ თბილისში, რაც მისთვის გაუგებარ და უცხო სამყაროდ აღიქმებოდა. თითქოს სულ სხვა ქალაქში მოხვდა. მისთვის არავის არ ეცალა. სამწუხაროდ მეგობრებიც ყველა თავის ყოველდღიურ პრობლემებს იყო შეჭიდებული.

თეატრში დაბრუნება მას არ უცდია და არც თეატრს გამოუდია თავი მისი შეპატიუებით. დადიოდა ქალაქში ასე მიუსაფარი, ნაცნობ-უცნობი უბნელი “ჭიქა-მეგობრების” ამარა და როდესაც სოხუმის თეატრის ხელმძღვანელმა დიმა ჯაიანმა თითქმის ძალდატანებით მიიყვანა სოხუმის თეატრში, იმედის ნიშნები გაუჩნდა. არ შეიძლება დიდი მადლიერება არ გამოეთქვა დიმა ჯაიანის და სოხუმის თეატრის მთელი დასის მიმართ, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვინეს თუ რა არის გაჭირვებაში ჩავარდნა და კარგად ესმით გაჭირვებული კაცის დახმარების მადლი. მათ ძალიან თბილად მიიღეს გია და მისი გარდაცვალების მერეც ხშირად დადიოდნენ დედაჩემის სანახავად. მადლობა მათ!

ღმერთმა აუსრულოს მათთვის და არა მარტო მათთვის, ყველაზე სანუკვარი ოცნება - სოხუმში დაბრუნება!

როდესაც გაიმართა პრემიერა გორკის პიესისა “ფსკერზე”, სადაც გაი გაუპარსავი, ფსკერზე დაშვებული ადამიანის როლს თამაშობდა, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის




სოხუმის თეატრი

სცენაზე, დარბაზი სავსე იყო ვიას სანახავად მისული მაყურებლით. ფინალური სცენის დამთავრებისთანავე, დიმა, როდესაც მსახიობები მოიხმო სცენაზე, წინ გაი გამოატარა და სხვა მსახიობები შეუმჩნევლად უკან დახია. გაი შერჩა პირისპირ მაყურებლის წინაშე. ხალხი ფეხზე წამოდგა და ცრემლიანი ოვაცია გაუმართა მას. ალბათ არა იმიტომ, რომ კარგად შესრულა როლი, არამედ მონატრებული მაყურებელი, მის სცენაზე დაბრუნებას ესალმებოდა.

ამის მერე ვიამ თქვა: იმდენი ვინერვიულე, სულ მაკანკალებდა, თითქოს პირველად ვიდექი სცენაზე. ახლა კი მივხვდი, რომ ჩემში, რომელიდაც “კრიტიკ” კამერაში მოკვდა მსახიობი ვია ფერაძე.

და მას მერე სცენას აღარ გაკარებია.

დასასრული



აღვისაგან გათაღეთ, ჩემი კუბოს ფიცარი,
აღვა ამკობს ჩემს კავშირს ფერადოვან წარსულთან,
ცხოვრება კი შევიცან, რაც არის და ვინც არის,
მაგრამ რაღა დროსია... კომედია დასრულდა!

რეჟისორი თვით ვიყავ, ასე მსურდა ფინალი,
მსგავსად ჰეროსტრატესი, მეც ხომ დავწვი ტადარი...
ხომ გახსოვართ ქეიფში, ფეხბურთში მორკინალი,
ხოდა! ფაფუ! გათავდა! ფერფლი ვარ და ნაცარი!

ორი დღეც და შემამკობს, ალბათ შავი არშია,
შავით შეიმოსება ჩემი მწირი სახლობა,
თქვენი ვია ფერადე, თქვენთან ბარი-ბარშია,
ეს სიკვდილი მან თვითონ ძალით მოიახლოვა.

ბევრთან შევცდი... სხვა “ბევრი” ჩემთან არის “ჩაჭრილი”,
ღმერთმა ყველას შეუნდოს, მეც შემინდეთ ცოლვები,
თქვენთვის დამილოცია ეს მარტი და აპრილი,
კიდევ ორი-სამი დღეც და უთუოდ მოგკვდები.

სულ სიცოცხლე მინდოდა, სიცილი და ხუმრობა,
ბედნიერი ვიყავი, მუდამ თქვენთან მყოფელი,
ასე მწარედ დასრულდა ჩემი თქვენთან სტუმრობა,
ასე ცრემლით აივსო ჩემი წუთისოფელი.

რა კარგი ხარ თბილისო, მენანები ძალიან...
ციხეში გნატრულობდი და ამ ნატვრით ვთბებოდი,
მაგრამ ჩემთვის თბილისო, ვიცი აღარ გცალია...
ერთ დროს როგორ გკოცნიდი, როგორ გეხუტებოდი.

მორჩა ლექსი, თვითონაც სანთელივით მივქრები...
სული თითქოს დაჭრილი, მოფარფატე გეღია...
ისევ შენსკენ მიხმობენ ეს სნეული ფიქრები,
კომედია დასრულდა?... დასრულდა ტრაგედია!

სამწუხაროდ, გიას კომედიაც დასრულდა და ტრაგედიაც.
ცხოვრებას კი რა გააჩერებს, მიდის და მიედინება!
მამას გარდაცვალებიდან გავიდა 40 წელი, გიასი – 10,
დედა 8 წლის წინ წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩემი ოჯახიდან
მარტო მე დავრჩი. და როდესაც მხვდებიან მამას
ნამოწაფრები და მათი შვილები, დედას ნაცნობები, გიას
მეგობრები, ჩემს დანახვაზე ყველას სახე სევდიანი ღიმილით
გაებადრებათ და გუღღაწყვეტილები, ამოოხვრით იგონებენ
მათ.

-ვას! ბატონი ბიძინა, რა კაცი იყო!

-აფსუს, დეიდა თინა, რა მხიარული ქალი იყო!

-ეს! გია! გია! როგორ დაგეწვიტა გული...

მაშინ მახსენდება დიდი გერმანელი მწერლის თომას მანის
დიდებული სიტყვები და წელში ვსწორდები:

**ეი შენ! მეგობარო! რას ჩაგიქინდრავს თავი! წელში
გაიმართე და ამაყად გაიარე! შენში ხომ მამა-პაპა დააბიჯებს
ამ ქვეყანაზე!**

ამ ქვეყნად კი ჩვენდა ნუგეშად დააბიჯებენ: ბებია-ბაბუის,
დედ-მამის, ჩემი, გია ფერადის შვილები და შვილიშვილები.
ჩვენი პოეტის სტრიქონს გავიხსენებ ჩემი დაბოლავებით,
ღმერთმა მშვიდობა მისცეთ მათ და დე:

იარონ...

იარონ...

იარონ...

... წელგამართულებმა!

თბილისი
2006.



გია ფერაძის
ცხოვრება და
შემოქმედება
1985 წ. 19 მარტამდე

ცხოვრება



გია შხერუჭე



ვია და შაშა ხუციანიძე



გია ჰარაღზე



გია, რობიკო,
გოგა მუხიშვილი



მამა, მიხაილა, ხაბიბურ, სიმე
 კობიძე, ჯაფარიძე, ცულაგაძე, შერაგვი



მ., ვაჟიშვილი, ანა მამა
 ტყეშელაშვილი, აბაშიძე

ვას რეკლემბიან



გადაღებებს ზე



გინა და ტრელისკინა



გია ნადამიანი მეგობრებსა



კლასი კრძახიყვიძე, ჯია და სანა აბდულოვი
"დაბნობის" სტუდენტები



ჯია, ირინა აბდულოვა, სანა აბდულოვი

შემოქმედება

მოიტაცეს თამარ ქალი



ორი გია





“ჩემი ნავსაყუდელი” ლენფილმი



“ქერათმიანი გოგონა”



“მე, გამომძიებელი”



“ივანიკა და სიმონიკა”



ახადგახრდა კომპოზიტორის მოგზაურობა





“არასერიოზული კაცი”









გია ფერაძის
ყოფა და
ცხის შემოქმედება
1985 წ. 19 მარტის შემდეგ

ყოფა




გია და ვერა



გია და ვოვა



გია და კვიციანი



ციხის შემოქმედება



МАРИНКА
ЗУДИНА.
К/к "ВАЛЕНТИН И ВАЛЕНТИНА"

АЛЕКСАНДР
АБДУЛОВ.

— А. Абдулов —





გიას მეგობრები თბილისში



საშა აბდულოვი თბილისში



კოდია კარაჩენცევი, საშა აბდულოვი
მეუღლეებით ჩვენს ოჯახში



ირინა ადუყეროვას ნათღობა
ქაშვეთის ტაძარში

“სროკმოსხდილი” გია



ენაოვანი ბოლო ჰეჩ

გიას მერე. XXI საუკუნე



ნემი ოჯახი



ბიძინა და გია ფერაძეები



მარტია და ირინკა

“Я, бабушки -дедушки, мама, папа и ГИЯ ПЕРАДЗЕ “

Книга рассказывает о жизни, предках, родителях и семье известного Грузинского актера театра и кино, второй половины XX века, о **Гие Перадзе**. Не претендуя на рецензию его ролей, брат Гии, **Илья Перадзе** с некоторой грустью и с юмором вспоминает его жизнь и главную исполненную братом роль, всеми любимого в городе, симпатичного, веселого, «несерьезного», в конце трагического человека.

В книге описаны его многие реальные юмористические истории, которые и по сей день живут в памяти многих старых Тбилисцев.

ავტორისაგან

წიგნის ბოლოს, კვლავ მადლობა მინდა მოვახსენო ყველას, ვინც გვერდში ედგა ჩემს ოჯახს ძნელბედობის უამს: მეგობრებს, ნათესავებს, ახლობლებს.

მადლობა, ყველას, ვინც გაიხსენა და მომაწოდა გიას ოხუნჯობანი.

მადლიერი ვარ ჩემი რედაქტორის, თამაზ ტყემალაძის, გაწეული შრომისათვის და რომელმაც წიგნის რედაქტირებით, შემახსენა, რომ არსებობს ქართული ენის გრამატიკა და რომ იგი, მარტო 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, არ უნდა გაგვახსენდეს. მადლობელი ვარ გიას და ჩემი მეგობრის, ნიჭიერი მხატვრის, მალხაზ კუხაშვილის, რომელიც დამეხმარა წიგნის ყდის გაფორმებაში.

წიგნი აკერიფე, დავაკაბადონე და გავაფორმე სარეკლამო კომპანია “ტვ+”-ის ტექნიკურ ბაზაზე. მადლობა “ტვ+”-ის კოლექტივს და განსაკუთრებული მადლობა კომპიუტერული პროგრამების ვირტუოზულ მცოდნეს, “ტვ+”-ის ახალგაზრდა პროგრამისტს ლევან ხომერიკს, კონსულტაციებისა და დახმარებისათვის.

და ბოლოს, ბოდიში მინდა მოვახსენო მკითხველს, ფოტოების ხარისხისათვის. ბევრი მათგანი, ხომ მტვერდადებული ოჯახური ალბომებიდან არის გამომზეურებული. ზოგიერთი კი, XIX საუკუნეშია გადაღებული და მათი კომპიუტერზე დამუშავებას და გაწმენდას, არა ერთი და ორი დამის თენება დასჭირდა.

ილიკო ფერაძე



ილია ვერაძე

დაიბ.1939წ.

ინჟინერ-ელექტრიკოსი.

1980-2000წ.წ. მუშაობდა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კომპიუტერული ცენტრის დირექტორად. საქართველოში ერთ-ერთი პირველი, სარეკლამო კომპანიის “TV+”ის დამფუძნებელი.

საერთაშორისო სარეკლამო ასოციაციის **IAA**-ს წევრი.

წმინდა მღვდელმოწამე **გრიგოლ ვერაძის** საზოგადოების დამფუძნებელი.

სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი აფროსნობაში.

ღირსების ორდენის კავალერი.